

1979




1979

2

# ಪ್ರಗತಿ

ISSN - 4210 NSSI





ლევან პანინის მიერ „ღამის“

11 წ. 58 სმ. სკ.



ლევან პანინის მიერ „კვირის“ 14 წ. 58 სმ. სკ.



# სტუდენტ



2

(29)

მარტი  
პირველი

1979

საქართველოს მწერალთა კავშირი  
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური  
ა ლ მ ა ნ ა ხ ი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ  
შრომთა მთავარი სარედაქციო  
კოლეჯია

## შინაარსი

*Handwritten signature*

იარსულაგ ხეილიაკოვი, ლენინი, ლექსი. თარგმნი რთარ შალაშვირქემ	3
იური ტრიფონოვი, ბაცვლა, მოთხრობა. თარგმნი ეთერ კეჭელაძემ	4
დენიელ კიჭი, ავავილიბი მლუჯარენისათვის. მოთხრობა, ინგლისურიდან თარგმნი გია ჭუმბურიქემ	40
ანა ზეპარსი, შინავიფრა მონზარტონისას, მოთხრობა. გერმანულიდან თარგმნი ნოღარ კაკაბაძემ	63
სამუილ მარშაკი, ლექსები, თარგმნი ვაჟა ყუბუსიქემ	86
ანდრეი კლბონოვი, თაკირი, მოთხრობა, თარგმნი ვივი კვილაშვილმა	89
კოგო აბა, ფითელი პარკი, მოთხრობა, თარგმნი მურმან ჭგუბურიამ	106
ინგლისელი კოვბები, ლექსები, ინგლისურიდან თარგმნი ვიორჯი ნიშინიქემ	109
ამილო ხოსე სელა, პასკუალ დუარტეს ოჯახი, რომანი, დასაწყისი, თარგმნი ლამარა თურმანიქემ	125
✶ მონღაველი კოვბები, ლექსები, <i>ქუჩუჩი</i> თარგმნენ გენო კალანდიამ და ვივი ალბაზიშვილმა	167
ალბერ კაიუ, ალფიკული მსიბი, ფრანგულიდან თარგმნი თინათინ კიქოქემ	178
ანა დოსტოვესკაია, მონოვინები, დასასრული, თარგმნი სოლომონ დემურბანაშვილმა	198
იაოლიტ ტენი, ხელოვნების ფილოსოფია, ფრანგულიდან თარგმნი ივანე მაჭავარიანმა	215
✶ პარკო კაკაბანი, სიტყვა იანუო კორნაკო, თარგმნი ელზა ბახტაქემ	238
✶ პარსია მარკოსის რომანი „სინარტონის ასი ფული“	239



მთავარი რედაქტორი  
**შოთა ნიშნიანიძე**

კ. შ. გიგინეი

**ნანა ღარჩია**

სარედაქციო კოლეგია:

მზია ბაქრაძე

ბანანა ბრეგვაძე

გურამ გომიამიძე

მამალი თოდუა

ნოდარ კაკაბაძე

მიხეილ კვსელაძე

ზურაბ კიკნაძე

პანუშვი კობახიშვილი

როვან მიხინოშვილი

ოთარ ნოდია

ნიკო ფიასაშვილი

თამაზ ნახეკელი

დავით წერეთლიანი

«САУНДЖЕ»

литературно-художественный альманах

на грузинском языке

№ 2

1979

Главная редакционная коллегия художественного перевода и литературных взаимосвязей

Тбилиси  
улица Шалвы Дадиани, 2

გარეყანის პირველ ვერდზე: პაბლო პიკასო, კოლი, მხატვრის ვ ფლის ვაიშვილი არლემპინოს სამოსში, 1924 წ.

გარეყანის მეოთხე ვერდზე: შოთა გურული, „სიბრძნის ღეღა“

შხატვრული რედაქტორი ლ. ცუცქერიძე. მხატვარი ა. ვართაგავა. ტექრედაქტორი რ. იმწიშვილი

გადეცა წარმოებას 15/III-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/IV-79 წ. ქალღმის ზომა 70X108<sup>1</sup>/<sub>16</sub>. სააღრ.-სავაგომ. თაბახი 19,35. ნაბეჭდი თაბახი 21. ტირაჟი 10.000. შეცვ. № 135.

ფასი 1 მან.

ნაქართველოს სსრ გამსახელების სავაგომეგმლო-პოლიგრაფიული ვაერთიანება „ვანათლებლის“ კომბინატი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат издательско-полиграфического обьелинения «Ганатлеба» Госкомиздата Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

## ლ ე ნ ი ნ ი

ასე შგონია, დარბაზში — არა,  
თითქოს გამოვცდი წლებსა და წინლებს  
და ფინლანდიის ვაგზალში ვდგავარ  
და ბელადის ხმას აშკარად ვისმენ.

არცა დრო მიწლის, არც — სივრცის ბლონდი,  
რომ იმ ხმას მკერდი გავუხსნა ბინად...  
და მოედანზე გრგვინვით რომ მოდის,  
ის ჯავშნოსანიც თვით ჩემში გრგვინავს.

წვერმოშეებული, გამხდარი, მკვრივი —  
თვით პეტერბურგის ბატონთა შავთი —  
მეცა ვარ წვერი მებრძოლთა მწყრივის  
და ნიშანზე მყავს სასახლე ზამთრის.

მიწას ვერხვივით დაეტყო თრთოლა,  
როცა შეტევის დაწყება გვამცნეს;  
ჩვენ ხომ ლენინმა გავგვზავნა ბრძოლად,  
ჩვენი სინდისი ბრძანებდა ასე.

დიდმა ბრძოლებმა ბუდე უნასთა  
მოაშთო, გაჭრა მათი ღიობიც;  
ლენინი ქვეყნის დიდ ტრიბუნაზე  
დგას, როგორც აზრი კაცობრიობის.

მე შევეთვისე მებრძოლთა რიგებს  
და გამარჯვების ვისუნთქე ქარი;  
და შიტინგებიც იდუმალ მგვრიდნენ  
დიდ გზაზე ქუდის დაქნევის ხალისს...

მუზეუმების დუმილს არ ვარღვევ,  
კვლავ მოედნისკენ გამიბრბის თვალი  
და ჩემს ნაბრძოლ და გაყინულ ძარღვებს  
ლოკავს იანვრის კოცონთა ალი.

მე ვხედავ: თოვლის თეთრი ლაქები  
თქვენს უპეებში ჩასხდნენ შრეებად;  
და თქვენი ცრემლი, ამხანაგებო,  
ის თქვენი ცრემლი ჩემს თვალში შრება...

### პოთხობა

რუსულიდან თარგმნა ეთერ კეჭელაძემ

ოვლისში დმიტრიევის დედა ავად გახდა, ძალიან ცუდად შეიქნა და ბოტკინის საავადმყოფოში დააწვინეს. ქსენია ფეოდოროვნამ იქ თორმეტი დღე დაჰყო. ვარაუდობდნენ უველაზე უარესს. ოპერაცია სექტემბერში გაუკეთეს და ის უველაზე უარესი დადასტურდა. ავადმყოფს კი ეგონა, კუჭის წყლული მაქვსო და ოპერაციის შემდეგ უკეთესობაც იგრძნო. მალე ფეხზე წამოდგა და ოქტომბერში, გამოჯანსაღების ურყევი რწმენით სავსე, ცოტა მოსუქებული ქსენია ფეოდოროვნა შინ გამოიწერეს. აი, სწორედ მაშინ, ქსენია ფეოდოროვნა საავადმყოფოდან რომ გამოვიდა, დმიტრიევის ცოლმა ბინების ვაცელის საქმე წამოიწყო: გადაწყვიტა სასწრაფოდ შეერთებოდა დედაპოლს, რომელიც პროფესორის ქვჩაზე ოცნებრიან მშვენიერ ოთახში მარტო ცხოვრობდა.

დედასთან ერთად ცხოვრების სურვილი ადრე თვითონ დმიტრიევსაც გამოთქვამს და გაცვლაც ბევრჯერ უცდია, მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინათ. მაშინ ღენასა და ქსენია ფეოდოროვნას ურთიერთობა ჯერ კიდევ არ იყო გამოკვეთილი ნამდვილ, აშკარა მტრობად, როგორც ეს შემდეგ, ამ თოთხმეტი წლის მანძილზე მოხდა. ქმრის ამ სურვილს ერთთავად ღენას მტაცაც, შეუვალი უარი ელოებოდა. წლები გადიოდა და ვაცელის ამბავსაც იშვიათად ახსენებდნენ. იმასაც მხოლოდ უთანხმოების დროს. ბინების ვაცელის იღვრა გადაიტყა ოქაბურ უსამოყვნებათა მოსაგერიებელ, განუწყურელ იარაღად. უოველთვის, როცა დმიტრიევის ღენას გულისტენა სერდა, როცა ცოლს გულცივობასა და თავგერძობაში ადანაშაულებდა, ამას საყვედურობდა: „აი, სწორედ ამიტომ არ გინდა შენ დედაჩემთან ცხოვრება“. ხოლო როცა ღენას უნდებოდა ქმრის წაყვებისა და გაღიზიანების სურვილი, ისიც ასევე ჩაუნისყარტებდა: „დაიხ, სწორედ იმიტომ არ შემიძლია დედაშენთან ცხოვრება, რომ შენ ზედგამოტრიალი დედაშენი ხარ. დმეტომა დამიფაროს, არც არასოდეს ვიცხოვრებ, შენ ერთს რომ ვიძლებ, ისიც მეყოფა“.

ოღვისდაც ეს უველაფერი დმიტრიევს საოცრად ტანჯავდა, აწამებდა. დედის მიზეზით ღენასთან ბევრჯერ მოსვლია ჩხუბი. უეცრად გააცოფებდა ცოლის ნათქვამი გესლიანი სიტყვა-მარც ისეც ცოლის ხათრით დედასთან „ურთიერთობის გარკვევის“ უსიამო საქმეს იწყებდა. რასაც ჩვეულებრივ, ვაჟთან და რძალთან დედის რამდენიმე დღიანი დაუბრტება მოსდევდა. დმიტრიევი ჯიუტად ცვლიობდა რძალ-დედამთილის შერაცხვას, შესმატკბილებას. ერთად დამყავდა ავარაქზე. ერთხელ, ორთავეს რიგის სანაბროზე დასასვენებლად საგზურებზე უფილა

მეგრამ საშველი მიიღო არ ჩანდა. ამ ორ ქალს შორის იდგა რაღაც გამოიშველი, ორთავესათვის ვადუღობავი, დაუძლეველი ზღვარი. რატომ ხდებოდა ასე, დმიტრიევი ვერ მიმხედარყო, თუმცა ადრე ამ ამბავს მრავალჯერ ჩაუჭრებია. მაინც რატომ იყო, რომ ეს ორი, ყველასაგან პატივდებული, ინტელიგენტი ქალი — ქსენია ფეოდოროვნა ერთ დიდ აკადემიურ ბაბლიოთეკაში უფროს ბიბლიოთეკარად მუშაობდა, ლენა კი ინგლისური ენიდან ტექნიკურ ტექსტებს თარგმნიდა და, როგორც ამბობდნენ, ჩინებული მთარგმნელიც იყო. ის კი არა, თარგმნის დაზრგში რაღაც საგანგებო სახელმძღვანელოს შედგენაშიც კი მონაწილეობდა — ორი კარგი ქალი ასევე კარგი კაცის დმიტრიევისა და მისი ქალიშვილის ნატაშას მხურვალედ მოეცარდნენ, გულში მხოლოდ ერთმანეთის სიძულვილს ატარებდნენ, წელთა სვლამ კი ეს სიძულვილი თანდათან გაამყარა და გააძლიერა.

დმიტრიევი იტანებოდა, უკვრდა, თავს იმტრებდა, მაგრამ ბოლოს მიეჩნია. მიეჩნია იმიტომ, რომ დინახა — სხვის თაყვანს ასე იყო და სხვებზე ასევე მიეჩნეოდა. დამწვიდა იმ ურყევი ქვეშაირების შეგნებაში, რომ ამქვეყნად არაფერია უფრო გონიერული და დსაფასებელი, ვიდრე სიშვიდე. რომ სწორედ სიშვიედს სჭირდება გაფრთხილება. ამიტომ იყო, იმ გვიან ღამით, ნავახსმევს, როცა ნატაშას უკვე ეძინა და ლენამ უცერად მარტუშვიტებთან ბინის გაცვლაზე ჩამოაგდო სიტყვა, დმიტრიევი შეშინდა. ვინ არიან მარტუშვიტები? საიდან გამოჩნება? მალაია გრუზინკათაზე ორთახიანი ბინა აქვთო. დმიტრიევი მიხვდა ლენას ფარულსა და მარტივ ჩანაფიქრს. ამ მიხედვრამ შიშის ლახვარი ჩასცა, გაფთხორდა, თავი ჩაქინდრა, ლენას შეხედვა აღარ შეეძლო.

რაკილა დმიტრიევი დღედა, ისევე ლენამ განაგრძო: დედამწენის ოთახი უთუოდ მოეწონებოდა, პროფკავშირის ქუჩა მათთვის გეოგრაფიულად მოსახერხებელი ადგილია. მარტუშვიტების ცოლი, საღდაც კალენის სადარაფსოსთან მუშაობს, მაგრამ აი, ჩვენს ოთახს კი აღბაო, ფულის დამატება დასჭირდება. სხვაგვარად ვერ დაიინტერესებ. ისიც შეიძლება, რომ ჩვენი ქვერ უკეთეს ოთახზე გადავიცალოს, ესე იგი, მოხდეს სამშაგი გაცელა. არც ეს არის ძნელი საქმე. მხოლოდ ენერგიულად უნდა ვიმოქმედოთ. ყოველდღიურად რაღაც უნდა გავეთდეს. უკვლავფერს, რა თქმა უნდა, მაკლერის გამოჩნება ავობებდა. აი, ლესიას ჰყავს ერთი ნაწილი მკლერი, ძალიან სასიამოვნო ბერბაკი. თუმცა საყუთარ მისამართსა და ტელეფონს არაფერს აძლევს, როცა თვითონ მოუბრიანება მაშინ გამოჩნდება ხოლმე, მაგრამ ახლა საყავა მოვა, ლესიას ფული აქვს გასასტუმრებელი. ეს კანონია: იმათ ფული წინასწარ არ უნდა მისცე...

ქალი ლაპარაკობდა და თან ლოვინს შლიდა. დმიტრიევი ახლა თვითონ ცდილობდა ცოლის თვალბში ჩახებდა, მაგრამ ლენა ხან ზურგიით იდგა და ხან გვერდით. მერე, როცა შემოტრიალდა და ცოლის აბრკობდებოდა, დამამობით კითხვისაგან გუფეგფუარობებულ თვალბში ჩახებდა — ამკარა, მტკიცე გადაწყვეტილება ამოიკითხა. აღბათ, დიდი ხანია, ამ საუბრისთვის ემზადებდა. ვინ იცის, იქნებ, დედაჩემის ავადმყოფობის გაგების პირველი დღიდანვე. უთუოდ მაშინვე გაუჩნდა ეს აზრი. ჰოდა, ვიდრე ამ საშინელი ამბით დათრგუნვილი ვაი ექიმებთან დარბოდა, საავადმყოფოში დაწვევის საქმეს აგეარებდა, ჯანბრობდა და წვალობდა — ლენა სჭიდა და ზომავდა. ავი უსოვია კიდევ ვიღაც მარტუშვიტები.

უცნაური იყო, მაგრამ ახლა არც გელისტკიეილს გრძობდა და არცა ბრაზობდა. ისე, ცხოვრების დაუნდობლობაზე ფიქრში გაუეღვა მხოლოდ. ლენა უდანაშაულოა, იგი ამ ცხოვრების ნაწილი ვახლდათ, ამ დაუნდობლობის ნაწილი. თანაც, განა შეიძლება გაუჭვარდევ აღაზიანს ეთქვას, იმისათვის, რომ მუსიკალური სმენა არა აქვს? ლენა ყოველთვის გამოირჩეოდა ერთგვარი სულერი, — არა, სიურული არა, ეს მეტრამეტი იქნება — რაღაც სულერი სიბლავით, რომელიც განსაკუთრებულ მაშინ უმმაფრადებოდა, როცა მისი მეორე უძლიერესი თვისება — პირადი სურვილის გატანის უნარს ამოქმედებდა.

დმიტრიევი იმას ჩაუვიდა, რაც ახლოს იყო: რა საქირთა მაკლერი თუ მალაია გრუზინკათაზე ბინა უკვე იზოვა? მაკლერი მაშინ დასჭირდებათ, თუ მათი ოთახის გაცელა იქნა საქირთა და საერთოდაც მთელი ამ ამბის დაქმარება. ლენა ერთ გროშსაც არ გადაუბდის, ვიდრე ხელში ორდღის არ დაიქვრს. თანაც ძვირი არ დეჯდება, დაახლოებით ასია-ასორმოდღაითი მანეთი. სწორედ ასე იქნება ქმრის პირქმობა ქალმა თავისებურად აღსნა. რა სათუთი სულის პატრონია, როგორი ფსიქოლოგი.

— ჯობდა მოგეთმინა, ვიდრე თავად გეტყოდი, — უსაცვედერა ქმარმა. — თუ არ გეტყოდი, მაშასადამე, არც იყო საქირთა, განა ახლა ამზე უნდა ეფიქრობდეთ.

— მესმის, ვიტა, მამატი, — ძლიერდობით ამოთქვა ქალმა. — მაგრამ (ქმარმა იგრ-



ძნო, ლენას ლაპარაკი უჭირდა, თუმცა ისიც იცოდა, რომ სათქმელს მაინც ბოლომდე იტყობდა. ჯერ ერთი, შენ თეთონ რამდენჯერ დააპირე გაცელა, ხომ მართალია? ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ. მეორეც, ეს ჩვენ ყველას გეპირობება, პირველ რიგში, თეთონ დედამაყენს. მირტა, ჩემი ძვირფასო, მესმის შენი გულისტკივილი და როგორც არავის, ასე ვერხალვები, მაგრამ მაინც ვაძბობ: ბინის გაცელა საჭიროა დამიყვარე...

ქალი ქმარს მოეხვია და ხელები რკალად შემოაქლო. დამიტრეფმა იცოდა: ეს უცნაო აღურსი ყალბი არ იყო, მაგრამ რატომღაც ვაღიზიანდა და ლენა იღაცეით მოიცილა.

— ახლა არ უნდა წამოგეწყოს! — პირქმულად ვაიმეროა ქმარმა.

— პო, კარგი, მამატიე. მაგრამ მე ხომ ჩემთვის არა ვხრუნავ, ხომ მართალია...

— გაჩემდი! — ზემი ხმით შეუტია ქმარმა.

ლენა ტახტისკენ წავიდა და უსიტყვოდ განაგრძო ლოგინის ვაშლა. ზურის ქვეშ გასგებად, ტახტის თავთან მდგარი უფთიდან სქელი, კუბოკრული სუფთა ამოიღო, თუმცა ამავე სუფრას ზოგჯერ პირდაპირი დანიშნულებით, სსაადილო მაგიდაზე გადასაფარებლადაც ხმარობდა. სუფრას ზეწარი გადააფარა, ზეწარი აფრიალდა და არცაუ მთლად სწორად გადაეფარა. ლენა დაიხარა, ხელეში წინ, ტახტის შორეული კუთხისაკენ წასწია და ზურის შეყვითა კუთხეები გაასწორა. ამ მოძრაობაზე ქალი უეცრად წამოწითლდა და შეუცვლივ ჩამოეზნა. ქმარსაც ძალიან დიდად მოეჩვენა ქალის ჩამოწეული მუცელი (როცა ლოგინს ქმარი შლიდა, შეყვითლ კუთხეებს არ ასწორებდა). მერტ ქალმა უფთის მხარეს ორი ბალიში მიავლო. ნაყლაბად სუფთა პირიანი დამიტრეფის ბალიში გახლდათ. ბოლოს ორი ბამბის სახინე ამოიღო, ტახტზე დაოდა და აართოლუბული ხმით წარმოთქვა:

— გამოდის, რომ უტაქტობას მამბალეებ, მაგრამ მერწმუნე, ვიტია, მხოლოდ თქვენზე ზრუნვაა მათქმევინა... ნატამას მომავალმა...

— მაინც, როგორ შეგიძლია!

— რა?

— სურთოდ, როგორ შეგიძლია ახლა ამაზე ლაპარაკი? ენა როგორ ვიტრიალდებ? არა მათეებს. — დამიტრეფი გრძნობდა, ბრაზი რომ ერეოდა და თავს ვეღარ იკავებდა. — დმერთმანი, შენ რაღაც სულიერი ნაკლი გაქვს. მამატიე და ადამიანური არაფერი გყვია. აბა როგორ შეიძლება? ავად არის ჩემი დედა და აბა შენი, ხომ მართალია? პოდა, შენს ადვოდას...

— ცოტა ჩემად.

— შენს ადვოდას, მე პირველი არისოდეს არ...

— ჩემად! — ქალმა ზელი ჩაიქნია.

ორთვემ მიაციურადეს. არა, ირგვლივ კვლავ სიჩუმე სუფევდა. მათ ვოგონას, თეჭარს მიღმა კუთხეში ეძინა. იქვე ედგა საწერი მაგიდაც, სადაც საღამოობით გაცევითლებს ამხალდებდა. დამიტრეფმა ქალიშვილს წიგნების თართ გაუკეთა და მაგიდის ზემოთ დაუკიდა, იქვე ელექტრობაც გაუყვანა მაგიდის ლამპისათვის. — ერთი სიტყვით, თეჭარს იქით ნატამას თვისი პატარა ოთახი, ცალკე — „საკანი“ მოუწყო, ასე ეძახდნენ ოჯახში ამ კუთხეს. დამიტრეფსა და ლენას, ნაცნობთა შორის შურის საგად კცეულ, სამი წლის წინ შექმნილ ჩეხურ, ფართო ტახტზე ეძინათ. ფანჯარასთან მდგარ ამ ტახტს ნატამას „საკანისაგან“ ჩუქურთმებით დამშვენებული მუხის ბუფეტი ყოფდა. საოცრება იყო ლენას ბებებისაგან შემკვიდრებით მიღებული ეს ბუფეტი. დამიტრეფმა ბევრჯერ წამოაყენა მისი გაყიდვის წინადადება. კაცმარომ თქვას, არც ლენა იყო წინააღმდეგი, მაგრამ უარზე იღვა სიღვდრი, ვერა ლაზარევა, ფი იქვე ახლოს, ორი საბლის იქით ცხოვრობდა და „ნატამას წახმარებისა“ და „ლენისათვის მიწველების“ საბაბით თითქმის ყოველდღე მოდიოდა. თუმცა სინამდვილეში, სიღვდრის მისვლას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა — სხვის ცხოვრებაში უბოდიშოდ ჩარევა.

დამით, როცა ცოლ-ქმარი ამ ჩეხურ, არცთუ გამძლე ტახტზე წევბოდა (ტახტი მალე მორევა და ყოველ გადაბრუნებაზე კრიკინებდა), კარვა ხანს აუტრიალებდნენ „საკანიდან“ მოღწეულ ხმებს, ცდილობდნენ გამოეცნოთ, ეძინა თუ არა მათ ქალიშვილს. ზოგჯერ დამიტრეფი დამბალ ხმაზე დაუძახებდა კოდეც: — „ნატამა! ნატამა!“ — ლენა კი ფეხბაკრფით მოადგებოდა თეჭარის კრილს და იჭიდან ზეგრავდა. ექვსი წლის წინ ძიძა აიყვანეს. იმასაც იმავე ოთახში, გასაშლულ საწოლზე ეძინა ხოლმე. მუზობლად მცხოვრებმა ფანდევებმა ძიძას დერეფანში დაძინების ნება არ დართეს. დედაბერს უძილობა სჭირდა, თანაც რაღაც საოცრად მამვილი სმენა ჰქონდა. მთელი დამე ბუტბუტებდა, კრუსუნებდა, რაღაცეებს აუტრიალებდა: ხან თავი ფეხბერობდა, ხან ტარაყანა გაიბრუნდა, ხან სამზარეულოში ონკანი რჩებოდა დაუჭობავი. დედაბერი რომ წავიდა, დამიტრეფებს ლამის თავლობის თვე დაუდგათ.

— თერთმეტ საათამდე ისევ ფაზიას უჯდა, — წაუჩივრებულა ქმარს ლენამ. — ესააუთოდ დამხმარე უნდა აფუყვანოთ... ანტანინა ალექსეევნას ჰყავს კარგი რეპეტიტორი.

ის, ამხავე, რომ ლენამ საუბარი ნატაშას მეცადინეობის მოუფერებლობაზე გადაიტანა და ქმრის ყველა შეურაცხყოფა გადაუღალა, — ნამდვილად გასაკვირი იყო, სწორედ იმას მოწმობდა, რომ შერიგება და საქმის ბოლომდე მიყვანა სურდა, მაგრამ აი, ქმარს არ უნდოდა ვერ შერიგება. პირიქით, მისი გაღიზიანება იმან უფრო გააძლიერა, როცა უცერად ლენას უტაქტობის მოთავარი არსი შეიცნო: ლენამ ისე წამოიწყო, გეგონება, ყველაფერი უკვე დადგინებული იყო, თითქმის მისთვის, დმიტრიევისთვისაც აშკარა ყოფილიყოს, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია, ვითომ უსიტყვოდ უგებდნენ ერთმანეთს. ისეთნაირად იღამარაკა, თითქმის სრული უნიმედობა ყოფილიყოს. არა, ასეთი ლამაზაკი ვერ უნდა გაებედა!

არა, ამის ახსნა შეუძლებელი იყო. დმიტრიევი სკამიდან მოწყვეტილ წამოხტა, პიჯამოსა და პირსახოცს წაავლო ხელი და უსიტყვოდ გაეარდა ოთახიდან.

რამდენიმე წუთის შემდეგ ოთახში დაბრუნებულ დმიტრიევს საწოლი გამწვანებული დაეხვდა. ოთახში სუნამოს სურნელები იფრქვეოდა. ლენა ლილვებზეყვარულ ხალათში საბრკნის წინ იდგა და თმას იფარცნიდა. სახეზე გულგრილობა ეხატა, იქნებ კარგად შეინარბული წყევს. მაგრამ განაცო ოთახში დაფრქვეულმა სუნამოს სურნელებამ, რაც აშკარა მიპატივებას, შესაბამებლად გამოიწვევას ნიშნავდა. მერე ბალათის კალთები ერთი ხელით თითქმის ნიკამთან მიიტანა, მეორეით მუცელთან და საქმიანი, ჩქარო ნაბიჯით დერეფანში გავიდა. ქმარს ისე ჩაუარა, მისკენ არც მიუხედავს. დმიტრიევს ისევ ის ლექსი მოაგონდა, ამ ბოლო დღეებში ერთთავად ენაზე რომ ეყარა: «O, господи, как совершенны дела твои, думал бослыио!».

თვალები დახუჭა და ტახტის კედლები ჩაოჯდა. რამდენიმე წამი ისე იჯდა. დმიტრიევი იცოდა, რომ სულის სიდრმეში ლენა კმაყოფილებას გრძნობდა, ყველაზე ძნელი საქმე მოაგვარა. ყველაფერი თქვა. ახლა პრილობის მოშეშება იყო საუბრო, თუმცა პრილობისაც არა, უბრალო განაჯარის. ეს აუცილებლად უნდა გაეთებულიყო. ისევე როგორც ენაში აქეთებენ ნებს — დაიპირეთ ბაშა. ცოტა გეტკინებათ, საშავგროდ მერე იქნებით კარგად. მოთავარია, მერე იყოთ კარგად. მას ხომ არ უყვითია, არც ფეხები უბრაბუნებია, ისე, უბრალოდ, რამდენიმე ბრაზიანი სიტყვა წამოსიროლა, მერე საბაზანოში გავიდა, დაბანა, კბილები გამოიხეხა და ახლა დაიძინებს. დმიტრიევი კედლის მზარეს თავის ადგილას დაწვა და შმაღერისაკენ გადაბრუნდა.

ლენაც მალევე შემოვიდა. გაჩხუქდა კაბის საცეტი. ვერ ხალათის შრილი მოისმა, მერე ქაოქათა ღამის პერანგის შარიშური და სინათლე ჩაქრა. ლენა ედილობდა მარქვედ ემოძრავა და, რამდენადაც მოხერხდებოდა, მსუბუქი ყოფილიყო. მაგრამ ქალის სიძიმე ტახტი მიანიც აპერიდა. საწოდის ამ პრიალზე ლენამ ზემოობით წაიხივრებულა:

— ოი, ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა...

დმიტრიევი დღეშია, არც იხხეოდა. ცოტა ხნის შემდეგ ლენამ მზარზე ხელი დაადო. არა, ეს ალერსს არ გავდა, მხოლოდ მეგობრულა ქესტი იყო, ან იქნებ სულაც, თავისი დანაშაულის გულწრფელი მონანება, მისკენ გადმობრუნების თხოვნა. მაგრამ დმიტრიევი არც ახლა შერხეულა. უმაღლე დამინებას აბრუნდა. შურისძიების კმაყოფილებას სწორედ ეს უმოძრაობა, გამოუღამარაკებლობა, უმაღლე დაძინება ჰგვირდა. არა, არ ეცალა პატიების, ზურჩულით ამბის გამოკოებისა, გადმობრუნებისა და სულგრძელობის გამოჩენისათვის. ასეთი უგრძობობისათვის მას მხოლოდ დასვა შეედილა. ლენამ ქმარს ნელ-ნელა მზარზე ხელის მოსმა დაუწყო. სულ მთლად გაუღნა მოკრძალებული შეხებით თითქმის ქმარს იბრაბუნდა, პატივებას სთხოვდა, ბოდინს იხდიდა იმ გულცივობისათვის, რომლის გამართლებაც რააკვირებელია, შეიძლებოდა. უხმოხდა გონიერებასაკენ, როგორმე ძალა მოეკრება და ცოლი შეიწყალდებინა. მაგრამ დმიტრიევი არ თმობდა. ვერაც გაუნელებელი წყენა ხელს უშლიდა აქეთ გადმობრუნებულყო და მარქვენა ხელი ცოლისთვის მოეხვია. უკვე თელვამ მოკრძალებულს, თითქმის ბერანამი წასულს მათი ქველი, ხის სახლის პარბულის სულ ზევითა საფეხებზე თავისი დედა, ქსენია ფეოდოროენა მოელანდა. ქალი პირსახოკით ხელს იწმენდა და მშვიდად შეხუტრება თვალუბში. დიას, მას და არა ქვართმიან თავს, არა ხისხისა ცისფერ აბრშემის კაბას. მერე დედის ყრუ ხმაე მოესმა: „შვილო, კარგად მოიდიტრე?“ ყრუ იმიტომ, რომ იგი იმ შორეულყო, ყინულავით ცივი მათის დღიდან მოისმოდა, როცა ყველანი ძალიან ახალაზრბები იყენენ. წყლამ საბანაოდე წყალს მიამურა, დმიტრიევი ორფულიან ორბიბოთლას მალდა ექამებოდა, ტოლყო თავის „კანდერბით“ საღდად ღვეინოზე ვარბოდა, გზად ღობე მილუწა, გამოუძახებს შილიციას. ცოც, პაწაწინტელა ვერანდაზე კი, რომლის ფანერბის შუშებზე ფარხის შექი





ცილობდა, ლენა ტირობდა, ეხვეოდა, ეწერჩნებოდა, რომ არასოდეს არავის, მთელი სიცოცხლის მანძილზე... მეორე დღეს დედა პორტოქედს დააჯდა, საკუბზე თუნუქის პატარა ბილინი ჩამოჰკიდა და სადგურისაკენ გაეშურა რძისა და პურის მოსატანად. დედის უბედურება ის არის, რომ ყველაფერს მაშინვე ამბობს, რაც თავში აზრად მოეუვა. „შვილო, კარგად მოიფიტყე“ ან რა შეიძლება ყოფილიყო ამ უაზრო და უბადრეუ სიტყვებზე უფრო უძლური? დემიტრიევი კი არაფერზე არ ფიქრობდა. ახალგაზრდობაში ნაზი ფოთლები და მამობრივად, მუსუნახე ქარებიანი შაისი, თი რა იყო მამის და რით სუნთქავდნენ ისინი. დედა ინგლისურს სწავლობდა, მაგრამ ისე, თავისთვის, რომანების საკითხავად, დემიტრიევი კი ასპირანტურაში შესასულივლად ემზადებოდა. ერთად შეცადინებოდნენ ირინა ვევენიევისასთან და ერთადვე დაინახეს თავი, როცა ლენა გამოხდა. დედა ქოლგის წვერით ვერანდის შუშას მიაკრებდა ხოლმე, დაახლოებით საღამოს შვიდ საათზე: „აღეკი. ირინა ვევენიევი გელოდება“! მაშინ ფართო საბანქვეშ შეგულად დემიტრიევი და ლენა გაისუსებოდნენ, თავს მოიძინებდნენ. ერთობორჯერ ვაუბედავად კიდევ აკაუნდებოდა ფანჯარაზე ქოლგის წვერი. მერე კი ნაბიჯების ხმა და დედის ფეხსაცმელებით. გათვლილი გირჩების ხრამში ისმოდა — დედა უსიტყველ მიჯიროდა. დაკარგა ინგლისური ენის შესწავლის სურვილი, აღარც დემიტრიევი რომანები აინტერესებდა. ერთხელ ისიც კი გაიგონა, როგორ აყვარებდა ლენა მის ინგლისურ გამოქმნას. აი, სწორედ იქიდან, სოფლის იმ პატარა ვერანდიდან დაიწყო ყველაფერი ის, რის გამოსწორებაც ახლა აღარ ხერხდებოდა.

ლენას ხელი კვლავ დაყინებით ეფერებოდა. ამ თთხმეტ წელიწადში ეს ხელიც შეიცვალა. მერედა რა ნაზი, ფაფუკი ხელები ჰქონდა. ახლა კი მზარზე დაიდებულ ამ ხელს ვერაფერი სიმძიმედ შეიგრძნობდა. დემიტრიევი კი უსიტყველ გადატარებდა მარცხენა ხელს, მარჯვენა ხელი ლენას მოხვია, თავისკენ მოსწია, ძილბუტანში წასული თავს არწმუნებდა, რომ ამის უფლება ჰქონდა, რომ უკვე ეძინა, სიზმრებს ზედაედა. ყოველ შემთხვევაში, კრინტი არ დაეძრავს, თვალები დახუჭული ჰქონდა, ნამდვილად მძინარე კაცივით. დიახ, იმ წუთებში, როცა ლენას ძალიან უნდოდა ქმარს რამე ეთქვა, იგი კვლავ დუმდა. მხოლოდ შემდეგ, როცა ველის ძილით მართლა ღრმად დაიძინა, ღამის ორ საათზე რაღაც გაურკვეველი ბუტბუტი დაიწყო.



დემიტრიევის ავადობის ოცდაჩვიდმეტი წელი შეუსრულდა, მაგრამ ზოგჯერ მაინც ეხვეებოდა, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ წინ ჰქონდა.

ასეთი ოპტიმიზმი, ჩვეულებრივ დიდიხანით ეუფლებოდა ხოლმე, როცა სტალიად ახალი, მხნე განწყობით იღვივებდა — ბევრ რამეში ამინდიც უწყობდა ხელს — უმაღლეს სარკმელს გამოაღებდა და ვარჯიშს იწყებდა, ლენა და ნატაშა თხუთმეტი წუთით ადრე დგებოდნენ. ნატაშას სკოლაში წასაყვანად, ზოგჯერ სისხამ დილით ვერა ლაზარევიან გამოეცხადებოდათ ხოლმე. ჯერ ისეც ლოგინში შრომით თვალბედახუჭულ დემიტრიევის ესმოდა ქილების ფრატეონი, ხმამაღალი ჩურჩული, ტურჭლის ჩხაკენი, ნატაშას ბუზღუნა: „ისეც ფაფა გაუთქობიათ! ნუთუ ფანტაზიის ნატაშალიც არა გაქვთ?“

ლენაც ჩვეული მრისხანებით პასუხობდა: „მე შენ გირჩევებ ფანტაზიას! დაეკი როგორც წესი და რიგია! — იქით სიღვდრი ბუტბუტებდა: „სხვა ბავშვებს რომ ის ჰქონდეს, რაც შენა გაუქს...“ ეს კი ამჟამა ტუთილი იყო. სხვა ბავშვებს ესეც ჰქონდათ და გაცილებით მეტიც. მაგრამ ისეც დღეებში, როცა დემიტრიევი ამ ძნელსახსნელი ოპტიმიზმით განხვევებული იღვივებდა, არაფერი აღიზიანებდა. მესხეთ სართულიდან გაჰყურებდა შადრევნიან სკვერს, ქუჩას, ტროლეიბუსის გაჩერებასთან ნიშნობიკრულ ანძას, მის ირგვლივ შეჯგუფებულ ხალხს, ხოლო უფრო იქით კი პარკსა და პორიზონტზე გამწკრივებულ მრავალსართულიან სახლს და ზეცას. მუზობელი სახლის აივანზე, იქვე მოპირდაპირე მზარეს, დაახლოებით ოცი მეტრის დამორბებით, ახალგაზრდა, უღამაზო, სათვლიანი ქალი გამოდიოდა. ყოველთვის უღამაზოდ ქამარ-შემოყრელი, მოყვლე სამწიფა ხალათი ეცევა. მაშინვე ჩაუტყდებოდა და აივანზე ჩარბებულ უვავილებთან ქოთნებთან ფუსფუსს იწყებდა: ხელს ჰიდებდა, ასწორებდა, აკვირდებოდა, ზოგჯერ ფოთოლსა და ყლორტს მადლა სწევდა, სუნავდა. როგორც კი ჩაუტყდებოდა, ხალათი ეხსნებოდა და მსხვილ-მსხვილი მოლურჯო-თეთრი მუხლები მოუჩანდა. ქალს სახეც ასევე მოლურჯო-თეთრი ფერისა ჰქონდა. ფარდის იქით მდგარი დემიტრიევი წახრამ-წამობრისას ქალს ვულდავულ აკვირდებოდა. მაინც რატომ? ქალი ხომ სულაც არ მოსწონდა, მაგრამ ასეთი ფა-

რელი თვალთვალ, რატომღაც აღდრთოვანებას ჰგვიჩიდა. იმდღეცნებდა, რომ ჯერ კიდევ უველაფერი არ იყო დაჯარგული, ოცდამრეცხვამდე წელი — არც ორმოცდაათი წელი ვახლდათ და არც ორმოცდაათი წელი, ჯერ კიდევ შეეძლო რალაისი მიღწევა.

ნატასკა და ფანდევების ვალია სახლიდან ცხრის ნახევარზე გადოდნენ. დერეფანში ატეხილ ბრაგუნს და ალაქოას ლენას შეძახილებიც ერთვოდა: „ჩანათბი წაიღეთ? ქება სირბილით არ გადატრიათ! (Attention) ზაგუშებო, (Attention)“. კობეს არცყვედა კისრისტეხით მიწავალი ვოკონების ნახტომები. დმიტრიევი სააბაზანოში მჯერებოდა, კარსაც კეტავდა, მაგრამ მხოლოდ საში წუთი და ფიქრების ჭაჭეს კარზე მსუბუქი კაცნი აწვევტივნებდა: „ვიტორ გეოგრაფი, დღეს პარასკევია, სარტეხი მიქეს და ძალიან გთხოვთ, ჩქარა გამოდით!“ — ესმოდა მეზობელი ირაიდა ვასილიენას ხმა, რომელთანაც დმიტრიევის სიღვდრი უმძრანად იყო, ლენასაც ეერ ჰქონდა მთლად თბილი ურთიერთობა. მხოლოდ დმიტრიევი ცდილობდა თავი-ზიანობის შენარჩუნებას, უფროსიღვებოდა თავის ობიექტურობას და დამოუკიდებლობას. „ეთილი, გამოვიდითარ!“ — პასუხობდა და წვერს ხელდახეც იპარსავდა. ჩართვდა ვაზით საბოზბ ქებას და აქაღებულ ფუნქს ცხელ ნაყაღს უშვერდა. მერე ძველ ვაყუთებულ კიდურამოტეხილ პირსაბანთან ხელ-პირს სწრაფად იპანდა. პირსაბანი, რა ხანია, გამოსაცვლელო იყო, მაგრამ ფანდევებს ფეხებზე ვკიდათ ჩანაირ პირსაბანთან დაიბანდნენ, ირაიდა ვასილიენას ყო ფული ენანებოდა. მართლაც, სულ მალე, ჩემი სტუენით დმიტრიევი დევე ოთახში შედიოდა, თან ზელში გახეთვით ვეცირა, სააბაზანოდან გამოსულს დერეფნის ყუთიდან ამოღებდაც რომ მოესწრო. მაგიდაზე ჯერ კიდევ ეწყო ნატასკასა და ლენას საუბრის შემდეგ ჯარჩენილი კურტკელი. ახლა ეუვე ლენა ფაციფუცობდა, ჩქარობდა. ათი წუთის შემდეგ ისიც გადოდა. ასე რომ, დმიტრიევის დილის მომსახურება სიღვდრს ევალებოდა. კაცმა თქვას, დმიტრიევის მანქანდამანეც არ მოსწონდა ეს ამბავი, არც სიღვდრი ემსახურებოდა სიმქს დიდი მონდომებით — ეს გახლდათ დილაობით ვაღებული პატარა მხებერბლი, ერთი იმ შედგმწვეულ ღვაწლოვანი, რომლისგანაც შედგება ასეთი ქალების მთელი ცხოვრება. დიახ, ისეთი თავგანწირული მანდილოსნებისა, როგორიც ვერა ლაზარენა იყო.

დმიტრიევი ზოგჯერ იმასაც ზედებოდა, რომ ლენა განკებ ცდილობდა თავისი მოუკლულობის გამოჩენას, რომ სინამდვილეში თავისუფლად შეეძლო ქმრისათვის საუბრის მომზადება, მაგრამ ამ მისიას იგი შეგნებულად უთმობდა თავის დედას: რომ მერე რალაკით, სულ მცირედით მინეც ყუთილიყო სიღვდრისაგან დავალებული. ის კი არა, ყურში წაჭრტულემასაც კი ახერხებდა: „დედასათვის მადლობის თქმა არ დაგვიწყვეს!“ დმიტრიევი ეუბნებოდა ამ მადლობას, თუმცა, კარგად ხედებოდა, ოჯახის მართვის ყველა ამ ხრიკს. პოდა, საყუთარი გუნებ-განწყობის მიხედვით, ხან სულაც არაფრად ავლებდა, ხანაც თავისთვის ჩუმად დიზიანდებოდა. სიძის რუმ გალიზიანებას ვერა ლაზარენა ყოველთვის თავისებურად — ნატოვი გელლიანობით პასუხობდა: „რა საზაფად გამოვიდა ვიტორ გეოგრაფისა სააბაზანოდან? აი მესმის, მარჯვე კაცი!“ — ღმობით ამბობდა ქალი და დმიტრიევისათვის ეუთხის მოსასულთადალად მაგიდის მუშაშპას საშხარეულოს ნაშინი ტილოთი მწენდდა — არას ნიშნავს მეზობლის თხოვნა...“ „რა შეუშია აქ მეზობელი? ვიტა ყოველთვისაც სწრაფად იბანს“. — უმაღლე მოუკრიდა ხოლმე ლენა. „პოდა, მეც იმას გუებუნები, ყოჩილია, ყოჩილი-მეოქი, ნაღდი მვედრული სისწრაფე აქვს...“

ოქტომბრის დასაწყისის იმ ლავარდოვან დილით, მთელი ოთახი მოპირდაპირე სახლის მზით გაკაშვებულ თეთრი ტორზის ანარეკლი სინათლით იყო საეცე. დმიტრიევმა ზანტად გააბილა თვალი და მაშინვე, როგორღაც შეეცნობლად — სწორედ იმ მზისა და სინათლის წვალიობით — ერთგვარი სიხარული იგრძნო. მაგრამ წამიც და უველაფერი ვაახუნდა, სიღურჯე მიინარეა და ფანქარებს შემოდგომის უსაშველოდ ნათელი და ცივი დღე მოადგა. საუხუმდედ ატრ მას და არც ლენას ერთმანეთისათვის ერთი სიტყვაც არ უთქვამთ. შემდეგ კი, როცა დმიტრიევმა დედას დაურტავა და მისი მდგომარეობა ეიოხა (ქსენია ფელოლოვინა ახლა პავლინოვიში, თავის ქალიშვილთან, ლორასთან ცხოვრობდა), დმიტრიევი მოგუნებდა. დედა მხნედ გამოვლახარა, — წუხელის ისიღორ მარკოვიჩმა გამოიარა. კარგად ხარო მიობრა, წნეცაც ნორმალური ვაქვსო. თან მირჩია, პირველი თოელის მოსელისთანაც, სადმე მოსკოვის მახლობლად, სანატორიუმში დაისვენო. მერე თავის მხრივ დედამ აქეთ დააყარა კითხვები: როგორ არის ნატასკა საქმეები, როგორა აქვს თვალები, ფიზიკამა საშინაო თუ გამოაშქორა, თუ ქანს ვახებთ სტაფილოს, თვალბისათვის ამ ყველაზე სასარგებლო საყვეებს, რა ისმის მისი შივილენების თაობაზე და ბერეიც სჭვა. დმიტრიევმა მაშინვე შეება იგრძნო, თითქოს თავის ტუიელზემაც გადაიარაო. უუბბ ისიც კი იფიქრა, იქნებ, უველაფერი მართლა კეთილად დამ-



თავრდეს. შეცდომებიც ხომ ხდება, მერცა რაგორი წარმოუდგენელი შეცდომები და აი, დედასთან ტელეფონით სატბრით მოგვინებებელი, ამ ნამცეცა სიხარულითა და წუთიერი იმედით სახვე შევიდა ოთახში — ნატაშა უკვე გაქცეულიყო, ლენას ჭერ მხოლოდ შავი პერანგი და ქვედა ბოლო ცეცა და რაღაცას საჩქაროდ ყრავდა. ცოლის შიშველ მხრებს რომ წაუტარა, წელს ქვეშით ხელი წაუტყავინა და აღურსიანად ჰკითხა:

— პა, რაგორ ხარ?

ლენა საკმაოდ ცოვად გამოეპასუხა, ძალიან ცუდ გუნებაზე ვარო.

ასეთი ცივი პასუხით განაწყენებულმა დმიტრიევმა, მაშინვე ჰკითხა:

— მაინც რატომ, რა მოგივიდა?

— მიზეზი, ვფიქრობ, საკმარისზე მეტია. დედა გახდა ავად.

— დედაშენი?

— როგორ გვინდა, მარტო დედაშენს შეუძლია ავად გახდეს?

— პო, მაგრამ, რა მოუვიდა ვერა ლაზარენას?

— რაღაც უცნაურად სტკივა თავი. მეორე დღეა წევს, წუხელის აღარ გითხარი, ამ დღით აღრე დაერეცა...

ლენამ ყრვა დამოთავრა, კოფთა გადაიკცა და სარკესთან მივიდა, საყურთარ თავს რაგორღაც ჭეშმალღურად უჩუბრდა. კოფთა შოკლესახელოიანი იყო და არ უხდებოდა — ლენას მსბიელი მღლეები ჰჭონდა, ზაფხულის ნამზეური გადასვლოდა და თეთრად მოუჩანდა წერტილად დახორკლილი კანი. ლენამ მხოლოდ ჭრჭელსახელოიანი უნდა ატაროს, მაგრამ ამის თქმანადი წინდაუხედაობა იქნებოდა. ხელავ, რა თავდაკერილია — ერთი სიტყვითაც აღარ ასენა გუშინდელი წინდაუდებამ: იქნებ, შერტევა კიდევ, თუშეა არა, აქ უფრო ამბიკია იყო. მას ხომ დანამაღლად უტაქტობა და უგულვობა წაუყენეს, სწორედ ამ თვისებათა უქონლობა, სტუბისა რომ განსაკუთრებით აღიზიანებს. ლენამ გადააყლაბა ეს უსამართლოდ ნათქვამი საუვედღერი, ის კი არა, პატივბაც ითხოვა, თითქოს თავიე დაიმტერა. მაგრამ ამის შემდეგ აღარ დასძრავს კრინტს, სულ ცუდი თუითონ რატომ უნდა გამოჩნდეს? არა, ამიერიდან თქვენ მკოზავთ და მე აღარ ვიპასუხებთ. თანაც ახლა ამისათვის არც სცალია. დედა ჰყავს ავად (დმიტრიევი მზად იყო სანაძლოდ ასი მანეთი ჩამოსვლიყო, რომ მის სადღერს უბრალე შავიეო აწუხებდა და მეტო ახაფერი). თი, ღმერთო, მაინც რაგორ მიეჩვია ამ წიენის ბრმად ამოკითხვას! დმიტრიევმა ვეღარ მოასწრო თუითყაყოფილებით დატკობა, რომ ლენამ უცერად გააოცა... ჭალმა სრულად მშვიდი, ზვეულუბრივი ხმით უთხრა:

— ვიტყა, გენაცვალე, ძალიან ვთხოვ, დღესვე მოელაპარაე ქსენია ფეოდოროვნას. ისე, უბრალოდ, გააფრთხილე. მარტუშეიჩიები მისი ოთახის სანახავად მოვლენ და გასაღებს წამოღება იქნება საჭირო.

— მაინც როდის ამირებენ მოსვლას? — ცოტაოდენი დღმილის შემდეგ იკითხა დმიტრიევმა.

— ზეალ, ზეგ, ზესტად არ ვიცი, დავგერიეკავენ. თუ დღეს პავლინოეში წახელ, არ დავაევიწყდეს, ქსენია ფეოდოროვნას გასაღები გამოთარევი. აბა წაყევი. პო, მართლა, თუ შეიძლება კედირი მსეცარში შედევი. პტრი ტომსიკაში ზაავდე, თორემ ყოველთვის მავიდაზე ტოვებ და ხმებე.

დამშეიღობების წინმად ჭალმა ხელი დაუქნია და დერეფანში გავიდა. გაჯახუნდა შვიისასეული კარი. ავუდგედლა ლიფტი. დმიტრიევს უნდოდა რაღაც ეთქვა, ცნობიერბაში მუნდღოანი, რაღაც მღლეევიე აზრიც დაებოდა, მაგრამ მთლიანად გერ გამოიკვეთა. დმიტრიევმა ლენასაენ ორი ბიქი ვადაღვა, მაგრამ იქვე, დერეფანშივე შეჩერდა და ისევ ოთახში დაბრუნდა.

განთიადის ლეკერდოვნებისაგან ნასახიც აღარ დარჩა. როცა დმიტრიევი ტროლეიბუსის გაჩერბასთან მივიდა, ცრიდა კიდევ და სამინლად ციოდა. ეს ბოლო დღეები სულ წეიშდა, რა თქმა უნდა. ისიდორ მარკოვიჩი სწორად მსგელობს — ძველი ექიმი, გამოცდილი კაცო, კონსულტაციებზე სხვა ქალაქებშიაც კი იწვევენ — პო, დედაშენი ქალქს უნდა ვავარიოთ. მაგრამ ამისთანა ამინდში, აბა სად წაიყვან. რაკი ექიმი მოსკოვის მახლობლად სანატორიუმში გაყვანას გვიჩრებს, გამოდის რომ, მოახლოებულ სამიშროგებს არ ზედაეს. ამ დღით უკვე მეორედ გაუვლდა დმიტრიევს ვაუბედაემა აზრში, იქნებ ვადაერჩეთ, იქნებ ყველაფერი აეთილად დამოთავრდესო. გაცელის საქმეს მოავგარებენ, კარგ იზოლირებულ ბინაში ვადაღვენ, იცხოვერებენ ერთად. თან, რაც სწრაფად ვაცვლიან, მით უკეთესი. ასრულდება დედაშენის ძველი ოცნება. გუნება-განწყობაც გამოუკეთდება, სწორედ ამას ჰქვია ფსიქოთერა-

პია, სულის მკერნალობა! არა, ღუნა ზოგჯერ ჭეშმარიტად ბრძენია, რაღაც შინაგანი ქალური ალღოთი უნათღებდა გონება. აი, აქ შეიძლება სიცოცხლის გადამჩენი ერთადერთი და გენიალური საშუალების გამოყენება. დიახ, როცა ქირურგები ტელურნი არიან, საქმეში სხვა წალები ერევა... ეს კი სწორედ ის არის, რის მიღწევაც არც ერთ პროფესორს არ შეუძლია, არც ერთს, არც ერთს, არც ერთს!

მეინტლავ წყიშაში ტროლეიბუსის გაჩერებასთან მდგარ დმიტრიევს მხოლოდ ეს ფიქრები ეტრიალებდა, ამხვევ ფიქრობდა მერტე, როცა ვაგონის სიღრმეში სველ ლამაძებს, დანოტრეველ სუენოს პალტოებსა თუ მუხლებთან მოტყავნენ პორტფელებს გვერდს უვლიდა და რას ეთავადახით მიიწევდა წინ. ამასვე ფიქრობდა ტროლეიბუსიდან გადმოსვლიც, თასი ღვებით ატალახებულ მერტოს სლიპინა საფეხურებზე რომ ჩაბროდა, თუ სამშვიდრიანის შერინებულ დასახურდავებულად პატარა რიგში იდგა. ან თუნდაც შემდეგ, როცა კვლავ დაბლა ეშვებოდა, ავტომატის ტრილში შერინაინს ავდებდა, და ჩქარა ნაბიჯით პერონზე გადიოდა, რათა მეოთხე ვაგონში ჩამქარაიყო, რომელიც სწორედ იმ თაღის წინ ჩერდებოდა, გასასვლელის კიბესთან რომ გაიფანდა. ამ ფიქრებს ეტრიალებდა მაშინაც, როცა ხალხის ჟვროს გრძელ გვირაბში თავისთავად გაჰყავდა, სადაც ერთთავად დახუთული პაერის და ნედლი ალბანატრის სუნე იდგა. ეს ფიქრი უღრღნიდა გონებას ესკალატორის საფეხურზე მდგარსაც და მერტოს ვაგონში შუოფსაც, როცა ათვალთვრებდა მგზავრებს, შლაბებს, პორტფელებს, ვახეთებს, პაკებს, მოღვენილ სახეებს, საყიდლებსისათვის ცენტრისაკენ მიმავალ მუხლებზე ჩანთებდაღვებულ დედაბარებს — ყოველ მათგანს შეიძლება ჰქონოდა ბინის გაცვლის ვარიანტი. დმიტრიევი მზად იყო მოული ვაგონის გასაგონად დაეყვირა: „ვის უნდა ოცმეტრიანი კარგი ოთახი?..“

ცხრას ავლდა ოხუთმეტი წუთი, როცა დმიტრიევი მიწისქვეშეთიდან მოედანზე ამოვიდა მერტე შესახვევი გადაჭრა, საღარბაზოსთან მდგარ ავტომანქანებს შემოუარა და შენობაში შევიდა. კარზე შეშის ქვეშ მოქცეული შავი აბრა იყო მიკრული.



დღეს უნდა გადაწყვეტილიყო ტრემენის ოლქში, კერძოდ გოლიშმანოვოში მისი მივლინებით გამგზავრების საკითხი. მივლინება ჯერ კიდევ იელისში დაამტკიცეს და წასვლაც მხოლოდ დმიტრიევს ევალებოდა. ტრემზობები გახლდათ მისი მოღვაწეობის სფერო. დიახ, დმიტრიევი, ეს ერთი კაცი იყო ამ საქმის პასუხისმგებელი და თუ სნიტკინს არ ჩავთვლით, ყველაზე უკეთესი გაართმევდა თავს. ამ ერთი კვირის უკან დმიტრიევა სნიტკინს საუბარში ჩამოუვლო, მაგრამ პაშა სნიტკინმა, ამ ფრიად გეშაკმა და მოხერხებულმა კაცმა წასვლანე თავიანთი უარით უთხრა. მანაც ოჯახური მდგომარეობა მოიმიზეზა. ალბათ ტყუილია, მაგრამ მას ჰქონდა ამ არჩევანის უფლება. ამა ვის ვხალისებდა, ასეთ უამინდობასა და სიცივეში ციპიბირს გამგზავრება? სნიტკინს უარი ეუხერხულა და გულშემატკიერის ხმით ჰეთობა: „შენ ხომ მითხარი დედაქმეში უკეთ არისო?“

დმიტრიევს ახსნა-განმარტება აღარ დაუწყია, მხოლოდ ბელიდა ჩაიქნია: — „აბა სად არის უკეთ...“ მერტედა როგორ ურარდლებს ირენდა სწორედ ეს პაშა, ყოველივის კითხულობდა ქენინა ფლოროვინის განმარტობის ამბავს, აძლევდა გვიმების ტელეფონებს, ერთი სიტყვით, დიდ გულისხმიერებას ამტკიცებდა. დმიტრიევი რატომღაც დარწმუნებული იყო, წასვლას დამთანხმდებო. თუმცა რატომ? რისი გულისთვის წავიდიოდა? ახლა ამჯერა ვახდა, რომ ასეთი დაბეჯითებული რწმენა სისულელე იყო. ვანა თვალთმაქცობენ, როცა თანაგრძნობის გიცხადებენ და გულში ჩამწვდომად, სათუთად გვეითებებიან: „შინ როგორა ხართ?“ — მაგრამ ამ თანაგრძნობასა და გულისხმიერებას თაყისი ზომა აქვს, ისე როგორც ფეხსაცმელსა და შლაპას. მეტისმეტად ვერ ვაწეულავ. პაშა სნიტკინს ქალიშვილი მუსიკალურ სკოლაში გადამყავდა. ამ სადაედიარაბო საქმეს მხოლოდ სნიტკინი თუ გაართმევდა თავს — ვერც დედა და ვერც ბებია ამ საქმეს ვერაფერს მოუხერხებდნენ, პოდა, ახლა, ოქტომბერში მივლინებით რომ საღმე წასულიყო, ქალიშვილის მუსიკალურ სკოლაში მოხვედრის საქმე ნაღდად ჩაუფლავდებოდა, თადად გოგონასაც გულს ატყენდა და სნიტკინების მთელ ოჯახსაც მორალურად დასცივდა. მაგრამ, ღმერთო ზემო, ვანა შეიძლება აღამიანის სიცივლისა და მუსიკალურ სკოლაში ბავშვის მოწყობის ერთმანეთთან შედარება? დიახ, დიახ, შეიძლება. ეს შლაპები დაახლოებით



ერთი ზომისაა—როცა კედება შენთვის უცხო აღამიანი, ხოლო შენსიკადერ სეოლაში აბარებს შენი დევილი, შენი საკუთარი ქალიშვილი.

დმიტრიველი დირექტორთან თერმეტრის ნახევარზე შევიდა. დირექტორმა თავი გვერდზე გადახარა, მოკიდებული გაკვირებით მიანერდა და ჰკითხა:

— მაინც რა უნდა ექნათ?

— არ შემიძლია! — ნაწვერ-ნაწვერ წარმოთქვა დმიტრივემა.

დირექტორი დემა, თორსა და მსხვილ თითებს დაწვესა და ნაკაზე ისემადა, გვერდებზე ამოწმებს, კარგად თუ გაევიარის. მზერაზე დაეტერა ფიქრებში რომ ჩაიძირა. უკმაყოფილოდ, რაღაცას ღმამად ჩაუფიქრდა, ის კი არა, შეუცნობლად თითქოს წარდიდნა კედელზე.

— ჰ—ო... მაინც რა ექნათ, დირექტორ გეორგიევი? ა? თუნდაც ერთი ათი დღით რომ წახვიდეთ?

— არ შემიძლია! — ნაწვერ-ნაწვერ წარმოთქვა დმიტრივემა.

მისვლა, რომ კლდესავით შეეძლო დგომა, რომ ადგილიდან ვერ დასქარდნენ, ოღონდ ლაპარაკში არ უნდა შეხყოლოდა, განმარტება არ დაეწყო. დირექტორი კარგა ხანს უქირბოდა და მერე ტიფისოვით დასახებდა. ამ ახალგაზრდა კაცს ინსტიტუტი ერთი წლის დამთავრებული ჰქონდა და, დმიტრივეის აზრით, გვარიანი რეგენი იყო.

სულ ცოტა ხნის წინ დმიტრივეი მის გაგზავნაზე უსათოდ უარს განაცხადებდა, მაგრამ ახლა იგარბო, რომ ამას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, ვითომ რა უქირს ტიფისოვი რომ გაგზავნონ?

— კეთილი, — წარმოთქვა დმიტრივემა, — ერთ-ორ დღეს მიეწადები, ყველაფერს ავუბნის, ნიჭიერი ბიჭია, საქმეს თავს გაართმევს.

მერე პირველ საბუთებზე თავის ოთახში დაბრუნებულმა მთელი სათ-ნახევარი თავაწეულად იმუშავა: გოლიშმანოვისათვის საბუთებს ამზადებდა. მართალია, თვითონ დაწმინდებულ იყო, რომ ძალით ვერ გაგზავნიდნენ, მაგრამ ამ მოუგვარებელ მივლინებაზე ფიქრი მაინც ტანჯავდა. ფელა სხვა საწუხართან ერთად, ეს ამბავიც უსიამოდ აწვა ველზე. პოდა, ახლა როცა ეს ტიპითი მოესხნა, ერთგვარი შეება იგრძნო, იმედინად გაიფიქრა, იქნებ დღევანდელი დღე იღბლიანი გამოდგესო. ისე, როგორც ბუდიო დამაგრული ფელა სხვა აღამიანი, დმიტრივეიც კრულმორწმუნე გახდა, რომ ზოგი დღე როგორღაც იღბლიანად აეწყობოდა, ერთი გამარჯვება მეორეს მოიყვალებდა. ასეთ დღეს ბევრი საქმის მოღვეა იყო საჭირო, მაგრამ არსებობდნენ თარსი, უღბლო დღეებიც, რაც უნდა გეცადა, მაინც ვერაფერს გახდებოდი. დღევანდელ დღეს რაღაც კარგი პირი უნდა იქნებოდა. ახლა ფელის სესხება იყო საჭირო. ღორამ სთხოვა თუნდაც ორმოცდაათი მანეთი მაინც ჩამომიტანეო. მარტო ისიღობი მარკოვის ამ ერთ თვეში, ოთხჯერ თხუთმეტი, ანუ სამოცი მანეთი მიართვეს. პოდა, ახასიანდი? მაინც რა საზღვრობაა ფელის სესხება, მაგრამ რაკი ეღბლიანი დღეა, სწორედ დღეს უნდა ისესხოს.

დმიტრივეი ფიქრმა წაიღო, აღარ იცოდა ვის სცემოდა, ფელს ვის დასესხებოდა. გაახსენდა, სულ ახლახან თანამშრომლები რომ წუწუნებდნენ, ზაფხულში გამოგვხბოკა, უკმაყოფილოდ დარჩითო. საშუა პრეტენიე კოპერაციულ ბინას იწვევდა და თავით ფეხებამდე ვალებში იღრჩობოდა. ჰყვოდა კედელ ერთ აბრეხელი, პრეტენიესთან თამაშისა თუ თევზაობის პარტნიორი, პოლკოვნიკი ვასილ გერასიმოვიჩი. ამ კაცს არა ერთხელ ვაგზარბოვს მისთვის ზურღ, მაგრამ ახლა ოჯახური ტრაგედია ჰქონდა — ცოლი მიატოვა და ფელის გამართმევა უტარბულად ჩათვალა. ნკა-ში (ნახევრად ცოლიანების კლუბი) შექმნილ მეგობრებს, დმიტრივეი მხოლოდ უგუნებობის ეამს მიაღვეებოდა ხოლმე, როცა ღენასთან ნახებუბარი იყო. კლუბებზე მეორე ქონების პარტონი ხალხი გახლდათ, მთელი ავლა-დიდება ზოგს მანქანაში მიოქცია, ზოგს მორტორიან ნავში, ზოგს ტურიტულ კარავში ან სულაც სტალენიკოვზე შემობვევით ნავზე ფრანგულ კონიკასა თუ „თუთი ცხენი“ წოდებულ ვისკოში, რომლის ბოლღებაც, ყოველი შემთხვევისათვის, წიგნებს კარადში ჰქონდათ შენახული. იმათ ოცდახუთი ან დიდი-დიდი ორმოცი მანეთის სესხება შეეძლოთ. დმიტრივეს კი სულ ცოტა, ასობოცდაათი მანეთი მაინც უნდა გაეჩინა. იყო, რა თქმა უნდა, კედელ ერთი შესაძლებლობა, წამების უკიდურესი მიყნა: ფელის სიღვრისათვის გამორთმევა, მაგრამ ეს სულ მალად დაეცემს ნიშნავდა. დმიტრივეს შეეძლო საკუთარი თავისთვის ძალა დაეტანებინა, ტანჯვისათვის გაეწირა, მაგრამ ღენა განიღვდიდა ასეთ ამბებს განსაკუთრებით მტკიუნეულად. ის ზომ თავის დედას უკეთესად იცნობდა. უცერად დმიტრივეს ისეე წუხანდელი გაახსენდა, გაახსენდა და მთელი სიმწეავით წარმოუდგა — მაინც როგორ უთხარას დედას ბინების გაცემა წამოვიწყეთო. დედამ მშენებარად



იციან. რა პირობა იყო ლენა აქამდე, როგორ აღსნას ასეთი მოგონებება, ერთად ცხოვრების სურვილის გაჩენა. რა თქვას, რატომ?

დმიტრიევს ცივმა ოფლმა დაასხა, როცა ეს ყველაფერი უცერად წარმოივლინა. წამოდგა, დერეფანში გავიდა, სადაც ტელეფონი იდგა და ლენას სამსახურში დაურეკა, საერთოდ, ლენას ტელეფონთან მოყვანა არც თუ ადვილი საქმე იყო, მაგრამ ამერად გაუმართლდა (იღბლიანი დღე!). ლენა კანცლარიიში ყოფილიყო და თვითონ აიღო უცრმილი. დმიტრიევმა ერთი გრძელი, საკმაოდ ახუნელი წინადადებათი ამცრო თავისი დაეკვება.

— გამოდის, რომ არ გინდა უთხრა? — ჰკითხა ლენამ ცოტათუნი დემილის შემდეგ.

— არ ვიცი როგორ მოეხერხებო. არ შემძლია, შთაგონების ძალა არ შემწევს, გესმის?

ლენა კვლავ დღმდა. მაგრამ არა, ხუთი წუთის შემდეგ დამირეკეო, უთხრა ქმარს და სხვა ტელეფონის ნომერი მისცა, იქიდან უფრო თავისუფლად დაგვდაპარაკებო. დმიტრიევმაც დაურეკა. ლენა ახლა უკვე ნერვიულად და ხმაშლილად ლაპარაკობდა:

— მიიღი ასე უთხარი: ვითომ სწორედ შენ გინდა გაეცლა, მაგრამ მე ვარ წინააღმდეგი და რომ შენ, მაინც შენი გაიტანე. ერთი სიტყვით, ჩემი სურვილის წინააღმდეგ, გესმის? ასე უფრო ბუნებრივი იქნება და დედაშენიც აღარ დაეპყდება. ყველაფერი მე დამაბრალე, მაგრამ არ გადაამაზო, ისე, გადაკრულად ჩამინისკარტე... — სრულიად მოულოდნელად ლენა შეცვლილი. ლაქტეა ხშით აღაპარაკდა:

— უკაცრავად, მე ახლაც, მხოლოდ ერთი წუთით და წავალ!

— ესე იგი, ყველაფერი გასაგებია? აბა, ნახვამდის. ჰო, მართლა ვიტია, ვიტია! მიიღი ე-თი იმ კაცს ჰკითხე, თქვენ სამსახურში ვილაყამ ბინა რომ გაეცალა, გესმის? ნახვამდის! ყველაფერი, რაც ლენამ თქვა, რასაკვირველია, სწორი იყო და ხეირიანადაც მოიჭრებო, მაგრამ დმიტრიევს ვწლი სამინდად მოეწურა. ოთახში მაშინვე შეხტრუნება ვერ შეძლო და უკაცრავად შემზანაღში ბოლოს ცემას მოჰყვა.

სადილობამდე არაეისთან მისულა და არც არაფერი გამოუეთხიხეს, მხოლოდ ნასადილევს ავიდა მესამე საათულზე ეკონომისტებთან. როგორც კი კარი შეაღო, ტანიამ მოჰკრა თვალი და მაშინვე გარეთ გამოიგება. შემინებული ქალი ხმაოოღებლივ მიაშტრდა დმიტრიევს.

— არა, ცუდი არაფერია, ის კი არა, მგონი, ცოტა უკეთაე არას, — უთხრა დმიტრიევმა და ქალს სახეში შეხედა. — ტანია, ჩემო კარგო, თუ იცი, თქვენთან ეინემე გაეცლა? აი, ბინა თუ გაეცალა?

— არ ვიცი. ჰო, მგონი ვერებოფმა გაეცალა. რა იყო?

— რჩევა მინდა ვკითხო, სასწრაფოდ ბინების გაეცლას ვაპირებო, გესმის?

— თქვენ?

— ჰო, ჩვენ.

— თქვენ აპირებო... — ტანიას სახეზე აღშურია წაეიდა, — ქსენია ფეოდოროვნასთან შეერთება?

— დიხ, დიხ! ამას ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა იქვს. დაწერილებით ვერ მოვიყვებო, გრძელი ამბავია, მაგრამ ამეამად მეტად აუცილებელი.

თაქაქინდრული ტანია დღმდა. პირისახეზე ჩამოშლილ თმაში უხეად ერია ჭლარა. ეს ოცდაათოხმეტი წლის, ვერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ქალი, ამ ბოლო წელს საოცრად მოტულა. იქნებ, ავადაც იყო. საოცრად გახდა, ყალი წაწყვეტაზე ჰქონდა, ფერმკრთალი ჭორჭლიანი სახე ათელებადლა ქველდა — ერთთავად შიშინაღდგარ, კეთილად მოყაიფე თვალეზად. ეს შერაე ხომ დმიტრიევმა გაუჩინა, მის ვაშო ჩაუდგა. ტანია მისთვის აღბათ საუფეთესო ცოლი იქნებოდა. ეს ამბავი სამი წლის წინ დაიწყო, მხოლოდ ერთ ზაფხულს გაგრძელდა და თავისთავად დასრულდა, როცა ლენა და ნატაშა ოდესიდან დაბრუნდნენ. არა, არ დასრულეზულა — ნელ-ნელა წყდებოდა თვეზად, ნახევარ წელიწადეზად, როგორც სუსტი ძაფე. დმიტრიევმა იცოდა, გონიერულად რომ განეყაე, ტანია მისთვის გაეცლებით უკეთესი ცოლი იქნებოდა. მაგრამ გონიერლობა, გონიერლობაა. ტანიას ჰყავდა შეილი ალიკი და ფრიად უცნაური ვაჟარის პატრონი ქმარი — ტოეტი. ტოეტისათვის დმიტრიევს თვალეც არასოდეს მოუკარავს... იცოდა, რომ ქმარს ტანია ძალიან უყვარდა, ყველაფერს პატიებდა. მაგრამ იმ სამი წლის წინანდელი ზაფხულის შემდეგ ქალს ქმართან ცხოვრება აღარ შეეძლო და ერთმანეთს დაშორდნენ. დმიტრიევი ძალიან წუხდა საქმის ასე ცუდად შეტრიალუბას. კაცო გაუბედურდა, საბუშოო მიატოვა და ბოლოს მოსკოვიდანაც წაეიდა. არც ტანიას დაურია უკეთესი დღე. ისიც გაუბედურდა, მაგრამ რაიმეს შეცვლა დმიტრიევს ნამევილად არ შეეძლო. ტანიასაც უნდოდა აქედან

წასვლა, ყოველდღე მინი დაინახებდა დამიტრიევს, მაგრამ არც ეს წასვლა აღმოჩნდა ადვილი. ვადიოდა დრო, თანდათან ყველაფერს შეეგუა, დამიტრიევთან მშვიდი შეხვედრების უნარიც გამოიშუშებოდა და მერე ისე ესაუბრებოდა, როგორც ძველსა და კარგ მეგობარს.

დამიტრიევი უცერად მიხედა, რა ფერებზეც აღუძრა ქალს: გამოდის, რომ ყველაფერი გათავდა.

— მაშ, აბა რა ექნა? — წარმოთქვა დამიტრიევმა, — გესმის, ეს რაღაც შანსია, რაღაც იმედი. დედაჩემი ხომ სულ მუდამ ჩემთან ცხოვრებაზე ოცნებობდა.

— აბა რას ლაპარაკობ? არა მგონი, ამაზე ეოცნება.

— მე ხომ ვიცი.

— თი, ვიტია... ჰო კარგი, მაშინ მიდი ელაპარაკე იმ ჩვენს ძველებს. ახლაც გამოიხს- მობ. მხოლოდ იყოფე, საოცრად ყებდი და ცრემლებიცა ვინმეა. — ქალი უცერად შემიტ- რივად და ჰკითხა, — ფული ხომ არ გპირდება?

— ფული? არა.

— ვიტია, გამომართე, ნუ მერიდები. მე ვიცი, რას ნიშნავს ავადმყოფობა. ზაფხულის პალტოსათვის ორასი მანეთი მაქვს გადაღებული, მაგრამ როგორც ხედავ, ზაფხული გაიქცა და ვერაფერიც ვერ ვიყიდე. ასე რომ, გაზაფხულამდე სრულიად მშვიდად შემიძლია მოცეც.

— არა, ფული არა მპირდები, მაქვს, — დამიტრიევი შეიბუშნა. ესლა მკლავს: ფული ტა- ნისს დაეცესხო!

მერე უცერად ჩაიყინა — მართლაც რა უცნაური დღეა! ყველაფერი ერთი-მეორის მიყა- ლებით...

— სამუშაოს შემდეგ ჩემთან წაივადე და მოგცემ, კარგი? ცოტაოდენი დემილის შემდეგ დამიტრიევი გამოტყდა:

— ეტყუო, ფული არა მაქვს, მაგრამ შენ არ მინდა გამოგართვა.

— სულელი! — ტანიამ ლოყაზე ხელი წაჰკრა. დამიტრიევი მიხედა, როგორ გაუხარდა ქალს. ხელიც კი მოჰკიდა, როცა იმ ოთახისაკენ წაივინდა, სადაც ძველები იყნა.

— ლეონიდ გრაგორუევი! შეიძლება ერთი წუთით აქეთ გამოზრქანდეთ? — კარიდანვე შესძახა ტანიამ.

ძველები მთლად მელტოი, ჩიხა ტანის თავზიანი მოხუცი იყო. გამოაჩინა თავისი თეთ- რი, ჩაქოქიყიებული კბილები და ზალისიანად ალაპარაკდა. მოყვა როგორც და რანაირად გაე- ცრა ბინა. დამიტრიევი ძველებს მინდებამინდე კარგად არ იცნობდა, მაგრამ შემწინდელი ჰქონდა, რომ ყველას საოცრად თავზიანად ესაღმებოდა — საბენსიო ასაკის მოხუცი, ალბათ ადგილის დაკარგვას უფრთხილდებოდა და ცდილობდა უცლებლაც ყველასთან კეთილი განწყო- ბილება ჰქონოდა. უთუოდ, ამიტომაც ყვებოდა ასე უსაშველოდ გრძლად და დაწყობილებით. ეილაც საზღვარგარეთ გაემგზავრა, ეილაც გამოუვალ მღვთმართებაში ჩავარდა, ეილაცს ფუ- ლის დამატება დასჭირდა. მაგრამ ეს ყველაფერი სულაც არ იყო ის, რაც დამიტრიევს სჭარ- დებოდა. მერე უცერად ცისფერი, ბებრული თვალები თავზიანობის მოზღვავებისაკენ გაუფარ- თოვდა და ხმაშალდა წამოიძახა:

— აი ვის უნდა დაეკავშირდეთ და ნევიადომსკის, თქვენ იცნობთ ნევიადომსკის. აღუქვია კირილოვიჩს? მესამე საკონსტრუქტორო ბიუროში რომ მუშაობს? ისიც სწორედ ასეთ დღეში იყო და იმტომ ცვლიდა... — ძველებმა ხმას დაუწია, — სიღვდრი უბედულ ავადმყოფი ჰყავდა, მაგრამ იმ სიღვდრს, მართლა, შესანიშნავი ოთახი ჰქონდა, ლამის ოცდახუთმეტრიანი, სადაც ცენტრში. აღუქვია კირილოვიჩი კი უსაზოგავზე ცხოვრობდა. ყველაფერი სასწრაფოდ უნდა მოგვარებულყო. ჰოდა, მოავადრეს კიდევ, თქვენ წარმოიდგინეთ, შესანიშნავად გამოუვდათ! აი, ჰკითხეთ და თვითონ მოვიყვებათ. მართალია, ჩაირინის საბინაო განყოფილებაში მამაკაცზე წამოჰკრა ხელი. ერთი სატყვიით, ასეთი რამ მოხდა: გაცეცის გაფორმება მოასწრო, სიღვდ- რის ნაყოფ ბინაში რემონტი გააკეთა — ეს საბინაო განყოფილებაში დაავალა. — სიღვდრი თავის- თან გადმოიყვანა, პირადი ანგარიში გახსნა და სამი დღის შემდეგ მოხუცი გარდაიცვალა. წარმოგიდგენიათ? მახსოვს, საწყალმა რაც იმ ზამთარს ვადაიტანა, კინაღამ ლოგინად ჩავარდა, სამაგიეროდ ახლა საუკეთესო ბინა აქვს, ნაღდი საგვერდლო ლექსი ლოგივ აქვს, ორი აი- ვანიცა და ნაირნაირი სათავსოც. ერთ-ერთ ათვანზე პამიდორებიც კი მოჰყავს. აი, შებრძანდით მასთან და თავად გვიპოვოთ! წარმატებას გისურვებთ!

კეთილმოსურნე ძველები თავს აკანტურებდა და ნელ-ნელა თავისი ოთახისაკენ უაი-



უკან იხვედა. ვიდრე მოხუცი ღამბაარეობდა, ტანია დმიტრიევის გვერდით იდგა და შეუმჩნეველად მისი ნებისთვის წაღვლო ხელს.

— ეჭვს სათზე დაბლა ჩამოდი და მაშინვე გაქანდეთ, — წაუბრძინებდა ქალმა.

— პო, მაგრამ დღეს უსათუოდ ლორასთან, პავლინოვოში უნდა წავიდე. დედაჩემი მელოდება, ახლა იმასთან არის.

დმიტრიევმა იცოდა, ეს სიტყვები ტანიას ყოველგვარ იმედს რომ აცამტყერებდა, მაგრამ თავიდანვე სიმატოლის თქმა არჩია.

— კეთილი, როგორც გენებოს, — ქალს ყველაფერი უშაღვე უსაბუხე ეწერებოდა: ტანია ჩაიფურცლა.

— არა, მე ის მინდა ვითხრა, რომ...

— მესმის! ნუთუ ფიქრობ, რომ ვერა ეხედები? ერთი წუთითაც არ დაგაყოვნებ. ფულს მოგცემ და მაშინვე გაიქეცი.

ქალმა თავი დააქანა და ჩქარია ნაბიჯით დერეფანს გაუყვდა. სულ რაღაც ერთი წლის წინ, ტანიას მალაღობ ტანია რაღაცდენი მაინც ხიზლავდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთმანეთს დაშორდებოდნენ და მიმავალს ვახედავდა ხოლმე. ახლა კი, აბრაჰერი აღეღებდა, ყველაფერი საღდაც გამქრალიყო. დიახ, ტანია ახლა, ერთი აწოწილი, გამზდარი, საოცრად გრძელფეხება ქალი იყო. წაწვრილებულ კისერზე იწით შეღებილი თმა გადმოჰყროდა. და მაინც უოველი შეხედვისას, გუნებამი შოლოდ იმას ფიქრობდა, ტანია ჩემთვის საუკეთესო ცოლი იქნებოდაო.

დმიტრიევი განყოფილებაში დაბრუნდა, ერთი ნახევარი საათი კიდევ ჩაუქდა საბუთებს, მაგრამ ფიქრი მაინც სხვავან გაურბოდა: დედა, ლორა, ტანია, ლენა, ფული, გაცედა. მიხედა, საშუალოდან ადრე უნდა გასულიყო, თორემ პავლინოვოში ჩასვლა ძალიან დაუგვიანდებოდა. ტანია მისასეღვლად შეტისმეტად მოუხეჩებებულ ადგილს, ნავატიონში ცხვერობდა და დმიტრიევი საშუალოდან ნაღრვეად წასვლის უფლებების სათხოვრად, თავისი უფროსის, ვარვარა აღუქავევინა სიტყვიკოას პატარა კაბინეტში შევიდა. ვარვარა აღუქავევინა თხოვნას მამანაღრ დეათანხმა. განყოფილებაში იცოდნენ დმიტრიევის ვასატირი და უველა თანაგრძნობით ექცეოდა. კვირამი ერთი-ორჯერ ყოველთვის შეეძლო დროზე ადრე წასვლა. ამ საბაბით ერთბელ კიდევაც შესცოდა, უნივერსალ „მოსკეაში“ გაიქცა და ნატაშკას ფორმა უყიდა. დმიტრიევი ისევ ავიდა მესამე საბუთულზე და ტანია ვააფრთხილა, შენც ხუთი საათისათვის ვაენთავისის მოსახლულბოდა. კაცმა რომ თქვას, ერთხანს ყოყმანობდა, შევიდე თუ არაო, მაგრამ ბოლოს მაინც შესვლა ვადაწყვიტა. ერთი მეგობრის მიხეზით, რომელიც უკვე ნახევარი წელიწადია იქ ადარ შეშაობდა. დმიტრიევისა და ნევიადომსკის ურთიერთობა, ცოტა არ იყოს, შეიღახა. დმიტრიევის მეგობართან ნევიადომსკის ადგილკომში რაღაც უსამოვნებები ჰქონდა და ერთმანეთს ადარ ესალმებოდნენ. როცა ნევიადომსკი დმიტრიევს ამ კაცის წრეში მოკრავდა თვალს, ადარც დმიტრიევის ესალმებოდა. მეგობრისაღმი სოლიდარობის ვაყო დმიტრიევიც ასევე იქცეოდა. მაგრამ როცა ეს ორი ადამიანი ერთმანეთს მარტო ხეღებოდა, არცთუ თბილ, მაგრამ თავაზიან საღამის ერთმანეთს არ უკავებდნენ, ზოგჯერ ერთი-ორი სიტყვიათაც კი ეხმინებოდნენ ერთმანეთს. ცველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ნაღრა სისულღვე იყო. ჰოდა, დმიტრიევმავე არად ჩააგლო და მასთან მისვლა ვადაწყვიტა. ვინ იცის, იქნებ აღმასკომში მაროლა პყავს ძმაკაცი და მეც ვამომადგესო.

ნევიადომსკი ერთი გამზდარი, შეავგრემანი კაცი იყო. მოწავი ფერის ძღალი ხეღუტმა წვერი ჰქონდა. როცა ოთახში შესულმა დმიტრიევიმა „პატარა აღღიენცია“ სწორად მას სთხოვა, ნევიადომსკიმ ვაქვირებებით აზოდა წარბები. კუთხეში მიღღმულ ვავიღასთან ორ თანამშრომელს ჰადრავის თამაში ვაენაღებინა და ფიფრებს ჩქარა-ჩქარა უნაეღვეღდნენ ადგილებს. ნევიადომსკი ვვერდით იდგა და თამაშს უყურებდა. ჰადრავი იყო მესამე საკონსტრუქტორის თანამშრომელთა უსავარღუსი ვართობა. აწყობდნენ ბიღე ტრანსპეკუს, ხუთწუთიან თამაშობებს. რაც შეეღება მეორე საკონსტრუქტორის თანამშრომლებს, მათი ვატაეება ვავიღის ჩოგბურთით ვახლდათ. საერთოდ, ბრძოლები საღლის შესევენების დროს ჩაღდებოდა, მაგრამ ზოგჯერ საშუაო საათებიც შემოეხარებოდათ ხოლმე, ვანსაკუთრებით დღის ბოლოს.

— ახლავე, ახლავე. ერთი წუთით დამაეადეთ, — თქვა ნევიადომსკიმ და კვლავ მოთამაშებს დაეაქტრდა. მოქალაქეები ავტომატის სისწრაფით ახეტებდნენ ფიფრებს დაღაზე, ვიდრე ერთ-ერთმა არ დაიუვირა: — ოპ, დასწყველოს ემშაქმა! — და თითის წყვერით თავისი შეღე არ ვადააყირავა. ნევიადომსკიმ ნიშნის მოგებით ჩაიციინა და წარბოთქვა:

— И сказал тут бллда с укарнизною:



ჩემი გონებას ბი ტი ზა დეშევიზიო!

მერე იმავე დამტინავი ღიმილით კარისაგენ გაემართა, მაგრამ დმიტრიევს რომ შეეფეთა, ღიმილი გაქრა და კვლავ გაკვირვებით აზიდა წარბები.

დმიტრიევმა თავისი თხოვნა საოცრად არეულ-ღაბრულად დაიწყო, უფრო სწორად, უაზრო, ანჭარებულ პუტუტში თხოვნა როგორცაღ გადკურულად გაერია ნევიადომსკი თვითონ უნდა მიმხედარიყო, რომ გამოცდილების განზიარებას თხოვდნენ, უკეთეს იმას, თუ როგორ მოქცეულიყო დმიტრიევი მისთვის უკვე ცნობილ ბინების გაცეასთან დაკავშირებულ ვითარებაში. მაგრამ ნევიადომსკი ვერაფერს მიხედა. მისი ხვეული, შავ-გალაო წვერი ნელ-ნელა მალდა იწვედა, თვალბიც სულ უფრო ცივად და, როგორც დმიტრიევს მოეჩვენა, გორჩხად იუტრებოდნენ.

— უცაყრავად, მე ვერ გავიგე, კერძოდ...

— ახლავე აგიხსნით. საქმე ის გახლავთ, რომ მიხეზი, რამაც მე და თქვენ... ერთი სიტყვით, ჩვენ ერთნაირი მდგომარეობა გვაქვს...

— რას გულისხმობთ?

— რას ვგულისხმობ? — დმიტრიევმა კისერსა და დაწვებზე სისხლის მოწილა იგრძნო. — აი, რას: მეც უნდა გავცეალო ბინა და რაც შეიძლება ჩქარა. ჰოდა, თქვენთვის რჩევა მინდოდა შეკითხვა, როგორ ხდებდა ეს უველაფერი? როგორ და საიდან დაიწყო?

— საიდან დაიწყო? როგორ თუ საიდან? რასაც ვერცხვია, გაცელის ბიუროდან. ვაღიბდით სამი მანეთს და განცხადებას წარადგინეთ ბიურეტში გამოსაქვეყნებლად.

— მაგრამ, ალბათ მიმთხვდებით, მაშინ როცა აღამიანი მძიმედ არის ავად, ძალიან მძიმედ, როცა ძვირფასია ყოველი საათი...

— ვერაუთმარ შემიხვევაში სხვაგვარად ვერ დაიწყებთ, გაცელის ბიუროს გვერდს ვერ აფეცილთ. სხვა გზა არ ვიცი, — ნევიადომსკიმ ნესტოში ცერი შეიფო, ზემოდან საჩვენებელი თითი მოაქირა და საგულდაგულად გამოიჩინა. როგორც ჩანდა, გუნებაში სწონდა, ღირდა თუ არა დმიტრიევსათვის გულის გადახსნა. გადამწყვიტა: არა, არ ღირდა.

— მე არაუთმარ სხვა გზა არა მქონია, — თქვა ნევიადომსკიმ და უეტრად ფრტტენი წასკვდა. — იცით, თქვენ ერთი ყოველად სულელური ამბავი მომაგონეთ! სტუდენტობისას მამა მომიყვდა. ჰოდა, ვაივად ორი თუ სამი თვე და... — ნევიადომსკი ყუებოდა და თან ცერიმ ცხვირიდან სრესა-სრესით რაღაცები გამოჰქონდა. — ჩემთან მეორე სადარბაზოში მცხოვრები, სრულიად უცნობი მუზობელი შემოვიდა და მეუბნება: „მამა გარდაამეცვალა. ვიცი, რომ თქვენც ამ ცოტა ხნის წინ მოგიყვდათ მამა და აი, მოვედი მინდა გავცენოთ და გოხოვოთ, იქნებ როგორმე გამოცდილება გამოიზაროთ“. რის გამოცდილება? რა? როგორ? მეც, რა თქმა უნდა ზრდილობიანად გავისტუმრე.

დოქტორმა შტრაუსმა მითხრა მე უნდა გავაგრძელო სხვა და სხვა ამბების ჩაწერა მაგრამ არაა აუცილებელი ყოველდღე გავაკეთო. მხოლოდ როცა რამეზე ვფიქროფ ან როცა რამე განსაკუთრებული მოხდება. მან მითხრა გულს ნუ გაიტებს იმიტომ რომ ამას დრო ჰირდება და ეს ნელა ხდება. მან თქვა ძან ბევრი დრო გავიდა სანამ ელჭერნონი სამჭერტუფრო გონიერი გახდა ვიდრე მანამდე იყო. ესეიგი ელჭერნონი იმიტომ მიგებს ყოველთვის რომ მასაც გაუკეთეს ასეთი ოპერაცია. ეს უფრო ადვილი ასატანია. იქნება მოვანერხო ეს ლაბერინთი უფრო სწრაფათ ვიდრე ამას უბრალო თავი აკეთებს. იქნება მერე როდისმე ელჭერნონსაც კი გავუსწრო. აი იქნება სერი. ელჭერნონი კი ეტყობა სამუდამოდ დარჩება ასეთი ჰქვიანი.

**25 მარტი**

დღეს ჩვენთან ფაბრიკაში ძალიან ვიმხიარულეთ. ჯო კერპმა თქვა აბა ერთი ვნახოთ რა ოპერაცია გაუკეთეს ჩარლის როგორ დაუმატეს ტვინი. მე შინდოდა მომეყოლა მაგრამ გამახსენდა რომ დოქტორმა შტრაუსმა მითხრა ეს არ შეიძლება. მერე ფრენკ რეილიმ თქვა რას აკეთებდი ჩარლი მიდი აამუ-

შვე მე გადიდებული ტვინი და ჩამოკაცლე ამბავი. მე ამაზე გამეცინა. ისინი ჩემი ნამდვილი მეგობრები არიან და მათ მართლა ვუყვარვარ.

ხან და ხან რომელიმე იტყვის შეხედეთ ჯონს ან ფრენკს ან ჯორჯს რას ჩარლიგორდონობს მე არ ვიცი ასე რატო ამბობენ მაგრამ ყველას კი ეცინება. ამდღილით ჭაღალდების დამტარებელმა ერნიმ პაკეტი დაკარქა და ემოს ბორგმა დაუყვირა ეშმაქმა წაგიღოს ერნი შენც რა ჩარლი გორდონი გამომიჩნდი. მე არ ვიცი ასე რატო თქვა. მე არავითარი პაკეტი არ დამიკარგია მისთვის.

დღეს საღამოს ჩემთან სახში მოვიდა დოქტორი შტრაუსი რომ გავეო რატო არ შევიარე სავადყოფოში. მე ვუთხარი აღარ მინდა ელჯერნონთან თამაში. მან მითხრა ეს ჯერ ჯერობით არცაა საჭირო ოღონდ მე მაინც უნდა ვი-არო. მან საჩუქარი მომიტანა ოღონდ კი არ მაჩუქა მათხოვა. მე მეგონა რომ ეს პატარა ტელევიზორია მაგრამ არაა. მან მითხრა რომ უნდა ჩაერთო როცა დასაძინებლათ დავწვები. მე ვუთხარი თქვენ ხუმრობთ დოქ რატო უნდა ჩაერთო თუ დაძინებას ვაპირებ. ვის გაუგია. მაგრამ მან მითხრა თუ გინდა ჰქვიანი გახდე უნდა დამიჯერო. მე მას ვუთხარი სულაც ვერ ვატყობ რომ ვპყვიანდებოდე. მან კი ხელი მხარზე დამადო და მითხრა ჩარლი შენ ამას ჯერ ვერ გრძნობ მაგრამ სინამდვილეში სულ უფრო და უფრო პყვიანდები. შენ ამას ჯერ ჯერობით ვერც შეამჩნევ. მემგონი ის უბრალოდ კეთილად მომექცა რომ დავემშვიდებინე იმიტომ რომ არაფერში მეტყობა დაჰქვიანება.

კინადამ არ დამავიწყდა მე ვკითხე როდის შეიძლება დავბრუნდე სკოლაში მისს კინიენტან. მან მითხრა რომ იქ მეტი აღარ ვივლი. მან მითხრა მისს კინიენი მალე თითონ ივლის ჩემთან სავადყოფოში და ცალკე მასწავლის. მე ძან ვბრაზობდი მაზე ჩემ სანახავად რომ არ მოვიდა როცა ობერაცია გამიკეთეს მაგრამ მე ის მიყვარს და იქნება ისევ გავხდეთ მეგობრები.

### 29 მარტი

მე მთელი ღამე არ მეძინა ამ დარეხვილი ტელევიზორის გამო. როგორ უნდა ვიძინო როცა ყურში ჩამყვირიან რალაც სიტყვებს. მე ისედაც აზრზე არა ვარ რას ქაჩანებენ და როგორ უნდა გავიგო ეს ძილში. მერე კიდე ეს სულელური სურათები.

დოქტორი შტრაუსი ამბობს ასეა საჭირო. ის ამბობს რომ ჩემი ტვინი სწავლობს როცა მე მძინავს. და ეს გამომადგება როცა მისს კინიენი გაყვეთილებს ჩამიტარებს საავადყოფოში. თუმცა ეხლა კი ვიცი რომ ეს საავადყოფო კი არა ლაბარატორიაა. მემგონი ეს სულ უაზრობაა. თუკი შეიძლება ძილში დაჰქვიანება ხალხი რატო დადის სკოლაში. არა მგონია აქედან რამე გამოვიდეს. მე სულ გვიან ღამე ვუყურებდი გადაცემებს ტელევიზორში და ამან სულაც არ დამაჰქვიანა. იქნებ უნდა გეძინოს როცა უყურებ.

### 3 აპრილი

დოქტორმა შტრაუსმა მაჩვენა როგორ უნდა დავუწიო ტელევიზორს და ეხლა შემიძლია წყნარად დაძინება. მაგრამ მე არაფერი არ მესმის. და აქამდე ვერ გამიგია იქ რას ბურტყუნებენ.

ხან და ხან დილით ისევ ჩაერთავ ხოლმე რომ ვნახო ერთი რა ვისწავლე ძილში და მემგონი რომ არაფერი. მისს კინიენი ამბობს იქნება ეს სხვა ენაზეა ან რამე ამდაგვარი მაგრამ ეს თითქმის ყოველთვის ამეროკულს გავს.



მაგრამ ძაან სწრაფათ ლაპარაკობენ უფრო სწრაფადაც ვიდრე მისს გოულდი რომელიც მე მასწავლიდა მეექვსე კლასში. მეკი მახსოვს ის ისე სწრაფათ ლაპარაკობდა მე ვერაფერს ვერ ვიგებდი.

მე ვუთხარი დოქტორ შტრაუსს რა ჭკუა აქ ძილში თუ ვიქნება ჭკვიანი მე მინდა ჭკვიანი ვიყო როცა არ მძინავს. მან მითხრა ეს ერთი და იგივეა.

### 5 აპრილი

მთელი დღე თავი მტკივა. გუშინ სამუშაო რომ დამთავრდა ფაბრიკაში ჩემმა მეგობრებმა ჯო კერპმა და ფრენკ რეილიმ ბარში წამიყვანეს. მე არ მიყვარს სმა მაგრამ მათ მითხრეს ვიმზიარებოდა. მართლა კარგი დრო ვატარებ. ჯო კერპმა თქვა აჩვენე გოგოებს როგორ რეცხავ იატაკს ფაბრიკის საპირფარეოში და მომიტანა ჩვარი. მე ვაჩვენე და ყველას გაეცინა როცა მე ვთქვი მისტერ დონეგანი ამბობს მე ყველაზე კარგი დამლაგებელი ვარ რაც კი მას ყოლია იმიტომ რომ მე მიყვარს ჩემი საქმე არასოდეს არ ვიგვიანებ და არცერთი დღე არ გამიცდენია მართო როცა ოპერაცია გამიკეთეს მაშინ. მე ვუთხარი მისს კინიენი ყოველთვის მეუბნებოდა ჩარლი უნდა ამაყობდე შენი საქმით თუკი მას კარგათ აკეთებ. ყველა იცინოდა და მათ ბევრი დამალევი-ნეს და ჯომ თქვა რა ტიპია ეს ჩარლი თუ გადაკრულშია. მე არ ვიცი ასე რატო თქვა მაგრამ მე აქ ყველას ვუყვარვარ და მიხარია. ნეტა მალე გავხდებოდე ისეთივე ჭკვიანი როგორც ჩემი საუკეთესო მეგობრები ჯო კერპი და ფრენკ რეილი არიან.

მერე მე გავედი გაზეთის და ყავის საყიდლად ჯოსა და ფრენკისათვის და როცა დაებრუნდი იქ არავინ არ იყო. მე ისენი ყველგან გვიანობამდე ვეძებ. მერე რა იყო ისე კარგათ არ მახსოვს მაგრამ მგონი ავით გავხდი და დამინება მომინდა. მერე რომელიღაც კეთილმა პოლიციელმა მომიყვანა სახში. ასე ამბობს ჩემი დიასახლისი მისს ფლინი.

მაგრამ მე თავი მტკივა და დიდი კობი მაზის და სულ დალილავებულ ვარ. შემგონი რომ დავეცი მაგრამ ჯო კერპი ამბობს ეს პოლიციელის ნახელავია ისინი ზოგჯერ ცემენ ხოლმე მთვრალებს. მე ასე არ ვფიქროვ. მისს კინიენი ამბობდა რომ პოლიციელები უნდა ეხმარებოდენ ხალხს. თუმცა თავი კი მაინც ძაან მტკივა გული მერევა და მთელ ტანში მტეხს. შემგონი არასოდეს აღარ დავლევ.

### 7 აპრილი

მე მოვუგე ელქერონს. არც ვიცოდი თუ გავიმარჯვე მაგრამ ლაბარანტმა ბერტმა მითხრა. მეორე ჯერ კი წაეგე იმიტომ რომ ისე ვლელავდი ერთხელ კინალამ სკამიდან ჩამოვარდი. მაგრამ მერე კიდე რვაჯერ მოვუგე. ეტყობა ჭკვიანი ვხდები თუკი ასეთ თავგს ვაჯობე. მაგრამ მე ვერ ვგრძნობ თავს უფრო ჭკვიანად.

მე მინდოდა კიდე შევეპირებოდი ელქერონს მაგრამ ბერტმა მითხრა საკმარისია. მე ნება მომცეს ხელში ამეყვანა. ის არ იკბინება და ბამბასავით რბილია. თვალები შავი აქ კიდევბზე კი ვარდისფერი და სულ ახამხამებს. მე ვთქვი მინდა საჭმელი ვაჭამო იმიტომ რომ გული დამწყდა რომ მოვუგე მეკი მინდა კეთილი ვიყო და ყველასთან ვიმეგობრო. მაგრამ ბერტმა მითხრა არ შეიძლება. ელქერონი ჩვეულებრივი თავი არ არის მას ისეთივე ოპერა-



ცია გაუკეთეს როგორც შენ და ის ერთად ერთია ცხოველებს შორის რომელიც ამდენი ხნით დარჩა ჰკვიანი. მან თქვა ელჯერნონი ისეთი ჰკვიანია რომ ყოველ დღე ახალ გამოცდას აბარებს საჭმლის მისაღებად. მის კარებს სხვა და სხვა საკეტებს უკეთებენ და თვითონ უნდა გაალოს რომ აჭამონ. მე ის შემეცოდა იმიტომ რომ თუ ვერ მოახერხებს ესე იგი მშვირი დაარჩება.

მემგონი ეს არაა სწორი ვინმე აიძულო გამოცდა ჩააბაროს საჭმლის მისაღებად. როგორ მოეწონებოდა დოქტორ ნემიურს მასაც ასე რომ მოჰქეოდა. მემგონი მე და ელჯერნონი დაემეგობრდებით.

**9 აპრილი**

დღეს ლაბორატორიაში მისს კინიენი მოვიდა. მას მგონი გაუხარდა ჩემი ნახვა მაგრამ თითქოს რაღაცის ეშინოდა. მე ვუთხარი მისს კინიენ ნუ გეშინიათ მე ჭერ კიდევ არა ვარ ჰკვიანი და მას გაეცინა. მან თქვა მე მჯერა შენი ჩარლი შენ ყველაფერს აკეთებდი იმისათვის რომ სხვებზე უკეთ გესწავლა წერა და კითხვა. შენ ჭერ ცოტოტას იმეცადინებ და ბოლოს იქნებ მეცნაფრებისთვისაც კი გააკეთო რამე.

ესლა ჩვენ ძალიან ძნელ წიგნს ვკითხულობთ. მე აღრე არასდროს არ წამიკითხია ასეთი ძნელი წიგნი. რობინზონ კრუზო ქვია და ერთ კაცზეა რომელიც ცარიელ კუნძულზე მოხვდება. ის ძან ჰკვიანია და ათას რამეს აკეთებს რომ ჭონდეს სახლი და საჭმელი და კარგადაც ცურავს. მე ის მაინც მეცოდება იმიტომ რომ ის სულ მარტოა და მეგობრები არა ყავს. მაგრამ მემგონი კუნძულზე კიდევ ვილაყა იმიტომ რომ იქ ერთი სურათია სადაც ის თავისი სასაცილო ქოლგით ადამიანის ნაფებურებს დაყურებს. იმედი მაქ რომ მეგობარს იპოვის და მარტო აღარ იქნება.

**10 აპრილი**

მისს კინიენი მასწავლის უკეთ წერას. ის მეუბნება შეხედე სიტყვას დახუჭე თვალები და ბევრჯერ გაიმეორე სანამ არ დაიხსომებ. მე ძალიან მიჭირს დაეხსნომა რომ უნდა დაეწერო **ახლა** და არა **ესლა** და კიდევ თურმე უნდა დაეწერო **საავადმყოფო** თუმცა ყველა ამბობს **სავადყოფო**.

**14 აპრ.** დავამთარე **რობინზონ კრუზო**. მინდა გავიგო მერე კიდევ რა მოხდა მაგრამ მისს კინიენმა მითხრა სულ ეს არისო. **რატომ**.

**15 აპრ.** მისს კინიენი ამბობს რომ მე სწრაფად ვსწავლობ. მან წაიკითხა ჩემი ჩანაწერები და რაღაცა უცნაურად შენობხედა. მან მითხრა რომ მე ძალიან კეთილი ვარ. მე ვკითხე რატომ. მან მითხრა არა აქვს მნიშვნელობა მაგრამ გული არ უნდა გაგიტყდეს თუ მიხვდები რომ ყველა ისეთი კარგი არ არის როგორც შენ გონია. მან მითხრა შენისთანა ადამიანმა რომელსაც ღმერთმა ასე ცოტა რამ მისცა გააკეთა იმაზე მეტი ვიდრე ბევრმა ჰქუა საღმა თავის ტენის რომ არავითარ ჯაფას არ აყენებს. მე ვუთხარი რომ ყველა ჩემი მეგობარი ჰკვიანი ხალხია მაგრამ მაინც ძალიან კარგები არიან. მათ მე ვუყვარვარ და

არასოდეს ჩემთვის არაფერი ცუდი არ გაუკეთებიათ. ეს რომ ეთქვი უცხად მისს კინიენს რაღაცა ჩაუვარდა თვალში და ტულეტში გაიქცა.

16. აპრ. დღეს მე მძიმეს დასმა ვისწავლე. ძალიან უცნაური რამეა. ერთი წერტილია კუდით. მისს კინიენი, ამბობს, რომ ეს საჭიროა, იმიტომ, რომ მძიმე, აღმჯობესებს ნაწერს.

16 აპრ. მძიმეები არასწორად დამისვამს. მას თურმე სასვენი ნიშანი ჭეია. მისს კინიენმა დაამავალა ძნელი სიტყვები ლექსიკონში მოძებნო და ვისწავლო მათი გამოყენება და სწორად წერა. მე ვკითხე რა საჭიროა თუკი მაინც შეიძლება მათი წაკითხვა. მან მითხრა უამისოთ არაფერი არ გამოვი ამიტომ უნდა მოძებნო ყველა სიტყვა როცა დარწმუნებული არა ხარ როგორ იწერება, ამის გამო დიდ ხანს უწლები წერას მაგრამ მგონი ნელნელა ვიმასხორებ. ახლა მხოლოდ ერთხელ მჭირდება ჩახედვა და უკვე ვიცი როგორ უნდა დავწერო. მისს კინიენი ამბობს რომ წერტილიც სასვენი ნიშანია და რომ კიდევ ბევრი სასვენი ნიშანი უნდა ვისწავლო.

თურმე ყველა მათგანი უნდა გამოვიყენო, მან მაჩვენა: როგორ, და ახლა მე თვითონ დავწერე. ისე კი ძალიან ბევრი წესია სასწავლი, მაგრამ: ბოლოს და ბოლოს ხომ მაინც დავიხსოვებ. მე მომწონს, რომ ძვირფასი მისს კინიენი (თურმე ასე უნდა დავწერო საქმიან წერილში) თუკი როდისმე ბიზნესმენი გაეზდები? ყოველთვის მიხსნის ხოლმე რასაც კი — ვკითხავ. ის ნამდვილი გენიოსია... მე მინდა: ისეთივე გონიერი ვიყო „როგორც მისს კინიენი“.

რა სასაცილო რამეა (ეს სასვენი ნიშნები)!

20 აპრ. თურმე ვერაფერსაც ვერ მივხდარვარ, სულ ამირდამირევი ყველაფერი! მერე გრამატიკის სახელმძღვანელო წავიკითხე — იქ ყველაფერი თანმიმდევრულადაა ახსნილი. კაცმა რომ თქვას, მისს კინიენი იგეგმე მეუბნებოდა, მაგრამ მაშინ ვერ გავიგე. გუშინ კი შუალამისას გამეღვიძა და თითქოს უცხად მივხვდი ყველაფერს.

მისს კინიენმა მითხრა, რომ ეს ტელევიზორი დამეხმარა: ის ხომ ღამღამობით მუშაობს, როცა მე მძინავს.

22. აპრ. ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს. არა, ისე ცუდად არა, რომ ექიმი გამოვიძახო, მაგრამ ისეთი შეგრძნება კი მაქვს, თითქოს შეიგნეულობა ამომიტრიალეს; გულ-ღვიძლი მეწვის.

არ მინდოდა ამის შესახებ დამეწერა რამე მაგრამ, მგონი, გამოტოვებაც არ ივარგებს — დოქტორ შტრაუსისათვის ეს შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. დღეს მე პირველად ჩემ სიცოცხლეში არ გავედი სამუშაოდ და სახლში დავრჩი.

გუშინ ჯო კერპმა და ფრენკ რეილიმ წამიყვანეს ვილაცასთან საღამოზე. იქ ბევრი ვოგონები იყვნენ და ჩვენთან, ფაბრიკაში მომუშავე რამდენიმე ბიჭიც. მე მახსოვდა, რა ცუდად გავხვდი, როცა ბევრი დავლიე და ახლა ამიტომაც ვუთხარი ჯოს, რომ არაფრის დაღვევა არ მინდოდა. მან კოკა-კოლა მომცა. მომწარო გემო კი ქონდა, იმწამსვე შევატყვე, მაგრამ ვიფიქრე, ეს ალბათ პირში მაქვს სიმწარე-მეთქი.

თავიდან ძალიან ვიმხიარულეთ. ჯომ დამიჯინა, ელასთან იცეკვო. მე წარამარა ვეცემოდი და ვერაფრით ვერ გამეგო რატომ — აკი ჩემსა და ელას გარდა არავინ არ ცეკვავდა. მაგრამ მერე კიდევ რამდენჯერმე წავიბოძიეთ, იმიტომ რომ ფეხს მიღებდენ.

უცბად ჯოს სახეზე ისეთი გამომეტყველება შევნიშნე, გული შემეკუმშა.

— გეყოთ, დავიხჩიე! — წამოიძახა ვილაყამ.

ხარხარი აუტყდათ.

— მეგზის ბარიდან რომ გავაგზავნეთ გაზეთის საყიდლად და ავეთესეთ, მას მერე ამდენი არ მიცინია, — თითქოს შორიდან მესმოდა ფრენჯ რილის ხმა.

— არა, ერთი ნახე, როგორ წამოენთო სიფათი!

— შეხედეთ, ჩარლი გაწითლდა...

— ეი, ელა, რა უქენი ამ საწყალს? ჩემ დღეში ასეთი არ მინახავს!

სად გავჭრალიყავი, არ ვიცოდი. ყველა მე მიყურებდა, იცინოდნენ და ასე მეგონა, პერანგის ამარა ვიდექი. ქუჩაში გამოვარდი და სახლის კუთხეში მალეზინა. მერე სახლში წავედი.

უცნაურია, აღრე ვერასოდეს ვერ ვამჩნევდი, რომ ფრენჯი, ჯო და სხვებიც დამცინოდნენ და მხოლოდ და მხოლოდ სამასხარაოდ დამათრევედნ აქეთ-იქით. ახლა კი მესმის რასაც ნიშნავს, როცა ერთმანეთს ეუბნებიან—რას ჩარლიგორდონობო...

მცხენია.

**25 აპრ.** ჯერ კიდევ არ გავსულვარ სამუშაოდ. მისის ფლინს — ჩემს დია-სახლისს — ვთხოვე ფაბრიკაში დაერეკა და მისტერ დონეგანისათვის ეთქვა, რომ ავად გავხდი. ამ ბოლო დროს მისის ფლინი ძალიან უცნაურად მიყურებს, თითქოს ჩემი ეშინია.

ძალიანაც კარგია რომ მივხვდი, როგორ დამცინის ყველა. ბევრი ვიფიქრე ამაზე. ჩემი ბრაღია — უხეირო ვარ და ვერც ვამჩნევ ხოლმე, როცა სისულელეებს ჩავდივარ. ხალხს კი რატომღაც სასაცილოდ ეჩვენება, თუ ჰკუთსუსტი ადამიანი რაღაცას ისე ვერ აკეთებს, როგორც ეს საჭიროა.

ყოველ შემთხვევაში, ახლა მე თვითონ ვატყობ, რომ დღითიღე მეხსნება გონება. უკვე ვიცი სასვენი ნიშნების ხმარება და შემძლია სწორად წერა. მსიამოვნებს ძნელი სიტყვების ლექსიკონში მოძებნა, ადვილადც ვიმასხვარებ. ბერის ვკითხულობ და თუ მისს კინიენს დაეუჭერებთ, ძალიან სწრაფდაც. უმეტესად წაკითხულის აზრიც მესმის, ასეთი ადგილები კი თითქოს გონებაში მრჩება.

მისს კინიენმა მითხრა, რომ ისტორიის, გეოგრაფიისა და არითმეტიკის გარდა უცხო ენებიც უნდა ვისწავლო. დოქტორმა შტრაუსმა რამდენიმე ახალი კასეტა მომცა, ძილის წინ ვრთავ და ისე ვიძინებ ხოლმე.

**26 აპრ.** დღეს ბევრად უკეთესად ვგრძნობ თავს, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ ბრაზი მომდის მათ გახსენებაზე, ვინც სულ დამცინოდა და მასხრად მიგდებდა ჩემი სუსტი გონების გამო.



როცა დავტყვიანდები და ჩემი ი. კ.\* გასამზადდება, შეიძლება ისეთივე გავხდე, როგორც ყველა სხვა და მათაც ვეყვარები და კეთილად მომექცევიან. მთლად კარგად არ მესმის, რას ნიშნავს ი. კ. დოქტორმა ნემიურმა მთხზრა, რომ იგი აღამიანის გონებრივი შესაძლებლობების დონეს საზღვრავს — ისევე, როგორც აფთიაქის სასწორი — წამლის დოზას. დოქტორი შტრაუსი კი არ დაეთანხმა: ი. კ. არაფერსაც არ წონისო. მან თქვა, იგი გვიჩვენებს, თუ რა ზომამდე შეიძლება ინტელექტის გაზრდა, რომ ეს მენზურაზე გაკეთებული დანაყოფებივითაა, რომლის მიხედვითაც ამოწმებენ, რა რაოდენობის სითხეა დასამატებელი.

მაგრამ როცა ამის შესახებ ბერტს შევეკითხე (ბერტი ის ექიმი, ჩემს ინტელექტს რომ ამოწმებს და თან ელჯერონისაც ადევნებს თვალყურს), მან მითხრა — არც ერთი არაა სწორი, ოღონდ ეს მათთან არ წამოგცდესო. მერე თქვა, რომ ი. კ. უამრავ სხვადასხვა რამეს ზომავს და მათ შორის იმასაც, რაც კაცმა შეისწავლა. მერე დაუმატა — მართალი ვითხრა, აღრიცხვის ეს სისტემა არაფრად არ ვარგაო.

ასე რომ, ამ ი. კ.-ს ვერაფერი გავუგე, თუმცა ჩემი მალე 200-ს გადააჭარბებს. მე ხმა არ ამოვიღია, მაგრამ მაინც არ მესმის, რანაირად შეუძლიათ გაზომონ ის, რაც ხეირიანად არც კი იციან, რა არის, ან რა სახით უგროვდება იგი აღამიანს.

დოქტორი ნემიური ამბობს, რომ ხელ რორშახის\* გამოცდის გავლა მომიწევს. ნეტავი ეს რაღაა.

**27 აპრ.** გავიგე, რას ნიშნავს რორშახი. ეს ის გამოცდაა, ოპერაციის წინ რომ ჩამიტარეს, მელანდლაბანილი მუყაოს ნაჭრებით. მაგიდასაც იგივე კაცი უჭდა.

ამ მელნის ლაქებმა სულ დამაფრთხო. ვიცოდი, სურათების მოძებნას მომთხოვდნენ და დარწმუნებული ვიყავი, ვერ ვიპოვნიდი. ჩემთვის გავიფიქრე, კარგი იქნებოდა როგორმე წინასწარ გამეგო, რა სურათებია ასე შენიღბული-მეთქი. ან იქნებ იქ არც არავითარი სურათები არ არის და მხოლოდ მახეს მიგებენ, რომ გაარკვიონ, მართლა თუ ისეთი სულელი ვარ, არარსებულის ძებნა დავიწყო.

ამის გაფიქრება და იმ კაცზე განაწყენება ერთი იყო.

— მაშ ასე, ჩარლი, — მითხრა მან, — თუ გახსოვს, შენ უკვე ნახე ეს ფიციტები...

— რა თქმა უნდა, მახსოვს.

ხმაში ისეთი გაბრაზება დამეტყო, აშკარად გაკვირვებული დარჩა.

— მაშინ დააკვირდი ამ ლაქას და მითხარი, რას გავგონებ, რა შეგიძლია წარმოიდგინო, როცა ამას უყურებ? სხვები, მაგალითად, უამრავ რამეს ამსგავსებენ.

ეს ისე მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ გაოგნებულმა უცბად ხმა ვერ ამოვიღე.

\* ინტელექტის კოფიციენტი.

† პერმან რორშახი (1884-1922) — შვეიცარიელი ფსიქოლოგა-ფრაიდიისტი. შეიმუშავა ტესტების სისტემა ფსიქოანალიზისათვის.



— ესე იგი, ამ ლაქებში არავითარი სურათები არ არის?

მან შეუბლი შეიქმუნხა და ხელის ნელი მოძრაობით სათვალე მოიხსნა.

— რაო?

— სურათები-მეთქი. ლაქებით შენიღბული სურათები. მაშინ თქვენ მითხარით, მათ ყველა ხედავსო, და გინდოდათ მეც მეპოვნა.

მან ამიხსნა, რომ წინა ჭერზეც თითქმის იგივე მითხრა, რაც ახლა. მაგრამ მე არ დავუჯერე და აქამდე ვეპვობ, რომ მაშინ ძალად, ჩემს დასაცინად ამირია გზა-კვალი. ან არადა... ნუთუ ამდენად გონებასუსტი ვიყავი?

ჩვენ ნელ-ნელა ვათვალისწინებდით ფირფიტებს. ერთ მათგანზე ლაქა დამურას წააგავდა, მეორე მოფარაკავეებს მივამსგავსე. მე სულ ახალ და ახალ რაღაცეებს ვიგონებდი. მგონი, ზედმეტიც მომივიდა, მაგრამ გამომცდელს უკვე აღარ ვენდობოდი და ყოველი მხრიდან ვატრიალებდი ფირფიტებს, უკულმაც კი ვაბრუნებდი, რომ შემთხვევით არაფერი გამოირჩენოდა.

აქამდე არ მესმის, რა აზრი აქვს ამ გამოცდას. ყველას შეუძლია მოიტყუოს და ისეთი რამე აღწეროს, რასაც სინამდვილეში ვერ ხედავს. საიდან იცის, რომ მართალს ვეუბნები, მართლა ასე აღვიქვამ ამ ლაქებს და არ ვუყუევები რაღაც აზრებს, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ჩემს წარმოსახვასთან?

იქნებ ეს მაშინ გავარკვიო, როცა დოქტორი შტრაუსი ნებას მომცემს ფსიქოლოგიის შესახებაც ვიკითხო წიგნები.

## 2 მისი.

მე აზრად მომივიდა, ქარხანაში ახლებურად განგველაგებინა დაზგები და მისტერ დონეგანი ამბობს, რომ ეს სამუშაო ძალის დაზოგვისა და საწარმოო პროდუქციის გაზრდის ხარჯზე მას წელიწადში 25000 დოლარ მოგებას მოუტანს. მე კი პრემია მივიღე — 250 დოლარი.

ამ ამბის აღსანიშნავად ჯო კერპსა და ფრენკ რეილის ვთხოვე ვახშამზე დამწვეოდნენ, მაგრამ ჯომ მითხრა, ბიძაშვილთან ვარ წასასვლელიო, ფრენკმა კი ცოლისთვის რაღაც საყიდლები მოიმიზნეა. ეტყობა, გარკვეული დროა საჭირო, სანამ ჩემში მომხდარ ცვლილებებს შეეგუებიან. ყველას თითქოს უშინია ჩემი. ემოს ბორგთან რომ მივედი და მხარზე ხელი მოვეუტყაპუნე, გაოცებისაგან ლამის ჭერს აარტყა თავი.

ახლა იშვიათად თუ დამელაპარაკება ვინმე და არც არავინ მესუბრება ხოლმე ძველებურად. ამიტომ სამსახურშიც რაღაც ეულად ვგრძნობ თავს.

## 5 მისი

დღეს გამბედაობა მოვიკრიფე და მისს კინიენს ვთხოვე, ჩემთან ერთად ესადილა. ის ჭერ დაეკვდა, უხერხული ზომ არ იქნებოდა, მაგრამ მე დოქტორ შტრაუსს ვკითხე და მან მითხრა — იგ არაფერიო.

ისე, დოქტორი შტრაუსი და დოქტორი ნემიური, ეტყობა, ერთურთს ვეღარ ეწყობიან. გაუთავებლად კამათობენ. დილით მათთან შევიარე მისს კინიენის სადილად დაბატიყების თაობაზე და გავიგონე, როგორ ლანძღავდნენ ერთმანეთს.

დოქტორი ნემიური ამტკიცებდა, რომ ეს მისი ექსპერიმენტია და მისი გა-



მოკვლევები. დოქტორი შტრაუსი კი პასუხად გაიძახოდა, რომ მის არანაკლები წვლილი მიუძღვის ამ საქმეში, რომ ეს მან აღმომაჩინა მისს კინიენის დახმარებით და რომ, ბოლოს და ბოლოს ეს ოპერაციაც მისი გაკეთებულია: „დადგება დრო, როცა მთელ მსოფლიოში ათასობით ნეიროქიურგები დაიწყებს ჩემ მიერ შემუშავებული მეთოდისა და ტექნიკის გამოყენებას“.

საქმე ის არის, რომ დოქტორ ნემიურს უკვე თვის ბოლოს სურს კვლევის შედეგების გამოკვეყნება, დოქტორ შტრაუსს კი მიაჩნია, რომ მეტი დამაჯერებლობისათვის ჭერ დაეცა აჯობებს. მან თქვა — დოქტორ ნემიურს პრინსტონის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრა უფრო აინტერესებს, ვიდრე თვით ეს ექსპერიმენტი; დოქტორმა ნემიურმა კი განაცხადა, რომ დოქტორი შტრაუსი წმინდა წყლის ოპორტუნისტია, რომელიც სახელისა და დიდების ძებნაში მას, ე. ი. დოქტორ ნემიურს, დააჭდა კისერზე.

ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ორივეს პირველად ვხვდავდი. ტანში გამაქრიალა. ახლა მახსენდება ბერტის ნათქვამი — ნემიურის ცოლს ისეთი ხასიათი აქვს, ბუღბულს დააჩხავლებს და ერთთავად იმაზე ოცნებობს, სახელგანთქმული ქმარი ჰყავდესო...

### 8 მისი

არ ვიცი, აქამდე როგორ ვერ ვამჩნევდი, რა ლამაზია მისს კინიენი. მას ნუშისებრი თვალები და ფაფუკი წაბლისფერი თმა აქვს. შეიძლება იმიტომ, რომ თავიდან ის რაღაც წარმოუდგენლად, მიუწვდომლად გენიალური და ძალიან, ძალიან მოხუცი მეჩვენებოდა. ის კი ჭერ მხოლოდ 34 წლისა!

ახლა ჩემს თვალში იგი დღითიდღე ახალგაზრდაედება და სულ უფრო და უფრო მომხიბვლელი ხდება.

ჩვენ ვისადილეთ და დიდხანს ვსაუბრობდით. როცა მიტხრა, რომ სწრაფად ვითვისებ ყველაფერს და მალე მასაც უკან მოვიტოვებ, გამეღიმა.

— მართალს გეუბნები, ჩარლი. შენ უკვე ჩემზე უკეთ კითხულობ. თვალის ერთი გადავლებით შეგიძლია აღიქვა მთელი გვერდი, მე კი იმავე დროის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე სტრიქონის წაკითხვას ვასწრებ. თანაც შენ წიგნის ყოველი უმცირესი წერილმანი გამახსოვრდება, მე კი, დიდი-დიდი, მხოლოდ ძირითად აზრსა და საერთო შინაარსს თუ გავიხსენებ.

მხრები ავიჩეჩე.

— რაღაც ვერ ვატყობ, ასე დაეჭვოიანებულიყავი. რამდენი რამეა, რაც მე არ ვიცი ან, უბრალოდ, ჭერ კიდევ არც მესმის.

— მისს კინიენმა სიგარეტი აიღო და მე ანთებული ასანთი გავუწოდე.

— ცოტაც მოითმინე, ჩარლი. რაზეც შენ სულ რაღაც დღეებსა და კვირებს ხარჯავ, სხვებს სიცოცხლის ნახევარი სჭირდებათ. სწორედ ეს მოაცებს შენში. შენ თითქოს იწოვ ყოველგვარ ინფორმაციას, ფაქტებს, ციფრებს, ზოგად ცნობებს. მალე კი ყოველივე ამის ურთიერთდაკავშირებასაც დაიწყებ — გაიგებ შეფარდებას ცოდნის სხვადასხვა განხრებს შორის. უამრავი სხვადასხვა დონე არსებობს, ჩარლი. ეს კიბის საფეხურებს ჰგავს, სულ უფრო და უფრო ზევით რომ მიყავხარ და შენც საშუალება გეძლევა უკეთ შეიცნო გარემო სამყარო.

ის უცებ მოიღუშა.

— ოღონდ კი...



— ოღონდ რა?

— არაფერი, ჩარლი. მე მხოლოდ ის გავიფიქრე, ხომ არ შეეცდი-მეთქი, თბერაქიანზე დათანხმება რომ გირჩიე.

გამეცინა.

— ნეტა ასეთი აზრები საიდან მოგდით. ყველაფერი რიგზეა — ელქერ-ნონსაც კი არ ეტყობა რაიმე.

რამდენიმე ხანს არც ერთს ხმა არ ამოგვიღია. ვიცილი, რასაც გულის-ხმობდა, მაგრამ ამაზე ისევე არ მინდოდა ფიქრი, როგორც მოხუცებს — სიკე-ლილზე. ვიცილი, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. კარგად მესმოდა კიბის საფეხურების ანალოგია, რადგან, ზოგიერთი მათგანი უკვე განვლილი მქონ-და.

იმის გაფიქრებაზე, რომ შესაძლოა მისს კინიენის გაკვეთილები აღარც დამჭირდეს, სევდა შემომაწვა.

მგონი, შეყვარებული ვარ.

10 მაისი

უკვე აღარ ვმუშაობ ფაბრიკაში. მისტერ დონეგანმა პირდაპირ განმიცხა-და, ყველასათვის აჯობებს, შენი ნებით რომ წახვიდეო. პეტრეცა მჩვენა: 840 ხელმოწერა — ყველასი, ვისაც კი რაიმე კავშირი აქვს ფაბრიკასთან...

ინტელექტი კედელივით აღიმართა ჩემსა და იმათ შორის, ვისაც აღრე ვიცნობდი და მიყვარდა. აქამდე ჩემი უფიცობისა და ჭკუასუსტობის გამო მიგდებდნენ მასხრად, ახლა კი სწორედ საპირისპირო მიზეზით მიშორებენ თავიდან. ღმერთო, რას მერჩიან!

ასეა თუ ისე, სამუშაოდან დამითხოვეს. ახლა კიდევ უფრო ეულად ვგრძნობ თავს, ვიდრე ოდესმე...

24 მაისი

დოქტორი შტრაუსი მეტისმეტად აღრენილია ჩემზე, რადგან ამ ორი კვირის მანძილზე არც ერთი ანგარიში არ დამიწერია. კაცმა რომ თქვას, მარ-თალიცაა — რაც ფაბრიკიდან გამომაგდეს, მას შემდეგ ხომ ლაბორატორია მიხდის ფულს. მე ავუხსენი, ვერ მოვიცალე — ბევრს კვითხულობდი და ეფიქრობდი-მეთქი. როცა წამომცდა, წერის პროცესის მოუქნელობას მოთმი-ნებიდან გამოვყავარ-მეთქი, მირჩია მანქანაზე ბეჭდვა მესწავლა. ახლა უკვე ბევრად მეადვილება, რადგან წუთში 70 სიტყვამდე შემიძლია დაგებულო. დოქტორი ნემიური წარამარა მასხენებს უფრო მარტივად წერისა და ლაბ-რაქის აუცილებლობას, რათა სხვებსაც შეეძლოთ ჩემი გაგება.

გასულ სამშაბათს მე და ელქერნონი ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის სხდომაზე გამოგვიყვანეს. ნამდვილი სენსაცია მოვახდინეთ და დოქტორ ნე-მიურს უკვე სურს მოიმკას თავისი შრომის ნაყოფი. ეს, უეჭველია, მისი ნემიურის მცდელობის შედეგია.

იმ შთაბეჭდილების საწინააღმდეგოდ, რასაც იგი აღრე ახდენდა ჩემზე, ახლა ვხვდები, რომ დოქტორი ნემიური სულაც არაა გენიოსი. თქმა არ უნდა, შესანიშნავი თეორეტიკოსია, მაგრამ თვითრწმენა აკლია. მხოლოდ მაშინ გრძნობს თავს დაჭერებულად, თუ მისი გამოკვლევები საყოველთაო ყურად-ღებას იპყრობს. მე მგონი, მას იმიტომაც ეშინოდა დემონსტრაციის შემდგო-



მი გადავადებებს, რომ შესაძლოა ვინმე სხვას გაეკეთებინა ანალოგიური აღმოჩენა და მისთვის ჩამოერთმია პირველობის პატივი.

სამაგიეროდ, დოქტორ შტრაუსს კი შეიძლება კაცმა გენიოსი უწოდოს, თუმცა ვგრძნობ, მისი ცოდნა და უნარი მეტად ცალმხრივია: ვიწრო სპეციალიზაციამ ამ უნიჭიერეს ადამიანსაც დაასვა თავისი დაღი. ერთხელ გამომიტყდა კიდევ — მკვდარი ენებიდან მართო ლათინური ვიცე, ხოლო ელემენტარული ვარიაციული აღრიცხვების ფარგლებს გარეთ, შეიძლება ითქვას, უმაღლესი მათემატიკისა აღარაფერი გამეგებო. უცნაურად გამაღიზიანა ამ უადგილო აღსარებამ: ეს ისე აღვიქვე, თითქოს მანამდე სულ თავს მაწონებდა და (როგორც ვატყობ, ეს ბევრი ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა) ცდილობდა სულ სხვა შთაბეჭდილება მოეხდინა ჩემზე.

**26 მაისი**

დოქტორი ნემიური აშკარად გაურბის ჩემთან საუბარს. ხანდახან რომ შევეცდები გამოველაპარაკო, უცნაურად შემომხედავს ხოლმე და ზურვს მაქცევს. ჭერ გულიც კი მომივიდა, როცა დოქტორმა შტრაუსმა მოთხრა, შენ გამო არასრულფასოვნების შეგრძნება უჩნდებაო, ვიფიქრე, მამასხარავებს-მეთქი; მე კი მეტად მტკივნეულად განვიციდი ყოველგვარ დაცინვას. რას ვიფიქრებდი, თუ ისეთ სახელმძღვანელო ფსიქოლოგ-ექსპერიმენტატორს, როგორიც ნემიურია, არც ჩინური ეცოდინებოდა და არც ჰინდი: ეს ხომ უაზრობაა, თუ გაეთვალისწინებთ იმ გამოკვლევებს, ახლა რომ ტარდება ჩინეთსა და ინდოეთში, თანაც სწორედ ამ განხრით. ერთხელ ვკითხე კიდევ დოქტორ შტრაუსს, როგორ აპირებს ნემიური პასუხი გასცეს რამადჯამატის, რომელმაც ახლაზან გააკრიტიკა მისი მეთოდი და მიღებული შედეგები, თუკი მას საერთოდ არ შეუძლია ინდოეთში გამოცემული შრომების წაკითხვა-მეთქი. მაგრამ ამ დროს დოქტორ შტრაუსს ისეთი უცნაური გამომეტყველება აღებეჭდა სახეზე, რაც მხოლოდ ერთს შეიძლება მოასწავებდეს — მას ან არ სურს გააგებინოს ნემიურს, რასაც ინდოეთში წერენ, ან, არადა, დოქტორმა შტრაუსმა თვითონაც არაფერი იცის ამის შესახებ...

**28 მაისი**

მეტისმეტად განვიციდი ერთ ამბავს. გუშინ საღამოს მისს კინიენს შევხვდი — კვირაზე მეტი იყო არ მენახა. გამახსენდა დოქტორ ნემიურის გაფრთხილება და შევეცადე საუბარი უბრალო, ყოველდღიური თემებით შემომეფარგლა, მაგრამ მან დაბნეულად შემომხედა და მკითხა, რას ნიშნავსო მათემატიკური ექვივალენტის შეცვლა დობერმანის მეხუთე კონცერტში...

როცა შევეცადე ამეხსნა, გაეცინა და თავი გააქნია. ვატყობ, სხვა დონეზე ვესაუბრები. მაგრამ რა თემაზეც არ დავიწყებ ლაპარაკი, საერთო ენა მაინც ვერ გამოვჩანებ. სულ მალე ალბათ ველარც შევძლებ ადამიანებთან ურთიერთობას. კიდევ კარგი, ამჟვეყნად არსებობს წიგნები, მუსიკა და უამრავი პრობლემა, რომლებზეც შეიძლება ვიმუშაო.

**1 ივნისი**

ერთი შემთხვევა რომ არა, ვერც კი შევამჩნევდი კაფეში, სადაც საერ-

თოდ დაედიეარ ხოლმე სეაბშშოდ, 15-16 წლის ბიჭუნას — ახლად აყენილ კურკლის მრეცხავს.

...თეფშების გროვამ კახანი მოაღინა იატაკზე, ნამსხვრევებად იქა და თეთრი ფაიფურის ნატებები მაგიდებქვეშ მიმოიფანტა. შიშისაგან რეტდასხმულ ბიჭს სინი არც კი გაუშვია ხელიდან, ადგილზევე გაქვავდა. კაფეში მსხდომთა სტვენამ და დამცინავემა შეძახილებმა — „აი, მესმის ზარალი...“ „მომილოცავს!...“ „ღიღახანს კი აღარ მოუწევს აქ მუშაობა...“ — ეტყობა, სულ დააფთო საწყალი.

ხმაურზე პატრონი გამოვიდა. ბიჭუნა შიშისაგან მოიკუნტა, ცემას მოელოდა და თითქოს დარტყმის თავიდან ასაცილებლად, ხელები გაიშვირა წინ.

— კარგი, გეყოფა, შე რეგვენო შენა! — დაუღრიალა პატრონმა, — რას დარტყობილხარ ბოძივით! აილე ცოცხი და გახვეტე ეგ ნაგავი. ცოცხი, ცოცხიმეთქი, იდიოტო! სამზარეულოშია... ერთი ნამსხვრევიც არსად დაჯრჩეს, იცოდე!

ბოლოს და ბოლოს ბიჭუნა მიხვდა, დასჯას არ უპირებდნენ. შეშინებული გამომეტყველება ნელ-ნელა გაუქრა სახიდან, ხოლო სამზარეულოდან რომ გამოვიდა ცოცხით ხელში, უკვე იღიმებოდა და რალაცას ღიღინებდა თავისთვის. კაფეში მსხდომნი კი მაინც ველარ მორჩნენ ოხუნჯობას:

— ერთი უკანაც მიიხედე, რა ნატები გღია..

— მიდი, მიდი, ნუ გრცხვენია, გამოუსევი ცოცხი!

— არც ისეთი სულელი ყოფილა, ახლა მაგ თეფშების აღარც რეცხვა დაქირდება და აღარც მშრალება...

ის ხან ერთს შეხედავდა თავისი გამოთავყვანებული, არაფრისმეტყველი თვალებით, ხან მეორეს; თანდათანობით მასაც გადაედო დამსწრეთა მზიარელება და ბოლოს თვითონაც ჩაიხიბითთა რალაც ხუმრობაზე, რომლის მულამს აღბათ ვერც ჩახვდა.

გულში მწარედ გამკენწლა ამ სულელურმა ღიმილმა, ფართოდ გახელილმა ბავშვურმა თვალებმა — გაუბედაობა და მამებლობის პირუტყველი სურვილი ერთდროულად რომ ჩაბუდებოდა. რალაც მომაწვა ყელში, წამოეხტი, ვიყვირე:

— ხმა ჩაიწყვიტეთ! გეყოთ, დაანებეთ თავი! რა მისი ბრალია, თუ ვერაფერს ხედდება... ღეთის გულისათვის, ის ხომ მაინც ადამიანია!..

სიჩუმე ჩამოვარდა. საკმელს აღარც გავკარებდვარ, ფული გადავიხადე და გარეთ გამოვედი. ვედილობდი ბიჭუნასათვის არ შემეხვდა. მრცხვენოდა — ორივეს მაგიერად...

უცნაურია, ნორმალური ფსიქიკის მქონე ხალხს აზრალაც არ მოუვთ ხეიბარი თუ უსინათლო გააქილიკონ, სამაგიეროდ, არაფრად უღირთ შეურაცხყონ თანდაყოლილი ჰქუასუსტობით დააეადებული ადამიანი.

მაცოფებდა იმის გახსენება, რომ ამ ცოტა ხნის წინათ, საკუთარი უმეცრების გამო, მეც ასევე ვიმასხარაეებდი თავს. თითქმის დავიწყებული მქონდა ყოველივე, საკუთარ თავს გადავუმალე ადრინდელი ჩარლი გორდონი — დღეს, იმ ბიჭის შემყურეს, პირველად რომ წარმომიდგა თვალწინ. მეც ხომ ასეთი ვიყავი, სწორედ ასეთი.

ხშირად თვალს გადავავლებ ხოლმე ჩემს ანგარიშებს და ეხედვო უწიგ-

ნურ, ბავშვურად გულუბრყვილო, საწყალობელ — თითქოსდა ბნელ ოთახში გამოშფუყდებულ ინტელექტს, გასაღების ჭურჭლიდან ხარბად რომ მისჩერებოდა გარემომცველ ნათელს. მაგრამ ჩემი გონების მთელი სიჩღუნის მიუხედავად, მაინც ვგრძნობდი საკუთარ არასრულფასოვნებას, ვატყობდი, სხვებს გაჩნდათ რაღაც ისეთი, რაც მე მაკლდა, რაც არ მარგუნა ბედმა. ვხვდებოდი, რომ ეს როგორღაც წერა-კითხვისთან იყო დაკავშირებული და ეჭვი არ მეპარებოდა, როგორც კი დავეუფლებოდი ამ ხელოვნებას, ნათელ გონებასაც თავისთავად მოვიპოვებდი.

ჭკუასუსტიც კი იტანჯება და ცდილობს ნორმალურ ადამიანებს დაემსგავსოს.

ბავშვმა შესაძლოა არ იცოდეს, როგორ ან რით დაიბუროს თავი, მაგრამ თავად შიმშილის გრძნობა ხომ ნაცნობია მისთვის...

ბევრი რამ გავიზარე ამ დღეს. ნათლად წარმომესახა ჩემი წარსული და გადავწყვიტე ყველაფერი მელონა, მთელი დაგროვილი ცოდნა და ძალა ინტელექტის ზღვრის ხელოვნურად გაზრდის პრობლემისათვის მომეხმარა. ჩემ გარდა ხომ არაფერია უცხოვრია გონების ნათლისა და სიბნელის ორივე სამყაროში და არც მეგულება ვინმე, ჩემზე უკეთ შეეძლოს ამ საქმისათვის თავის გართმევა. ხვალვე მივალ ლაბორატორიაში და ვთხოვ, საშუალება მომცენ რაიმე მოვიმოქმედო მათთვის.

სამუშაოს მეთოდის თაობაზე კი დოქტორ შტრაუსს მოველაპარაკებო. ვინ იცის, ბედის წყალობით იქნებ გადავწყვიტო კიდევ ამ ოპერაციების ფართოდ გამოყენების საკითხი. რაღაც-რაღაც მოსაზრებები უკვე მაქვს. ვნახოთ.

მე ხომ თითქმის გენიოსი გამხადეს, ჩემთან ერთად კი რამდენი სწავლობდა გონებრივად ჩამორჩენილთა სკოლაში... ხოლო ინტელექტის რა ფანტასტიკურ დონეს შეიძლება მიაღწიოს ნორმალურმა ადამიანმა, აღარას ვამბობ გენიოსებზე!

რა გამლებს ხელამდგე?..

## 2 ივნისი

ეს დღეს მოხდა, დილით. ელქერნონმა მიკბინა. ლაბორატორიაში შევედი მის მოსანახულებლად. გალიიდან რომ ამოვიყვანე, საჩვენებელ თითში ჩამასო კბილები. უკანვე ჩავსვი და კარგა ხანს თვალს არ ვაშორებდი. უჩვეულოდ აფორიაქებული და ბრაზიანი მეჩვენა.

## 4 ივნისი

ბერტმა მითხრა, ელქერნონი ძალიან შეიცვალაო. სულ უფრო და უფრო უფუჭდება ხასიათი. უარს ამბობს ლაბორინთიდან გამოსასვლელს პოვნაზე, არ ჭამს. ვერაფერს მიმხვდარა, რა ემართება.

## 5 ივნისი

იძულებულნი არიან ხელით აჭამონ ელქერნონს, რადგან თვითონ ვეღარ აღებს ცვლად საკვებთან კარებს. ვატყობ, უკვე მეც მაკვირდებიან და ჩემს ჭკევას ელქერნონისას უდარებენ. გარკვეული აზრით, ჩვენ ხომ ბევრი რამ გვაქვს საერთო — ორივენი პირველები ვართ. მართალია, ყველა ცდილობს ისე მომაჩვენოს, თითქოს ელქერნონის ჭკევას არ შეიძლება რაიმე მნიშვნე-

ლობა ჰქონდეს ჩემთვის; მაგრამ ერთი რამაა საგულისხმო — იმ ცხოველთა-  
გან, რომლებზედაც მსგავსი ცლა ჩატარდა, ბევრი მეტად უცნაურად იქცევა.  
ჯერ დოქტორმა ნემიურმა, მერე კი დოქტორმა შტრაუსმაც მთხოვა, აღარ  
მივსულიყავი ლაბორატორიაში ვიცი, რასაც ფიქრობენ, მაგრამ ამაზე მაინც  
ვერ დავეთანხმები. ამ ორი ღირსეული მეცნიერისადმი მთელი ჩემი პატივის-  
ცემის მიუხედავად ვგრძნობ — უკვე მიაღგნენ თავიანთი შესაძლებლობების  
მიჯნას. თუკი არსებობს რაიმე გამოსავალი, მე თვითონ მომიწევს მისი პოვნა.  
სრულიად მოულოდნელად დროის ფაქტორი გადამწყვეტ მნიშვნელობას  
იმენს ჩემთვის.

**9 მაისი**

ჩემს სრულ განკარგულებაში გადმოვიდა პატარა ლაბორატორია. განვაგრ-  
ძობ ცდებს. დღე და ღამეს ვასწორებ და თითქოს რაღაც უკვე გამოიკვეთა.  
ლაბორატორიაში გასაშლელი ლოგინი მოვატანინე. ჩანაწერებისათვის გამო-  
ყოფილი დროის უმეტეს ნაწილს შენიშვნებსა და ექსპერიმენტების მსვლე-  
ლობის აღწერას ვანდობებ, მაგრამ ხანდახან ისევ მიჩნდება სურვილი დღიურ-  
ში ჩავიწერო რაიმე, რაღაცნაირად მაინც გამოვხატო ჩემი სულიერი მდგომა-  
რეობა.

გამოკვლევათა განსაკუთრებით მიმზიდველ და საინტერესო სფეროდ ინ-  
ტელექტის პოტენციის გამოთვლა მიმაჩნია. სწორედ ამ მხრივ შემიძლია მაქ-  
სიმალურად გამოვიყენო ჩემი ცოდნა და უნარი. მთელი ჩემი ცხოვრება ხომ,  
გარკვეული აზრით სწორედ ამ პრობლემასთანაა დაკავშირებული.

**31 მაისი**

დოქტორ შტრაუსს მიაჩნია, რომ მეტისმეტად ინტენსიურად ვმუშაობ.  
დოქტორმა ნემიურმა კი პირდაპირ მითხრა: „რამდენიმე კვირაში გსურს ჩა-  
ატიო და სისრულეში მოიყვანო ისეთი გამოკვლევები, რომელთა განსახორ-  
ციელებლად მთელი ცხოვრებაა საჭირო“. შესაძლოა ზედმეტიც მომდის, მაგ-  
რამ თითქოს რაღაც შინაგანი იმპულსი მიბძვებს და არ მაძლევს მოსვენებას...

უნდა გავარკვიო ელჭერნონის სწრაფი რეგრესის მიზეზი; უნდა ვიცოდე,  
მეც ხომ არ მომელის იგივე და თუ ასეა, როდის.

**4 ივნისი**

**დოქტორ შტრაუსისადმი მიწერილი ბარათის ასლი**

ძვირფასო დოქტორო შტრაუს!

ცალკე კონვერტით გიგზავნი ჩემი ნაშრომის ხელნაწერს, რომლისთვი-  
საც თავს ნება მივეცი „ელჭერნონ-გორდონის ეფექტი: ხელოვნურად განვი-  
თარებული ინტელექტის სტრუქტურისა და ფუნქციების ანალიზი“ მეწოდე-  
ბინა. მინდა წაიკითხოთ და, იმედი მაქვს, გამოქვეყნებასაც ითავებთ.

ჩემ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები უკვე დასრულდა. ნაშრომშივეა  
შეტანილი ყველა ფორმულა, ხოლო დანართში — მათემატიკურა ანალიზიც.  
კარგად მესმის, რას ნიშნავს ეს ყოველივე თქვენსა და დოქტორ ნემი-  
ურისათვის (საჭიროა კი დავუმატო, ჩემთვისაც-მეთქი?) და შეცდომის პოვნის



იმედით, არა ერთი და ორი ათეული ცდა ჩავატარებ გამოკვლევებს შედეგთა შესამოწმებლად. ჩვენდა სავალალოდ, ყველა მიღებული დასკვნა მართებულა...

არადა, უნდა ვალიარო — მაინც კმაყოფილი ვარ, რაკილა მოვახერხებ რამდენიმე, აქამდე უცნობი ფაქტორის დამატება იმ მონაცემთა ერთობლიობისათვის, ადამიანის ტვინის ფუნქციებსა და ინტელექტის ხელოვნურად განვითარების წარმმართველ კანონებს რომ შეეხება. მასსოვს, თვითონ მითხარით ერთხელ — ექსპერიმენტის ჩავარდნა, თეორიის უარყოფა თუ მათი წარმატება თანაბარმნიშვნელოვანია მეცნიერების პროგრესისათვის, და სწორედ ასლა ვხვდები, რამდენად მართებული იყო ეს მოსაზრება. ვწუხებარ მხოლოდ, რომ მეცნიერების სფეროში ჩემი საკუთარი წვლილი მთლიანად აქარწყლებს იმ ორი ადამიანის ნამოღვაწარს, რომელთაც მე ეგზომ ვფასებ.

გულწრფელად თქვენი ჩარლზ გორდონი.

### 5 ივნისი.

ნერვები უნდა დავიოკო. ფაქტობრივი მასალა და ცდის საერთო შედეგები არავითარ ექვს არ ტოვებს, რომ დოქტორ ნემიურისა და დოქტორ შტრაუსის მეთოდით ადამიანის ინტელექტის ხელოვნურად გაზრდა ისეთ აღმოჩენად უნდა მივიჩნიოთ, რომლის პრაქტიკული გამოყენება ჯერჯერობით არათუ სადავო — შესაძლოა სავსებით მიუღებელიც კი იყოს.

ვათვალერებ ელჯერონზე ჩატარებული ექსპერიმენტის მსვლელობის ჩანაწერებსა და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მასალებს. თუმცა ფიზიკურად ის განვითარების უწინდელ სტადიაშია, გონებრივი მონაცემების მხრივ რეგრესი აშკარაა: შესუსტებულია ძრავითი აქტიურობა, მკვეთრად დაქვეითდა შინაგანი სეკრეციის ჯირკვალთა მოქმედება, სწრაფად კარგავს კოორდინაციის უნარს.

მოსხენებაში საგანგებოდ მივუთითებ, რომ ჩემ მიერ გაანგარიშებული ფორმულის გამოყენების შემთხვევაში შეგვიძლია მნიშვნელოვანი სტატისტიკური სიზუსტით ვიწინასწარმეტყველოთ როგორც ზემოჩამოთვლილი, ასევე ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობის გაუარესების ზოგიერთი სხვა ნიშანიც.

სტიმულის მომცემმა ქირურგოულმა ჩარევამ ჩვენს ტვინში წარმოებული ყველა გონებრივ-შემეცნებითი პროცესის დაჩქარება და გაძლიერება გამოიწვია; ხოლო ის გაუთვალისწინებელი მოვლენები, რომელთაც „ელჯერონ-გორდონის ეფექტი“ ვუწოდებ, აზროვნების პროცესთა ხელოვნურად გამოწვეული საერთო დაჩქარების სავსებით ლოგიკურ შედეგად წარმოგვიდგება. ამ, ვგონებ, უკვე დამტკიცებული ჰიპოთეზის ფორმულირება მოკლედ ასეთია: ხელოვნურად გაზრდილი ინტელექტი მიღწეული დონის პირდაპირპროპორციული სისწრაფით ქვეითდება.

კაცმა რომ თქვას, ეს უკვე თავისთავად მნიშვნელოვანი აღმოჩენაა.

ყველა მონაცემის მიხედვით, ჩემი გონებრივი დეგრადირების პროცესი მეტად სწრაფი იქნება. უკვე ვამჩნევ ემოციური არამდგრადობისა და გულმავიწყობის ნიშნებს — დასასრულის მომასწავებელ პირველ ნიშნებს.

**10 ივნისი**

რეგრესი მატულობს. სულ უფრო და უფრო უგულისყურო და გონება-დაფანტული ვხდები. ორი დღის წინ ელჭერნონი მოგვიცვდა. გაყვეთამ მზოლოდ დადასტურა ჩემი მოსაზრების სისწორე. ტენის წონა შეეცირებია, გაფართოებული და გაღრმავებულია ღარები, აშკარად ეტყობა ტენის ხვეულთა საერთო გაშლაც. საფიქრებელია, იგივე პროცესი ან უკვე დაიწყო, ან არაა, მალე დაიწყება ჩემშიც.

ელჭერნონის გვამი მუყაოს კოლოფში ჩაედე და უკანა ეზოში დაეფალი. ვიტირე.

**15 ივნისი.**

ჩემთან იყო დოქტორი შტრაუსი. კარი არ გავუღე და ვთხოვე წასულიყო. თავი გამანებონ, მარტო მინდა დარჩენა. უკვე ყველაფერი მალიზიანებს. ვგრძნობ, გარშემო როგორ ჩამოწვა ბნელი. ვცდილობ არ ვიფიქრო თვითმკვლევლობაზე. სულ ვახსენებ თავს, რაოდენ მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს შემდგომ ეს დღიური.

მეტად უცნაური შეგრძნებაა, როცა ხელში იღებ წიგნს, სულ ერთი თვის წინ ასეთი სიამით რომ კითხულობდი და ხედავ, შინაარსიც კი დაგვიწყნია. მახსოვს, რა დიად აღამიანად მესახებოდა მილტონი, მაგრამ დღეს „დაკარგული სამოთხის“ გადაკითხვა რომ ვცადე, ველარაფერი გავუგე. ლამის გავცოფდი, წიგნი ოთახის კუთხეში მოვისროლე და მერე მისკენ აღარც გამიხედავს. უნდა შევინარჩუნო თუნდაც მცირეოდენი, -- მცირეოდენი იმისა, რაც ამ ხნის განმავლობაში მოვიბოვე.

უფალო, ნუ წამართმევ ყველაფერს....

**19 ივნისი.**

მეზხიერებას ვკარგავ. რაიმე უნდა ვიღონო. ხანდახან ვიღვიძებ და კარგა ხანს ვერ ვერკვევი, ვინ ვარ ან სად ვიმყოფები, მერე კი თითქოს გონება მინათდება. ამნეზიის თვითნებობაა. დაბერების სიმპტომი — ბავშვური გამოხდომებიც დამეწყო. რა დაუნდობლად ლოგიკურია ყველაფერი! თითქოს მეყსეულად შევიცანი გარე სამყარო, ახლა კი ჩემი ინტელექტის კოეფიციენტი სწრაფად იწვეს ძირს და ისევ მეზმობა გონება. მაინც ყოველი ღონე უნდა ვიხმარო და როგორმე წინაღუდგე თითქოსდა გარდუვალ შედეგს. თავიდან ვერ მომიშორებია მოგონება იმ ბიჭუნაზე, ჭურჭული რომ დაამსხვრია კაფეში — გამოთაყვანებელი მზერა, სულელური ღიმილი, ხალხი, ყოველად უმიზნოდ რომ დასცინოდა უბედურს. ოღონდ ეს არა... ღმერთო, ნუთუ ისევ... დამეწყო...

**22 ივნისი.**

მაიწყდება, რაც ამ ბოლო ხანს შევისწავლე. როგორც ჩანს, რეგრესი კლასიკური მოდელის მიხედვით მიმდინარეობს — პირველ რიგში ქრება ის, რაც ბოლოს აითვისა გონებამ. თუმცა შეიძლება კი ეს უცილობელ კანონად მივიჩნიოთ? კიდევ ერთხელ უნდა გადავავლო თვალი...

ხელახლა წაიკითხე ჩემი მოხსენება „ელჭერნონ-გორდონის ეფექტის შე-

სახებ. მეჩვენება, თითქოს სულაც სხვისი დაწერილია. ზოგიერთი აზმაცის მნიშვნელობა საერთოდ არ მესმის.

მუდმივად ფეხქვეშ მედება იატაკზე დაყრილი ნივთები, ერთი-ორჯერ კინალამ დავეცი. სულ უფრო და უფრო მიძნელდება მანქანაზე ბეჭდვა. მკვეთრად დამიქვეითდა მოძრაობის კოორდინაცია.

### 28 ივნისი.

იძულებული ვავხდი ბეჭდვაზე ხელი ამელო. ვგრძნობ, ბანგალაუღივით სულ უფრო და უფრო ნელა ემოძრაობ. დღეს კიდევ ერთი მძიმე დარტყმა გადავიტანე. ხელთ მჭონდა კრიუფერის სტატია „Über psychische Ganzheit“<sup>1</sup>, რომელშიც ხშირად ჩაიხედავდი ხოლმე გამოკვლევების დროს — მინდოდა მენახა, ახლაც ხომ ვერ დამეხმარებოდა რითიმე. თავდაპირველად მეგონა, სათვალე ვერ მოვირგე-მეთქი კარვად. მერე მივხვდი, ვეღარ ვკითხულობდი გერმანულად. სხვა ენებზეც ვცადე. ყველაფერი დამვიწყებია.

### 30 ივნისი

მთელი კვირა გავიდა, სანამ ისევ ვაიძულე თავი დღიურის წერა განმეგრძო. ვატყობ, სილსავით თითებზეა მიჭრება ყველაფერი. წიგნებს ძნელად ვკითხულობ უკვე. ახლა მათი დანახვაც კი მალიზიანებს — მახსენდება, სულ რაღაც ორიოდე კვირის წინ უწყალებლად რომ ვგებულობდი ყველაფერს.

კვლავ და კვლავ ვარწმუნებ საკუთარ თავს, რომ აუცილებელია ამ ანგარიშების წერა. შეიძლება დადგეს დრო და სხვებს დაჭირდეთ იმის გაგება, რაც ჩემს თავს იყო დასასრულს. მაგრამ სულ უფრო და უფრო მიძნელდება შესაბამისი სიტყვების პოვნა, ხშირად მაეიწყდება კიდევ, როგორ იწერება ზოგიერთი. ახლა უკვე მარტივი სიტყვებისათვისაც კი ლექსიკონში ვიხედები და ნერვები მეშლება.

დოქტორი შტრაუსი ყოველდღე მოდის ჩემთან, მაგრამ მე ვუთხარი, არავის ნახვა არა მსურს და არც ლაპარაკი მინდა-მეთქი ვინმესთან. დამნაშავედ გრძნობს თავს. და სხვებიც ასევე. მე კი არავის ვადანაშაულებ. ხომ წინასწარ გამაფრთხილეს, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო.

მაგრამ მაინც რა ძნელი დასათმენია ასეთი ბოლო...

### 7 ივლისი.

არ ვიცი, სად ვაქრა ეს კვირა. მხოლოდ ვიცი, რომ ახლა კვირადღეა, იმიტომ რომ ფანჯარაში დავინახე, როგორ შედიოდა ხალხი ეკლესიაში. მეგონი მთელი ეს დღეები ლოგინში ვიწექი. მახსოვს მხოლოდ რომ მისის ფლინმა რამდენჯერმე საქმელი მომიტანა. სულ ვეუბნები თავს რომ რაღაცა მაქ გასაკეთებელი, მერე კი მაეიწყდება. ან იქნებ სულაც იმიტომ, რომ უფრო ადვილია არაფერიც არ გავაკეთო.

ბოლო დროს ჩემს მშობლებზე ფიქრი დამჩემდა. სურათი ვიპოვე, სადაც ჩვენ სამივე ზღვის პირას ვართ გადაღებული. მამას დიდი ბურთი უჭირავს, დედას კი ხელი ჩაუკიდია ჩემთვის. მე ისინი არ მახსოვს ისეთები როგორიც ფოტოზე არიან. მე მამაჩემი სულ მთვრალი მახსოვს და როცა დედა-

<sup>1</sup> «ფსიქიკური ერთიანობის შესახებ» (გერმ.).

ჩემს ფულის გამო ეჩხუბებოდა. წვერს იშვიათად იპარსავდა და როცა ხელში ამიყვანდა, სულ მიკაწრავდა სახეს. დედაჩემი ამბობდა, მოკვდაო, მაგრამ ჩემმა ბიძაშვილმა მილტიმ მითხრა, მშობლებისგან გავიგონე, სხვა ქალთან ერთად გაიქცაო. როცა ამის შესახებ დედას ვეითხე, თავში წამოთაქა და მითხრა, მამა მოკვდაო.

მე შგონ ვეღარც ვერასოდეს გავიგებ სიმართლეს და კაცმა რომ თქვას ფეხებზეც მკიდია. ერთხელ მითხრა ფერმაში წაგიყვან და ძროხებს განახებო, მაგრამ მერე არც უფიქრია. ის არასოდეს არ მისრულებდა დანაპირებს.

### 11 ივლისი.

ჩემი დიასახლისი მისის ფლინი ძალიან წუხს ჩემზე. ამბობს როცა მე ასე მთელი დღე ლოგინში ვგორაობ და არაფერს ვაკეთებ მე მას ვაგონებ მის შვილს რომელიც სახლიდან გააგდო. მან თქვა რომ არ უყვარს უსაქმურები. თუ მე ავთ ვარ ეს ერთია და თუ სიზარმაცემ ამიტანა ეს კიდევ სხვა და ამას არ მომიტმენს. მე ვუთხარი რომ ეტყობა ავთ გავზდი.

ვცდილობ ცოტაცოტა ყოველდღე ვიკითხო უფრო მეტად მოთხრობები. მაგრამ ზოგჯერ ერთი და იგივე ადგილის წაკითხვა რამდენჯერმე მიწევს იმიტომ რომ არ მესმის ხოლმე რას ნიშნავს. წერაც მიჭირს. ვიცი რომ სიტყვები ლექსიკონში უნდა მოეძებნო მაგრამ ეს ადვილი არ არი მე კი ყოველთვის მაღე ვიძლევი. მერე გადავწყვიტე რომ გრძელი და ძნელი სიტყვების მაგივრათ მართო ადვილი სიტყვები დაეწერო. ასე ცოტა დრო დამჭირდება.

კვირაში ერთხელ ელჯერნონის საფლავეზე მიმაქ ყვავილები. მისის ფლინი ფიქრობს გავაფრინე თავის საფლავეზე რომ ვდებ ყვავილებს მაგრამ მე ვუთხარი ელჯერნონი სულ სხვანაირი თავგი იყო მეთქი.

### 14 ივლისი.

ისევ კვირაა. მე არ ვიცი რა ვაკეთო იმიტომ რომ ჩემი ტელევიზორი გაშრტყდა და ფული კი არა მაქ. მგონი ლაბარატორიიდან გამოგზავნილი ამთვის ჩევი დაეკარგე თუ რაღაც ამდაგვარი. არ მახსოვს.

თავი მისკდება და წამალი თითქმის არაფერს მშველის. მისის ფლინმა იცის რომ მართლა ავთავარ და ვეცოდები. ის ძაან კეთილი ქალია თუკი ვინმე ავთ გახდა.

### 22 ივლისი

მისის ფლინმა ვიღაცა სხვა უცნობი ექიმი მოიყვანა. შეეშინდა რომ ვკვდებოდი. მე ვუთხარი ექიმს რომ არცისე ავთ ვარ მხოლოდ ხანდახან ვველაფერი მაიწყდება. მან მკითხა მეგობრები ან ნათესალები ხომ არა ჯყავს. და მე ვუთხარი რომ არაგინ. მერე ვუთხარი ერთხელ მყავდა მეგობარი რომელსაც ელჯერნონი ერქვა მაგრამ ის თავგი იყო და ჩვენ ერთმანეთს ვეჭიბრებოდით. მან რაღაცა უცნაურათ შემომხედა თითქოს გიჟი ვეგონე. მერე როცა ვუთხარი ერთხელ გენიოსი ვიყავი გაეღიმა. ის ისე მეღაპარაკებოდა როგორც პატარა ბავშვს და მერე მისის ფლინს თვალი ჩაუქრა. მე გაებრაზდი და გავაგდე იმიტომ რომ ისევე დამცინოდა როგორც ყველა ადრე.

**24 ივლისი.**

მე ფული აღარა მაქ და მისის ფლინი ამბობს უნდა სადმე ვიმუშაო რომ ოთახის ქირა გადაეხადო მე ხომ ორ თვეზე მეტია მისთვის ფული არ მიმიცია. მეკი იმას ვარდა არაფრის კეთება არ ვიცი რასაც კოლოფების ფაბრიკაში ვაკეთებდი. მე არ მინდა იქ დაბრუნება იმიტომ რომ იქ მიცნობდნენ როცა ჰკვიანი ვიყავი და ესხა ალბათ დამცინებენ. მაგრამ მე არ ვიცი სხვანაირათ როგორ უნდა ვიშოვო ფული.

**25 ივლისი.**

მე წავიკითხე ზოგიერთი ჩემი ნაწერი და უცნაურია მაგრამ ვერ გაეგებ რა მიწერია. მერე მისს კინიენი იყო ჩემთან და კარგფთან იდგა მაგრამ მე ვუთხარი წადით არ მინდა თქვენი ნახვა. ის ტიროდა და მეც ვიტირე მაგრამ არ შემოვეშვი იმიტომ რომ არ მინდოდა რომ ჩემზე გაეცინა. მე ვუთხარი რომ მე ის აღარ მომწონს. მერე ვუთხარი აღარც მინდა ჰკვიანი ვიყო. ტყუილია. მე ის მიყვარს და ისევე მინდა ჰკვიანი ვიყო მაგრამ ასე უნდა მეთქვა რომ წასულიყო. მან მისის ფლინს ოთახის ქირა გადაუხადა. მე ასე არ მინდა. სამუშაო უნდა ვიშოვო.

იქნება როგორმე მოხდეს და სულ არ დამავიწყდეს წერა და კითხვა...

**27 ივლისი.**

მისტერ დონეგანი ძალიან კეთილი იყო როცა მე ფაბრიკაში მივედი მასთან და ვთხოვე ისევე ავეყვანე დამლაგებლად. თავიდან ეტყობა არ დამიჯერა ისე მიყურებდა მაგრამ მე მოვეუყევი რაც მომივიდა და ის ძაან შეწუხდა მხარზე ხელი დამადო და მითხრა ჩარლი შენ მართლა ძლიერი პიროვნება ხარ.

ყველა მე მიყურებდა როცა ქვეით ჩავედი და ძველებურათ დავიწყე ფეხსადგილის წმენდა. მე ჩემ თავს ვუთხარი ჩარლი ნუ გეწყინება თუ ისევე დავიწყებენ დაცინვას ხომ გახსოვს რომ ისინი არც ისეთი ჰკვიანები არიან როგორც შენ ერთ დროს გეგონა. და მერე ისინი ხომ აღრე შენი მეგობრები იყვნენ და თუ დაქცინოდნენ ეს არაფერი იმიტომ რომ უყვარდით კიდევ.

მაგრამ ერთმა მუშამ რომელიც ჩემი წასვლის მერე მოვიდა აქ ისე ცუდათ იხუმრა მან თქვა ეი ჩარლი გავიგე ტენისის კოლოფი ვინმე ყოფილხარ პირდაპირ ნამდვილი პროფესორი. აბა ერთი გვითხარი რამე ჰკვიანური. მე ძაან ცუდათ ვიგრძენი თავი მაგრამ ამდროს ჯო კერპმა საყულოში ჩაავლო ხელი და თქვა ერთი შენაც გამომიჩიდი ხუმარა თავი გაანებე თორე ცხვირპირს ამოგიმტვრე. მე არ მეგონა თუ ჯო დამეხმარებოდა და მე ვფიქროფ ის ჩემი ნამდვილი მეგობარია.

მერე ჩემთან ფრენკ რეილი მოვიდა და მითხრა ჩარლი თუკი ვინმე დაცინვას დავიწყებს ან თუ მოგატყუებენ დამიძახე ან მე ან ჯოს და იმათ სეირს გიჩვენებთო. მე ვუთხარი მაღლობთ ფრენკი და უცბათ სუნთქვა გამიჭირდა და საწყობში გავარდი რომ არ დაენახა რომ ეტირივარ. რაკარგია თუკი მეგობრები გყავს.

**28 ივლისი.**

დღეს კიდე ერთი სისულელე მომივიდა. დამავიწყდა რომ აღარ დავდივარ

სკოლაში მისს კინიენტან. მე კლასში შევედი და ჩემ ძველ ადგილას დავეჭვი  
ოთახის ბოლოში მან კი უცნაურათ შემომხედდა და თქვა ჩარლზ.

მე არმასოვს რომ მას როდესმე ასე დაეძახნა ჩემთვის ის ყოველთვის  
ამბოდა უბრალოდ ჩარლი და მე ვუთხარი გამარჯობათ მისს კინიენ მე მოვამ-  
ზადე საშინაო დავალება ოღონდ იტყობა რვეული დავკარგე. ის უცბად ატირ-  
და და ოთახიდან გავარდა და ყველა მე მიყურებდა. მაშინ მივხვდი რომ ესე-  
ნი სულ სხვა ხალხი იყო და არა ისინი ვისთანაც ერთად ვსწავლობდი კლასში.  
მერე რაღაცა გამახსენდა რომ ოპერაცია გამიკეთეს და როგორ გავხდი ჭკვიან-  
ნი და ვთქვი ღმერთო მართლა არ ვიჩარლიგორდონე. მანამდე წავედი სანამ  
მისს კინიენი დაბრუნდებოდა.

ამიტომ მე სამუდამოთ მივდივარ აქედან. არ მინდა კიდე რამე ამდაგვარი  
გაეკეთო. არ მინდა რომ მისს კინიენს შევეცოდო. თაბრიკაში ყველას ვებ-  
რალები და ესეც არ მინდა ამიტომ სადმე წავალ სადაც არავინ არ იცის რომ  
ჩარლი გორდონი ადრე გენიოსი იყო ეხლა კი კარგათ წერა და წიგნების  
კითხვაც კი არ შეუძლია.

ერთიორ წიგნს წავიღებ თან და თუ ვერ წავიკითხავ მაინც ბევრს ვივარ-  
ჯიშებ და იქნება არდამაიფიყდეს ყველაფერი რაც ვისწავლე. თუ ძაან შევეც-  
დები იქნებ ცოტაუფრო ჭკვიანი ვიყო ვიდრე ოპერაციამდე. მე ბაჭის თათი  
მაქ და ბედის მომტანი პენი და იქნებ ისინი დამეხმარონ.

მისს კინიენ თუკი როდისმე წაიკითხავთ ამას ნუ შევეცოდებით. მე ძაან  
კმაყოფილი ვარ რომ შესაძლებლობა მქონდა ჭკვიანი გაემხდარიყავი და  
ბევრი რამეც გავიგე და ადრე არცკი ვიცოდი ასეთი რამეები თუ არსებობდა  
და მაღლობელი ვარ რომ თუნდაც ცოტახნით მაინც გავიგე.

მე არ ვიცი რატო გავხდი ისევ სულელი რაღაცა ისე არ გაეკეთე რო-  
გორც საპირო იყო იქნება იმიტომ რომ კარგათ არ ვეცადე. მაგრამ თუ ძაან  
ვეცდები და ბევრს ვივარჯიშებ იქნება ცოტა მაინც უფრო დავჭკვიანდე და  
გავიგო რას ნიშნავს ყველა სიტყვა. მე მახსოვს როგორ მიყვარდა იმ წიგნის  
კითხვა ლურჯი დახეული ყდა რომ აქვს. ამიტომ მე აუცილებლათ სულ ვეცდე-  
ბი გავხდე ჭკვიანი რომ ისევე კარგათ ვიყო. რა სასიამოვნოა როცა სხვა და  
სხვა რამე იცი და ჭკვიანი ხარ. ისე მინდა ეხლა სულ იმ წიგნებს გკითხუ-  
ლობდე. არადა მე ხომ მაინც პირველი ვიყავი ვინც სულელი იყო და მაინც  
რაღაცა გააკეთა მეცნიერებაში. მეკი მახსოვს რომ რაღაცა გაეკეთე ოღონთ  
არ მახსოვს რა. მგონი ისეთივე ხალხისათვის გაეკეთე რაღაცა როგორც მე  
ვარ.

მშვიდობით მისს კინიენ და დოქტორ შტრაუსს და ყველა და თუ შეიძლე-  
ბა დოქტორ ნემიურს უთხარით ნუ ბრახდება როცა დაცინიან და უფრო მე-  
ტი მეგობრები ეყოლება. ძაან ადვილია მეგობრების ყოლა თუ ნებას მიცემ  
შენზე იცინონ. სადაც ეხლა მივდივარ იქ მე ბევრი მეგობარი მეყოლება.

თუ საშუალება გექნათ თუ შეიძლება ცოტა ყვავილები მიიტანეთ ელ-  
ჯერნონის საფლაგზე უკანა ეზოში...



# ანა ზებერსი

## შეხვედრა მოგზაურობისას

გოთსროუბა

გერმანულიდან თარგმნა ნოდარ კახიანიძემ

### მთარგმნელის წინათქმა

ღრმა წილი გარდასულ ეპოქა — ასე იწყებს თომას მანი თავის რომანს იოსებ შვენიერზე. ანა ზებერსის ამ მოთხრობისა თუ მხატვრული დისკერსის „წილი გარდასულ ეპოქა“ ასეთი ღრმა არ არის, როგორც თომას მანის ბიბლიური რომანისა. ანა ზებერსი მხოლოდ მე-18, მე-19 და მე-20 საუკუნის დამდევის ჟურნალში ჩადის და დროთა სიღრმეებიდან და მსოფლიოს სამი სხვადასხვა ქვეყნიდან ამოყავს მსოფლიო ლიტერატურის სამი ობროდი, სამი მონათესავე მწერალი, გროტესკული ფანტასტიკის სამი დიდოსტატი — ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოლმანი, ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლი და ფრანც კაფკა.

...უცნაური ამბები ხდება ამ მოთხრობაში: XX საუკუნის, დამდევს ერთმანეთს ზედება სამი სხვადასხვა საუკუნის ადამიანი და მეტე როგორი ადამიანი ენა ადვილად იტყვის და ადამიანიც ადვილად წარმოიდგენს, მაგრამ, აბა, თვითონ ამ მწერლებს ეკითხოთ, როგორ შესვდებოდნენ ისინი ერთმანეთს, ანა ზებერსი რომ არ ყოფილიყო. ამ ფიზიკური, ქვედადამყდარი, თითქმის მხოლოდ ხილული სინამდვილის აბოლოგეტი მწერალი ქალისაგან არავინ ელოდა ასეთ „ელოგია“, სიზმარულ, დროისა და სივრცის გადამლახველ გასეირნებას სხენებელი სამი მწერლის განსხვავებულ ფანტასმაგორულ სამყაროში.

კაცმა რომ თქვას, ანა ზებერსის სუბიექტური სურვილი თუ განზრახვა აქ არაფერ შეაშია, თავად მწერლებს ისე ძლიერ იზიდავდა ერთმანეთი, რომ ბუნებისმეტყველების ყოველგვარი კანონების ჯიბრზე გადალახეს სივრცისა და, რაც მთავარია, დროის ბარიერი, რათა მრალაში შესხედროდნენ ერთმანეთს ერთ-ერთ კაფეში... ჰოფმანისა და გოგოლს არ აღმოაჩნდათ აქტური ფული და ღარიბმა, ხელმოყლე კაფეამ დაამატეა ორივე. კაფეს ხომ ვალი ემართა მათი, ისეთი ვალი, ფულით რომ არ იზომება.

სათვგადასაგლო რომანების ატორები დაახლოებით ასე მიმართავენ ზოლმე თავიანთ მკითხველებს: მაშ ასე, გავუდგეთ გზას ჩვენს გმირთან ერთად, წინ უამრავი წარმტაკი ფაფრაკი და თავგადასავალი ვეგლის... ჩვენ კი ასე შევიგძლია მივმართოთ ანა ზებერსის ამ მოთხრობის მკითხველებს: მაშ ასე, უჩინრად მივუსხდე: მათ მაგიდას, უფრო მიუვდგოთ მათ სუბარს, წინ უღერესად საინტერესო მოგზაურობა მოგველის გოგოლის, ჰოფმანისა და კაფეს შემოქმედებით ლაბირინთებში, მათი სიზმარული ხილვებისა და მათი ტანჯვის უფსკრულებში.

...ამ მოთხრობის თარგმნა გარყვეულ სინელებთანაა დაკავშირებული. აქ ძირითადი ტემპტის გარდა ვხვდებმა ჰოფმანის, გოგოლის, კაფესა და თვით სორენ კარკეუტრის პირდაპირი და არაპირდაპირი, შებუტული ციტატები, მხატვრული სახეები, ცნებები, მათი შემოქმედების ინტელიგენტები, ელემენტები, სტილური თავისებურებანი... ამდენად მთარგმნელმა





უნდა შესძლოს ამ ელემენტებისა და შემადგენელი ნაწილების დიფერენცირება და, რაც მთავარია ეს პეტეროგენული, არაფროტვირთვანი, განსხვავებული შემადგენელი ნაწილების შემცველი ტექსტი ქართულად ისე ამბეუველოს, რომ თარგმანი დედნის ადვოკატური იყოს. ეს კი ძნელი საქმეა, რადგან, სამწუხაროდ, ჭერჭერობით არა გვაქვს ქართულად არაფერ კარგეობა, არამედ არც ჰოფმანი და არც კაფეა და მთარგმნელს არ შეეძლო მზამზარეული მასალის გამოყენება, რისი საშუალებაც აქვთ სხვა ენაზე მთარგმნელებს. მთარგმნელს გზადაგზა უხდებოდა ამ მწერლებისა და მთარგმნელების მხატვრული სახეების, იდეების, სპეციფიკური ტერმინების ამოცნობა, ანა ზეგერისის ძირითადი ტექსტიდან მათი გამოჩენვა-გამოყოფა.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რად შეაწუხა ანა ზეგერსმა განსვენებულთა ანტიღილები, რად გამოიხმო მათი სულები? ნუთუ მხოლოდ თავისებური „სპირიტისტული სეანსი“ აინტერესებდა და შეტი არაფერი? ანა ზეგერისი შეფარვით საკუთარ ესთეტიკურ კრეატივს გადმოსცემს. მხატვრულ ლიტერატურაში არსებობის უფლება აქვს არა მარტო ემპირიულად დაწყვერებულ, გრძნობად-კონკრეტულ, ინდივიდუალური ნიშნების მიხედვით რეპროდუცირებულ მასალას, არამედ უკიდურეს გროტესკსა და ფანტასტიკასაც კი. მწერალი ქალი ნიჰილიზმისაგან იცავს რომანტიზმსაც და კაფეას შემოქმედებასაც, მოითხოვს მათ შემოქმედებით ათვისებას, მათი ძლიერი მხარეების წინა პლანზე წამოწევას, თუმცა პირადად მე ერთი უცნაური შთაბეჭდილება გამეცა ბოლომდე: თითქოს ანა ზეგერისს ეშინია, კაფეას პეტისმეტრი ქება არ დაწამონო და აღაგაღავ ჰოფმანი ტუქსავს და უტევს საწყალ კაფეას, მაგრამ ეს არ არის ჰოფმანი, ეს არის ზეგერისის ხმა მისსავე პერსონაჟში, ჰოფმანში აქტივიზირებულში.

ეს მოთხრობა თავისებური პოლემიკაა იმ დოგმატიკოს ლიტერატორებთან, რომლებიც არსებობის უფლებას მხოლოდ და მხოლოდ ემპირიულ-რეალისტურ, მიმეტურ ლიტერატურას უტოვებენ და ზელოვნების სფეროდან აძევებენ ყოფითი რეალისმის მიღმა მდებარე გროტესკულ ფანტასტიკას.

**3** თუმანი დილაადრიან ჩამოვიდა პრალაში. საქსონიის საზღვარზე ახალ ტრანსპორტში გადამჯდარიყო, რითაც ჩეხები სიამოვნებით მგზავრობდნენ ბოლო ხანებში. ახალი ტრანსპორტი ქშინავდა და რახრახებდა. თავდაპირველად ჰოფმანს თავბრუ დაეხევა, მაგრამ ელბამ, მთვარის შუქზე რომ ლიცილიცებდა, მალე მისი ფიქრები და სიზმრებიც დაიმორჩილა. მძინარემ გადასცურა ზღვა კანცელარიუს ლინდპორსტთან ერთად, რომელსაც თავის კუნძულზე მიეწვია მწერალი<sup>1</sup>. პრალაში ჩასულ ჰოფმანს საქმეო ღროპქონდა, სანამ იმ კაფეს მიაშურებდა, სადაც თავის უცნობ მეგობარს უნდა შეხვედროდა. გოგოლმა წერილი მოსწერა, იტალიიდან უკრაინაში დაბრუნებისას სიამოვნებით შეგხვდებით სადმე, მე ხომ თქვენმა ნაწერებმა დიდი კმაყოფილება მომგვარაო. ჰოფმანმა რუკაზე იპოვა ქუჩა, სადაც ის კაფე მდებარეობდა. თავის სიცოცხლეში ბევრი ნაწარმოები დაეწერა და მკითხველთა მრავალი წერილიც მიეღო, მაგრამ ახლა რატომღაც განსაკუთრებით ესწრაფოდა ამ კაცთან შეხვედრას.

<sup>1</sup> ისედაც ფიქტურ თხრობაში ჰოფმანის ფანტასტიკური სამყარო იჭრება: „ზეგერისის ფანტასტიკას აქ ჰოფმანის ფანტასტიკა ედება ფენად, სახელობრ, „ოქროს ქოთნის“ ფანტასტიკა. კანცელარიუსი (ანტივარაუსი) ლინდპორსტი „ოქროს ქოთნის“ პერსონაჟია. რეალურ ქვეყანაში იგი ჩვეულებრივი, თვინიერი, უწყინარი მოხელეა, ხოლო სალმანდრების (ხელოვისებური, დიდ ბრტყელოთავა, სუსტად განვითარებულ კიდურებიანი ცხოველებია. შუა საუკ. მაგიაში: ციცილში მცხოვრება სულა) ქვეყანაში—ზელმწიფე, მეფე.



ღრუბდენი აქედან შორს არ იყო, იქ რალაც საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი ჰოფმანს. არც გოგოლს დაეკარგებოდა დიდი დრო, თუკი აქედან პირდაპირ თავის ქვეყანაში აპირებდა გამგზავრებას. გოგოლის ქვეყანა ალბათ თვალუწვდენელია, ფიქრობდა ჰოფმანი, საპერცოგოებად, სამთავროებად, სამეფოებად და საეპისკოპოსოებად დაქუცმაცებული გერმანია მასთან რას მოვა? თუმცა აქაური მწერლები მაინც ერთ ენაზე წერენ და ტოლს არ უდებენ სხვა ქვეყნების მწერლებს.

ჰოფმანს ცოტა ხნით თითქოს მიავიწყდა კიდევ წერილებით გაცნობილი მეგობარი — დიახაც მეგობარს უწოდებდა, რადგან სიშორის მიუხედავად მაინც ახლობლად მიაჩნდა. ჰოფმანი ქალაქის გულისაკენ მიიჩქაროდა. უცხო ქალაქებში უპირველესად მდინარეების ნახვა მოუწოდებოდა ხოლმე. კარლის ხიდზე ნაბიჯი თავისდაუნებურად შეანელა და თითქოს გულის ძგერაც შეუჩერდა. რა ჭურის აღამიანებს არ ნახავდით ხილია ორსავე მხარეს! მოციმციმე წყნარ წყალში მათი ანარეკლის დანახვაც კი სუნთქვას შეგვიკრავდათ. ანარეკლთა შორის ნავი მიცურავდა. ნიჩბები ხანდახან თეძოებსა და დაქმუქნულ პალტოებს ედებოდა. ჰოფმანმა თავი რომ ასწია, მეორე ნაპირზე, მაღლა კოშკი დაინახა. ეს იყო დამოუკიდებელი ქალაქი, რომელსაც ყველაფერი საკუთარი ჰქონდა: ეკლესიის გუმბათები, სახურავები, გრძალად გადაჭიმული გალავანი; კოშკი ბატონობდა ქალაქზე. საკვირველი არ იყო რომ იმპერატორები თავს იკლავდნენ, ოღონდ ამ კოშკიდან ემართათ ქვეყანა, კოშკი კი თავად ბატონობდა. ვინც იქ, ზემოთ მეუფებდა, ნამდვილად ზეიადი იყო, თავდაჯერებული. კოშკის უზენაესი და უმდაბლესი მოხელეებიც ალბათ თავდაჯერებულნი, ზვიადნი იყვნენ, თავიანთი რანგის კვალობაზე<sup>2</sup>. ჰოფმანი დროზე უნდა გასცლოდა იქაურობას, რომ კაფე მოენახა, უნდოდა გოგოლისათვის დაესწრო იქ მისვლა. ეს ძნელი არ იყო, მაგრამ ჰოფმანს სულ ერთთავად იტყუებდნენ შუკები და ჩიხები თავიანთი ეზოებითა და თალებიანი ჭიშკრებით. გოგოლთან საუბრის შემდეგ ისეე მოვიდოდა აქ და ყველაფერს შეაეღებდა თვალს. გაეხარდა ბაროკული სტილით ნაგებ კაფესაც მოჩუქურთმებულთანაღიანი ჭიშკარი რომ აღმოჩნდა. ზედ აღარებელი ანგელოსი იყო ამოტვიფრული.

ისეთ დროს მივიდა, კაფე თითქმის ცარიელი დაუხვდა. კელნერი გერმანულად მშვენიერად ლაპარაკობდა, ჩინებული ყავა და ნამცხვარი მიაართვა: ნამცხვარი ენაზე დაადნა. მერე გერმანული გაზეთებიც მიუტანა. ჰოფმანმა გადაფურცლა გაზეთები. მაგრამ ვერაუფრი გაუგო, მალე მობეზრდა გაზეთების თვალღერება. არ იცოდა, ვინ იყო ეს მასარიკი, ზოგ გაზეთში რომ აქებდნენ, ზოგში კი კაცხავდნენ. ისე კი ჰოფმანს მისი ამბავი გულთან არ მიუტანია. ნეტავ ეს მასარიკი იმ კოშკში იჯდა? ჰოფმანს აღამიანები აინტერესებდა, უყვარდა მათ გარეგნობაში მათივე ბედის ამოკითხვა, რასაც შემდეგ თვითონ უძებნიდა გარეძელებას, ახალ ამბებს ურთავდა, რომელთა წინასწარ გამოცნობა შეუძლებელი იყო. ჰოფმანის პროფესია ცოცხლების მოკვდინება

<sup>2</sup> აქ მინიშნებაა ფრანკ კაფას რომანზე „კოშკი“, ამ რომანში აღწერილი კოშკის ატმოსფეროზე, მის მშენებლობასა და მშენებლობაზე. ქალაქის აღწერაც კაფასეზურია, პრადიც კაფას თვლითაა დანახული.

და მკვდრების გაოცხლება გახლდათ. წარსულში მომხდარი აწმყოში ვაღ-  
მოჭონდა, მომავალში მოსახდენს კი წინასწარ განკვერტდა ხოლმე.

ნეტავ ვინ იყო ის ახალგაზრდა გამხდარი კაცი, კუთხეში ფანჯარასთან  
რომ მიმჭდარიყო და გაუთავებლად წერდა? დაწერილს ყურადღებით კითხუ-  
ლობდა, თითქმის ყველაფერს შლიდა და ისევ თავიდან წერდა. წერის ჟინით  
აბნეილი ისევ და ისევ თავიდან იწყებდა. ახლად დაწერილს ჩუმად კითხუ-  
ლობდა, თან ტუჩებს აცმაცუნებდა. დროდადრო ყავას მოსვამდა ხოლმე.

ჰოფმანი წამოდგა და უყოყმანოდ გაემართა ფანჯრისაკენ.

„მაპატიეთ, ხელს რომ გიშლით, — თქვა მან. — მე თვითონ მშვენიერად  
ვიცი, რა ძნელია, წერის დროს ხელს რომ გიშლიან. მეც მწერალი ვარ, თუმ-  
ცა ხშირად, თავი რომ ვირჩინო, სხვა საქმესაც ვკიდებ ხოლმე ხელს. ნუ  
გამირისხდებით, ასე უბოდიშოდ რომ გვეკითხებით: რასა წერთ-მეთქი. მე  
ჰოფმანი ვარ. ერნსტ თეოდორ ამადეუს“.

ახალგაზრდა კაცი მიანცდამიანიც ალტაცებული არ დარჩენილა, ხელი  
რომ შეუშალეს, არც გაოცებულია. „ყოველთვის მიანიტერესებდა, — უთხრა  
მან ჰოფმანს, — რა სახელები იმალებოდა ამ სამი ასოს უკან—ე. თ. ა. დრო,  
სამწუხაროდ, მართლაც ძალიან ცოტა მაქვს, განსაკუთრებით ახლა; დარჩე-  
ნილ სიცოცხლეზე მოგახსენებთ. ძალიან ავადა ვარ და ჩემი აქ ყოფნაც ალ-  
ბათ უკანასკნელია. სანატორიუმში უნდა წავიდე. თუმცა წერით მაშინაც ცო-  
ტას ვწერდი, როცა ასე ავად არ ვიყავი, რადგან მეც თქვენსავით ლუკმაპურ-  
ზე უნდა მეზრუნა. სადაზღვევო დაწესებულებაში ვმსახურობდი. სამი სახე-  
ლი არა მაქვს. მე უბრალოდ ფრანცი მქვია, ფრანც კაფკა“.

„ბატონო კაფკა, — უთხრა ჰოფმანმა, — ნამდვილად მეტისმეტად უჩვე-  
ულოა, მე, უცნობი კაცი რომ გთხოვთ, რამე წამიკითხეთ-მეთქი. წამიკითხეთ  
თუნდაც რამდენიმე სტრიქონი, თქვენ რომ არ წავიშლიათ ხელჩორედ წა-  
კითხვისას. ამითაც მიუხვდები ალბათ რაგვარი ადამიანი ბრძანდებით. კიდევ  
ერთხელ გთხოვთ მომიტევეთ ეს თხოვნა მთლად უცნობ კაცს“.

კაფკამ თქვა: „როგორ თუ მთლად უცნობს? მე თითქმის ყველაფერი  
წამიკითხავს, რაც თქვენ დაგიწერიათ. „ბიძაშვილის კუთხის ფანჯარაც“ კი  
თუ არ ვცდები, ეს თქვენი ბოლო მოთხრობაა. ზოგი რამ ძალიან მომწონს,  
ზოგი ნაკლებად. მაგრამ ვისურვებდი, მეც თქვენსავით სიცოცხლის ხალისი  
მქონოდა, წერის ხალისი. სამწუხაროდ, ეს მე არ გამაჩნია, არა. სასოწარკვე-  
თილი ვფიქრობ ხოლმე: ფრანც, შენ აქ უკანასკნელად ხარ-მეთქი, და მიანიც,  
როგორც ხედავთ, ცოტ-ცოტა წერას მიანიც ვახერხებ. ჩემს კაფეში ვარ ჭერ  
კიდევ და თავს ვიტყუებ“.

„როგორ თუ თავს იტყუებთ? — უთხრა ჰოფმანმა, — მე არასოდეს მო-  
მიტყუებია თავი. გადაწყვეტილი მაქვს, ბოლო წუთამდე ვწერო, სწორედ იმი-  
ტომ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის ურჩევნია წერას თავი დაეანებო“.

„რას აკეთებდით, ძვირფასო ე. თ. ა., როცა არ წერდით?“

„მუსიკა მიყვარს ძალიან. დროდადრო მუსიკა მავიწყებდა ლიტერატურას.  
ამას გარდა, ჩემს ხელობასაც არ ვლაღობდი. მე ხომ წინათ, როცა ჩემი და-  
ყოლიება კიდევ შეიძლებოდა, სამართალი შევიწწავლე“.

„მეც! — წამოიძახა კაფკამ. — თქვენ სად სწავლობდით?“

„კონიგსბერგში“.

„თქვენთან კითხულობდა პროფესორი კანტი?“



„მგონი კითხულობდა, მაგრამ მე არასოდეს დავსწრებივარ მის ლექციებს. საერთოდ არც ვიცნობდი“.

„პრალაში რაღა გინდათ?“

„ერთ მწერალს უნდა შევხვედე: დიდი მწერალია, ჩემზე და, ალბათ, თქვენზე დიდიც. ბანზე რატომ მიგდებთ სიტყვას, ნახევარი გვერდი მაინც წამიკითხეთ. აქ რომ უნდა მოვიდეს მწერალი, გოგოლია. რუსია. საოცარზე საოცარი რომანი დაწერა — „მკვდარი სულები“. ხომ არ წაგიკითხავთ?“

„როგორ არა! — წამოიძახა კაფკამ. — და იცით, როგორ მომწონს: ამ რომანივით უსაზღვროა ნამდვილად მისი ქვეყანაც, ასევე უსაზღვროა და დაუსაბამოა ალბათ ამ ქვეყნის მკვიდრთა სურვილებიც, სიკეთეცა და ბოროტებაც. ყოველთვის მინდოდა, ოდესმე მაინც მენახა გოგოლი. ძალიან მიყვარს მისი მოთხრობებიც: „შინელი“, „ცხვირი“, მისი პიესა — „რევიზორი“.

პოლმანს გაეცინა. წარამარა რომ იმეორებდა უცნობი, მალე უნდა მოკვდევო, უბრალო აკვიატებად მიიჩნევიდა. „ბევრი რამ აღსრულდება ხოლმე, რაც სიზმრადაც არ მოელანდება ადამიანს, ბევრიც გატუღდება, გარდაუვალი რომ გვგონია. კი მაგრამ, რატომ არ გინდათ დაჰყვეთ ჩემს თხოვნას და რაღაც წამიკითხოთ თქვენი ნაწერიდან?! აი, ახალ გვერდზე, თავში რა წერია?“

კაფკა ამჯერად აღარ გაძალიანებულა. მაშინვე კითხვა დაიწყო, კითხულობდა ნელა და გარკვევით, იფიქრებდით, სიტყვებს ამოწმებსო: „თითქოს კოშკი თოვლიან ქარბუქში უკან იხევდა. დაღამებამდე შეუძლებელი იყო, რომ იქამდე მიეღწია. ზანზალაკის ელარუნი მოესმა. ყური მიუგდო, ელარუნი თითქოს უცნაურ სიმძიმის გამოხატავდა, თითქოს რაღაც აფრთხილებდა, სანუკვარი წადილის შესრულება სახიფათოაო“<sup>3</sup>.

რბილი, მაგრამ ხრინწიანი ხმა ჰქონდა, თითქოს გაბზარული, ავადმყოფებს რომა აქვთ. ერაზხანს ორივე დუმდა.

„მე მომწონს“, — თქვა პოლმანმა.

„მეც“, — თქვა კაფკამ.

„მომწონს გამოთქმა: — თითქოს რაღაც აფრთხილებდა, სანუკვარი წადილის შესრულება სახიფათოაო. — რას ნიშნავს ეს? რა მოხდება? კოშკი ქარბუქში, რომელსაც ვერასოდეს მიაღწევ, ალბათ ის ციხე-კოშკია, ახლახან რომ ვნახე.“

„პრაჭინი? არა, მაგაზე არც კი მიფიქრია“.

„მაინც ის ციხე იქნება — ქვეშეცნეულად იმ ციხეს გამოსახავდით. ალბათ ხშირად აღიხართ იქ.“

„მე? არასოდეს, ჩვენს შორის თითქოს ქარბუქია ჩამომდგარი. მე ვიცი, რომ ციხე ძლიერია თავისი ეზოებითა და დარბაზებით, თავისი წმინდა ვიტუსის ტაძრით, მაგრამ მეტისმეტად გადაქანცული ვარ, რომ იქ ავიდე. ჩემთვის მადლი იქნებოდა, კოშკში რომ შემედლოს შეღწევა<sup>4</sup>. — უცებ ლაპარაკის საღერღელი აეშალა. კაფკამ განაგრძო: — ჩემს რომანში ერთი მიწისმზომელი, რომელიც თითქოს კოშკის მფლობელმა დაიჭირა, შედის სოფლის დუქანში. ამის შემდეგ ერთი ორომტრიალი იწყება. მართლა მიიღეს სამსახურში? მი-

<sup>3</sup> კაფკას რომანის „კოშკის“ დასაწყისია.

<sup>4</sup> აქ ხდება რომანის „კოშკის“ მთავარი პერსონაჟის კ.ს. და მისი ავტორის — კაფკას იდენტიფიცირება.



წისმზომელს სურს მიაღწიოს იმას, რასაც მოხელეები ადგილზე ჩაწევენ უწოდებენ, ხოლო ჩვენ, ჩვეულებრივი ადამიანები ადგილზე ფეხის მოკლდებას, დამკვიდრებას ვეძახით“.

ჰოფმანმა თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: „მას შეიძლება მაღლიც ეწოდოთ“.

„ღიახ, და ჩემი მიწისმზომელიც ბოლოს და ბოლოს მიიღებს იქ დარჩენის ნებართვას, რასაც თქვენ „მაღლს“ უწოდებთ, მაგრამ იმ დროს, როცა ის უკვე სიკვდილის პირასაა მისული“.

ჰოფმანმა წამოიძახა: „აქი წელანვე გავიფიქრე, საკმარისია რამდენიმე სტრატეგია, და მივხვდები, რა კაცია-მეთქი. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ვშიშობ, თქვენც გაკლიათ მაღლი“.

კაფკამ ჩუმად ჩაილაპარაკა: „მაკლია“.

შემდეგ, ისე რომ ჰოფმანს აღარ უთხოვია, კაფკამ თქვა: „გინდათ, დასაწყისს წავგიკითხავთ? ორჯერ უკვე შევეცვალე, ეს მესამე რედაქციაა. გინდათ მოისმინოთ?“

„ცხადია!“ — წამოიძახა ჰოფმანმა. ახლავა შეამჩნია, რომ უცნობს ყველაფერი არ წაეშალა. ზოგიერთი წინადადება გახაზული იყო, ნატიფი, პაწაწკინტელა ასოები ოდნავ მარცხნივ გადაწოლილიყვნენ. კაფკა თხრობის რიტმს მიჰყვა, საგანგებოდ არაფერს არ გამოჰყოფდა:

„გვიანი ღამე იყო, როცა კ. ჩამოვიდა. სოფელი ღრმა ძილს მისცემოდა. კოშკი არ ჩანდა. ნისლი და წყვდიადი ფარავდა, მცირე სინათლის ბეჭტეაც კი არ მიანიშნებდა კოშკის მდებარეობას. დიდხანს იდგა კ. ხის ხიდზე, ხილს თემშარიდან პირდაპირ სოფელში შეეყავით. კ. ზემოთ, სიკარიელეში იცქირებოდა“ — კაფკამ ჰოფმანს თვალეებში შეხედა. „ამრიგად, მიწისმზომელი ერთ ფუნდუკში ღამის გასათევეს პოულობს. თივით გატენილ ტომარას დაუდებენ ღუმელთან,“ — კაფკა ხელნაწერს კითხულობდა ისე, რომ ერთს არ წაიბორძიკებდა, ხან კი მოკლედ გადმოსცემდა შინაარსს, „მაგრამ კ.-ს მაღე გააღვიძებენ. ქალაქურად ჩაქმული კაცი ბოდიშს უხდის თავაზიანად. თავს აცნობს კოშკის მოურავის ვაჟად. ეს სოფელი კოშკის მფლობელობაში შედიისო, ეუბნება. ვინც აქ გაათევეს ღამეს, სულ ერთია, თუნდაც შიგ კოშკში გაეთითოსო, თქვენ კი ამის ნებართვა არა გაქვთ, ყოველ შემთხვევაში, არ წარმოგიდგენიათო.“

თივის ტომარის თავზე ტელეფონია ჩამოკიდებული. მოურავის ვაჟი ტელეფონით ეკითხება სამმართველოს, ჩამოსული ამტკიცებს, თითქოს კოშკმა იგი მიწისმზომელად მოიწვია, როგორ მოვიტყუეთო. ამის თაობაზე არავინ არაფერი იცოდა. კ. საბნის ქვეშ შეიშალა, რადგან შიშობდა, ვაითუ ყველაფერი ჩემზე გადატყდეს — როგორც მატყუარაზეო. ტელეფონმა ისე დარეკა: გაუგებრობაა? უცნაურია, უცნაური. როგორ აეუხსნა ბატონ მიწისმზომელს?“

კაფკამ შეწვივტა კითხვა, ვიღაც უცნობი მათ მაგიდას მოახლოვებოდა. ხელები ჰოფმანის მხრებზე დაეწყო. უცნობმა ფრანგულად თქვა: „თქვენ ნამდვილად ჰოფმანი ბრძანდებით“. ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ. კაფკა მღუმარედ, დაკვირვებით შეჰყურებდა მათ. გოგოლის სახემ, თუმცა სურათით იცნობდა, იმედი გაუცრუა. არ მოეწონა. ძალიან ხელოვნური მოეჩვენა მისი ულვაშიც, წვრილი თვალებიცა და ტანისამოსიც, ზედ უამრავი ღილი რომ ეკერა: თითქოს ათასი თვალი ჩამწყრივებულყოფილი ღილებად. კაფკა აღზათ შეტყვევდ ჩა-

თვლიდა გოგოლს. ანდა რაღაც ამის მსგავსად, რომ არ სცოდნოდა, რუსეთის ერთ-ერთი უდიდესი მწერალი იდგა მის წინაშე. ჰოფმანი და გოგოლი სხვადასხვა ენებს იშველიებდნენ საუბრისას. კაფკას თითქმის ყველაფერი ესმოდა, რადგან მხოლოდ გერმანულად კი არა, ჩეხურადაც ლაპარაკობდა და ცოტა ფრანგულიც იცოდა. ჰოფმანი კი კაფკას გამო წუხდა, თითქოს უკვე დიდი ხანია იცნობსო, და უთარგმნიდა, რაც გოგოლთან საუბარში საუხლის-ხმოდ მიაჩნდა, თან ესეც უთხრა: „გოგოლი სამოგზაურო ციებ-ცხელებითაა ატანილი. ხშირად მეც ასე ვარ. ხან გერმანიაშია სამეურნალოდ, ხან შვეიცარიაში, ხან რომს მიაშურებს, ხანაც პარიზს. როცა უცხოეთშია, უცხო ენები თითქოს პირდაპირ ზედ ენაზე ეწებებიან. მგზავრობისას წერდა თავის „მკვლარ სულემსაც“, დიდებულ რომანს“.

გოგოლმა თქვა: „პარიზში შვეიცავე პუშკინის სიკვდილი. ამ რომანის დაწერის იდეა სწორედ მან შთამაგონა“.

„ამას კი ამბობს, — გაიფიქრა კაფკამ, — მაგრამ მეგობრები, ხუცები და დიდგვაროვანნი ცდილობდნენ პუშკინის სიყვარული გაუჭარწყლონ“.

გოგოლი ლაპარაკის დროს თხელ ტუჩებს ამოძრავებდა: „გარდაცვლილ-თადმი სამართლიანები უნდა ვიყოთ. საერთოდ კი ჩემი რომანი ვერაფერი შვილია. შინ რომ დავბრუნდები, ახალ თავებს დავფხრეწ, დავრწმუნდი, არ გამომივიდა“.

„არ გამოვივიდათ?“ — ერთდროულად წამოიძახეს ჰოფმანმა და კაფკამ.

„ან თქვენვე გინდათ საკუთარ თავს ჩააგონოთ ეს, — უთხრა კაფკამ, — ანდა სხვები ცდილობენ ამას. საერთოდ ასეა ხოლმე: ზოგიერთებს ცამდე აპყავთ რომელიმე წიგნი, სხვებს კი იგი ჩირადაც არ უღირთ“.

„მთავარი ის არის, ვინ აქვს ან ვინ აძაგებს“. — გოგოლი ცოტა არ იყოს დამცინავად ათვლიერებდა კაფკას, თითქოს ფიჭრობდა, ნეტა ეს ჯველი ვინღა არისო.

კაფკა ფიჭრობდა: „მე კი მინდა, ჩემს ნაწარმოებთაგან ერთიც არ დაეტოვო, მაგრამ სულ სხვა მიზეზით. ჩემი ნაწერები უნდა მოსპონ ჩემი სიკვდილის შემდეგ, ვიცი, აღამიანები ყველაფერს მრუდედ გაიგებენ, მე კი თავის დაცვა აღარ შემეძლება“.

ჰოფმანი გოგოლს ყურადღებით ათვლიერებდა: „კი მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რა საპიროა ამდენი ანგარიშის გაწევა შთამომავლობისათვის? ეს კაცი ბოლო თავებს მართლაც გაანადგურებს ჯოჯოხეთის შინით, რითაც ხუცები ემუქრებიან. პო, გაანადგურებს. ძალიან შეცვლილა, სულ სხვა იყო, როცა რომანს წერდა. რა მოხდა? რატომ შეიცვალა?“

გოგოლმა განავრძო: „ყოველი კაცი პასუხს აგებს იმაზე, რასაც წერს. ვანკითხვის დღეს ყველას პასუხს მოკითხავენ“.

„კი მაგრამ, რა არის თქვენს რომანში ისეთი, რომ თავს დამნაშავედ ვერძნობთ? — წამოიძახა ჰოფმანმა. — დამნაშავენი ისინი არიან, ვინც სიმართლის წერაში გვიშლის ხელს. განა მე არ მიშლიან ხელს? რაც აღამიანებს პირწმინდა ფანტაზია ჰგონიათ, ნამდვილად ხშირად ნაღდი სინამდვილის ნატეხია. ბოლო ხანებში სიცოცხლე ჩამიმწარეს, რადგან ზღაპარ „ოსტატ რწყილში“ შინაგან საქმეთა მინისტრი და მისი დამქაშები გავამასხრე. გამომცემელმა საჩოთირო ადგილები ამოიღო, მაგალითად, „ქნარპანტის“ ეპიზოდი. იმედი მაქვს, ოდესმე მთლიანად დაბეჭდავენ“.



კაფკა ჩაფიქრებული უსმენდა, ფიქრმა თითქოს მის სახეს სიმშვენიერე შესძინა: „რასაკვირველია, ყველა აგებს პასუხს იმაზე, რასაც წერს. ყოველი ჩვენგანი სიმართლეს უნდა წერდეს ცხოვრებაზე, მაგრამ სიძნელე ისაა, რომ ყველას სხვადასხვაგვარად გვესმის „სიმართლე“ და „სინამდვილე“. უმეტესობას მართალი მხოლოდ ის ჰგონია, რაც ენპირიულად ნამდვილი, ხილული და ხელშესახებია. როგორც კი სინამდვილე სიზმარულში გადადის (სიზმარი განა სინამდვილის ნაწილი არ არის?! მაშ, რა არის?!), მკითხველებს ნარი წახედებათ ხოლმე“.

თითქოს მიუხედავად პოფმანი კაფკას და თქვა:

„ადამიანებს მხოლოდ საკუთარი სიზმრებისა გაეგებათ. თუნდაც დააიწყებდეთ ეს სიზმრები, მაშინვე აღადგენენ, როცა მათ ხელოვნებაში სვდებიან“.

გოგოლმა შეაწყვეტინა:

„მაშ რაღა აზრი აქვს წერას, თუკი ადამიანებს თქვენი არ ესმით?!“

„არავითარი აზრი არა აქვს, — თქვა კაფკამ, — ამიტომ ჩემს შეგობარს მიეწერე, რომ როგორც კი ჩემს სიკვდილს შეიტყობს, მაშინვე დაწვას ჩემი ნაწერები. ყველაფერს მრუდედ გაიგებენ. ჩემს ფიქრებს ვერ მიპყრებიან, არც სიტყვებისა ესმით, ამ ფიქრების ფრთები რომ არიან. იმიტომ კია არა, რაიმეს ვამახინჯებდე. აი, მაგალითად, ჩემი რომანი „პროცესი“. ადამიანები მას რომელიმე რეალურ პროცესთან დააკავშირებენ, ერთ დროს მათი ფანტაზია რომ გააღიზიანა, მე კი დიდი ხნის მკვდარი და უენო ვიქნები. მე ვიცი, სასიკვდილოდ ვარ გადადებული. რაღაც უცნობმა და იდუმალმა ძალამ პროცესი წამოიწყა ჩემს წინააღმდეგ. მისი ბოლო სიკვდილია. ეს ჩემი საკუთარი პროცესია“.

პოფმანმა გაიფიქრა: „იქნებ ეს ახალგაზრდა კაცი მართლაც სასიკვდილოდა განწირული. გოგოლს კი თავისი „მეს“ საუკეთესო ნაწილის, თავისი ნაწარმოების განადგურება რომ უნდა, განკითხვის დღეს შიშითაა გამოწყვეული“.

ჩაფიქრებულმა კაფკამ განაგრძო: „უცნაურ მოხელეებზეც დაეწერე, რომლებიც უცნობი ძალის დავალებით ჩვენზე ბატონობენ, მაგრამ თვითონ მთლად არარაობანი არიან. ადამიანები ვერ ამჩნევენ, რომ ამ მოხელეებს პიჯაკის ჯიბეში დაპატიმრების ორდერი უდევთ. ვეღარ გამიგია, მკითხველებს აქვთ თვალზე ბინდი გადაფარებული, თუ თვითონ ჩემი რომანია ბურუსით მოცული“.

„ვფიქრობ, ჩემს ნაწერებში ყველაფერი ნათელია, — თქვა პოფმანმა, იმის მიუხედავად, რომ წამლაუწყუმ სინამდვილიდან დანტასტიკაში მიხედება გადასულა. ყველაფერი ნათელი უნდა იყოს. აბა სხვას ვის შეუძლია ანუგეშოს და გააფრთხილოს ადამიანები, თუ არა ჩვენ?! ისე კი ძილ-ღვიძილში კითხვა არ შეიძლება, საჭიროა ფხიზელი, მაძიებელი მუშტრის თვალით კითხვა. მხოლოდ მაშინ გაიგებს მკითხველი რას ეგულისხმობ“.

გოგოლმა უკმეზად თქვა, რაც ისეთივე უსიამო შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორც მისი უღვაში, დაწებებულს რომ ჰკავდა: „ერთ დროს წეც თქვენი აზრისა ვიყავი, ახლა კი ვფიქრობ, არავინ უწყის, რა არის ჭეშმარიტება“.

ორივემ შეცბუნებულმა შეხედა გოგოლს. პოფმანმა გაიცინა: „რა ამბავია

5 ივლისსმება მაქს ბროდი (1884—1968), რომელსაც კაფკამ ანდერძი დაუტოვა, გაენადგურებინა მისი ნაწერები მთლიანად, მაგრამ ბროდმა არ შესარულა შეგობარის ანდერძი.



თქვენს თავს, გოგოლ, მას შემდეგ, რაც რომანი დაწერეთ? თქვენთან აუტანელი ბიუროკრატიზმი და ბატონყმობა რომ არ არსებულყო, მ.შინ თქვენი სულების ვაჟარი ვერ იყიდდა სულებს“.

ამასობაში კაფე ხალხითა და ბოლით გაივსო. კელნერი მათ მაგიდას მიუხლოვდა და გოგოლს ჰკითხა, რას მიირთმევთო. გოგოლს იმედი მწარედ გაუტრუვდა: აქ არც სლივოვიცს დაგალევიანებდნენ, არც ხორცს მოგიტანდნენ და არც კიტრს. გუნებაწამხდარმა ყავა და ცოტა ნამცხვარი შეუკვთა. შემდეგ ამრეზილად განაგრძო საუბარი: „ბუშკინი თქვენ კვერს დაგიკრავდათ. როგორც იცით, ერთმა გასროლამ გადაწყვიტა მისი ბედი. ვინ იცის, აქვს კი უფლება ცალკეულ ადამიანს განსაჯოს, რა არის სამართლიანი და რა უსამართლო“.

ჰოფმანმა თქვა: „კი მაგრამ, თქვენს რომანებსა და ნოველებში მშვენიერად არჩევთ სამართლიანსა და უსამართლოს!“

„თქვენი ნოველა „შინელი“ უფრო მომწონს, ვიდრე თქვენი დიდი რომანი, — წამოიძახა კაფემ, — ღამით ქუჩებში მოჩვენება დაფრინავს და მაძლარ ბატონებს ხდის თბილ, მშვენიერ ბეწვის ქურქებს!“

„სწორედ ამ ნოველაში, — თქვა გოგოლმა (უცებ მან ჩამოიშორა სიკუშტე და ჩვეული გულითადობა დაუბრუნდა), — სინამდვილე უცებ შმაგ ფრენაში გადადის“.

დიდი კაცი კოლეგის სახლიდან გამოვიდა და მარხილში ჩაჯდა. თავს თბილ ქურქში მშვენიერად გრძნობდა. ზოგჯერ მხოლოდ სისინა ქარი აწუხებდა, რომელიც ღმერთმა უწყის საიდან ამოვარდნილიყო. და უცებ ჩვენმა დიდმა კაცმა იგრძნო, რომ ვიღაცა ღონიერად ჩააფრინდა საყელოში. შემოტრიალდა — ვიღაც ტანმორჩილი კაცი იყო, მოხელის გაცვეთილი ფრაკი ეცვა. უცებ იცნო და შიშმა აიტანა — ეს კაცი ხომ განსვენებული აკაკი აკაკიევიჩი იყო. ხომ დაგიპირე! სად წამიხვალ! შენი შინელი მჭირდება, ეკუბატონო! ჩემი ფეხებზე გეკიდა, მიღრიალე კიდევ. აბა, ახლა შენი მომეცი სანაცვლოდ!

ისიც უნდა აღენიშნო, რომ „ტიტულიარნი სოვეტნიკის“ მოჩვენება მეტად აღარ გამოჩენილა — როგორც ჩანს, ბატონი გენერლის ქურქი კარგად მოერგო“.

ორივე მსმენელი გულისყურით უსმენდა, მათ თვალებში თავდაპირილი აუტაცება ჩანდა. კელნერმა მაგიდაზე გადმოკალა თავისი ლანჯარი. გოგოლი ნამცხერის ქამას შეუღდა. არ მოსწონდა, რადგან ცხარე საკუმელს იყო შეჩვეული. უცებ ჰოფმანს მიუბრუნდა: „როგორც უკვე ვთქვი, ყველა თქვენი ზღაპარი ერთნაირად არ მომწონს, მაგრამ ხშირად აღტაცებული ვარ მოულოდნელი, უცნაური ამბებით, ამ ზღაპრებში რომ ხდება. ბევრჯერ მიფიქრია, როგორ აკავშირებთ საესებით უმნიშვნელო რაღაცასთან, თუნდაც კარის სახელურთან, ანდა რწყითთან ფანტასტიკურ აზრებს. მაგრამ ერთი რამ არ მესმის თქვენი: ფუქსავატურად რატომ ექცევიან დროს? — ისე ჩართავთ ხოლმე დროს მოქმედებაში, როგორც მოგეპირიანებათ. თქვენს ნაწერებში დღეს ხდება ის, რაც გუშინ უნდა მომხდარიყო, სხვა შემთხვევაში კი ორასი წლის წინანდელი ამბავი დღესაც გრძელდება. ფანტასტიკურ სამყაროშიც, მე მგონია, დროის კანონი უნდა მოქმედებდეს: დიახ, აკაკი აკაკიევიჩის სიკვდილის შემდეგ, ღამით მისი აჩრდილი გენერლის შინელში შეტერება. ცხადია, ჩემს ნაწერებშიც სინამდვილე ფანტასტიკაში გადადის, მაგრამ დროის მდინარებას არ



ვარდევ ხოლმე. საწყალ აკაკი აკაკიევიჩს დიდი ხელმოშვირნეობა მართებს, შინელი რომ შეიძინოს. მისი ხელმოშვირნეობის შემხედვარე მკითხველისათვის აშკარა ხდება, რა ძნელია მისთვის რაიმეს შეძენა და შემდეგ მისი დაკარგვა. იგი სასოწარკვეთილებისაგან კვდება და მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდება აჩრდილიც:“

„მე კი, მე დრო ჩირადაც არ მიღირს! — წამოიძახა ჰოფმანმა. — ჩემს რომანში ერთმანეთს ხვდება, მაგალითად, ორი პოლანდიელი სწავლული შინის ფრანკფურტში, თუმცა ერთ-ერთი მათგანი ამ დროისათვის უკვე დიდი ხანია უტრეხტშია დასაფლავებული. იგი არის პირველი სწავლული, ვინც გამადიდებელი შინა, ლუბა გამოიგონა. ეს ლუბა ჩემი მოთხრობისათვის მჭირდება. მის გამოგონებას ღამის ლუბადაც კი ვიყენებ, რომელიც რწყილის ცირკში პაწაწკინტელა რწყილებს ისე ადიდებს, რომ მაყურებლები შიშით თავზარდაცემულნი დარბაზიდან გარბიან. წარმოიდგინეთ საშინლად გაზრდილი ტილებისა და კოლოების ფუთფუთი, აქამდე უჩინარნი ანდა ერთი ბეწონი რომ იყვნენ. ჩვენ სამნი ხომ აქ ვერ მოვუსხდებოდით მაგიდას, დრო რომ პედანტურად დაგვეცვა?! თქვენი თანამედროვე, გოგოლ, მე ხომ ცოტა ხნით ვიყავი. კახამდე კი თქვენ თითქმის 100 წლით აღრე ცხოვრობდით“.

კახკამ ხმადაბლა ჩაილაპარაკა, თითქოს თავისთვის ამბობსო: „დრო ჩემს ცხოვრებასთან და შემოქმედებასთან მტკიცედაა დაკავშირებული. ჩემს პერსონაჟებს სახე არ სჭირდებათ, მკითხველებს შეუძლიათ თვითონ წარმოიდგინონ. მე შინტერესებს, როგორ მოიქცევიან ისინი ამა თუ იმ დროს, რა გუნება-განწყობილება ექნებათ. მე, მაგალითად, წარმოვიდგენ, როგორ მოიქცეოდა ჩემი კეთილი მეზობელი, უცებ რომ გაეგო, კახკა დააპატიმრეს და მისი ბინა დალუქესო, მე კი ამის მიზეზიც არ მცოდნოდა. მეზობელი, აქამდე პატივს რომ მცემდა, ათას რამეს იფიქრებდა. მე შემიძლია წარმოვიდგინო, რა გუნებაზეა ის, ვისაც გამოუცნობი ძალა ემუჭრება. ისე ეს მუჭარაც, ადამიანის ამასთან დაკავშირებული საქციელიც ისევე რეალურია, როგორც ადამიანის სახე ანდა მისი ხსიათი, და ყოველივე ეს დროშია განფენილი, ამაში გოგოლს ვეთანხმები“.

გოგოლი ისევ ლანძღვას მოჰყვა, რადგან კახეში ხეირიანი არაფერი ჰქონდათ. სასტუმროში წასვლა აღარ ღირდა. იძულებული იყო ისევ ყავა და ნამცხვარი შეეკეთათ. თანამესუფრეებსაც შესთავაზა.

ჰოფმანი გულში ფიქრობდა: „სწორედ მე, ჩვენ სამს შორის ყველაზე ულევ მეოცნებედ რომ ვითვლები, და სინამდვილისაგანაც თითქოსდა უფრო ვარ განრიდებული, ალბათ ყველაზე მეტად სწორედ მე ვიტანჯებოდი ქამთა სიავით, მეტერნიის წყულის აგენტების გამოისობით, ყველგან რომ დასუნსულებდნენ. ჩემი სიცოცხლის მწუხარზე, თუმცა დამბლადაცემული ვიყავი, ფიქრებსა და აზრებში მაინც ისეთი გამაგებიათ გაიბრძოლე, როგორც არასდროს. ასე მგონია, გოგოლი სულიერად გატეხილია. ძალიან უჭირს მეფის რუსეთში ცხოვრება. ალბათ მართლაც ძალიან ძნელია, დამთრგუნველი“.

შემდეგ ხმაშლია განაგრძო ფიქრი: „კახკა, თქვენ რომ არასოდეს არა წერთ სამართლიანობაზე და მხოლოდ საყოველთაო პროცესს ეხებით, რასაც უცნობი ძალა მართავს, ჩემთვის გაუგებარია“.

კახკამ გაწამებული ხმით მიუგო: „სწავლება, ორიოდე დღის სიცოცხლეს რომ მიტოვებს, ალბათ 1917 წლის სუსხიან ზამთარში ავიკიდე. მაშინ დაწვე-

რე მცირე მოთხრობა „როფის მხედარი“. ამ მოთხრობაში არაფერია იღუმბალი, ყველაფერი წყველი სინამდვილეა. ისეთი ძლიერი ვერ არის, როგორც „შინელი“, მაგრამ ფეიქრობ, სუსტი არ უნდა იყოს, მთავარია ადამიანებმა მისი გავება მოინდომონ“.

„მთავარია, მთავარი, გოგოლს უკარებლობა მთლად ჩამოეშორებინა. მის-დაუნებურად პროფესიულ ჟინს აეტანა. — გაუგებარი ნაწარმოები, აი ისეთი, ახალგაზრდები რომ ჩმახავენ ხოლმე, არაფრის მაქნისია“.

„მე მგონია, თქვენ კაფკას ტყუილუბრალოდ საყვედურობთ. კაფკა, იქნებ ცოტა რამ გვიამბოთ ამ მოთხრობაზე“.

კაფკამ თხრობა დაიწყო, ეს არ იყო ეგზალტირებული ტონი, თავის ფიქრებს რიტმი შეუფარდა. „ნახშირი მთლად გაიზარჯა; როფი დაცარიელდა; აქანდაზმა აზრი დაკარგა; ღუმელი სიცივეს ამოისუნთქავდა მხოლოდ; ოთახში სუსხი დათარეშობდა; ფანჯრის წინ ხეებს ლოლუები ეკიდებ; ცა რკინასავით ცივია მისთვის, ვინც მისგან შემწვობას გამოელის. როგორმე ნახშირი უნდა ვიშოვო; ხომ არ გავიყინებ; ჩემს უკან შეუბრალებელი ღუმელია. ჩემს წინ — ასეთივე ცა, მასასაღამე, უნდა გავქუსლო როფზე გადამჭდარმა და შევლავთხოვო მენახშირეს. ჩემმა გამგზავრებამ უნდა გადაწყვიტოს ყოველივე, ამიტომ როფს მივაჭუნებ იქითკენ — მე როფის მხედარი ვარ, ხელი როფის სახელურზე მიკიდია, ეს ყველაზე მარტივი აღვირია, კიბეზე ძლივს ჩავრახრახნდი. საოცრად მაღლა დავლივლივებ მენახშირის სარდაფის თაღებს ზემოთ; მენახშირე კი ქვემოთ, თავის მაგიდასთან ჩაცუცქეულა და წერს. საშინელი სიტყვები რომ გაანელოს, კარი გაუღია.“

— მენახშირე, შენ გენაცვალე, ცოტა ნახშირი მომე. ჩემი როფი ისე ცარიელია, მისი გაქენებაც კი შემიძლია. თუ ძმა ხარ, როგორც კი შევიძლებ, გადავიხბი.

მენახშირე ხელს ყურზე იდებს.

— ხომ არ მომეყურა? — ეკითხება ცოლს. ცოლი ღუმელთან მიმჯდარა და ქსოვს. — ხომ არ მომეყურა? მუშტარმა მომაკითხა?

— არაფერი მესმის, — ამბობს ცოლი არხეინად, მშვიდად სუნთქავს და ჩხირებს ამოძრავებს, ზურგი საამოდ გასთბობია.

— ჰო, მე ვარ, — ვიძახი, — ძველი მუშტარი; შენი ერთგული, ოღონდ ამჟამად უსახსროდა ვარ.

— დედაკაცო, — ამბობს მენახშირე, — ვილაცა; ხომ არ მომეჩვენებოდა. ძველი, ძალიან ძველი მუშტარი უნდა იყოს, ისე ენაწულიანად მელაპარაკებდა. ახლავე, — ამბობს მენახშირე და მოკლე ფეხებით ცდილობს სარდაფის კიბეზე ამოფოფხდეს, მაგრამ ცოლი წამსვე მასთან გაჩნდება, ხელს ჩასკიდებს და ეუბნება, — სად მიდიხარ, დაგავიწყდა, ღამით როგორ გახველებდა?! მე ავალ.

— ქალბატონო მენახშირე, — ჩაეძახე, — როგორ გიკითხოთ? მხოლოდ ერთი აქანდაზი ნახშირი მინდა. ავერ როფში ჩამიყარე. ერთი აქანდაზი იყოს, თუნდაც ცუდი ნახშირი. სრულად გადავიხბი, მაგრამ ახლა ვერა...  
— რა უსიამოდ ჟღერს ეს ორი სიტყვა „ახლა ვერაო“, რა გონებისდამაზნებლად შეერია ეს სიტყვები ნწუნხრის ზარების ჟღარილს, მახლობელი სამრეკლოდან რომ ისმის!

— რაო, რა მინდაო? — ამოსძახის მენახშირე.



— არაფერი, — ჩასძახის ცოლი, — არაფერი; ვერაფერს ვხედავ, არაფერი მესმის.

ქალი ვერაფერს ხედავს, ქალს არაფერი ესმის, მაგრამ მაინც წინსაფარს იხსნის და ცდილობს წინსაფრით ამიქშიოს. სამწუხაროდ, ამას ახერხებს კიდევ. ჩემს როფს ბედაურის ყველა ღირსება აქვს. ეგ არის მხოლოდ — წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლია. ძალიან მსუბუქია, ქალის წინსაფრით შეიძლება მისი აქშევა.

— შე აშარო, შენა! — ეს კი მივამახე და ქალი ისევ თავის საქმეს დაუბრუნდა, თანაც კმაყოფილმა აგდებით ამიქნია ხელი. — შე აშარო! ერთი აქანდაზი უხეირო ნახშირი გთხოვე და ისიც ვერ გაიმეტე! — ამისი თქმა და ყინულოვან მთებში გაფრენა ერთია, სადაც სამუდამოდ ვიკარგები“.

ორივე მსმენელი დუმდა. უხერხული ეჩვენებოდათ ხმამალა შეეკოთ მოთხრობა, მით უმეტეს რომ მოთხრობილი ამბავი ღრმად შეჭრილიყო მათ სულში.

კაფკამ ჩუმად თქვა, ხმა რომ დაეზოგა: „იმ წყეული ზამთრიდან მოყოლებული, ჩემმა როფის მხედარმა ნახშირი ამაოდ რომ ითხოვა, სიკვდილის შიშმა შემიპყრო. ჰაზბუტურების მონარქია დაემხო, მე კი ჩემი თავი მყავდა სატირალი. მასარიკი პრაქინში შევიდა, მე კი ჩემი თავი მყავდა სატირალი. რევოლუციამ გადაიარა ქვეყნებზე, მე კი ჩემი თავი მყავდა სატირალი.“

ალბათ ჩემი „როფის მხედარი“ ცუდი არაა, მაგრამ შეუღარებელია გოგოლის „შინელი“. აქ პირდაღებული უფსკრულია ღარიბებსა და მდიდრებს შორის“.

გოგოლმა თქვა: „თავადაც ვიცი, ჩემი მოთხრობა რომ კარგია, მაგრამ თქვენიც მომწონს. უფსკრული, თქვენ რომ ამბობთ, ორივეგანაა, თუკი თქვენს მცირე მოთხრობას ჩემსას შევადარებთ. მე მოთხრობის ბოლოში გადავდივარ ფანტასტიკურში, თქვენ კი იმავეითვე ფანტასტიკურით იწყებთ. ისე კი ორივენი სამართლიანობასა და უსამართლობას ვუტრიალებთ.“

მოწაფე ვიყავი. ხარბად ვნთქავდი ყველაფერს, რასაც დეკაბრისტებზე მოვკრავდი ყურს. და შემდეგ, როცა მწერალი გაცხდი, საგანგებოდ არ დამისახავს მიზნად, სამართლიანობასა და უსამართლობაზე, ღარიბსა და მდიდარზე მეწერა. მაგრამ ეს თავისთავად გამომდიოდა, რადგან სინამდვილე მინდოდა გამომესახა“.

„ამას კი ამბობ. მაგრამ ის ველარ გაგიბედავს, — ფიქრობდა ჰოფმანი, — საკუთარ მასწავლებელს, შენს მეგობარ ბელინსკის შეხვედრ ხალხში. გემინია, ვინმე ნაცნობმა არისტოკრატმა არ დაგინახოს მასთან“.

ხმამალა კი მხოლოდ ეს თქვა: „გემუღარებთ, არაფერი შეცვალეთ „მეკლარ სულეზში“ — ბატონყმობის დროინდელ ადამაინების ცხოვრებაზე სამარადქამო ქეშმარიტებას ამბობს“.

„არაფერი მესმის, არაფერი მესმის, — თქვა გოგოლმა. — ბევრი ღვარძლიან მეძახის: პუშკინიც კი არ ყოფილა ასე ღვარძლიანი, პოეტურობა მთლად დაჰკარგეო. ჩემი ფრანგი მეგობარი მერიმეც კი არ ალტაცებულა ისე ამ წიგნით, როგორც თქვენ. ის ფიქრობს, თითქოს მდამალსა და სასაცილოს ვერ ეახსნეაებდნენ ერთმანეთისაგან. და თითქოს მიდრეკილება მქონდეს მხოლოდ ცუდი დაეინახო და გამოვამზეურო“.

„მერიმემ ნამდვილად სხვა რამ იგულისხმა ან სიტყვებში, ის კი არა, რასაც

ის თქვენი ხუცები ფიქრობენ“, — ხმადაბლა თქვა კაფკამ. — ეკ, ხშირად მეც მსაყვედურობენ ამას. თითქოს მხოლოდ ცუდის განსახიერება მსურდეს არა. მე მინდა გამოვსახო რაღაც აუხსნელი, საბედისწერო, ის რაც ადამიანს ემუქრება. — კაფკას ხმა მკაფიოდ ისმოდა. — ერთ ჩემს მოთხრობაში ახალგაზრდა ზამზა გომბეშოდ გადაიქცევა. ჩემი სისასტიკე ხალხს აძრწუნებს. მე უბრალოდ ის აღვნიშნე, რაც ჩემს დროში ხდება; თითქოს მოქმედება გომბეშის ზღაპარში ხდებოდეს: ბაყაყი სისახლეში შეაღწევს, მეფის ასულმა მასთან ერთად უნდა ჭამოს და იძინოს. ძალიან მიყვარს გომბეშის ზღაპრები. ამ ზღაპრების ენამ ბევრი რამ მომცა. უნდა გამოუტყდე, ზოგიერთი ფრაზის აზრი და რიტმი პირდაპირ ვადმოვიდა ჩემს ნაწერებში.

რა საოცარი ფენომენია ენა, რა გამოუცნობი! ცალკეულ ადამიანებს შეუძლიათ სისულელე და სიცრუე მოჩმახონ, მაგრამ მთლიანობაში ყოველი ენა ძალუშია. ერთ ხასილურ ლეგენდაში ნათქვამია: ღვთის სიტყვას თუ წარმოთქვამ, მაშინ მთელი არსებით ამ სიტყვაში გადადიხარო. მე მგონია, არათუ ცალკეული ადამიანის, არამედ მთელი ხალხის სული გადადის ენაში“.

„ეს მართალია, — თქვა გოგოლმა, — ჩვენს ენაშიც არის სიტყვები, რომლებშიც მთელი რუსი ხალხის სულია ჩაქსოვილი. საკმარისია გაიფონო ცალკეული სიტყვა ან სტრიქონი და მაშინვე მიხვდები — ეს ლერმონტოვის, ეს კიდევ პუშკინის ენის სტიქია არისო“.

„ასევეა ჩემს გერმანულშიც! — წამოიძახა პოფმანმა. — მართო გოეთეს შემოქმედებიდან ასობით მაგალითის მოყვანა შემიძლია. დიდი მწერალია, თუმცა ბოლო ხანებში სისტიკად გამომათხა. თავდაპირველად მოსწონდა, როგორ გადავიდოდი ხოლმე რეალურიდან ფანტასტიკურში. თვითონაც უყვარს ასეთი ნახტომები; მაგალითად „ფაუსტის“ ვალპურგის ღამეში. აქაც ხომ სინამდვილე და შეთხზული, გამონაგონი ერთმანეთს ენაცვლება. იტალიაში მოგზაურობის შემდეგ, ამბობენ, მხოლოდ ანტიკურ ხელოვნებას აღიარებდსო. თუმცა უნდა იცოდეს, რომ სწორედ ბერძნები და რომაელები უნაცვლებენ ხშირად ერთმანეთს რეალურსა და ფანტასტიკურს. დღეს არც კი ვიცი, როგორი იყო ის სინამდვილე. კი მაგრამ, რას ნიშნავს, კაფკა, „ხასილური ლეგენდა“?“

„ბოლო საუკუნეებში პოლონელმა ებრაელებმა, რომელთაგან ზოგიერთები ნამდვილი გლეხებივით სოფლად ცხოვრობდნენ, ხოლო დანარჩენებს ქალაქების გეტოებში მოეყარათ თავი, შექმნეს თვითმყოფი კულტურა. ისინი ერთმანეთს უამბობდნენ ლეგენდებსა და ზღაპრებს, მხიარულსა და შემადრწუნებელს. ზოგი ლეგენდა და ზღაპარი მათივე ძველი სჯულისდების წიგნებიდან და თალმუდიდან იყო, ზოგიც — ბიბლიიდან, ზოგიერთს კი თვითონვე თხზავდნენ. როცა აქ, პრაღაში ლეგვის თეატრალური სკოლა იყო გასტროლებზე, ხშირად ლიოვისთან ერთად კაფე „საეოიში“ ვიჭექი. მისგან ბევრი რამ ვისწავლე“.

„ჩვენ ამ ლეგენდებზე არაფერი გავიფონია“.

კაფკამ თქვა: „ბევრი ჩემი მოთხრობა ხასილურ ლეგენდებთანაა დაკავშირებული“.

ჩაფიქრებულმა გოგოლმა ცნობისმოყვარედ შეხედა კაფკას: „უველა რუს

<sup>6</sup> კაფკას ღვთის ნათესაი, მას ბიძად ერგებოდა.

მწერალს ვიცნობ, მაგრამ არ ვიცოდი, რომ ჩემს ქვეყანაში ასეთი რამეც არსებობდა. ებრაელები დედანჩემის მამულში იმისათვის ჩამოდოდნენ, რომ ვალები აპოვლოთ. როგორ ვიფიქრებდი, მწერლობაც თუ შეეძლოთ“.

ჰოფმანს გაეცინა: „კი მაგრამ, თქვენი ჩიჩიკოვი, მკვლარი გლეხებით რომ ვაჭრობდა, რუსი არ იყო!“

გოგოლმა ბანზე აუგდო სიტყვა და კაფკას ჰკითხა: „ამ ხასილებს, როგორც თქვენ ამბობთ, ღმერთი სწამთ, მაგრამ ეშმაკიცა სწამთ?“.

„რასაკვირველია, — მიუგო კაფკამ, — ამის დასტურად ერთ ამბავს მოგიყვებით, რომლის მხოლოდ გახსენებაც კი ქრუანტელსა გვერის. ერთი ყმაწვილი შეიტყობს, რომ არცთუ ისე შორეულ ქალაქში ცხოვრობს ერთი რაბინი, ნაღდი ოსტატი. ყმაწვილს ერთი სული აქვს, როდის დაუდგება ამ რაბინს შეგირდად: მშობლებს ემუდარება, მასთან გაამაბარეთო. მშობლებს, მართალია, ეშინიათ, მაგრამ ვაჟი ისე დაეინებით იხვეწება, რომ მამას სხვა გამოსავალი აღარა აქვს, უნდა აიკრან გულა-ნაბადი და გზას დაადგნენ. ის-ისაა მამა-შვილი ქალაქს გასცდება, რომ ფორანს თვალი გაუტყდება. მამა ამას ღმერთის გაფრთხილებად მიიჩნევს, უკან გაბრუნდითო. ყმაწვილი კი იმდენ ხანს ეხვეწება მამას თავგადადებული, სანამ კვლავ გზას არ გაუდგებიან. მაგრამ ამჟერად ისე გაავდრდება, რომ შინ ბრუნდებიან. ყმაწვილი დასწრულდება, დარდისაგან მძიმედ გახდება ავად. ექიმიცა და მშობლებიც შიშობენ, ყმაწვილი დაიღუპება, ოსტატთან თუ არ წაეიყვანეთო.“

ბოლოს იმ ქალაქში ჩააღწევენ. ღამეს ერთ ფუნდუქში ათევენ. ვიღაც უცხო, ქალაჩა, გამხდარი მამაკაცი, რომელსაც პირქუში გამოხედვა აქვს, მათ მაგიდას მიუჯდება. რატომ ჩამოხვედითო, ეკითხება მამა-შვილს. მამა ყველაფერს მოუყვება. მაშინ უცნობი აფრთხილებს: თქვენდა საბედნიეროდ, მე კარგად ვიცნობ იმ კაცს, რომელსაც გინდათ მიჰგვართოთ თქვენი შვილი, არაფერი ოსტატი ის არაა, პირიქით, ახლავარდობას თავისი მოძღვრებით რყენისო. დანაღვლიანებულ, მაგრამ მაინც იმით კმაყოფილ მამას, რომ უკანასკნელ წუთს ვიღაც ღვთისწიერმა თვალი აუხილა, უკან მიჰყავს თავისი შვილი. ვაჟი სასოწარკვეთილებისაგან მძიმედ ხდება ავად. ექიმები ვერ შველიან და კვდება. რამდენიმე წლის შემდეგ მამა შემთხვევით მოხედება იმ ქალაქში. იმავე ფუნდუქს მიაშურებს. იგივე უცნობი კაცი მიუჯდება მის მაგიდას და ეკითხება, თქვენი ვაჟი როგორ არისო? მამა ეტყვის, დაიღუპაო. უცნობი ხელებს იფშენებს, თვალები უბრწყინავს, თან ამბობს: ახლა შეიძლება ყველაფერი შეიტყო, ოსტატს დიდი სინათლის საფეხური ჰქონდა, შენს ვაჟს კი მცირე სინათლის საფეხური, ჰოდა ისინი ერთმანეთს რომ შეხვედროდნენ, მაშინ მესია მოველინებოდა ქვეყანას, მე კი ეს ერთხელ და სამუდამოდ ჩაეფუშეო“.

კაფკა თბრობისას გაფითრებულიყო. ჰოფმანი გაოცებული შესტკეროდა, გოგოლმა კი წამოიძახა: „ნაღდად ეშმაკი იყო! თუმც ეს ამბავი მთლად კარგად არ მესმის. მეც მყავს თავზესაყრელად ეშმაკები. მაგრამ მე მგონია, ეშმაკეული ადამიანები უკეთ გამოიძის“.

ჰოფმანმა თქვა: „ჩემს ეშმაკის ელექსირებში“ ორივეა. ეშმაკის ხრიკების წყალობით ადამიანები ეშმაკეულნი ხდებიან. თქვენ, კაფკა, გეტყობათ ლეგენდებიდან ბევრი რამ გისწავლიათ, ერთი მათგანი ხომ ეს-ესაა რაც მოგვიყვით, მაგრამ, მე მგონია, კარგთან ერთად ავიც შეგვითვისებიათ ამ ლეგენდებისა. თქვენ ყურადღებას ამახვილებთ განსაკუთრებით იმაზე, რაც ადამიანებს



ანგარიშმიუცემელ შიშს ჰგვრის, რაც აეჭვიანებს, სიმტკიცეს აქარგვინებს. თქვენს ნაწერებში, ემიშობ, არ არიან სისხლსაცხე ადამიანები, რომელთაც დადებითი თვისებებიც ექნებოდათ და უარყოფითიც. თქვენს ქმნილებებს აქვთ მხოლოდ გარკვეული გრძნობები, ხანდახან ყოველ კაცს რომ მოერევა ხოლმე. წუღან თვითონაც თქვით რაღაც ამდაგვარი. თქვენი პერსონაჟები საგანგებოდ გამოგონილნი არიან, რომ ეს გრძნობები განასახიერონ.“

„მოითმინეთ, — შეაწყვეტინა კაფკამ, — ლეგენდა ხომ ჩემი გამოგონილი არაა, მე მხოლოდ ვავიშვორე. ამ ამბავში ბოროტეული ბატონობს. ბატონმა გოგოლმა აქი ეშმაკზე მკითხა.“

„ღიახ, ძალიან მიანტრერესებს, — თქვა გოგოლმა, — მეც ხომ მუდამ ამას მსაყვედურობენ. რაც მწერალს საშინლად იზიდავს, ბოროტეული, ღიახ, ეშმაკეული, განსაკუთრებით კარგად გამოსდის. — რატომაა რომ ხშირად ამას უკეთ ასერხებს, ვიდრე კეთილისა და წმინდას ასახვას?“

ჰოფმანმა თქვა: „მე მგონია, იმიტომ, რომ მწერალი ამით ადამიანებს ანუ-გეშებს, თანაც ღრმად იჭრება მათ ბუნებაში“.

„ანუგეშებს?“

„ღიახ, ანუგეშებს. ესეცაა, — თქვა ჰოფმანმა, — მკითხველს თავად ხშირად უგრძენია და განუცდია ბოროტეული. ჰოდა როცა წიგნში კითხულობს ბოროტეულის თაობაზე, გებულობს, რომ მის გარდა სხვაც ბევრი ყოფილა ცოდვილი. ეს შეეხას ჰგვრის, როგორც თავისებური აღსარება. და საერთოდ რატომაა ბოროტი მშვენიერი? შტრასბურგის ტაძრის პორტალზე ქვის ქალწულებს შორის ბოროტნი უფრო მშვენიერნი არიან, ვიდრე ლეთისმოსავნი. ბოროტეული გვიტყუებს, გვაცდუნებს, კეთილმა კი თავისთავად უნდა მოახდინოს ზემოქმედება. ჩვენ — საწყალი ადამიანები მას ხშირად ვერ ვხედავთ. ჩვენს სულში იშვიათად მოქმედებს ხატი კეთილისა, რომ თავალი აგვიხილოს.“

გოგოლი დაძაბული უსმენდა. „ათასგზის მართალი ბრძანდებით, — უთხრა ჰოფმანს, — იშვიათად ვხედავ ამქვეყნად ამაღლებულს, წმინდას. ამის ხორცმცხსმას ხშირად ვერც კი ვახერხებ. პუშკინის ნაწერებში, ჰო, მის თხზულებებში ზოგჯერ ეს ყოველივე მთლად ყოველდღიურ ამბებში გვლინდება, მაგალითად, „ონეგინში“ ტატიანას საქციელი ამაღლებულის, მშვენიერის გამოვლენაა.“

ბუნებაში, მთებსა და მდინარეებში შეიძლება ჩემი ქვეყნის სიძლიერის დანახვა — ეს არის ის წმინდა და მშვენიერი, რასაც მე ზორცი შევასხი“.

„მუსიკაში, — თქვა ჰოფმანმა, — ურიცხვ ბეგრებში ქდერს ამაღლებული, წმინდა საწყისი. ბგერა უსხეულოა, ალბათ ანიტომაა მასში დავანებული მშვენიერება, ქვა და სიტყვა კი ორთავ უძლურია“.

ჰოფმანი კაფკას მიუბრუნდა: „ახლახან თქვით, მოთხრობის აზრი თითქოს უკვე ენაშივე ძევსო.“

კაფკამ მიუგო: „და ყოველი შინაარსი შესაბამის ენას თხოულობს, ამაშიც უსამშობლო ვარ, გერმანულსა და ჩეხურს შორის გახიარული. ჰამეტან ტყუილდებრალოდ კი არ ვმჭდარეარ აშმაშხანაში ანდა ლიოვისთან კაფე „სავოიში“. მე არა მართო გერმანელი და რუსი მწერლებით, არამედ ხასილური ლეგენდებითაც ვსაზრდოობდი. დანიელი კირკეგორის თხზულებებში თარგმანის მეშვეობითაც კი ვგრძნობდი ენისა და შინაარსის შესაშურ ერთიანო-“





ბას, თუნდაც, მაგალითად, მის წიგნში „პიროვნების ჩამოყალიბებაში ესთე-ტურსა და ეთიკურს შორის წონასწორობის თაობაზე“.

— ჩემო მეგობარო! რაც ასე ხშირად მიიქვამს შენთვის, იმასვე გიმეო-რებ. ისევ მოგძახი: ან ასე — ან ისე-მეთქი! საგნის მნიშვნელობას, რასაც საქ-მე ეხება, ამართლებს სიტყვის მნიშვნელობა. ხომ არსებობენ ვითარებანი, რომელთა „ან ისე — ან ასე“-სადმი დაქვემდებარება განსჯის უნარის უქო-ნელთ ძალუძთ. მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომლებიც იმდენად სუსტნი არიან, რომ არ შეუძლიათ პათოსით თქვან: ან ასე — ან ისე. ეს სიტყვები ჩემზე ყოველთვის ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა, ახლაც ახდენს, განსაკუთ-რებით, როცა მათ ყოველგვარი მიმართულების გარეშე ვიზობ და, მაშასადა-მე, შემძლია საშინელი წინააღმდეგობანი მოვიპოვო. მაშინ ისინი ჩემზე შე-ლოცვისავით შემოქმედებენ: „ან ასე — ან ისე!“.

კაფკა წყნარად ლაპარაკობდა, მაგრამ სიტყვებს ხელის მოძრაობას აყო-ლებდა, თითქოს უროს ურტყამსო.

ჰოფმანმა თქვა: „თითქმის სრულყოფილად შესახება მე სიტყვისა და ში-ნაარსის ერთიანობა „მკვდარი სულების“ ბოლოში“.

„რასაც თქვენ ახლა ბოლოს უწოდებთ, — ჩაუბრუნო გოგოლმა, — ერთხე-ლაც იქნება და შუა ადგილი აღმოჩნდება!“

„ნეტავ ასე არ მოხდებოდეს“, გულში გაივლო ჰოფმანმა, ხოლო კაფკა ფიქრობდა: „ხელოვნებისათვის ცული არ იქნება, თუ იმ შენ ყურით მოთრე-ულ ბოლოს დაწვავ; რასაც ახლა შუა ნაწილად ასალებ, შესაძლოა შემდეგ საბოლოო დასასრულად დარჩეს.“

ჰოფმანმა თქვა: „წაგვივითხე, მეგობარო, თუ შეიძლება. აქა ზაქეს ფრან-გული გამოცემა. გადაგვითარგმნეთ ეს ადგილი“.

გოგოლმა აღიარა, რომ ეს ადგილი თითქმის ზეპირად იცოდა და ამჯობი-ნებდა რუსულად ეთქვა: „ჩიჩიკოვს სახეზე ღიმილი უკართოდა, როცა ეტლში ტყავის ბალიშზე შექანდებოდა ხოლმე, ვინაიდან უყვარდა სწრაფი სვლა. მაგ-რამ რომელ რუსს არ უყვარს სწრაფი სვლა? განა მის სულს, რომელსაც ასე უყვარს თავბრუდამხვევი თავაწყვეტილი ღრეობა, ზოგჯერ თქმა: ეჰ, მეწყურ-საც წაუღია ყველაფერიო, შეიძლება არ უყვარდეს იგი? განა შეიძლება არ უყვარდეს ეს სწრაფი სვლა, როცა მასში იგრძნობა რაღაც გულისწამლე-ბად მომხიბვლელი? ასე გგონია, რაღაც უცნაურმა ძალამ ფრთაზე შეგისვა, შენც მიჰტრენ და ყოველივე მიჰტრენს შენთან ერთად: მიფრინავენ მანძი-ლის მანიშნებელი ბოძები, მიფრინავენ შემხედური ვაჭრები თავიანთი ეტლე-ბის კოფობზე შემსხდარნი, მიფრინავენ ორივე მხარეს გაჭიმული ფიჭვნარისა და ნაძვნარის დაბურული ტყე, ცულის კაკუნითა და ყვავების ჩხავილით, მიფ-რინავენ მთლად ეს გზა სადღაც შორს, უსასრულო სივრცეში, და არის რაღაც შიშისმომგვრელი ამ სწრაფს გაელვებაში, როცა საგნები ვერც კი ასწრებენ გამოსახვას ისე ჰქრებიან, მხოლოდ თავზე გადმოხურული ცა, მსუბუქი ღრუბ-ლები და იქიდან თავგადმოყოფილი მთვარე გეჩვენებათ უძრავი. ეჰ, ტროი-კა! ჩიტვიით მფრინავო ტროიკა, ნეტავ ვინ გამოგვიონა? უთუოდ მამაც ხალხში უნდა აღმოცენებულყავ, იმ მიწა-წყალზე, რომელსაც არ უყვარს ხუმრობა და ნახევარი დედამიწის ზურგზე გადაშლილ-გადაჭიმულა, მოდი ახლა და მოჰყე ზედ მანძილის მანიშნებელი ბოძების თვლას, ვიდრე თვალი არ აგიპრელდება [...] ან რა უცნობელი ძალა იმალება, ქვეყნიერებაზე

ჯერ არნახული, ამ ცხენებში? ვიშ, რა ცხენებია! ქარიშხალი ხომ არა დგას თქვენს ფაფარში? მოპკრავ თუ არა ყურს მაღლიდან ნაცნობ სიმღერას, თქვენც ერთბაშად მწყობრად დაძაბავთ რკინის გულმკერდს და მიწაზე ფლოქის დაუკარებლივ, ლარივით გაქიმულნი მიპქრისხართ ჰაერში. [...] წარმტაცად გაისმის ზანზალაკის წკრიალი; გრილებს ქარადქცეული დაფლეთილი ჰაერი; მიპქრის ირგვლივ ყოველივე, რაც კი დედამიწის ზურგზეა...<sup>7</sup>

გოგოლმა არა მხოლოდ თითები, არამედ მხრებიც კი ააყოლა წინადადებებს, თითქოს მათ რიტმზე უნდა აცეკვდესო. კელნერიც კი, ხელში ყავის სინი რომ ეჭირა, შემდგარიყო და ყური მიეპყრო. მაგიდასთან მჯდომი ორივე მსმენელი დუმდა. მათი დუმილი ქებაზე მქვერმეტყველი იყო. შემდეგ ჰოფმანმა თქვა:

„ყველამ იცის, რომ ეს ჩიჩიკოვი არამზადაა. თუმცა გაიძვერაა, მაგრამ მაინც რაღაც საერთო აქვს ყველა ჩვენგანთან. მას უყვარს მგზავრობა სამცხენა ეტლით, უყვარს ქვეყანა, სადაც თავაწყვეტილი მიპქრის ხოლმე. და ამ მგზავრობის, ამ სამცხენა ეტლის თქვენეული აღწერით მკითხველი მაღლდება ჩიჩიკოვის არამზადობაზე. თითქოს იმ არამზადობას საღდაც უკან მოიტოვებს, როგორც რომელიღაც უმნიშვნელო წერტილს ამ უსაზღვროდ ამალღებულ ქვეყანაში. წერა ასე უნდა, თუკი შეგიძლია. მე ვშიშობ, სწორედ ეს აკლია თქვენს მოთხრობებს, კაფკა, ადამიანი ოდესმე ხომ უნდა ამალღდეს ამ ჩვენი უზადრუკი ცხოვრების ტანჯვასა და ჯახირზე“.

„ზოგი რამ თქვენგანაც ვისწავლე, ჰოფმან, — თქვა გოგოლმა, — ალბათ იმიტომ, რომ ვიცი, რა რიგ გიყვართ მუსიკა, ზოგჯერ მეჩვენება, რომ თქვენი ნაწერების შინაარსსა და ენას, რომლითაც გადმოცემულია ეს შინაარსი, თითქოს ერთნაირი ძღერადობა აქვთ“.

ჰოფმანმა თქვა: „ცხადია, ძუნწი და მკაცრი შინაარსი ძუნწად და მკაცრად უნდა გადმოიცეს. მაგრამ ჩემს მიერ აღწერილი უმეტესად დახლართული, ზღაპრული, სწრაფცვალებადი ამბები ასეთსავე დახლართულ, ცვალებად ფორმას მოითხოვენ.“

გოგოლმა თქვა: „კარგა ხანია წაეკითხე ერთ-ერთი თქვენი მოთხრობა, მუსიკას რომ ეხება. „რაინდი გლუკი“ ერქვა. ძალიან გთხოვთ, კიდევ ერთხელ გვიამბეთ“.

„რადგან მე მუსიკოსიცა ვარ, — ჰოფმანს ბევრი ხეყნა არ დასჭირებია, — ხშირად შევდიოდი ბერლინის ერთ-ერთ კაფეში, სადაც კარგი ორკესტრი უკრავდა — ყოველ შემთხვევაში, ყოველთვის იმედი მქონდა, რომ კარგად დაუკრავდნენ.“

ბერლინში გვიან შემოდგომაზე ჩვეულებრივ კიდევ გამოერევა ხოლმე რამდენიმე კარგი დღე. „კლაუსსა და ვებერში“ ადგილები სწრაფად დაიკავეს. მაგრამ მუსიკამ ამჯერად აღმაშფოთა. ჩემს გვერდით ვილაც ბურტყუნებდა: „წყეული ბელი! ისევე ოქტავეებზე ნადირობს!“ თავი აეწიე და მხოლოდ ახლა შევამჩნიე, რომ ჩემს მაგიდასთან ვილაც კაცი დამჯდარიყო და ჯიუტად

<sup>7</sup> თარგმანი მოგვეყავს შემდეგი გამოცემის მიხედვით: ნ. ვ. გოგოლი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტომი II, სახელგამო, თბილისი, 1957, „მკვლარი სულები“, თარგმანი რუსულიდან ლ. კასრაძისა, გვ. 329-331 (შთარგმნელის შენიშვნა).



მომსტერებოდა. არასოდეს მენახა ასეთი თავი, ასეთი აღნაგობა, ჩემზე ასე სწრაფად ღრმა შთაბეჭდილება რომ მოეხდინოს...

იგი წელა და ფრთხილად მიაბიჯებდა მუსიკოსებისაკენ. შემდეგ დავინახე, მუსიკოსებს ელაპარაკებოდა, მათ თავისებური მბრძანებლური ღირსების გრძნობით ეპყრობოდა. კაცი უკან დაბრუნდა, და ის იყო დაჯდა თავის ადგილას, რომ უვერტიურის დაკვრა დაიწყეს. ეს იყო „ფიგენია ავლისში“. უცნობს თვალები მოექუტა, მკლავები გადაეჯვარდინებინა და მაგილას დაყრდნობილი ისმენდა ანდანტეს. მარცხენა ფეხს წყნარად ამოდრავებდა, ხმათა ჩართვას აღნიშნავდა. მარცხენა ხელი გაფარჩხული თითებით მაგილაზე ესვენა, თითქოს რომელიმე აკორდს იღებსო, მარჯვენა ხელს მალლა სწევდა: ის მაშინ კაპელმამისტერი იყო, რომელიც ორკესტრს ტემპის ცვლილებას ანიშნებდა... უვერტიურა დამთავრდა. უცნობმა ორივე ხელი დაუშვა, ერთხანს თვალებდახუჭული იჯდა, თითქოს ზეადამიანურ დაძაბვას ძალა გამოეცალა მისთვის...

აქედან მოკლედ გიამბობთ, — განაგრძო ჰოფმანმა, — უცნობი წამოდგა. იმ დღეს ეს კაცი აღარ მინახავს. ყველგან ამოდ ვეძებდი. რამდენიმე თვის შემდეგ ოპერის მახლობლად გადავეყარე შემთხვევით. უცნაური საუბრის მოწმე გავხდი: უცნობი ერთი ფანჯრის ქვეშ დამდგარიყო და საკუთარ თავს ელაპარაკებოდა; აქ კარგად ისმოდა ორკესტრის ხმა. გამოველაპარაკე. შემდეგ მე და უცნობი მდუმარედ აუუყევით ფრიდრიქშტრასეს. მან ერთ ჩიხში შეუხვია, მე ძლივს მივდევდი. სიბნელეში ხელის ცეცებით ერთ ულაზათო სახლის კიბეს მივადექით. გავიგონე, უცნობმა კარი გააღო. მალე ანთებული სანთლით ხელში გამოვიდა. უცნაურად მოწყობილმა ოთახმა გვარიანად გამაოცა. დიდი, ფართო სარკე ყველაფერს გარდასული ბრწყინვალეების მკმუნვარე იერს სძენდა. შუაში პატარა პიანინო იდგა. უცნობი კარადას მიუახლოვდა, და როცა ფარდა გადასწია, კოხტად აკინძული წიგნები დავინახე, ოქროსფრად მოვარაყებულნი სათაურები რომ ამშვენებდა: „ორფეო“, „არმიდა“, „ალტესტი“, „ფიგენია“ და ბევრი სხვა, მოკლედ გლუკის შედეგები იყო ერთად თავმოყრილი.

მან ერთ-ერთი წიგნი აიღო — ეს გახლდათ „არმიდა“ — და საზეიმო ნაბიჯით გავმართა პიანინოსაკენ. მე პიანინოს სწრაფად ავხადე თავი და პულტი გავმართე. ეტყობოდა, ესამოგნა, ყურადღება რომ გამოვიჩინე. შემდეგ წიგნი გადაშალა, და თქვენ ჩემი გაოცება უნდა წარმოიდგინოთ — დავინახე ნოტების ფურცლები, რომლებზედაც ერთი ნოტიც კი არ ეწერა.

მან დაიწყო:

„ახლა უვერტიურას დაფუკრავ! ფურცლები გადამიშალეთ, ძალიან გთხოვთ, ნუ დააგვიანებთ!“ უკრავდა შესანიშნავად, საესე აკორდებით, თითქმის სულ ერთგულად მისდევდა დედანს. ალეგროში გლუკის მთავარი იდეები იყო ჩაქსოვილი, ეს კაცი იმდენ ახალ გენიალურ ნიუანსს ურთავდა, რომ განცვიფრებას ვერ ვფარავდი...

დამთავრა თუ არა დაკვრა, გადავებვიე და აკანკალებული ხმით წამოვიძახე: „ღმერთო დიდებულო! თქვენ ვინა ხართ?“ კიდევ მინდოდა რაღაც შეკითხვა, მაგრამ საწოლიანად გაქრა და სიბნელეში დამტოვა. თითქმის თხუთმეტი წუთი ვუტყდი. იმედი ვადამეწურა, რომ ისევ ენახავდი. მახსოვდა პიანინო სადაც იდგა და ვცადე ამის მიხედვით გამეგნო კარისაკენ გზა. უცებ



ოთახში შემოვიდა, მოჭარგული სადარბაზო ტანსაცმელი და ეილექტი ემოსა, გვერდზე დაშნა ეკიდა, ხელში სანთელი ეჭირა.

სახტად დავრჩი; საზეიმო ნაბიჯით მომიხალოდდა, სათუთად შემახო ხელზე ხელი და მითხრა, თან უცნაურად ილიმებოდა:

„მე რაინდი გლუჯი გახლავართ!“

სამიფენი, პოფმანი, გოგოლი და კაფა შეთანხმებული იყვნენ, ნაწარმოების დასრულებისას ხმა არ ამოეღოთ, ოვაციები არ გაემართათ ერთმანეთისათვის და მოსმენილი გაეაზრებინათ.

კარგა ხნის დუმლის შემდეგ პირველად კაფამ ამოიღო ხმა: „არც ამ მოთხრობაში უწყვეტ დროს ანგარიშს. აი აქაც, ამ მოთხრობაში თქვენ აბუჩად იგდებთ დროს. რამდენადაც ვიცი, გლუჯი 1789 წელს მოკვდა, თქვენ კი ამტკიცებთ, თითქოს ბერლინში ოცი წლის შემდეგ გენახოთ“.

„ჰო, ენახე. — უთხრა პოფმანმა აღელვებით, — მწერალს გამოგონების უფლება აქვს, და არა მართა მწერალს. გინახავთ კალოს გრავიურები?“

კაფას არ ენახა, გოგოლს კი ეს გრავიურები პარიზში მეგობრებთან ბევრჯერ დაეთვალიერებინა.

პოფმანმა განაგრძო: „ოცდაათწლიანი ომის საშინელებათა ხილვამ და და გლეხთა სიღატაკემ შთააგონა კალო სულისშემძვრელი და ამავე დროს ნახი, ნატიფი ნაწარმოებები შეექმნა. ჰოდა რადგან ისინი ხშირად ჩემს განწყობილებას ეხმიანებიან, გაგვებდე ჩემი მოთხრობების კრებული, რომელშიც „რაინდი გლუჯი“-ც შედის, ასე დამესათაურებინა: „კალოს ყაიდაზე“.

„მაინც ვერ დაგეთანხმებით დროის საკითხში, — უთხრა გოგოლმა. — უარს არც მე ვამბობ უცნაურ, ფანტასტიკურ სამყაროსა თუ მოჩვენებებზე, მაგრამ დროს მაინც ვუწვევ ანგარიშს. ახლახან ჩემს მოთხრობა „შინელზე“ ელაპარაკობდით. აქ ულმობელი სინამდვილე ფანტასტიკური ღამით მთავრდება. ჩემს მეორე მოთხრობაში — „პორტრეტში“ ყველაფერი იწყება გამონაგონით, რაც შემდეგ ცხოვრების ჩვეულებრივ მდინარებაში გადადის. ერთი მხატვარი უკანასკნელი გროშებით ნევის პროსპექტზე ყიდულობს გამოხუნებულ, ძველ პორტრეტს. უცხო, საოცარი ადამიანი უყურებს გამსკვლავი თვალებით ამ პორტრეტს. პორტრეტს თავის სახელოსნოში ჰკიდებს. თვალები ყველგან თან სდევნენ. ღამით კაცი ჩარჩოდან გადმოდის. მას ფულის დასტა ეკარგება. როცა დილით სახლის პატრონი პოლიციელთან ერთად მოდის, რომ მხატვარს ბინის ქირა გადაახდევინოს, პოლიციელი რამდენიმე მონეტას აღმოაჩენს ოთახში.“

ამიერიდან მხატვარი ასეთი დილემის წინაშე აღმოჩნდება: სახელოსნო იქირაოს იმ ფულით, შემთხვევით რომ ჩაუვარდა ხელთ და იმუშაოს. ისე, როგორც ნიკი კარნახობს თუ მოდურ სამოსელში გაეხვიოს და არხეინად იცხოვროს.

ალბათ მიხვდებოდით, რომ ამას მხატვრის ცხოვრების აღწერა მოსდევს მთლიანად, რომელიც ცდუნებას ვერ უძლებს და მხოლოდ მდიდარი მოდური მხატვარი ხდება. ბოლოს მას ავადმყოფური ბოღმა შეიპყრობს. სიძულვილით გაცოფებული მთელი თავისი ფულით ნიჭიერ მხატვართა ნამუშევრებს ყიდულობს და წვაის. ეს ყველაფერი შეიძლებოდა ფანტასტიკური დასაწყისის გარეშე ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ამბავი ყოფილიყო, მაგ-



რამ მე მსურდა სწორედ ფანტასტიკური შემთხვევიდან გამომეყვანა ლებრივი ცხოვრების მდინარება.“

კაფკამ თავისთვის ჩაილაპარაკა: „თუ ბედმა მაინც მიმუხთლა და ჩემი სიკვდილის შემდეგ გადაიჩა რაიმე ჩემი შემოქმედებიდან, ალბათ არაღის გაახსენდება, რომ პაპსბურგების მონარქიაში დავიბადე, შემდეგ კი ეცხოვრობდი და მოგვედი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში ალბათ, ყველაფერში, რასაც ვწერ, იგრძნობა ის წამება, ის უმტკიცობა, ის ეჭვები, რასაც ეპოქის გზავსაყარი ბადებს ადამიანის სულში, და აგრეთვე სიკვდილის შიშიც“.

„სიკვდილის სიახლოვემ ხელი ვერ ამაღებინა, — თქვა ჰოფმანმა, — უკანასკნელ წუთამდე მეტრძოლა ჩემს მტერთან, შინაგან საქმეთა მინისტრთან. გოგოლ, ისევე ჩვენს საუბარს დაეუბრუნდეთ ზელმესახებისა და ფანტასტიკურის თაობაზე: არა მხოლოდ სიზმრები და ფანტაზიები მიეკუთვნება ჩემს სამყაროს, არამედ წინათგრძნობაც, იმედიც, შიშიც. ზოგჯერ მწერალს ძალუქს ისეთი რამ შეთხზას, რაც ცხოვრებაში ჯერ კიდევ არ განხორციელებულა“.

„მომავალში მისაყვედურებენ, შენს სამყაროში გამოსავალი არ სჩანსო, — თავისთვის კი არა, უფრო სხვების გასაგონად თქვა კაფკამ. — კი მაგრამ, განა არა მაქვს უფლება, თუკი ცხოვრებაში ვერ ვხედავ გამოსავალს, ასეთნაირად ავსახო იგი?“

„თქვენ შეგიძლიათ გამოსახოთ დიდი-დიდი სინამდვილის მცირე მონაკვეთი, რასაც უშუალოდ ხედავთ, მაგრამ ვერასოდეს ვერ გამოსახავთ სინამდვილეს მთლიანობაში, — უთხრა ჰოფმანმა აღელვებით, — რადგან ვერც თქვენთვის, ვერც სხვებისათვის გამოსავალს ვერ ხედავთ. გამოსავალი კი უნდა იქნოთ, ისევე როგორც ტუსალი ეძებს კედელში ხერგლს, რომ თავისი ამბავი მიამწვინოს გარეთ მყოფთ. სინათლის ბუჩუტვა მაინც უნდა დაინახოთ. რემბრანდტის ზოგიერთი ბნელი სურათი, მაგალითად, აზრს იძენს მხოლოდ ასეთი მცირე, სწორედ განლაგებული სინათლეებით.“

წაიკითხეთ, რა დაწერე, როცა სიკვდილმა უკვე მარწუხებში მომიქცია, წაიკითხეთ ერთ-ერთი ჩემი უკანასკნელი მოთხრობა — „ბიძაშვილის კუთხის ფანჯარა“.

„წამიკითხავს“, — უთხრა კაფკამ, თან გაიფიქრა: „ჰოფმანი ნამდვილად ვაუკაცია. დამბლადაცემული, განმრევაც რომ აღარ შეეძლო, საკუთარ თავზე ისე წერდა, თითქოს ვიღაც მესამეზე ლაპარაკობსო, რომელიც თითქოს კუთხის ფანჯრიდან ბაზარსა და ბაზარში მოფუსფუსე ხალხს გადაყურებს“.

ჰოფმანმა კვლავ განაგრძო: „მე ჩემს ზღაპარ-რომანებში ერთმანეთთან შეეჯავრე უცნაური ადამიანები, მცენარეები და ცხოველები. თან ყოველი მათგანი იმ დროში დაეასახლე, მე რომ მესახებოდა შესაფერისად“.

„შეჩერდით! შეჩერდით! — თქვა გოგოლმა. — თქვენ, როგორც ჩანს, იოლას ვადისხართ დროის თანმიმდევრობის დაუცხვადაც, მაგრამ სინამდვილეს მაინც უნდა გაუწიოთ ანგარიში“.

„ცხადია, — უპასუხა ჰოფმანმა, — სხვაგვარად როგორ იქნება? სიმბოლურ ან ფანტასტიკურ განსახოვნებას, ზღაპრებსა და თქმულებებს განა სინამდვილეში არა აქვს ფესვები გადგმული, ისევე როგორც ემპირიულად არსებულ საგნებსა და მოვლენებს. რეალური ტყე სინამდვილეს მიეკუთვნება, ისევე როგორც ოცნება ამ ტყეზე. განა პენზელისა და გრეტელის ქოზი სინამდვილიდან არ წარმოსდგება? დაბეჭითებით გეტყვით, უღმობელ სინამდვი-



ლიდან — მშობლები ოცდაათწლიანი ომის დროს საკუთარ შვილებს უღრან ტკეპი სიზნავდნენ, რათა საკუთარი თვალით არ ეყურებინათ, როგორ იხოებოდნენ ისინი შიმშილით\*.

გოგოლმა თქვა: „მე ვიფიქრებ თქვენს ნათქვამზე, — გოგოლი წამოდგა: — მომიტყევე, მაგრამ უნდა წაიხიდე, მოგზაურობის მკაცრი განრიგი მაქვს. სასიამოვნო იყო თქვენთან ყოფნა. — მან კელნერს მოუხმო: — სამწუხაროდ, ჩეხური ფული არა მაქვს“.

„არა უნდა ეს, — უთხრა კელნერმა, — ჩვენ სხვა ფულსაც ვღებულობთ, — მაგრამ როცა გოგოლმა მიაგინა მეფის რუსეთის დროინდელი მანეთიანები დააწყო, კელნერმა თავი გააქნია: — ბოდიში, ბატონო ჩემო, ამ ფულს გასაყალი აღარა აქვს“.

ჰოფმანმა ჯიმზე გვიკრა ხელი, მაგრამ გაასხენდა, რომ ამ კაფეში მისი ტალერებიც გამოუსადეგარი იყო.

ყველაფერი ბოლოს იმით გათავდა, რომ კაფეკამ გადაიხადა სამივეს დანახარჯი. ძალზე ხელმოკლე იყო, მაგრამ მაინც უხაროდა, გოგოლსა და ჰოფმანს რომ შეხვდა და გაუმასპინძლა.

ჰოფმანმა გადაწყვიტა, ლამის მატარებლით გამგზავრებულყო, რადგან არ ეჩქარებოდა. ახლა უმიზნოდ დაბოროილობდა ქალაქში, ცნობისმოყვარედ აცქერდებოდა ყველაფერს. ხან ერთ ჭიშკარში შედიოდა, ხან მეორეში. დარწმუნდა, რომ ეზოების გავლით სულ სხვა ქუჩაბანდში შეეძლო აღმოჩენილიყო. აივნებიდან ერთმანეთს ელაყებოდნენ, თან ხალიჩებს ბერტყავდნენ. ერთი ხანშიშესული კაცი მოპირდაპირე ეზოდან გამოვიდა და ჰოფმანს გვერდით ჩაუარა. გასამებული საყულო ნიკას ზევით უწევდა. მოღუშული იყო. ნეტავ რაზეა დაბოლმილი? — გაიფიქრა ჰოფმანმა, — მეტისმეტად იყვირება, ტანდაბალი რომ არ გამოჩნდეს. სხვა არაფერი შემორჩენია ჰოფმანის ცნობიერებას ამ კაცისაგან. ეს იყო კაფეკას მამა, თავის ვაჟს ეძებდა, უნდოდა სადილად წაეყვანა შინ; ასე რატომ ანიაგებდა სნეულა დროს კაფეში?!

„დრეზდენში რომ ჩავალ, — ფიქრობდა ჰოფმანი, — ანხელმუსი დამხედება, გუჟინით იგრძნობს, რომ უნდა ჩაიხიდე. ხელს ჩავჭიდებ, ვაშლების კალათს რომ არ წამოედოს და მოხუცმა გამყიდველმა ქალმა არ მიაწყველოს. შემდეგ ერთად მოვინახულებთ არქივარიუს ლინდჰორსტს ბინაზე ანდა კაფეში. არქივარიუსი გამომიკითხავს ჩემი მგზავრობის ამბავს“.

ის კაცი, კაფეში რომ გადაეყვარე, როგორც ჩანს, კარგად უნდა წერდეს, კიდევ დაწერს, თუკი მართლაც არ არის ისეთი სნეული, როგორც თვითონ ჰგონია. ეჭვი არ არის, გოგოლს ვერაინ შეედრება. ჩვენ სამიდან მასავით წერა არავის შეუძლია: ფესვგადგმული სინამდვილე, საიდანაც უცებ სიზმრები წამოიშლებიან ხოლმე. და ყველაფერი ერთად, ერთდროულად, ისე რომ სიზმარეული ხილვები გულზემიც გაიდგამენ ხოლმე ფესვს. სამწუხაროდ, მისი საქმე ცუდადაა. მალე იერუსალიმში წავა სალოცავად, დედასა და მეგობრებს შევედრება, მისთვის ილოცონ, რამეთუ თვითონ მის ლოცვას მაღლი არა აქვს. მალე უგუნური წერილების წიგნს დაწერს, რაც მას ხელოვნების ნაწარმოები ეგონება, ბელისკისაგან მრისხანე წერაღს მიიღებს, რადგან გოგოლი თავის დიდ ნიჭს უგულვებელაყოფს, სამართლისა და სამართლიანობის ნაცე-

\* მინიშნებაა ისევ ჰოფმანის „ოქროს ქოთანზე“.



ლად ლოცვასა და მონანიებას შემოგეთავაზებს. ბოლოს სულიერი შამა აძი-  
ლებს, „მკედარ სულებს“ კეთილი ბოლო დაუწეროს. დაწერს კიდევ, მაგრამ  
შემჩნევს, რომ რომანის ახალი ნაწილი არაფრად ვარგა და დაწვეს. კიდევ  
ერთხელ დაწერს და ისევ დაწვეს, რადგან ეს ნაწილი არც ახლა არ გამოუვა  
და სასოწარკვეთილი თავს შიმშილით მოიკლავს.

ბელნისკის წერილი კი ხელიდან ხელში გადადის. უამრავი გადაწერს ამ  
წერილს. დოსტოვესკი ამ წერილს პეტერბურგში პეტრაშვიცის წრეში წაი-  
კითხავს. მას დააპატიმრებენ და სიკვდილს მიუსჯიან. მხოლოდ ბოლო წუთში,  
უკვე საბრძოლვასთან მიუსწრებს შეფის შეწყალება. სიკვდილით დასჯის მა-  
გიერ ციხეში გადასახლება. „მკედარი სახლის ჩანაწერები“, რასაც შემ-  
დედ დაწერს, რომანოვების რუსეთს გულისხმობს.“

გოგოლი და ჰოფმანი რომ წაეიდნენ, კაფკამ თავი ეულად იგრძნო. იმის  
თქმაც არ შეიძლება, თითქოს სულ მოკლე ხანში ამ უცხო ადამიანებმა კაფ-  
კას გულში მოიკალათეს, თითქოს უიმათოდ გაძლება არ შეეძლო, მაგრამ მათ  
კაფკა რამდენიმე საათის განმავლობაში მარტოობის მძიმე გრძობისაგან გა-  
თავისუფლეს. გამომშვიდობებისას გადაეხვივნენ, ბედნიერება და წარმატება  
უსურვეს.

კაფკა თავისთვის იღივებოდა. სიკვდილს ვერ აიცილენდა, უკვე რომ ჩასა-  
ფრებოდა. შესაძლოა ისიც ბედნიერებაა, რომ ახალგაზრდა უნდა მომკვდა-  
რიყო, ისე რომ ვერც წარმატებას და ვერც წარუმატებლობას ვერ შეესწ-  
რებოდა, ვერც ადამიანების აღტაცებას, რომელთაც მისი ნაწერების არაფე-  
რი გაეგებოდათ და ვერც იმ ადამიანების ანტიპათიას, მის შემოქმედებას რომ  
მრუდედ განმარტავდნენ.

ფიქრებში ჩაძირული კაფკა ქალღმერთზე დახრილიყო. კი არ წერდა,  
ფხაქნიდა. სასიკვდილოდ განწირული რომ არ ყოფილიყო, ალბათ ერთხელაც  
იქნებოდა ადამიანებს აალაპარაკებდა. ახლა ასენდებოდა ყველაფერი, რაც  
გოგოლთან და ჰოფმანთან საუბარში გამოჩნებოდა. უფრო გულახდილად  
თავის საუკეთესო მეგობართანაც კი არ უსაუბრია, მაგრამ შემდეგ რომ და-  
ფიქრდა, მიხვდა, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც არ მითქვამსო. „როცა უფ-  
რო ახალგაზრდა და ჯანმრთელიც ვიყავი, მაშინ „ამერიკა“ დაეწერე. რეალუ-  
რი შეერთებული შტატები გვანან ჩემს გამოგონილ ამერიკას“. ახლა ცოტა  
ამხიარულებდა კიდევ უკვე მონღლებული წყენა, რაც იმან გამოიწვია, რომ  
გამომცემლობამ მისი წიგნის ყდას ნამდვილი გემები დაახატა, დიდი და პა-  
ტარა გემები, ნიუ-იორკის ნავსადგურში რომ შედიან. რა მხიარული შეიძლება  
ყოფილიყო ეს რომანი! მოხეტიალე ცირკი, რომელიც ყოველგვარი უმუშე-  
რობის ჯიბრზე სამუშაოს ყოველ მოსურნეს სამსახურს სთავაზობს! და ბო-  
ლოს ცირკის ყველა მონაწილე უკიდევანო ქვეყანაში მოგზაურობს. ეს ბედ-  
ნიერი წიგნი იქნებოდა! „პროცესი“ — ეს რომანი უკვე განაჩენის წინაშე  
შიშის გამოხატულება იყო, იმ შიშის, რამაც გოგოლი შიმშილობით სიკვდი-  
ლამდე მიიყვანა. „კომპი“ კი უკვე შერიგებაა მიღწეული, კომპი დარჩე-  
ნის უფლება მოპოვებულია დიდი გასაჭირის ფასად, ყოველ შემთხვევაში ასე  
უნდა დამეწერა. პო, „ამერიკა“... ამ რომანში იყო რაღაც, რაც ადამიანებს  
ასე თუ ისე ესმოდათ. ამ „რაღაცას“ უნდა ჩაგჭიდებოდით. რომელმა თქვა,  
გოგოლმა თუ ჰოფმანმა, აღარ მახსოვს: ავტორი თვითონაა დამნაშავე, როცა  
მისი ნაწარმოები არ ესმითო. ყოველმა მკითხველმა ყოველ ნაწარმოებში რა-



ლაც მაინც უნდა იპოვოს, რაც თითქოს სწორედ მისთვისაა განკუთვნილი, თუმცა ყველას მოსაწონს როგორ დაწერ?

„დაბრძანებულხარ და ტვინს იტყუებ, — მრისხანედ დაიღრიალა კაფკას მამამ, შეიღოს რომ წაადგა თავზე. — ჩვენ სადილზე გელოდებით, შენ კი აქ ბუზებს ითვლი“ მამამ ზიზღარევედ გადახედა კაფკას ქალაღლებს. კაფკამ სწრაფად აკრიფა თავისი ნაწერები და გაიფიჭრა: რას ვიზამ, ჩემიანებთან უნდა ვისადილო. კაფკას ეშინოდა მამისა და ემორჩილებოდა კიდევ.

გოგოლი მატარებლიდან ჩამოვიდა, თან გატიკნული ჩანთა ჩამოიტანა და სასაზღვრო კონტროლისკენ გაემართა. რამდენს მოგზაურობდა, მაგრამ ყოველთვის შიში აიტანდა ხოლმე, როცა სასაზღვრო მოხელე მის საბუთებს ამოწმებდა, თითქოს მათში ღმერთმა უწყის რა კანონის დარღვევის აღმოჩენა არ შეიძლებოდა. ჩასუქებულმა, არც თუ მთლად უქმურმა კაცმა ბეჭედი ჩაურტყა და უკან დაუბრუნა პასპორტი. სიამაყის უცნაური გრძნობით ატანილმა, რომ აქედან მისი ვეება საშობლო იწყებოდა, და ამავე დროს შიშით შეპყრობილმა, ვაითუ საპყრობილეში ჩემივე ფეხით მიედივიარო, გოგოლმა სადგურისაკენ უმოკლესი გზა აირჩია. ეს იყო პატარა, მაგრამ სახელმწიფო სახლი, ამიტომ მის ფირნიშზე ორთავიანი არწივი მოჩანდა.

სადგურის უფროსი უაღრესად თავაზიანად მიესალმა. „თქვენო მაღალკეთილშობილებავ, — უთხრა მან, — კიდევ გაქვთ დრო წასახემსებლად“. მისმა ცოლმა, თითქოს ამ წუთს უცდიდაო, სამოვარი შემოიტანა. სასწრაფოდ გააჩინეს არაყი, პური, ძეხვი, კიტრი, ცივად მოხარშული თევზი და ღვეზელი. გოგოლმა მხოლოდ თავი დააქნია. მას ეამა მშობლიური პურობა. შემდეგ ისეთნაირად მიუგდო მასპინძელს ფული, რომ პრალაში ვერც კი გაბედავდა. მასპინძელმა ცოლს ჩააბარა გასამრჯელო, თან მადლობის კორიანტელი დააყენა. ცოლმა კი, რომელიც წამდაუწუმ უხდიდა მადლობას, გოგოლს ჩანთა გამოუტანა. შემდეგ სტუმარი ეტლში ჩასვეს და თან კეთილი სურვილები გააყოლეს. ცხენები ჩორთით დაიბრუნენ. ფრუტუნითა და ზანზალაკების ჟღარუნით გაუდგნენ შარავზას უკან, გარდასული საუკუნისაკენ.

# საქუილ მარშეკი

## ლექსები

რუსულიან თარგმნა ვაჟა მუხრანიანი

### გრემი სულლი

ვევლაფერი უკუღმართს  
გამოუღის უკუღმა.

ხახლში შეღის ფანჯრიდან  
და თუ თვალში ეღიდა —  
ცდილობს შავი აჩრდილი  
ჩამორეცხოს კედლიდან.

მეს მინდორში იჭერს ქუდიოთ,  
ენვენება ჩრდილი ქურდად.  
ვინმემ რომ არ გატეხოს,  
ტყეში მიაქვს კარები,  
მესმა რომ არ დაშესოს  
ხახლის ხახურავები —  
ხახურავებს აცღის ხახლებს,  
ნახირს სხვენსუ აბალახებს.

ჭირში ცეკვიოთ იღლები,  
ლხინში ცრემლად იღვრება.  
ვევლაფერი უკუღმართს  
გამოუღის უკუღმა.

ერთხელ შეხედა მავრიონს და  
იხეთი სმით გამყვიროდა  
ლხინში არხახსენებულ  
„სულის მოხახსენებელს,“

რომ დაკარგეს მოთმინება,  
გაიფიქრეს: — შფოთი ნებაეს  
და მაყრებმა უმეცარს  
ხელი სტაცეს...  
უეცრად  
შემოისსნეს დვედები და  
აუჭრელეს გვერდები.

— ხედავო, — ფიქრობს სულელი, —  
ვიეუ კარგის მსურველი,  
ხიკეთისთვის დვედებით  
ამიჭრელეს გვერდები.  
დღეის იქით არ შეეცდები,  
სხვებთან აღარ აცრემლდები.

აი, გზაზე დგას და ხედავს,  
მოახვენებს ხალხი ცხედარს.  
ფიქრობს: — რას ღრიალებენ  
ხახუნადელიანება,  
გამიგია — მაღლი არის  
გახარება დარდიანის,  
მოდი ერთი, დაეუყლა,  
მეხერხება „დავლური“.

ცერსე შედგა გიუი მარდად.  
მაგრამ ხალხი განრიხსდა და



ტყავის სქელი ღვედებით  
ოუჭრელს გვერდები.

—ხედავთ, — ფიქრობს სულელი, —  
ვიყავ კარვის მსურველი,  
სიკეთისთვის ღვედები  
ამიჭრელს გვერდები.

ამას იქით არ შევცდები,  
ხალსში აღარ ავცეკვლება.

აკი მართლაც, ტანად ჩია  
გაიბღინსა, გაიჭიშა,  
ზოგს სწაელულად შიანია  
თაყი ისე დაიჭირა.  
არც სტის, აღარც წუწუნებს,  
წველას საქმეს უწუნებს:

ასრულებენ პატარები  
სამინაო დავალებას,

გამოჩნდება სულელი —  
განდადების მსურველი  
და შესძახებს:  
— ნორჩებო,  
უღაბნას როდის მორჩებით?!

სახლს აგებენ მშენებლები,  
ქვეყნის აღმაშენებლები,  
გამოჩნდება სულელი —  
განდიდების მსურველი,  
აყვირდება:  
— რას შვებით?  
დაგენგრევით ნაშენა!

საღვთო გვიხმობს:  
— მოდიო, ნახეთ  
გიყი როგორ ისევებს სახელს...  
და ბევრია მსურველი  
ნახოს ბრძენი სულელი.

აი, რა გულმაგვიწყია

წყალსაცაყის ქუჩის ბოლოს  
გულმაგვიწყი კაცი ცხოვრობს.

მზის სხივების ტამისკვრაზე  
შეხალმა ცახ და მიწას  
და პერანგას ნაცკლად თავზე  
შარელის ტოტი გადაიცვა.

დაისურა თავზე ტაფა,  
გაუყირა ხელი ხამლში,  
დააფარა ვობნი საბანს,  
ფესი ჩაჰყო საფუხარში.

გულმაგვიწყი კაცი ცხოვრობს  
წყალსაცაყის ქუჩის ბოლოს.

ერთხელ დიდი ვაი-ვიშით  
შეიბარგა ტრამვაით  
და მიმართა ვატმანს შიშით,  
ჩაგარდნილმა გასაჭარში:

— შენ, დიდად პატივცემულო,  
ვაგონთ მატარებულო,  
ვაგონთა პატივცემულო,  
დიდად მატარებულო,  
ვჩქარობ,  
თუ არ ხარ ავეული,  
ნათქვამი დამიჯერე,  
თუ შეიძლება, სადგური  
ვაგონთან გამოიჩერე.

— ეს რა თქვა?  
— ეს რა წამოხცდა! —  
გაოცდა მძლოლი დიდად,  
მგონი ტრამვაიც გაოცდა,  
აღვიღზე გაირინდა.

ბილეთისთვის დახლს მიაღვა,  
დახლიდარებს დაერია,  
სალაროსთან რიგში ჩადგა —  
ბურახი რომ დაელია.

წყალსაცავის ქუჩის ბოლოს  
გულმაფიწყი კაცი ცხოვრობს.

საწვიმარის შარიშურით,  
მოსხნილ ვაგონს მიაშურა,  
აიტანა ჩემოდნები,  
გამგზავრებას ელოდება,  
ოცნებაში ჩაიძირა,  
ჩამოჯდა და ჩაიძინა.

— სადა ვდგავართ? —  
ფერმისდილი  
ეკითხება  
მგზავრებს დილით.

— როგორ თუ სად? —  
გაიკვირებს, —  
პირადიაც ამას ჰქვია,  
ელმეფლებმა დაიკივლეს:  
— ეს ლენინის  
ქალაქია.

ისევე ფიქრში ჩაიძირა,  
ისევე ისე ჩაიძინა.

დილით სადგურს თვალი მოჰკრა,  
სანაქებოს, სადიადოს,  
ბოლოვოც ან პოპოვეას

მივაღწიეთ ნამდვილადო,  
თქვა და,  
ისევე გამეღელს ჰკითხა:  
— სადა ვდგავართ,  
ძმავ, მითხარ.

— რას კითხულობ?  
ვერა სედავ?  
შხერა სომ არ დაგკარგავა?!  
ქალაქია გმირთა დედა,  
ეს ლენინის ქალაქია.

ისევე ფიქრში ჩაიძირა,  
კადევე ერთსეღ ჩაიძინა.

დილით ისევე სადგურს სედავს  
და კითხულობს:  
— სად ვართ, ნეტავ?  
— ქალაქია გმირთა დედა, —  
ეს რომ უთხრეს ეცა ეღდა.

— რახა ჰგავსო, — აღრიაღდა.  
ღანარცხა მიწას ქუდი,  
— სამი დღეა გზაში ვარ და  
ისევე უკან ჩამოვბრუნდი?!

გულმაფიწყი კაცი ცხოვრობს  
წყალსაცავის ქუჩის ბოლოს.



ირაკლი შარტავაძე, „კარდღელი“.  
12 წ. 42 ს.მ. სკ.



პაატა გულაძე, „კვიზაძი“.  
11 წ. 48 ს.მ. სკ.



დათო ჯალღაძე, „ნაპი“.  
12 წ. 126 ს.მ. სკ.



ნატაშა კოკოვა, „გირაფა“.

7 წ. 42 სმ. სკ.



ვლადიმერ აბაშვილი, „ბიჭები“.

3 წ. ხაჩხერე, ქორეოსი სკ.



ღავით სამხარაძე, „სახლი“.



მეა სამხარაძე, „ხე“.

6 წ. 106 საბავშვო ბაღი.



პანანია ლხინჯილიძე. „ღათუნა“.

6 წ. 1 ს.პ. სკ.



ანი ბგულაშვილი. „კაიზაში“. 7 წ. მეორე ვახანგრძლ. სკ.





ლიან მამულაძე, „წიწი სხეული“. 14 წ. 58 ს.მ. ს.ქ.



მიწისა იუკარაძე, „აბიჯი და ყივნი“. 8 წ.



შორაძის კახარაძე, „ცხენი“. 8 წ. 61 ს.მ. ს.ქ.



# ანდრეი პლატონოვი

## თაკირი

### გოთხრობა

თარგმნა ვინც კიპილაშვილმა



ღიღი ხნის წინათ, ღამით, ფირიუზის ველზე ორმოციოდღე მხედარი მიდიოდა. მდინარის ნაპირას ცხენები ზომიერი ნაბიჯით მიჰყავდათ. თავისუფალ თურქმენთა სამკვიდრო ველსა და სპარსეთს შორის, გრილი ხეობის ორსავე მხარეს, მცველებივით აღმართულიყვნენ კოპეტ-დაღის დანისლული მთები. ირანის ძველისძველ გზაზე, ათასი წელია, მიემართებოდა ხან მოზეიმე, ხან ცრემლით დაღტობილი და ხანაც მკედარი გული ადამიანისა. იმ ღამითაც მხედართა მწყრივის გვერდით მიაბიჯებდა ერთი თოკით გადახმული თოთხმეტი ადამიანი, მათ შორის ცხრა ახალგაზრდა ქალი და ერთიც ტანმორჩილი ქალიშვილი. იგი თოკზე არ იყო გამოხმული და დაქანცულობისგან უკან რჩებოდა. ქვეითად მოსიარულეებს სული ისე მოთენთოდათ, საკუთარ არსებობას ვეღარ გრძნობდნენ; ისე მიაბიჯებდნენ, თითქოს აღარ სუნთქავენო. სამაგიეროდ, მხედრები იყვნენ ბედნიერნი და კმაყოფილებას გულში სათუთად ინახავდნენ, რათა სამშობლომდე მიჰყოლოდათ. მათი სამშობლო კი ჯერ შორს იყო — მთებს იქით, სიბნელეში ჩაძირულ უდაბნოში. ერთ მხედარს სული აღარ ედგა, ირანში ქურთებს მოეკლათ და ახლა საკუთარი ცხენის კისერსა და უნაგირზე დაკრული, თავჩაყიდებული ბრუნდებოდა სამშობლოში, რათა შინაურებს ენახათ და დაეტოვებინათ.

შეღამისას მთების გადაღმიდან მთვარე ამოიწვერა და ველი გაანათა. მთვარის შუქზე მდინარის ხმა თითქოს მიწყდა. რაზმი შესასვენებლად ბებერი ქადრის ჩრდილში შეჩერდა. ეს ქადარი მრავალი საუკუნის მანძილზე შეურყვევლად იდგა, სიკვდილს არ ნებდებოდა და ნიადაგ ცისკენ მიიწევდა. მხედრები ჩამოკვეითდნენ, ცხენები აქლემებივით დააჩოქეს, ტყვეებს გვერდით მიუწვინეს და თვითონაც დაწვნენ; სანამ ხეობიდან გავიდოდნენ, სპარსეთის საზღვრის მცველი ქურთი მღვერები, შეიძლება, კიდევ წამოსწეოდნენ.



მასობელ მთებზე აქა-იქ კიდევ მოჩანდა რიყის ქვითა და თიხით ნაშენი სა-  
ყარაულო კოშკები.

ამ კოშკებში წინათ ნიადაგ მორიგეობდნენ სპარსთა აულებიდან და ბა-  
რებიდან მოსული წარისკაცები. ისინი გზებს თურქმენ მოთარეშეთაგან იცავდ-  
ნენ და სპარსეთს დროულად აუწყებდნენ ხიფათის მოახლოებას — კოშკებში  
ცეცხლს დაანთებდნენ; ჯერ ერთი კოშკიდან აიჭრებოდა კვამლი, მერე მეო-  
რიდან და ასე აკვამლდებოდა სამშობლოს შეაგულამდე ჩარიგებულ კოშკთა  
უგრძესი წყება. ყველაზე საზიფათო რუსი მხედრების პატრული იყო, ვისი  
საგუშავოც წინა ღამეს, მთების შემოვლით, უკან მოიტოვეს. თურქმენებმა  
იცოდნენ, რომ ხიფათი კიდევ მოელოდათ და თოფები ხელთა ჰქონდათ, რა-  
თა თავდამსხმელნი უმაღ დაესოკათ.

ეს იყო უკანასკნელ მოთარეშეთა გვიანი ხანა.

სპარსელმა ტყვეებმა მალე დაიძინეს, გონება მიეზნიათ და ტანჯვას ვე-  
ღარ გრძნობდნენ. მხოლოდ ერთ პატარა ქალს, თოთხმეტი წლის ზარინ-თაქს,  
გონებაც გულის თანაბრად უფეთქებდა და არ ეძინა, სევდა ყელში მობჯნო-  
და და ახრჩობდა. ბნელით მოცული სორასნისკენ იქიარებოდა, საიდანაც გა-  
მოიტაცეს. მდინარის ხმაურის გარდა ხანდახან კიდევ რაღაც ხმა ჩაესმოდა და  
ფიქრობდა, ალბათ ირანიდან თურანისკენ მიმავალი მატარებელიაო. მატარე-  
ბელი ერთხელ, ბაგუშობაში ნახა და დაამასოიერდა, იქიდან გამოვარდნილი  
კვამლი როგორ გუგუნებდა. ნაბრძოლი, უდაბნოში ხეტიალით განაწამები  
თურქმენები ძილფხიზლობდნენ, თან თელემდნენ და თანაც იქაურობას ცალ  
თვალს არ აცილებდნენ. დაწოლილმა ცხენებმა თავები მიწაზე მიდეს, ხმა-  
შალა სუნთქავდნენ და ბალახს პირსაც არ აკარებდნენ. ზარინი ფეხზე წა-  
მოდგა. სპარსეთის მხრიდან ხეობაში წელა მოქროდა ღამის ნიაფი და ყვავილ-  
თა სურნელება მოჰქონდა; სადღაც შორს, ჩაბნელებულ მთებში განმარტოე-  
ბით უსტვენდა რომელიღაც ფრინველი და მერე ისიც დადუმდა. მხოლოდ  
მდინარე მოედინებოდა და ქვევს ეხეთქებოდა; გამუღმებით მუშაობდა, სიბ-  
ნელეშიც და სინათლეშიც, როგორც მონა მუშაობს თურქმენეთის ველზე,  
ანდა ჩაიხანაში შეუსვენებლად დღეს სამოვარი.

სპარსელმა ქალმა ბებერი ჰადარი შეათვალიერა. ხეს შვიდი დიდი და ერ-  
თი პატარა ტოტი ჰქონდა — შვიდი ძმა და ერთი და. ჰადარი იმხელა იყო,  
ირველიც ხელს მთელი ტომი თუ შემოაწყდენდა. მისი მრავალჭირგამოვლი-  
ლი, ნადირთაგან დაბრული, მომაკვდავთა ფრჩხილებით ნაკაჭრი კანი ფესვე-  
ბიდან მომდინარე წვეწმ მინც იფარავდა და ისეთივე თბილი და კეთილი  
იყო, როგორც ყოველი არსის მასაზრდოებელი მიწა. ზარინ-თაქი დანადვლიანე-  
ბული ჩამოქდა ჰადრის ერთ ფესვზე, სიხარბისგან წაგრძელებული ხელით  
რომ მიიწვედა მიწის გულისკენ, მერე მაღლა აიხედა და ხეს შერდილი ლო-  
დები დაინახა.

ადიდებული მდინარე ჰადარს ალბათ მთიდან წამოღებულ ლოდებით  
უთხრიდა ძირს, მაგრამ ზემ ეს უზარმაზარი ლოდები უდრტინველად შეი-  
კედლა, მრავლისმომთმენი კანი გარს შემოაქლო, შეისისლხორცა და შეიერ-  
დომა, კვლავინდებურად ზრდა განაგრძო და ცისკენ აზიდა ისიც, რაც დაღუბ-  
ვას უქადა. „ეს ხეც ჩემსავით მონაა! — გაიფიქრა სპარსელმა ქალმა. — ქვები  
ისე უჭირავს, როგორც მე საკუთარ გულსა და შვილს ვატარებ. დაე, ნადე-  
ვი ამ ქვებივით შემეზარდოს, რომ ვეღარ ვიგრძნო“. ზარინ-თაქი ატირდა.

ქუთთი მწყემსისგან ორი თვის ორსული იყო. რა ეჭნა, ქვეყნად ერთი ადამიანი მაინც ზომ უნდა ჰყვარებოდა. იქვე ახლოს წამოწოლილ თურქმენს ზარინ-თაჯისთვის ორივე თვალი მიეპყრო. გულში უხაროდა, ქალი რომ ტირილობან ტირილი შეეძლო, მამ მის ცოლობასაც მალე მიეჩვენოდა და თურქმენისტანში თვინიერად დაღვედა სულს.

მთვარე შავი მთების მიღმა ჩაესვენა და გარემო კვლავ ჩაყრუვდა. ზარინ-თაჯს ნიავე სახეზე ჩრდილივით გადაურბენდა ზოლმე. ქალი მიწაზე დაწვა სხვა ტყვეებს შორის.

„გელ-ენდამი, დიდი ხანია, ერსარებმა წაიყვანეს, — გულში ჩურჩულებდა იგი, რათა თავისი მწუხარება ყველაზე დიდი სატანვეელისთვის შეედარებინა და თავი ამით დაემშვიდებინა. — ფატმა დარიაში დაიხრჩო, ზოლო ჩემი საუკეთესო მეგობარი, საყვარელი ხანომ-აგა თურმე ჯაფარბაიელებთან ცხოვრობს და შეილებს აჩენს. ნეტა, მეც იმათთან ვიცხოვრებ?!“

ზარინ-თაჯს მალე ჩაეძინა. მეგობრების გახსენებამ დაამშვიდა. იმათაც ზომ ოდესღაც ეს გრილი, ბალახოვანი ხეობა გაიარეს.

დილით თურქმენმა მხედრებმა ტყვეები კოპეტ-დაღის მთებიდან გაიყვანეს. ზოგიერთი ქუთთი და სპარსელი ქალი უცხო უღაბნოსა და სხვაგვარად განათებული უცნაური ცის დანახვაზე დანაღვლიანდა და ატირდა. მაგრამ ზარინ-თაჯი არ ტირიდა; მთიანი ხორასნის ქალებში გაზრდილი ქალი ცნობისმოყვარეობით უპეტრტდა ბავშვის სიკვდილივით სევდისმომგვრელ თურქმენეთის ველზე ვაზნეულ ცარიელ შუქს და ვერ მიმხედარაიყო, საღისი აქ რატომ ცხოვრობდა.

თურქმენებმა მთელი დღე მთის ძირას, ქვაბულში გაატარეს. დაღამებას უცდიდნენ, რადგან ეშინოდათ, საღმე ქუთთებს არ გადაპყროდნენ. ქუთთი მღვერები ზოგჯერ საზღვარს გადმოლაზავდნენ ზოლმე და ტყვეთა გამტაცებლებს გაშლილ უღაბნომდე მისდევდნენ. ამიტომ თურქმენებს არ უნდოდათ, სამშობლოს მისადგომებთან გამოსთხოვებოდნენ გამაჩრვებას.

მერე კი მთელ ღამესა და მეორე დღესაც, შუადღემდე, ტყვეებს შეუჩერებლად მიერეყებოდნენ თავიანთი ჩამკვდარი უღაბნოს სიღრმეში. ამის შემდეგ დასასვენებლად აულებში ჩერდებოდნენ, ღამეს ალიზის ალაჩოყებში ათევდნენ, ტყვე ქალებს ეხვეოდნენ და კვლავ გზას გაუდგებოდნენ. მალე ზარინ-თაჯმა თავისი ქმარი და პატრონი გაიცნო. ეს იყო ატაბ-ბაბა, თეკის ტომის თურქმენი, ორმოც წელს გადაცილებული წყეროსანი კაცი. მისი მუღამეამს ერთგვარად მომზირალი მოუღღელი შავი თვალები თითქოს ბედის სამღურავს გამოხატავდნენ. იგი ზარინ-თაჯს ხანდახან განზე გაიხმობდა და ყველას ჩამორჩებოდა, რომ ღინი მოეკლა.

ზარინ-თაჯი იწუა და ყურს უგდებდა, ქვიშა ოდნავ როგორ ირბეოდა: ქვიშასაც უმნიშვნელო, მაგრამ ცვალებადი ცხოვრება ჰქონდა. მახლობლად ატაბ-ბაბას ცხენი იდგა და მიწაზე მწოლიარეებს დასცქეროდა. სიყვარულის ქამს ზარინ-თაჯი გაშლილ ხელებს ქვიშაში აფათურებდა, თანაც ზეცას აპყურებდა და სულ სხვა რაღაცაზე ფიქრობდა. ატაბი მას პირქუშად და სერიოზულად ეუფლებოდა. თითქოს ჩვეულებრივ მოვალეობას ასრულებდა. ამოდ არ აწამებდა და ამით გულს არ იამებდა. „ამასთან გაეძლებ“, — გაიფიქრა ზარინ-მა, როცა ნახა, რომ არც საშიში ელოდა რამე და არც საინტერესო. ატაბ-ბაბას წვერის შეგებისა და სიმძიმის გარდა ვერაფერს ვრძნობდა.

თერთმეტმა დღემ გაირა მას შემდეგ, რაც ტყვეები სამშობლოს საზღვრებს გასცდნენ. მეთორმეტე საღამოს ისინი ტაგანის ქის მახლობლად, ალაჩოყებთან მიჩვეს. აქ ცხოვრობდა ყანჯინთა გვარის რამდენიმე ოჯახი, თუქეს ტომს რომ ეკუთვნოდნენ. ერთი ალაჩოყიდან ატახ-ბაბას ოთხი ცოლი გამოვიდა. ქმრის დანახვაზე სიხარული მხოლოდ სახის გამომეტყველებით გამოხატეს, ზარინ-თაჯს კი ზედაც არ შეხედეს. ატახმა სპარსელი ქალი ალაჩოყში შეიყვანა და ბრძანა, საკმელი ექმით და დასაძინებლად დაეწვინათ. თავად კი თარეშისას მოკლული ნათესავის ალაჩოყისაკენ წავიდა, რომ მიცვალებული პატრონისთვის ჩაებარებინა. ცხენზე გადაკიდებული გვამი გზაშივე გაიხრწნა, როცა ქასთან შეისვენებდნენ ხოლმე, ლემოს სუნით გაბრუებული ცხენი წყალს ცოტასა სვამდა.

ზარინ-თაჯმა იჭურობა იუცხოვა და გაოგნებული ჩაჯდა ალაჩოყის იატაკზე. ექვსი წლისა რაც გახდა, მას შემდეგ, სამშობლოში, მთიანი ხორასნის ტყეებში ვაჭაჟსა და ხმელ ფიჩხს აგროვებდა თავისი ბატონისთვის, ვისაც დღეში ორჯერ ქამის ფასად ემსახურებოდა. ასეთ ყოფას მიეჩვია; ბავშვობის წლები ისე გადიოდა, მესხიერებაში კვალს არ ტოვებდა. რადგან გული შეეგუა ერთფეროვან სევდას, ჯაფა რომ ჰგვრიდა. საუკეთესო დრო ისაა, სწრაფად რომ გადის და დღე დღეს ისე მიჰყვება, კაცს უბედურებაში არ გაჰხვევს.

ატახ-ბაბას ერთმა ბებერმა ცოლმა სპარსელ ქალს ქუთოთულად ჰკითხა, რატომისა ხარ, ვის ალაჩოყში დაიბადეო.

— არ ვიცი, როდის დავიბადე, — უპასუხა ზარინ-თაჯმა. — დიდი ხანია, რაც ვარ.

მას დედ-მამა მართლაც არ ახსოვდა და არც შეუძინებია, ამქვეყნად როდის გაჩნდა: ფიჭობდა, რომ ასე იყო მუდამ.

უცებ ტირილი და ბრანის გამომხატველი ხმები გაისმა. ალაჩოყში სამი ფეხშიშველი, საცოდავი ქალი შემოვიდა. ისინი სპარსელ ქალს ფეხმორთხმით შემოუსხდნენ. ჯერ ნაღვლიანად რაღაცას ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, მერე ზარინ-თაჯთან მიჩოჩნდნენ. ხელი სტაცეს და ფრჩხილებით სახისა და გამზდარი სხეულის კაწვრა დაუწყეს. სპარსელი ქალი თავის დასაცავად მოიკუნტა, მუშტის ხელა გახდა, თუმცა გუმანით ამჩნევდა, რომ ქალების სიბრავეს ძლიერება აკლდა და ტკივილს უშიშრად იტანდა. შინ დაბრუნებული ატახ-ბაბა ცოტა ხანს მდუმარედ იდგა, მერე კი უცხო ქალებს უთხრა: „ქმარა, ეგ ახალგაზრდაა, თქვენ კი უვარგისი დედაბრები ხართო!“ — და ალაჩოყიდან გაყარა.

ისინი გარეთ გავიდნენ და მოთქმა იქ განაგრძეს. მოკლულ ქმარს გლოვობდნენ. ღამით ატახ-ბაბა დასაძინებლად ტყვე ქალის გვერდით დაწვა და როცა ყველამ დაიძინა, როცა სასათუმალთან, ალაჩოყის ქეჩის მიღმა, უდაბნო განვლილ ცხოვრებასავეთ განერთხა, ბატონი სპარსელ ქალს გაღვეულ სხეულზე მოეხვია. ირგვლივ დუმილი სუფევდა, მხოლოდ მზანარეთა სუნთქვა გაისმოდა და ვიღაცა რბილად მიაბიჯებდა ფაშარ თიხაზე — იქნებ მორიელი მიდიოდა სადღაც თავისთვის. ზარინ-თაჯი იწვა და ფიჭობდა, ქმარი ზედმეტი ჯაფაო, და ითმენდა.

მაგრამ როცა ყინმორეული ატახ-ბაბა აცანცანდა, მისი ორი ცოლიც გამოფხიზლდა. მათ მუხლებზე წამოიჩოქეს, ჯერ ცხარედ ჩურჩულებდნენ რაღაცას, მერე კი ქმარს უთხრეს:

- ატახ! ატახ! ნუ დაზოგავ, აკივლე.
- რას უაღერსებ, არ გახსოვს, ჩვენ რა დღეს გვაყრიდი?
- სიქა ვააცალე, რომ მოგეჩვიოს!
- ამას უყურე, რა ეშმაკია!

ზარინ-თავს მათი ლაპარაკი აღარ ესმოდა, სიყვარული არ ეხალისებოდა და დაქანცულს ჩაეძინა.

ზარინ-თავმა მომთაბარე ცხოვრება იწყო. აქლემებსა და თხებს წველიდა, ცხვრებს ითვლიდა და თაქირის ქებებიდან დღეში ას-ორას ტკ წყალს იღებდა. ფრინველები აღარსად დაუნახავს და ისიც გადაავიწყდა, ქარი ხეთა ფოთლებს როგორ ამრიალებდა. მაგრამ ახალგაზრდობისას დრო ნელა მიედინება. სპარსელი ქალის მზრად ბედნიერების მოსურნე სხეულს კიდევ დიდხანს აწამებდა სიცოცხლე.

როცა ცხვრები უბალახობისაგან ხდებოდნენ და იხოცებოდნენ, ატახ-ბაბა ბრძანებდა, ალაჩოყი აეშალათ, მთელი ავლადიდება ბოხჩემში გამოეკრათ და სხვა უკაცრიელ მხარეში გადასულიყვნენ, სადაც მიწა ნაკლებად მწირი იყო და მეჩხერი ბალახი ცხვარს ჯერ არ გადაეძოვა. მთელი სავგარეულო შეჩვეული ადგილიდან აიყრებოდა და გავარვარებულ თაქირს გაუყვებოდა ერთფეროვანი, უკაცრიელი სივრცისკენ. წინ ვირებზე ამხედრებული აქსაკალი და ჭკვიანი მამაკაცები მიუძღოდნენ. ვირებს ეკიდათ დაკეცილი ალაჩოყები, ვირებზევე ისხდნენ ბებერი ცოლები; უკან არეულ-დარეულნი მიჰყვებოდნენ თითქოს შეშლილი ცხვრის ფარები. ზარინ-თავი და სხვა მონები კი ფეხით მიდიოდნენ, ზურგზე წამოეკიდათ მათი ქმრებისთვის ძველ მეგობართა ნარქუარი მძიმე ვერცხლეული და საქმლით საესე ქოთნები.

სპარსელ ქალს უხაროდა, როცა ქვიშრობ ბორცვს გადაივლიდა და ფეხი თბილ ქვიშაში ეფლობოდა. თვალს ადევნებდა, ქარი როგორ შეძრავდა და შორს გააქროლებდა რომელიღაც დიდი ხნის გამხმარ მცენარეს, ვინ იცის, იქნებ კოპეტ-დაღის ლურჯ, დაბინდულ მდელოზე, ანდა ამუ-დარიის დატბორილ ნაპირზე რომ იშვა. მაგრამ უფრო ხშირად უსასრულო თაქირები — უმწირესი თიხნარები უნდა გაველოთ, სადაც მზის სიცხოველე არასოდეს ნელდება, როგორც ნალველი მონის გულში; ოდესღაც აქ იყო წამებულთათვის ღმერთისგან დაწესებული სამყოფელი, მაგრამ წამებულნი დაიხოცნენ, განმა მჩატე შტოებიც და ყოველივე ქარმა გადახვეტა.

ახალ ადვილას ფეხის მოკიდება ყოველთვის უძნელდებოდათ. ქები უნდა ამოესუფთავებინათ და გაემართათ, საძვრები მოეწყოთ და შორიახლოს ეძებნათ, თუ სადმე იყო შემორჩენილი ქვიშაში ჩაფლული საქსაული.

ზარინ-თავმა თანდათან მიიფიწყა საკუთარი სურვილებიცა და საკუთარი თავიც. როცა ატახ-ბაბა ფლავს ქამდა, ხორცის ნარჩენებს კი სხვა ცოლები ჩამოირიგებდნენ, სპარსელ ქალს შიშვლი და შური არ ტანჯავდა. ყოველთვის დუმდა და ნიადვგ საქონელში საქმიანობდა, საკუთარ სულს არ შეიგრძნობდა, რომ არაფერზე ენალვლა.

ზოგჯერ დაქანცული დაწვებოდა თაქირის შუაგულში; ირგვლივ სიცარიელე და სინათლე ერტყა. ბუნებას — მზესა და ცას — შესტკეროდა და მის გულში გაოცება იხუდებდა. „მორჩა ყველაფერი!“ — ჩურჩულებდა ზარინ-თავი, მთელ თავის ცხოვრებას გონებით შეიგრძნობდა, ჩვეულებრივი სამყარო თვალწინ ედგა და ახალს აღარაფერს მოელოდა.



სტეულს ხელებით მოისინჯავდა და ძელების სიახლოვეს შეიგრძნობდა. კანი დაქანცულობისგან გამოშრობოდა, ნამუშევარი ხელები ცარიელ ძარღვებად ჰქცეოდა — თანდათან ჭრებოდა მისი სიცოცხლე; მთავრე ნელა ამოდის, მაგრამ სწრაფად ჩავსვენება ხოლმე.

რამდენიმე თვის შემდეგ ზარინ-თაჯს პატარა გოგო გაუჩნდა. ატაბ-ბაბას გაუხარდა, უცხო ტომის ჩამომავალი რომ დაიბადა, რადგან გოგო მისი მონა იქნებოდა. მან ბრძანა, ბავშვისთვის ჯუმალი დაერქმიათ.

სპარსელმა ქალმა შვილი გულში ჩაიკრა და მიხვდა, რომ ცხოვრება ჯერ არ დაესრულებინა. სამთარი იდგა, წვიმის წყალი თაჯირის ჭებში ჩადიოდა, ვირი ისე ნალღლიანად ყრთყინებდა, თითქოს ამ ქვეყანაზე ოხლად დარჩენილიყო და გულზე სევდა შემოსწოლოდა.

მცირე ხნის შემდეგ ზარინ-თაჯი დასუსტდა, ჯანმრთელობამ უმტყუნა, დიწვა და ადგომა აღარ შეეძლო; გვერდით მწოლიარე ბავშვს გახურებული სხეულით ათბობდა. ალაჩოყში ქარი იჭრებოდა, უსიცოცხლო თაჯირზე წვიმის შხაბუნი ვაისმოდა. ატაბ-ბაბა სპარსელ ქალს თავით ედგა და მისი ცრემლი ზარინ-თაჯს ზედ წაუფარებულ ქეჩაზე ეწვეთებოდა: იგი იტანჯებოდა იმის გამო, რომ ასეთ გამხდარ და ცნობამიხდილ ქალთან ვეღარ ცხოვრობდა. ატაბ-ბაბა ყოველდღე ცხერის ხორცსა და ქონს ჰამდა, სიყვარულის მტანჯველი ძალა გულში უგუბდებოდა, სასურველ ქალთან შვებას კი ვერ ეძლეოდა, რადგან იგი ხურვებაშემოგზნებული და გონწართმეული იწვა. ზოგჯერ, დამლამობით, ბავშვს გვერდზე გადააწვენდა და ზარინ-თაჯს ნაღველმორთული და სურვილჩამკვდარი ეხვეოდა. მაგრამ დრო გადიოდა, ისე როგორც ქარი გადაიქშუველებს ხოლმე უდაბნოს ქვიშაზე და გაზაფხულის ფრინველებს მწეანით შემოსილ, ნოტიო ქვეყნებისკენ გარეყავს. სპარსელი ქალის მხურვალე, სწეულ გონებას ეზმანებოდა, რომ სადღაც, განცალკევებით მდგარ ხის ტოტზე ბაწაწინა, გაღუული ჩიტუნა იჯდა და ნელა, მედიდურად გალობდა. მახლობლად კი მიიზღაზნებოდა აქლემთა ქარავანი, მხედრები ცხენებს შორეთისკენ მიაკენებდნენ და თურანში მიგუგუნებდა მატარებელი. მაგრამ ჩიტი სულ უფრო აზრიანად და წყნარად, თითქმის თავისთვის გალობდა: არაგინ უწყოდა, ვისი ძალა გაიმარჯვებდა — ჩიტისა თუ ქარავნისა და მოგუგუნე მატარებლისა. ზარინ-თაჯმა გაიღვიძა და გადაწყვიტა, კვლავ ეცოცხლა შმანებაში ჩაკარგული ჩიტისით. იგი გამოჩანმრთელდა, მაგრამ ატაბ-ბაბა ბავშვის გამო უფრო თხილდებოდა და რამდენიმე დღეს არ ამუშავებდა.

საქმელი მასთან სხვა ცოლებს მიჰქონდათ და თან ბუზღუნებდნენ, შენ, ჯანმრთელი, ქეჩაზე ხარ წამოგორებული, ჩვენ კი ბებრები და ავადმყოფები მომაბეზრებელ ჯაფას მარტონი ვეწვეითო.

ზარინ-თაჯი მალე თავისით წამოდგა. მას არც საფიქრალი ჰქონდა რამე, არც საგრძნობი, ამიტომ ხელს წამითაც არ აჩერებდა, გაუთავებლად საქმიანობდა და საკუთარ გულს ძალ-ღონეს ნელ-ნელა აცლიდა. ბოხჩაში გამოკრული ჯუმალი ზურგზე ჰყავდა წამოკიდებული და თავწაბრილი კვლავ მშვიდად წველიდა თხებს, ვირის ჩონჩორიკს სათბობად აგროვებდა და ჭიდან წყალს ეზიდებოდა. თუნდა ბედნიერი ყოფილიყო, მაინც ასე იმუშავებდა, რადგან ბედნიერების შესანარჩუნებლად კაცმა ჩვეულებრივად უნდა იცხოვროს.

დბახდებისას განცილილი შიშისგან მოკუნტული ჯუმალი დედას ზურგზე



კიდევ დიდხანს ეკიდა და გაოცებული უსწინდა საკუთარი გულის ფეთქვას — ელოდა, ძალი როდის მოერგვა და გაიხრდებოდა. მერე ნელ-ნელა ფეხი აიდგა და არსებობა შეიგრძნო. „ეს მე ვარ!“ — ეუფლებოდა უცხო გრძნობა და გაუმაგრებელი ძვლების სრტილებს ისინჯავდა. მაგრამ დედას კიდევ დიდხანს არ მოსცილებია, დაჯუჯულს ხელებს უთათუნებდა მხურვალესა და სველ ხურგზე, სადაც იწვა, თბებოდა და ეძინა. სიცოცხლე ახარებდა და ყველაფერს ჰამდა — თიხას, ბალახს, ცხვრის კერკლს, ნახშირს, ქვიშაში ნაპოვნ ცხოველთა წვრილ ძვლებს სრუტაედა, თუმცა დედის რძეც ჰყოფნიდა.

გოგონა რასაც ჰამდა, ყველაფერი ერგებოდა და პატარა სხეული აუთქვირდა, ახლად ახელილი წყლიანი თვალებით ჩვეულებრივ საგნებს გულისყურით აცქერდებოდა, საკუთარ გულისცემას შეეჩვიდა და აღარ ეშინოდა, რომ შეუჩერდებოდა.

მისმა ბავშვობამ დიდხანს გასტანა. მზე ცაზე ყოველდღე ენთო, ქარი ამოვარდებოდა და ჩადგებოდა, ქვიშიან ბორცვთა სიმყურდროვეში ბავშვების ტირილი გაისმოდა, მერე მზე გაწითლდებოდა, გაიზრდებოდა, დამძიმდებოდა, სადღაც შორს ჩაესვენებოდა და მზის ვერცხლისფერი აჩრდილი, მსუბუქი მთვარე გაანათებდა მისი მობერებული, მამგრალი დედის გატანჯულ სახეს; როცა დედა აქლემს წველიდა, ლატაკთა და გარდაცვლილთა მნათობს — მთვარეს შესცქეროდა, მერე კი ქეჩაზე მიწვებოდა და შვილს ცოტა ხანს თუ მიეფერებოდა, რადგან ძილი თავს წაართმევდა ხოლმე.

გაზაფხულზე ზარინ-თაჯმა შვილს პირველად დაანახა ფრინველები, ქვიშრობებს რომ გადაუფრინეს და, ვინ იცის, საით გაემართნენ. რალაცას გამკიოდნენ, თითქოს ხალხი ეცოდებათო, და მალე თვალს სამუდამოდ მიეფარნენ.

— ვინ იყვნენ? — ჰკითხა დედას ჭუმალმა.

— ბედნიერნი არიან, — უპასუხა დედამ, — შეუძლიათ, მთებს გადალმა, შორეული მდინარეებისაკენ გადაფრინდნენ, სადაც ხეები იფოთლებს და მზე მთვარესავით გრილია.

ჭუმალმა ასეთი რამ არ იცოდა და მდინარეებსა და ფოთლებზე არ ნაღვლობდა. იგი აქ, ბარხანებს შორის იზრდებოდა და ქარისაგან დახვევებულ ქვიშაზე შემდგარი ხედავდა, რომ დედამიწა ყველგან მოშიშველებული და ერთნაირი იყო. დედა კი ზოგჯერ ატირდებოდა და ჭუმალს გულში ჩაიკრავდა — შორეული მდინარეების, მივიწყებული მთების, აყვავებული ხეებისა და ჩრდილის მაგიერობას აქ, თაკირზე, შვილი უწევდა.

— იქ, მდინარის პირას, მთებში, კარგად იყავი? — ჰკითხა ჭუმალმა.

— არა, ვიტანჯებოდი, — უპასუხა ზარინ-თაჯმა.

— მამ რატომ ფიქრობ, რომ ის მხარე კარგია?

— მე არ ვფიქრობ, ასე მგონია, — უთხრა ზარინ-თაჯმა.

პატარა ჭუმალი შეფიქრინდა, დედას თითზე ხელი მოჰკიდა და ურჩია:

— ნუ გგონია... გეჯობს, მარტო მე გიყვარდე და კარგად იქნები! მთები და მდინარეები რად გინდა.

როცა აღვიღს იცვლიდნენ, ჭუმალი დიდხანს, სევდიანად ეთხოვებოდა ყველაფერს, რაც კი მარტოდმარტო უნდა დარჩენილიყო: საქსაულის ბუჩქს, რომლის ძირასაც თამაშობდა, შუშის ნატებს, გამხმარ ხელიკს, აქამდე ვითოზ მისი და რომ იყო, ცხვრების გამოხრულ ძვლებს და ბევრ სხვა საგანს, რო-



მელთა სახელი არც კი იცოდა, მაგრამ უყვარდა. გოგონა დარდიბდა, რომ ის საგნები მოიწყენდნენ და მოკვდებოდნენ, როცა ხალხი ახალ სადგომზე გადავიდოდა.

აქლემებსა და ცხვრებს თუნუქის ბურბუშელასავით უხეში, გამომშრალი დაბალი ბალახის გარდა პირის მისაკარებელი არაფერი ჰქონდათ. ვირებს ალბათ სხვა საკმელი ახსოვდათ, სადღაც, მიკარგულ მხარეში რომ ჰქონდნენ და ხშირად ყროყინებდნენ; იმ საკმელს თუ ნატრობდნენ.

როცა ახალი საძოვრებისკენ მიდიოდნენ, ჯუმალი ფეხებზე ამოკიდებული იჯდა ყველაზე პატარა ვირზე. უდაბნო უკან რჩებოდა. გოგონა უცქეროდა ვირის უზარმაზარ თავსა და ყურებს, შიგ ქარი რომ ზუზუნებდა. იმხელა თავი ცხენსაც კი არ ჰქონდა. ჯუმალი ფიქრობდა, ვირი ალბათ ოდესღაც ვოლიათი იყო, მაგრამ მწუხარებისგან, ჯაფისა და უკმელობისგან დაილიაო.

გაიარა დიდმა დრომ. ჯუმალს თორმეტი წელი შეუსრულდა და ტანსრული, კოხტა გოგო შეიქნა. ისე დამშვენდა, თითქოს მისი სახიდან ზარინ-თაჯის მიმართ უცნობი მამის სიყვარული გამოკრთოდა. ვერც მონურმა სილატაკემ, ვერც უსასობამ — ვერაფერი დააკლო, იგი დასრულდა და სახენათელ, უმწიკვლო ქალიშვილად იქცა. თუმცა სულ ერთნიარ ღარიბულ საკმელსა ჰქონდა, მაგრამ ამ საკმელს მზის სინათლე, გაზაფხულის ქარი, ქვიშრობის სითბო, წვიმა და ცვირი ჰქმნიდა, და ამიტომაც ჯუმალს ნაზი სხეული ჰქონდა, ხოლო მისი თვალები ისე მიმზიდველად იცქირებოდნენ, თითქოს მათ სიღრმეში ნიჟადაც შუქი ანთიყო. ტანს ვერ იბანდა, რადგან წყალი ცხვარს ძლიერდევით ჰყოფნიდა, ამიტომ როცა კანი ძალზე გაეპოხებოდა, ისეთ ადგილას დადგებოდა, რომ ქარს ქვიშა ზედ შეეყარა და გაესუფთაებინა.

ერთხელ ატან-ბაბამ ჩარდახიანი ურმები ერთ მიყრუებულ ადგილას გაიყვანა და ბრძანა, შეჩერებულყვენენ. მთელი დღის სავალზე რუხი თიხნარის გარდა არაფერი შეხვედრიათ. ასეთი სევდის მომგვრელი თაკირი არც ჯუმალს, არც ზარინ-თაჯს არასოდეს ენახათ. ეტყობოდა დიდი ხნის მიტოვებული იყო და ამიტომაც თაკირის განაპირას კარგი ბალახი ხარობდა, თითქოს აქაურობისთვის თავი შეეფარებინა, რომ ქვიშრობში სიცხისგან არ დახრუკულიყო. შუა ადგილას თაკირი დაბლდებოდა. იქ, რუხ თიხნარზე ალბით ნაშენი ძველისძველი კოშკი იდგა. ატან-ბაბამ თავისი ოჯახი იმ კოშკში დააბინავა. ზარინ-თაჯი და მომთაბარე საგვარეულოს სხვა ქალები ძველი კოშკის მახლობლად ჰის ამოსუფთაებებს შეუდგნენ. არავინ იცოდა, კოშკი ვის ეკუთვნოდა, ანდა უწინ იქ რას აკეთებდნენ — ლოცულობდნენ თუ ხალხს ზოცავდნენ. კედლის ქვედა ნაწილი გარედან ცისფერი შორენკეცებით იყო დაფარული, მომცრო გუმბათზე კი ლურჯი ფილები აეკრათ და ამ ფილებზე მოთქრული გველი გამოესახათ.

ჯუმალი ქალებთან ერთად მუშაობდა ჰის გაწმენდაზე: სველ ქვიშას მოშორებით ეზიდებოდა და შიგ ვიღაცის ძვლებს პოულობდა. ქვიშრობის კიდეზე ძლიერ მოჩანდა მომცრო მთები, — ზამთრამდე იქ იწვნენ მიძინებული ღრუბლები. მთებს იქით ამუ-დარია და მდიდარი ხივა არისო, — ამბობდა ატან-ბაბა. ღამით ჯუმალი კოშკის ქვედა სართულზე კედლის ძირას იწვა-ყურს უდგებდა, მორიგელები როგორ ფაჩუნობდნენ თიხნარში, ღია შესასვლელიდან თვალს ადევნებდა, სიბნელეში როგორ იძვროდა ერთადერთი ვარს-

კვლავი, თითქოს სადღაც მიხეტიალობსო და კოშკის გარეთ დაცურებული ქვიშის ნაღვლიანი შრიალი ჩაესმოდა. მკერდში ცრემლი და ბედნიერება უფათურებდა, მაგრამ სიციოცხლის მნიშვნელობა ვერ შეიცნო და შეცბუნებული ფრთხილად სუნთქავდა.

ატახ-ბაბამ ქეჩიდან წამოიწია და ზარინ-თაჯისაკენ გაჩოჩდა მძინარე ცოლებს შორის. ჭუმალმა ცოტა ხანს შეიცადა და მერე დედას დაუძახა, რომ მას ქმრის მიახლოვება შეეტყო და გარიდებოდა.

მაგრამ დედა ხმამოუღებლად იწვა და ატახ-ბაბამ მიავნო. ჭუმალი პირქვე გადაბრუნდა, სახე მატყლის საფენში ჩარგო და მწუხარებისგან მოიბუხა. ამ დროს კოშკის ზედა სართულიდან ვიღაც კაცი ჩამოვიდა, იატაკზე მწოლიარე ოჯახის შუაში შეჩერდა და მშვიდობისა და საღმის ნიშნად ხელი აღმართა. ჭუმალი მასთან მივიდა და საღამზე უპასუხა. მოსული სრულიად უცხო იყო, ჭუმალმა ვერავის მიამგვანა. უზარმაზარსა და გამზდარს ცხოველივით კეთილი სახე ჰქონდა. პატარა ჭუმალს სიბნელეში დაკვირვებით დააცქერდა. თვლები ისეთი სვედით აესებოდა, მიცვალეული გეგონებოდათ.

ზარინ-თაჯმა თავისი შვილი და უცხო კაცი რომ დაინახა, გასძახა:

— ჩვენს ქეჩაზე რასაც ვიხამთ, ჩვენი ნებაა, თქვენ კი აქედან წადით, — და ისევ თავის პატრონსა და ქმარს მოეხვია.

ჭუმალი სტუმრად მოსულს ხელზე ჩაეჭიდა და დედაზე გულნატკენი ატირდა. მაგრამ სტუმარმა მტირალი ვერ დაამშვიდა: იგი გარეთ გავარდა და ღამის წყვილიდში ჩაფლულ თაჯირს სირბილით გაუყვია, რადგან ატახ-ბაბამ წამოხტა და გაეკიდა. ჭუმალმა ეს რომ ნახა, საბრალო დედას გადახედა და უცხო კაცს კვალდაკვალ მიჰყვია.

თაჯირზე გაქცეულისა და მღვერის ფეხის ხმა გაისმოდა. მაგრამ სასოწარკვეთილება მრისხანებაზე ძლიერია. უცხო კაცი მძინარეთა ალაჩოყებს გასცდა, დაქანცული ატახ-ბაბა შორს ჩამოიტოვა და სიბნელეში გაუჩინარდა. ჭუმალი გაქცეულებს უგზო-უკვლოდ მისდევდა უკან. გრძობდა, რომ განმარტოებით ცხოვრების დრო დაუდგა, ყველას მოსწყინდა, თვით დედასაც კი, რომელიც თავისთვის ცხოვრობდა საკუთარი გულისსუფილითა და ტანჯვით. ჭუმალი ღამით გაგრძობულ თიხაზე დაწვა დ გაყურდა — მის ქვეშაე მღუმარე მიწა იყო.

ატახ-ბაბა გაქცეულს ვერ დაეწია და უკან ბრუნდებოდა. სპარსეთში უკანასკნელი თარეშის შემდეგ მოტყდა, სახე შეუშუპდა. მან ნორჩი, ტანწვრილი ჭუმალი დაინახა. გოგონა მის ფარეხში გაიზარდა, ახლა კი ქალდებოდა და კუშტი შეიქნა. ატახმა ჭუმალი ხელში აიყვანა, მისი ერთი ბეწო, უძღური სხეული მაგრად ჩაბღუჭა და უკაცრიელი თაჯირისკენ წაიყვანა. ჭუმალი ატახ-ბაბას ყელში ფრჩხილებით ჩააფრინდა, მაგრამ იგი ახლა გოგონას მიანც არ მოეშვებოდა, თუნდაც თავი მოეკვეთათ. ამიტომ ტკივილს ვერ გრძნობდა და ჭუმალის თმებიდან ხარბად ისუნთქავდა ამზინდისა და ქარის სურნელებას.

მეორე დღეს ჭუმალი შინ არ დაბრუნებულა, თაჯირის განაპირას გავიდა, რაღაც სიმღერებს იგონებდა, თავისთვის მღეროდა და სიციოცხლე აღარ უნდოდა. თაჯირის იქით სხვანაირი ნიადაგი იწყებოდა — ქვიშა და თინანარი ერთმანეთში იყო არეული და უფრო ხშირი ბალახი იზრდებოდა. ცხვრები ბალახს ხარბად წიწკნიდნენ და მიწას დუჟით ასველებდნენ.

საღამოთი ჭუმალმა დაიძინა. დედამ მძინარე იპოვა, გააღვიდა და შინ



წაიყვანა; ატახ-ბაბას იგი გაეყიდა და ნახევარი ყალიმი — ოთხასა რუსული მანეთი და სამოცი სული სხვადასხვა პირუტყვი უკვე მიეღო კიდეც. ჭუმალი წმინდა თურქული სისხლისა არ იყო და ქურთი ქალის თანაბრად ფასობდა.

მისი საქმრო, ხნიერი ოლა-ყარა ატახთან ერთად ნოხზე იჭდა და უდაბნოში ცხოვრების ავ-კარგზე, აქეთურ-იჩითურზე მუსაიფობდა. ლაპ.რაკობდნენ იმაზე, თუ რა ხდებოდა ჰასან-ყულში და ამუს სანაპიროზე: ისიც თქვეს, ბუ-ხარაში მონათა ბაზარი ისევ გაუხსნიათო. ოლა-ყარამ ბევრი რამ იცოდა, მაგრამ ამბობდა, ჭკუა თმა-წვერში მეზღანდება, რადგან გულის მოსაოხებლად ახალგაზრდა ცოლი არა მყავსო.

ატახ-ბაბა დაეთანხმა, გულის მოუოხებლად ვერავენ გაძლებს, კაცს ურჩევნია, ცრემლის ნაცვლად სხვა რამ ანთხიოსო.

— ოლა, შენ ხომ ცოტა ხნის წინ შეირთე ცოლი, — უთხრა სტუმარს ატახ-ბაბამ. — ყურბან-ნიაზის ალაჩოყიდან არ წამოიყვანე? ის ხომ ჭერ არ დაბერებულა და შესახედადაც არა უშავს.

— ჰო, შევირთე, — დაეთანხმა ოლა-ყარა, — მაგრამ კიდევ უნდა შევირთო. ექვსი ბებერი ცოლი მყავდა. ერთი მომიკვდა, ცხვრებმა და ვირებმა კი მოიგეს. საქონელს ვინ მოუვლის? ბებერი ცოლები ჩაჩანაკდებიან და იხოცებიან; ორი ახალგაზრდა ცოლი მჭირდება, რომ მალე არ დამეხოცონ.

— შენ ახალგაზრდა ქალში კარგ ფასს არ იმეტებ, — უთხრა ატახ-ბაბამ, — თანაც ყალიმს ერთბაშად არ იძლევი.

ოლა-ყარა შეედავა:

— არა, კარგ ფასს ვიძლევი! ბევრი ვიფიქრე, ვინ შემერთო: სამი ჯაფას ნაჩვევი დედაბერი თუ ორი ახალგაზრდა. დედაბრები ხორცს არ ლეკენ და ბევრს ყლაპავენ, ახალგაზრდები ცოტას ჭამენ, მაგრამ მოუსვენრები არიან. მაინც ახალგაზრდების შერთვა ვარჩიე.

ატახ-ბაბამ გაიცინა. ოლა-ყარამაც გადაიხარხარა.

— მოუსვენრები იქნებიან, აბა რა, ოლა, შენი ახალგაზრდა ცოლები... ბებერი ხარ, იმათი სამყოფი სიყვარული აღარ შემოგარჩებოდა.

— ორი ცოლი მყავს ისეთი, ერთხელაც რომ არ მივეკარებებიარ, — ლიმილით თქვა ოლამ. — ოცდაათი წელია, საქმით წელს იწყვეტენ. ვეკითხები, დედაბრებო, სიყვარული რა გექნათ, საით წაგივიდათ-მეთქი?

— მერე, რას გუეზნებიან? — გაილიმა ატახ-ბაბამ.

— ცრემლად და ოფლად დაგვეღვარა და ჭევიშას შეერიოთ. მე კი ვეუბნები, მიჯობს, თქვენი ამბავი ბებერ ულაც ვირებსა და ხვად ძალღებს ვკითხო-მეთქი.

ზარინ-თაჭი და ჭუმალი კოშკის გარეთ, შესასვლელთან ისხდნენ და კაცების ლაპარაკს უსმენდნენ. დაბერებული სპარსელი ქალი ტიროდა და შვილს გულში იკრავდა. ჭუმალიც ეფერებოდა დედას, წუხანდელი ამბის გამო აღარ ემღერებოდა; მის ბავშვურ გულს წყენის ჩარჩენა ჭერ არ ესწავლა.

— დედა, წუხელ, როცა შენ ატახთან გეძინა, სტუმარი მოვიდა და მერე თაკირისკენ გაიქცა, — უთხრა მან დედას.

ზარინ-თაჭმა შვილს უთხრა, სხვა ქალებს უდაბნოდან მოსული ეული სტუმრის ამბავი გაუგონიათო. თურმე რუსებს ებრძოდა შორს, იმ მხარეში, სადაც ტყე და ტბებია. რუსებმა დაატყვევეს, მაგრამ უდაბნოში გამოექცათ და ახლა ასე მარტოდმარტო, შეშინებული დაეხეტებოთ.



— მამ მალე მოკვდება, საჭმელს ხომ ვერსად იშოვის! — თქვა ჯუმალმა.

— მეორე წელია, ამ დღეშია, — უთხრა დედამ. — თახისგან ქოთნებს ძერწავს და გზის პირას ტოვებს. ხალხს ქოთნები მიაქვს, საფასურად კი დავარდნილ ცხვრებს უტოვებს... ოდამ თქვა, სტუმარი აულებშიც დადის, ჩაიხანაში სამოვარს შეაკეთებს, ვინმეს ხალხს შეუეკრავს და თავს ამითი ირჩენსო.

ჯუმალი ჩაფიქრდა. მას იზიდავდა ცხოვრების იდეალუბა, სივრცე და შორეული ხმალური, რამდენჯერმე რომ ჩაესმა, როცა მიწაზე ყურმილებულს ეძინა. ზარინ-თაჯი წამოდგა, რომ სტუმრისა და ჭმრისთვის ახალი ჩაი მიეტანა, მაგრამ სახე ერთიანად ჩაუბუჭდა, ძალ-ღონე წაერთვა და იმ ნოაამდე ვეღარ მიაღწია, სადაც ოდა-ყარა იჯდა. ზარინი სტუმრის წინ უხერხულად გაიშხლართა და ტუჩები სიმწრის სასიკვდილო დუქმა დაუსველა. ოდა-ყარა წამოხტა და იქაურობას შეშინებული გაეცალა, ატახ-ბაბამ კი ცოლს ფეხი წაპკრა, რომ მას სამიწელი სახე გვერდზე მიებრუნებინა. ზარინ-თაჯი თვითონ გადაბრუნდა და გაილურსა. იგი გრძნობდა, ხურკება როგორ შემოგვხნო დალილ ძვლებსა და შიგნეულზე და შვება დაეფულა, თითქოს მტკივანი, დაუძლურებული სხეული ერთიანად ტაკუნით დაეჭიმა.

ილით ბანაკი დაკარიელდა. ატახ-ბაბამ ღამიანად ბრძანა, ყოველდღიური ცხოვრებისთვის საჭირო ყველა ნივთი, მთელი ავლადიდება მიეტოვებინათ, მხოლოდ ცხვარი გაერეკათ. საგვარეულო შავ ჭირს გაურბოდა, სპარსელ ქალს კოშკში რომ შეეყარა. ახლა ეს ადგილი ას წელიწადს გაუკაცურდებოდა. რადგან უდაბნოში ხმა სწრაფად დაირხევა ხოლმე და ხალხს დიდხანს ამახსოვრდება. ჯუმალმა ჭვის გაცვეთილი საფეხურები აიარა, კოშკის ზედა სართულზე აძვრა და დაიშალა: იქ, იატაკზე, ხის კოვზი იდო, გვერდზე შოთი პურის ნატეხი ეგდო და სამი დაუმთაერებელი ქოთანი იდგა; უდაბნოში გაქცეული უცხო სტუმარი თავს ალბათ ამ კოშკს აფარებდა.

ჯუმალმა რამდენიმე საფეხური ჩაიარა, რომ დაენახა, ჭვემოთ, დედამისთან რა ხდებოდა. ზარინ-თაჯი მარტოდმარტო იწვა ჭვის იატაკზე, სახე ჩაშავებოდა, მოახლოვებულ სიკვდილს გრძნობდა და ნაღველმორჩეული დაწყნარებულყო. ზარინ-თაჯთან ერთად ირანიდან გამოტაცებული სპარსელი ქალი ზუღეიხა მოსულყო და შორიდან უყურებდა. მერე სპარსელი ყასემი და მოჯამაგირეები აგარი და ლალაც მოვიდნენ; მათ სენისა და სიკვდილისა არ ეშინოდათ, ამიტომ გამოთხოვების ნიშნად ხელი შეახეს ჭვის იატაკს, რაზედაც მომაკვდავი იწვა და წავიდნენ. ჯუმალი დედასთან არ მიდიოდა, ეშინოდა, კოშკიდან წამიყვანებო. იცილიდა, ხალხი იქაურობას როდის მოსცილდებოდა.

ატახ-ბაბა ყველაზე ბოლოს მივიდა და კოშკი მოათვალიერა, ნახების, ქეჩების და ჭურჭლის დაკარგვას ნანობდა.

იგი ზარინ-თაჯის მოშორებით გაჩერდა და თავისი სათქმელი ხმამალა უთხრა, ჩვეულებრივ ყურში რომ უჩურჩულებენ ხოლმე მომაკვდავს, როცა გამოსათხოვებლად კოცნიან, რათა მან ნათქვამი დაიხსომოს და სიკვდილის შემდეგ ღმერთს გადასცეს.

— გეთაყვა, იქ, ღმერთს უთხარი, — შენთვის ხომ სულ ერთია, მაინც მკვდარი ხარ, — უთხარი, რომ ამქვეყნად მარტო დამტოვოს! ცხვარი ცოტაღა



მყავს, მცხოვრება: ახლა მარტოც მოეუვლი, ხალხი კი, დაე, სულებად ჩაქცეს და ღმერთმა ცაში წაიყვანოს, სადაც შენ იცხოვრებ.

იგი წავიდა, მაგრამ მალე ოლა-ყარასთან ერთად დაბრუნდა, რომ ჭუმალი ეპოვათ და წაეყვანათ. მისი საფასური ხომ უკვე აღებული ჰქონდა. მაშინ ჭუმალმა კიბე ჩაირბინა, დედას ხელი მოჰხვია და, რაც კი შეეძლო, ზედ მიეჭრა. ზარინ-თაჯი ოდნავლა სუნთქაედა, სული ჯერ არ ამოსვლოდა.

ოლა-ყარა და ატახი შეშინდნენ, ჭირიანს მიკარებულნი სავატარძლოს წაყვანა ველარ გაბედეს, ხელცარიელნი წავიდნენ და თან დანაკარგზე დარღობდნენ. ერთმა საფასური მთლიანად ვერ აიღო, მეორემ კი ფასი ტყუილებრად გადაიხადა.

— მუჰამედი ამბობს, სიკვდილი ადამიანთა დიადი განმამორებელიაო, მე კი ცხვრებს განმამორა, — თქვა ოლა-ყარამ.

ხალხი, ცხვრის ფარები და ძაღლები შორს წავიდნენ; თაკირი თურქმენეთის ცასავით დაცარიელდა და ჩაყრუედა. ჭუმალმა მიტოვებულ ნივთებს თავი მოუყარა. ექვსი დაკლული ცხვარიც იპოვა. ხალხს ხორცი ცოტა შეეჭამა. სიკვდილის შიშით მიეტოვებინათ და გაქცეულიყვნენ. ჭუმალმა დედას წვნიანი მოუხარშა და ცოტა შეაჭამა. ზარინ-თაჯს სული კბილით ეჭირა, გამოცოცხლებისა ეშინოდა, რომ მერე ერთბაშად არ მომკვდარიყო. საღამოთი ჭუმალი კოშკის წვერიდან უდაბნოს ათვალეირებდა, ელოდა, რომ ქვიშრობებში გადახვეწილი სტუმარი მოვიდოდა. მაგრამ არავინ მოდიოდა. თაკირზე გაწოლილი ბალახი იკარგებოდა საღდაც შორს, სადაც კვლავ წამოიზრდებოდა.

მზე ჩაესვენებოდა და კვლავ ამოიწვერებოდა. დრო გადიოდა, რათა ყოველი ადამიანი გულში ჩაგუბებულ სატანჯველს შეჭგუებოდა. ზარინ-თაჯი გამოკეთდა, ფეხზე წამოდგა და ძველებურად იწყო ცხოვრება.

როცა საჭმელი გამოელიათ, ზარინ-თაჯი შვილთან ერთად თაკირს გაუყვა, რომ ხივისკენ მიმავალ საქარავნო გზაზე გასულიყვნენ. მაგრამ თაკირი სანახევროდ გაიარეს თუ არა, ზარინ-თაჯი თიხნარზე მიესვენა; ნაბიჯის გადადგმის თავიც აღარ ჰქონდა.

— დედა, მოდი, ერთად დავიხოცოთ, — უთხრა ჭუმალმა.

იგი დედას გვერდით მიუწვა და თვალები მოთმინებით დახუჭა.

— თვალები შენც დახუჭე და ნულარ შემომხედავ, — სთხოვა მან ზარინ-თაჯს. — ასე უფრო მალე დავიხოცებით. ტყუილად რას ვუყუროთ. სანახავი რაღა გვაქვს, უკვე ყველაფერი ვნახეთ...

ჭუმალმა დედა გულში ჩაიკრა და იგრძნო, სწეული როგორ გამოფიტულიყო, დაბერებულყო და დაბატარავებულიყო — შვილისხელაც აღარ იყო. გოგონამ სცადა, დედა შეეტოკებინა — ზარინ-თაჯი ხმელი ტოტივით დამსუბუქებულყო.

ჭუმალი წამოდგა და დედა ხელში აიყვანა. იოლად დაძრა. გადაწყვიტა, მოგვიანებით მომკვდარიყო და თაკირს გაუყვა. საღამოთი ჭუმალმა ზარინ-თაჯი თაკირის ქვიშრობ საზღვრამდე მიიყვანა და მასთან ერთად თბილ ღრმულში ჩაწვა ღამის გასათევად.

დილით, როცა გამოიღვიძეს, ნახეს, რომ გვერდით უცხო კაცი ეჯდათ. იგი დედა-შვილს მიესალმა და გასამსპინძლებლად აბვიდან ცხვრის ზორცი ამოიღო. ჭუმალმა უდაბნოდან მოსული სტუმარი მყისვე იცნო და მისი ნახვა

გაუხარდა. სტუმარი თურქმენი არ იყო, თუმცა თურქმენულად ლაპარაკობდა. გაცმეტილი, რუხი ტანსაცმელი ეცვა, მწუხარებასა და გასაქირს ნაჩვევი, ახალგაზრდული, ნათელი სახე ჰქონდა.

— ვინა ხარ? — ჰკითხა ჯუმალმა.

— ავსტრიელი ვარ, სტეფან კატიგრობი, — უპასუხა მოხეტიალე სტუმარმა. — შენ ვინლა ხარ?

ჯუმალს ავსტრიელებზე არასოდეს არაფერი გაეგონა. მხოლოდ ორჯერ ნახა, ბინადარი ხალხი ქოხებში როგორ ცხოვრობდა და არც იცოდა, რომ ამქვეყნად იყო ქალაქები, წიგნები, ომი, ტყეები და ტბები.

ვიდრე ჯუმალი კატიგრობს ელაპარაკებოდა, ჰამდა და იცინოდა, ქვიშაზე მარტო მწოლიარე ზარინ-თაჯმა წყნარად დალია სული.

ცოტა ხნის შემდეგ ჯუმალმა დედას დაუქაზა, უნდოდა საკმელო მიეტანა, მაგრამ ზარინ-თაჯმა არ გააგონა. მამინ ჯუმალი დედასთან მივიდა და ხელი მოჰკიდა. მერე კაბა აუწია და მკერდი გაუშინებლა, ძვლებს შორის ჩამძვრალ, ორ მკვდარ გაშავებულ ქიას რომ ჰკავდა. ესლა დარჩენილიყო იმ ძვლებებისგან, ოდესღაც ჯუმალს რომ ასაზრდოებდა. ზარინ-თაჯს კანი ნეკნებს შუა ჩასჰკნობოდა; გულიც დადუმებულოყო, აღარ ფეთქავდა. გულმკერდი ისე დაპატარავებოდა, შიგ სულ მცირე, გამოფიტული რამ თულა ჩაეტეოდა — ბედნიერების შესაგრძნობად მოხუცს აღარაფერი გაჩნდა, ძალა მხოლოდ ტანჯვისათვის თუ ეყოფოდა. ასეთი მკერდი ველარაფერს შეძლებდა — ვერც სიყვარულს, ვერც სიძულვილს. მაგრამ მისკენ შეიძლებოდა დახრალიყავი და დაგეტრებინა. მონა ქალი მომკვდარიყო.

კატიგრობი განზე იდგა და უყურებდა, გოგონა დედის უსულო გვამს როგორ ეფერებოდა და გული ფიქრითა და სევდით ევსებოდა. მერე, როცა ჯუმალმა დედას ყურში ჩასჩურჩულა, ცაში რა სათხოვარსაც აბარებდა, სტეფან კატიგრობი მიცვალებულს მიუახლოვდა, რომ დასამარხად წაეღო. ზარინ-თაჯის სხეულს აღარც სითბოს ნიშანწყალი ეტყობოდა და არც სუნის ასდიოდა. კატიგრობმა გვამი მინერალივით გასინჯა. მას გული უცებ დაეჭანცა, გონება კი აღეგზნო. თავდაც ატირდა და პირი მიიბრუნა... საღღაც იყო მისი სამშობლო, ომი მძვინვარებდა, იგი ყველას და ყველაფერს გამოეჭკა და აქაურობას თავი დიდი ხნით შეაფარა. ვინ იცის, იქნებ სამუდამოდაც დარჩენილიყო ამ მწირ უდაბნოში, რომელსაც ძვლები დიდი ხანია მტვრად ჰქცეოდა, მტვერი კი ქარს განებნია. ვენელი ოპტიკოსი ახლა მხოლოდ მირაყებს, სინათლისა და სიცოცხლის მიმჭრალ ეფემერებს ხედავდა.

კატიგრობმა გონება მოიკრიბა და ფიქრს თავი დააღწია. მის წინ მწუხარებაში, შიმშილსა და მონობაში გამოზრდილი, მაგრამ სიცოცხლით სავსე, წმინდა და მომთმენი ჯუმალი იდგა. ავსტრიელმა გოგონა ხელში აიყვანა და ნდობით სავსე შავ თვალებში აკოცა.

ღამით კატიგრობმა ზარინ-თაჯის გვამი შორს, თაკირის იქით წაიღო და ქვიშაში ღრმად დამარხა. ზემოდაწაც ქვიშის ბორცვი დაადგა, მაგრამ ქვიშას ქარი მალე გადახვეტდა, ამიტომ ავსტრიელმა ჭარისკაცმა იმ ადგილის ნაბიჭით აგვემვა ჩაატარა თაკირის მუდმივი სასაზღვრო ხაზის მხრიდან. არ სურდა, რომ აღამიანი, თუნდაც გარდაცვლილი, დავიწყებას მისცემოდა. აგვემვის შედეგი უბის წიგნაკში ჩაიწერა.



ჯუმალმა იმავე ადგილას დაიძინა, სადაც დედამისი მოკვდა. კატიგრობმა გოგონა გააღვიძა და შუა თაყირზე მდგარ ალიზის კოშკში წაიყვანა საცხოვრებლად. იცოდა, რომ თურქქმენები იქ დიდხანს არ დაბრუნდებოდნენ — შესაძლოა, ევროპაში ერთი ომი დამთავრებულიყო და მეორე დაწყებულიყო. მანამდე კი ავსტრიელი განმარტოებით მოკვდებოდა.

მეორე დღეს კატიგრობმა ჯუმალი კოშკში დატოვა, რაც კი აბგაში საქმელი ჰქონდა, დაუტოვა და თავად ხივის საქარაენო გზისკენ გასწია, ასი ეერსის იქით, ბორკანის ჭასთან რომ გადიოდა.

მან იქ ექვს დღეს დაჰყო. ჭასთან ვაჭრების ორმა ქარავენმა ჩაიარა, მერე ქურდები და დეზერტირები გამოჩნდნენ, კასპიის ზღვისკენ თავშესაფრის საძიებლად გზას ფეხით რომ მიუყვებოდნენ. კატიგრობი იმას აკეთებდა, ვინც არას დაავალბდა. გასამრჯელოდ ცხერის ზორკს, ბრინჯს, ხახვს, ასანთს აძლევდნენ. ვის ფეხსაცმელს დაუტერებდა, ვის საგზაო აღკაზმულობას შეუკეთებდა, აქლემებსა და ვირებს წყლულებზე მალამოს წასცხებდა, ხან ფოკუსებს აჩვენებდა და ზღაპრებს ყვებოდა.

მეცხრე ან მეათე დღეს იგი ჩვეულებრივ თაყირზე ბრუნდებოდა და ნაშოვი საქმელი ჯუმალთან მიჰქონდა. ერთხელ დაეარდნილი ვირი მიიყვანა, ქარაენს გზაზე რომ მიეტოვებინა. ჯუმალმა ვირს მოუარა და მოარჩინა. მეორედ კატიგრობმა გოგონას არალის ზღვის ნიყარებისგან გაკეთებული მძივები მიუტანა და ტუჩებში აკოცა. ჯუმალი მის ალერსს თავს არ არიდებდა, მაგრამ თავად გულგრილი რჩებოდა, ვერ მიმხვდარაიყო, აღამიანი რის გამო უნდა ჰყვარებოდა. მას ახსოვდა გარდაცვლილი დედა და თავისი საგვარეულოს სხვა ქალები — ბევრი მათგანი ხელსახოცს ისეელებდა, როცა ქმარი მოუკვდებოდა, რომ ამომშრალი თვალები დაენამა და ნამტირალეც დამგვანებოდა.

მათ ექვსი წელი გაატარეს ერთად. ალიზის კოშკი ძველებურად გადაწყურებლა უტყვე, უსიცოცხლო, ჯუმალის ბედივით უქმად მიგდებულ თაყირს. სტეფან კატიგრობი დროადრო კვლავ დადიოდა საქარაენო გზაზე, მაგრამ ქარაენები აღარსად ჩანდა და ავსტრიელი იშვიათად თუ იშოვიდა ნახევარტომარა ბრინჯს ან ჯანდაგ ცხვარს.

ერთ ვერცხლისფერ ღამეს, როცა კატიგრობი კოშკში არ იყო, ჯუმალმა შორიდან სროლის ხმა გაიგონა. მან ხანჯალი, ასანთი და ცოტაოდენი ბრინჯი აიღო, ვირზე შეჭდა და იქით გაემართა, საიდანაც სროლის ხმა მოესმა. მთელ ღამეს და მეორე დღეს საღამომდე იარა, მაგრამ არავინ შეხვედრია. ვირი მიყურებულ მხურვალე ქვიშრობში სიარულით დაიქანცა და გაჩერდა. ჯუმალი ჩამოქვეითდა და ვირი აღვირით წინ გაათრია. ფიქრობდა, ან აღამიანი შემხედება სადმე, ან ჭას ეპოვიო.

ღამე უცხო ადგილას გაათია, დილით კი ვირი კვლავ შორეული მხარისკენ წაიყვანა და საღამოთი მომცრო თაყირს მიიღწია, რომლის მახლობლადაც კოქონაქიან ჭას მიაგნო. კოქონაქზე თოკი ეკიდა. ჯუმალმა ტყით წყალი ამოიღო, მაგრამ წყალი ჩირქივით ბლანტი და ბალღამიანი გამოდგა — ჭაში თავდაყირა ეგდო კაცის გვამი და საქსაულისაგან გამოთლილ ჭის გვირგვინზე უხარმზარი, გაპოხილი ბუზები ფუტფუტებდნენ. წყურვილისგან დუქმო-

რეულმა ვირმა წყალს პირი არ დააქარა; მაშინ ჯუმალმა კაბის კალთა მოიხია, ცეცხლი წაუქიდა, ვირი ისეთნაირად შეაბრუნა, რომ კვამლი ცხვირში სცემოდა და წყლის გემო ველარ ეგრძნო. ვირმა სმა დაიწყო, სამი ტიკი გამოცალა, ბალაშიანი წყლით გაიბერა და მოკვდა. ჯუმალი ფიქრობდა, ხვალ მეც მოკვდებოდა, და მხოლოდ იმას ნაღვლობდა, რომ დედისგან შორს დაღვედა სულს.

ღამით ჯუმალმა ჩათვლია, მერე კი ძილ-ბურანს თავი ველარ დააღწია. დაავიწყდა, რომ ცოცხლობდა და აღარ იცოდა, რას სჩადიოდა: ხან წამოდგებოდა და დარბოდა, ხან ისევ დაწვებოდა, მერე კვლავ წამოხტებოდა და დარბოდა, ხან იცინოდა, ხან ტიროდა და გამუდმებით ახსენებოდა, რაღაც ყველაზე მეტად მივიწყებული, ბინდბუნდში რომ ქრებოდა. შორეული გოდებასავით რომ იკარგებოდა, და ამ მოჩვენებისკენ ხელებს იწვდიდა.

ღამით ელანდებოდა, რომ თაკირზე ათაობით კაცი დარბოდა, ყურში სროლის ხმა და ყვირილი ჩაესმოდა. დაფეთებული ხანჯალს ხელს წამოაგლებდა და ლანდებს დასდევდა, სანამ ქვიშაზე არ დაეცემოდა მარტოობისა და სასოწარკვეთილებისგან ატირებული.

ერთხელ დამწვინდებულს გამოეღვიძა. გრილოდა. სახეზე მთვარე დანათობდა. ირგვლივ ხალხის ხმა ისმოდა. ატახ-ბაბა, ოდა-ყარა და ოთხი უცნობი ხმადაბლა ლაბარაობდნენ. თაკირის იქით, ქვიშრობზე ბალახს ძოვდნენ შეკაშმული ცხენები. მახლობლად ცეცხლი ენთო და ქვაბში წყალი ღუღღა.

ჯუმალი წამოდგა. მისი დანახვა არავის გახარებია. არც გააკვირვებიათ, რომ აქამდე ცოცხალი იყო. ამ ხალხს აღბათ საკუთარი საზრუნავი ჰქონდა და მისთვის არავის სცხელოდა. მაგრამ ოდა-ყარამ პურის ნატები მიანიც მისცა. ჯუმალმა შეამჩნია, რომ ყველას გვერდით თოფი ედო. ჰკითხეს, წითლები ხომ არ გინახავსო, მაგრამ ჯუმალმა არ იცოდა, წითლები ვინ იყვნენ. ატახმა არ დაუჭერა.

— ჰებს შენა წამლაე! — დაუყვირა მან.

— არა, — უთხრა ჯუმალმა.

— ცრუობ, ჯაშუშო, — არ დაუჭერა ატახ-ბაბამ, — უწმინდურო მონავ! მონები ყველანი წითლები ხართ!

— წყალი დამალევინეთ, — სთხოვა ჯუმალმა. — მიანიც ხომ ქვაბიდან გიორთქლდებათ.

— ხვალ დალევ, — უთხრა ატახ-ბაბამ. — ეს წყალი შენთვის მლაშეა.

ცეცხლთან მსხდომებმა ჩაის სმა დაიწყეს და მთელი ქვაბი გამოცალეს. ჯუმალმა მათ ზურგი შეაქცია, სიბრაზემ წყურვილი გადაავიწყა.

გათენებისას ყველამ დაიძინა. მხოლოდ ოდა-ყარა ფიზილობდა, ცხენებსა და იარაღს დარაჯობდა. მერე გაახსენდა, რომ ჯუმალი ცოლად ჰყავდა ნაყიდი, და გვერდით მიუწვა. ჯუმალმა მდუმარედ მიუშვა ახლოს; მაგრამ როცა ოდა-ყარამ ხელები მაგრად მოჰხვია, ჯუმალმა დრო იხელთა, წვერში სწვდა და ხანჯალი ყელში ჩაასო. ოდა-ყარამ დაყვირება ველარ შეძლო, რაღაც ჩაიჩურჩულა და სული დალია.

ჯუმალმა გვამი გვერდზე გადააგორა, თავი გაითავისუფლა და იდაყვებზე წამოიმართა. ხუთივე კაცს ეძინა, მთვარე ჩადიოდა და ალიონი ახლოვდებოდა, ირგვლივ კრიალა სიერცე გადაშლილიყო. ჯუმალმა გადაწყვიტა, თუ დე-

დაჩემი, ამათი მონა ქალი, სადღაც მკვდარი წევს, დაე. ესენიც, თავისუფლები და მდიდრები, უდაბნოში ამოწყდნენო.

იგი ფეხზე წამოდგა და ცხენებისკენ გაემართა. სიფრთხილზე არც უფიქრია, დაბორკილ ველის ცხენებს თოკები ახსნა და ნებაზე მიუშვა. ერთ ცხენს კი აღვირში ხელი მოჰკიდა, უკან გაიყოლა, მძინარეებს შაშხანები აარცხენს, ერთად შეკრა, რომ არ გაჰფანტოდა და უნაგირზე ვარდიგარდმო გადადო. მერე ცხენს მოახტა და უდაბნოში გააჰენა. ალიონმა გაახალისა, ისე გამოცოცხლდა, თითქოს ნამი შეუსევამსო. დიდი ხნის მწყურვალე, ბორკილ-ახსნილი ცხენებიც ფეხდაფეხ მიჰყვნენ, ეგონათ წყლის სასმელად მივდივართო.

ორი-სამი საათის შემდეგ ჯუმალს წინ წითელარმიელთა ცხენოსანი პატრული შემოეყარა. წითელარმიელებმა იარაღი ჩამოართვეს და მოსთხოვეს, რომ ეცნობებინა, სად იყო ატახ-ბაბას ყაჩაღთა ბრბო.

ამ ამბის შემდეგ დიდმა ხანმა გაიარა. ჯუმალი ათ წელიწადს აღარ ყოფილა იმ თავირზე, სადაც ალიზის კოშკი იდგა. ამ ხნის მანძილზე აშხაბადსა და ტაშკენტში ცხოვრობდა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა.

ჯუმალ თავივეამ (იგი გვარს დედის სახელის მიხედვით ატარებდა) აქსტრიელი სამხედრო ტყვე კატიგრობი ყველგან მოიკითხა, მაგრამ კვალს ვერსად მიაგნო. ჯუმალმა იცოდა, რომ სადღაც, უნგუსის ღრმულის მახლობლად იყო უძველეს მცენარეთა პატარა ნაკრძალი, სადაც ცხოვრობდა შაშხანისა და ორი ძაღლის ამარა ერთადერთი კაცი. ალბათ იქვე იყო ალიზის კოშკი და და დიდი თავირი. ჯუმალმა იმ მხარეში წასასვლელად ვერა და ვერ მოიცალა და გამგზავრებას წლიდან წლამდე სდებდა.

ერთი გაზაფხულის მიწურულს თავივეამ დაავალეს, ყარა-ყუმის სიღრმეში საცდელი მებაღეობისთვის ადგილი შეერჩია. ცხადია, მებაღეობისთვის თავირის მიწა უფრო იქნებოდა გამოსადეგი, ვიდრე მინერალებიანი ეოლური ქვიშრობი. ჯუმალ თავივეამ ევროპული კოფთა და ქვედატანი გაიხადა, სპარსული შავი კაბა ჩაიცვა, თხელი, თეთრი შალი მოიხურა და აშხაბადიდან ცხენით მარტოდმარტო წავიდა. თან მიჰქონდა უდაბნოს ათვერსიანი რუკა, რომლის დახმარებითაც დიდი თავირი უნდა მოეძებნა. თავდაპირველად უდაბნოს უძველეს მცენარეთა ნაკრძალისკენ გაემართა. ეს ნაკრძალი როგორც სპეციალისტს და უდაბნოს მკვიდრს აინტერესებდა.

ხუთი დღის მოსაწყენი მგზავრობის შემდეგ ჯუმალმა მოულოდნელად დაინახა მარადიული თავირით გარშემორტყმული კოშკის ლურჯა გუმბათი, ზედ ოქროს გველი რომ იყო გამოსახული. ცხენის ფლოქვები ისე აწყარუნდა თიხის მკვრივ ფილებზე, როგორც გაყინულ მიწაზე; ირგვლივ ისევ ისეთი მოწყენილობა სუფევდა, თითქოს დრო არ გასულა, თავად ჯუმალიც ისევ უსაკო და კუშტია, ქალაქები და მძინარეები არ უნახავს, ქვეყნად ვერაფერს შეიგრძნობს, გარდა ქარისა, მის გამოცარიელებულ გულში სტვენით რომ იჭრებაო.

შუაღლე იდგა, მაისის მზე ანათებდა ჯუმალის ქვიშრობიან, თიხნარაინ, უზარმაზარ და სევდიან სამშობლოს. იგი მიტოვებულ კოშკთან მივიდა, ოდესღაც რომ აეშენებინა ძველთაძველ, დიდი ხნის წინ დაღუპულ ხალხს.

„თაკირი დიდია, — გაიფიქრა ჯუმალმა, — აქვეა ქა, სადაც სასმელი წყალი გამოუღვევლადა. აქ დავსახლდები. აქვე გაეაშენებ ბაღსაც; აქ არის ჩემი ღატაკი სამშობლო.“

ჯუმალი კოშკში შევიდა. ქვედა საბრტული ისევ ცარიელი და მოუვლელი იყო. იატაკის ფილები ვილაყეებს წაებნილწათ. იქვე ეგდო გასრესილი ფალანგა. კუთხეში მოჩანდა ტანსაცმლის ნაფლეთებით დაფარული ადამიანის ჩონჩხი, ძვლები შიგნით რომ ჰქონდა ჩაზნექილი. ეს მკვლელობის, ანდა სიკვდილის შემდეგ მიყენებული შეურაცხყოფის კვალი იყო. ჯუმალი ჩონჩხისკენ დაიხარა. ძვლები დიდი ხანია გამოშვრალიყო. გვერდზე შებრუნებული თავის ქალა კედლისკენ იცქირებოდა, ჩონჩხს რამდენიმე წეწი აკლდა და მკერდი თითქოს უროს დარტყმით ჰქონდა ჩაფშენილი. ჯუმალმა დაძონძილი აესტრიაული ქურთუკის ჯიბე მოძებნა, მაგრამ ნაცნობი ქაღალდები და უბის წიგნაკი ვერსად ნახა. მხოლოდ შესასვლელთან, კედელზე, ქიმიური ფანქრით გერმანულად ეწერა:

„შენ ჩემთან მოხვალ, ჯუმალ, და ერთმანეთს ვნახავთ.“

— მე მოვედი შენთან და ერთმანეთს შევხვდით! — თქვა ჯუმალმა ხმა-მალლა და კოშკის მალალი თალი გუგუნით გაეპასუხა.

კოშკიდან გამოსული კვლავ ცხენზე შეჭდა, თაკირი მოიარა და თვალით მონიშნა ადგილი, სადაც ბაღს გააშენებდნენ. რამდენიმე ვერსი რომ გაიარა, ქვიშრობზე ეკლიანი მავთულის ღობე დაინახა და იქით გაემართა. ღობის გარეთ თხლად ამოსულიყო ბალახი, მოშორებით დარაჯის სახლი იდგა, შემოღობილში კი, ვინ იცის, ვის საფლავზე აღმართული სამი რუსული ჯვარი მოჩანდა. ერთ საფლავზე ჩვეულებრივი ქვა იდო და ზედ ლათინური ასოებით იყო ამოკვეთილი: „მოხუცი ჯუმალი.“

ჯუმალი ცხენიდან ჩამოხტა, ეკლიანი მავთულის წინ დაიჩოქა და სახეზე სპარსული შალი აიფარა. გაახსენდა, ვილაყაზე შესაბრაღისად რომ ამბობდა განსვენებული დედამისი: „რა ეშველება ამ მწუხარებას. ვინც წასულა, უკან აღარასოდეს დაბრუნებულა!“

ჯუმალმა შალი სახიდან მოიცილა და შეათვალიერა რუხი ღერო უძველესი რელიქტური მცენარისა, დედამისის საფლავის ქვასთან რომ ამოსულიყო. მან მცენარე იცნო ნახატისა და სახელის მიხედვით; ბავშვობიდანაც ახსოვდა, მაგრამ აღრე მისი მნიშვნელობა არ იცოდა. მან მიადწია იმ ადგილს, სადაც აპირებდა ჩასვლას, აქ იყო მიწის პირიდან აღგვიღ მცენარეთა ნაყრძალი.



პოთხრობა

თარგმანა მურმან ჯაბაურიან

ავტორის წინათქმა

ინხანად გამოუვალ სიღარიბეში ვცხოვრობდი, მაგრამ ეს ამბავი დიდად არ მაწუხებდა. უსახსრობა საკუთარი ტყავივით მჭონდა მორგებული. ამ სიღარიბისაგან ექსოვდი ჩემს ნოველებს და მოთხრობებს. მათგან გამორჩევით მიყვარს ეს „წითელი პარკი“ — ნამცეცო ჩემი სულისა.

დღე იწურება. დგება უკამი, როცა ყველა თავის ბუდეს უბრუნდება, მაგრამ მე არსათი მიმეჩქარება, — სახლი არა მაქვს. ქუჩის ორსავე მხარეს სახლებია ჩამწყრივებული და უკვე მერამდენედ ვფიქრობ, ამ უამრავ სახლს შორის არ არის სახლი, მე რომ თავი შევაფარო... ტელეგრაფის ბოძთან თოკი დავინახე და რაღაც საოცარი ძალით მომიხდა თავი ჩამომეხრჩო. „გეყოფა წანწალი, ჩემო ძმაო, დროა დაისვენო“, — ასე მეუბნებოდა თითქოსდა თოკი და ყელზე შემომცქეროდა. მოსვენება კარგია, იცოცხლე, მაგრამ ბინა რომ არ მაქვს, სად მოვისვენო? მერე ის ვიფიქრე, რა ოხრად მინდა-მეთქი ეს თოკი. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გამერკვია, რად არ გამაჩნდა სახლი? ბუნებრივია, დღე რომ მიიწურება, ღამე მოდის. ღამით ხალხს სძინავს. რომ დაიძინო, თავშესაფარი უნდა გქონდეს. ბინა ყველას უნდა; ვინ მეტყვის, აბა, მართალი არა ხარო? უეცრად ექვმა გამეკრა, ვაითუ ვცდები და ტყუილსაც ვჩმახავ? სახლა მაქვს-მეთქი, ამას არ ვამბობ, მაგრამ ხომ შეიძლება, უბრალოდ დამვიწყნოდა ის ადგილი, სადაც სახლი მედგა? ყველაფერი შეიძლება. დიახაც, რომ შეიძლება. აი, მე ვითრეც ფეხს აგერ ამ სახლთან, ცხადია, აქ არაფერია მიმნიშნებელი იმისა, რომ ეს სახლი ნამდვილად ჩემია, მაგრამ არც სხვა სახლს რომ არა აქვს ასეთი ნიშანი? ესე იგი, არც უნდა მჭონდეს იმედი ამ სახლის დაჩემებისა, ასე გამოდის.

თითქოსდა უეცრად ბედი მწეოდა, ისე გამეხარდა, — ღია სარკმლიდან

იქტირებოდა საოცრად მიმზიდველი ქალი, იღიმებოდა. რაღაცნაირი მაღლი მომესალმუნა, თითქოს ხვატში ნიავს წამოეჭროლოს და გული შემიტოკდა. მეც ღიმილი მივაგებე ბანოვანს და თავი დავეუქარი.

— ბოლიში მომიტხოვია, ქალბატონო, მაგრამ ეს ხომ ჩემი სახლია?

ქალს ფერი ეცვალა.

— რა ბრძანეთ, ბატონო?

რაღაც უნდა მეთქვა, მაგრამ უეცრად დავიბენი, როგორ აეუბნა ახლა ამ ქალბატონს, რისი თქმაც მინდა.

— თუკი ქალბატონს ჰგონია, რომ ეს სახლი ჩემი არ არის, კეთილი ინებოს და დამარწმუნოს!

— ღმერთო ჩემო, ეს რაები მესმის! — წამოიყვირა შემკრთალმა ქალმა.

— თუკი არავითარი საბუთი არ გაქვთ, სახლი ჩემი ყოფილა და მოვრჩეთ ლაპარაკს.

— ღმერთო ჩემო, მე რომ აქ ვცხოვრობ?

— თქვენ რომ აქ ცხოვრობთ, ეს იმას როდი ნიშნავს, ეგ სახლი მე არ მეკუთვნის.

ქალმა საბოლოოდ დაჰკარგა სიმშვიდე და სარკმელი მიიხურა. ასეა მუდამ. ეშმაკმა იცის, რა იმალება ქალის ღიმილში. ქალის ლოგიკა კი რა სახსენებელია: თუკი ესა თუ ის ნივთი, ან საგანი მას ეკუთვნის, ესე იგი, შენი არაა. რატომ? სწორედ რომ ასე ვიკითხავდი; რატომ? რატომაა ყველაფერი სხვისი და აქედან გამომდინარე არაა ჩემი? ნუთუ ამქვეყნად არაფერი არაა ისეთი, არავისი რომ არ იყოს? ხანდახან, მახსოვს, ისიც კი მეჩვენებოდა, სადმე სამშენებლო უბანში დაგდებული უზარმაზარი მილი ჩემი სახლია-მეთქი. მაგრამ ეს მილი, მინდოდა თუ არა, ან სადღაც უნდა წაეღოთ, ან ვიღაცას უნდა მიეთვისებინა, ან კიდევ უგზო-უქვლოდ გამქრალიყო სადღაც.

მაგრამ აი, ბალში რომ სკამი დგას? დიდებული რამეა მართლაც! აი, ეგ რომ ჩემი სახლი იყოს და არავინ არ გამომაგდებდეს იქიდან... მაგრამ ის სკამიც ყველას ეკუთვნოდა და არავისი საკუთრება არ გახდებოდა. სკამიც რომ ამას მეუბნება:

— ეგვი, შენ, რას დაყუდებულხარ აქ?! ეს სკამი ერთის კი არა, ყველას საკუთრებაა. მოცოცხე აქედან, მოცოცხე, სანამ ციხეში არ ამოგიყვია თავი!

სალამოვდება... მივდივარ... მივდივარ... ყველგან სახლებია: დაბალი, მაღალი... იმ სახლებს შუა ქუჩის ღიობია, უამო, უფერული; გზებია ოკრობოკრო, დიდთოვლობისას — ვიწრო, ქარიან დღეებში — უსიამოდ მოზუზუნე და გლიგველი; მივდივარ... მივდივარ... თავის ჩამოხრჩობის ნებაც კი არა მაქვს, სანამ არ მივაკლევ, სანამ არ მივაგნებ, სანამ არ გავიგებ, რატომ არა მაქვს სახლი.

ეს კიდევ რა ოხერი და ჭანდაბაა? რა მომებლანდა ფეხზე? თოკი ხომ არაა, ნეტა? თოკი არ ყოფილა, — სრიალა აბრეშუმის ძაფია. ძაფის წვერს დაეწედი და ოდნავ მოექაჩე. ძაფი გაიწელა, გაიწელა; ისევ და ისევ ვეწევი ძაფს. ცნობისწაღილმა ამიტანა. ვექაჩები აბრეშუმის ძაფს და ვხედავ, საოცა-

რი რამ ხდება მართლაც. სხეული ჩემი თანდათან დაქანდა, თანდათან გადა-  
იხარა, წონასწორობას ვერ ვიცავ უკვე, თავს ვერ ვიმაგრებ; ნეტა რა ხდება?  
დედამიწის ღერძი ხომ არ შეინძრა? მიზიდულობის წერტილი ხომ არ შექან-  
და? მერე უცებ ფეხსაცმელი წამძვრა და ყველაფერი ნათელი გახდა: დედა-  
მიწის ღერძი კი არ შექანებულა, ცალი ფეხი დამპატარავებია უბრალოდ, რაც  
უფრო ვექანებოდი აბრეშუმის ძაფს, მით უფრო მიმოკლდებოდა ფეხი, უფ-  
რო და უფრო ილეოდა. ახლა რომ ხელში ძაფის გორგალი მიჭირავს, ჩემივე  
ფეხია და სხვა არაფერი.

მეტად არ შემეძლო ნაბიჯი გადამედგა, დაბნეული ვიდექი ერთ ალაგას.  
ძაფი კი მეხვეოდა და მეხვეოდა. ნელა მიცოცავდა მაღლა და მაღლა, ჭერ  
ხომ მარცხენა ფეხზე დამეხვია, მერე — მარჯვენაზე; თანდათან იფარებოდა  
ტანი ჩემი, იწელებოდა ძაფი, მეხვეოდა ტანზე და როცა აღარაფერი დარჩა,  
თავისითვე გამოინასკვა შიგნიდან და.. მე გავექრო.

დარჩა მხოლოდ დიდი, წითელი პარკი.

ახლა კი შემიძლია მშვიდად დავიძინო.

მეწამული, ჩამავალი მზე აშუქებს პარკს, ვინც რა უნდა თქვას, ეს ჩემი  
სახლია. აქედან მე უკვე ვერავინ გამაგდებს. ეს ცხადზე ცხადია. ერთია მხო-  
ლოდ, ბოლოს და ბოლოს სახლი გაჩნდა, მაგრამ თვითონ აღარ ვიყავი, რომ  
მეცხოვრა იქ... პარკში დრო გაიყინა. ქუჩაში უკვე ღამე იდგა, მაგრამ პარკში  
ჯერაც საღამო იყო და მწუხრის სინათლით განათებული მეწამულისფრად ისე  
აშუქებდა, არ შეიძლებოდა გამელელის ყურადღება არ მიექცია. მანაც სწო-  
რედ რკინიგზის შლაგბაუმის ახლოს, ლიანდაგებს შორის დამინახა, პირველად  
თითქოს გულიც მოუვიდა, მაგრამ მაშინვე გაიფიქრა, იშვიათი რამ ვიპოვეო  
და პარკი ჯიბეში ჩაიღო. კარგა ხნის მერე შინ მოფუსფუსეს გაახსენდა, რა-  
ღაც ვიპოვეო, აიღო და ის პარკი თავის პატარა ბიჭს აჩუქა.





ინგლისურიდან თარგმნა ბიორბი ნიშენიანიძე

### ჰ. სტილი

#### ლუდი

მე გასაძღომად ქათმის ფრთაც მყოფნის,  
არ ვწუნობ ბატის ფრთებსაც,  
ლუდს კი თაყვანს ვცემ, ოღონდ ტაბლაზე  
კაცური კაცი მესვას.  
ყინვაში თავად უქურქოდ დავად,  
ქარმა წამართვა ქუდიც,  
გავსებული მაქვს კუჭი, გული და  
სულიც კრიალა ლუდით.

მტებსდეს სნეული მთელი სხეული  
და თვითეული კუნთი,  
ოღონდ, სტომაქო, შენ არ მოგაკლო  
ოქროცურვილი ლუდი!

თევზს კი ვაფასებ, ოღონ ტაბლაზე  
მედგას კათხა თუ ბოთლი,  
ხმაში ყუათი პურის ყუათიც,  
გიყვარდეს, კარგად მოდის,  
ვერ შემაწუსებს ყინვის მარწუსი  
და ქარბორბალს კუდი,  
თუკი მესმევა, თუკი მევსება  
სხეული ტკბილი ლუდით.

ქარს დარღვეული ჩემი სხეული  
გაჰქონდეს როგორც ბურთი,  
ოღონდ, სტომაქო, შენ არ მოგაკლონ  
სურნელოვანი ლუდი!

ჩემს მეუღლესაც უყვარს უღრმესად  
 კათხა პირთამდე სავსე  
 და მანამ ყლურწაფს, ვიდრემდის კურცხალს  
 არ გადმომაყრის თავზე,  
 ჩემს წინ კი კათხას მერეღა დადგამს,  
 სუნი ლოთივით უდის —  
 ცის სახელითო გეახელითო  
 ღვთითკურთხეული ლუდი.

ბნელში ეული ეგდოს სხეული,  
 ვით საპყარი თუ კუტი,  
 ოღონდ, სტომაქო, შენ არ მოგაკლონ  
 ცივი, კამკამა ლუდი!

ყველამ ხვას ლუდი — ჩაფი და ფუთი,  
 ლხინისთვის მუდამ დროა,  
 ან როგორ მოწყდეს იმ სიტკბოს შოძმე,  
 რაც ლუდს კაცთათვის მოაქვს?!  
 სიხმრად თუ ცხადად, ღარიბს თუ დატაკს —  
 ყველა ლუდის მსმელს ერთად,  
 და ჩვენც, ქმრებს, ცოტა და ჩვენთა ცოლთაც —  
 ყველას მაღლი გვეოს ღმერთმა!

მტეხდეს ძლეული მთელი სხეული  
 და თვითეული კუნთი, —  
 ღმერთმა, სტომაქო, შენ ნუ მოგაკლოს  
 ცივი, ქაფქაფა ლუდი!



### რ. პ. ბარკვიძე

#### მე რო ვიჯექ და ვფიქრობდი

მე რო ვიჯექ და ვფიქრობდი,  
 ვფიქრობდი,  
 ვფიქრობდი,  
 ტკბილად დაიწყო გალობა სესე ფრინველმა ლაღმა,

სახითა პირმცინართა  
ჩამოიარა რაინდმა,  
მთა გადმოუვლო ცხრაი და  
ახლა მეთუ აღმართს,  
მე რო ვფიქრობდი, აუყვა სიმღერ-სიმღერით შაღლა.

მე რო ვიჯექ და ვფიქრობდი  
ვფიქრობდი,  
ვფიქრობდი,  
აჲად ატეხა ვიფიფი ლაღმა ფრინველმა მაშინ,  
წითლად დვიოდა ტრამალი,  
რაინდის გვამზე მტარვალი  
შემდგარიყო და ფრთამალი  
მისი ქურანა რაში,  
მე რო ვფიქრობდი, სამარის მტვერს მიარღვევდა  
ქარში...



### უილიამ ბლუიკი

\* \* \*

შენ ჭკნები, ვარდო, —  
შენი დღეც დაღვა  
და ველარ დაგთმობს  
სიკვდილი, რადგან

შეგიყვარა და  
შეგრაცხა სატრფოდ  
ბნელით მოსულმა  
უგვანმა მატლმა.



### ლელი ა. ლინდსეი

#### მოსუცი როზინ ბრაი

როცა ცხვრები ბაკში წვანან  
და სახლის კარს ადევს კლიტე,  
სახლში ყველას სძინავს, სოლო  
ზოგი სიზმარს ხედავს კიდეც.

გულზე ერთად მომეშვება  
წუსილი და დარდი, ვიდრე  
ჩემი ჯემი ჩემთან წევს და  
თავი იმის მკლავზე მიდევს.

მე ვუნდოდი ცოლად ვემის,  
 წყავდა ტრფობა მხოლოდ ჩემი,  
 მაგრამ ერთი კრონის გარდა  
 არაფერი ჰქონდა ვემის,  
 კრონი ფუნტად რომ ექცია,  
 ვემს იმიტომ ვაძყვა მხოლოდ, —  
 ჩემთვის უნდა მოერთმია  
 კრონიცა და ფუნტიც ბოლოს.

თქვენს მტერსა და ჩემს მტერს,  
 რაიც  
 მერე ვემის წახვლას მოჰყვა:  
 მამამ მკლავი მოიტეხა,  
 მიწამ პირი უყო პროხას,  
 დასწეულდა დედა დარდით,  
 ობლად მედა დაერჩი სახლში  
 და მოსუცი რობინ გრეიც  
 შემოქმინდა სწორედ მაშინ.

ვერ შეიძლო მამამ გარჯა,  
 დედას ჯარა განზე დარჩა,  
 მე ვწვალობდი, მაგრამ ერთი  
 ქალის შრომა მაინც არ ჩანს,  
 დატრიალდა რობინ გრეი,  
 სახლს ასადა ლამის ჭერი —  
 შენთვის ვიკლავ თავს და მხოლოდ  
 შენ მწამხარო, ჩემო ვენი.

ვერ გავცვლიდი მფირფხს ვემის,  
 შუბლი ცივად შევიკარი,  
 მაგრამ გემი ზღვამ ჩაყლაპა —  
 მამინ ატყდა შლეგი ქარი,  
 ცოცხალს რაღა დაარჩენდა,  
 ზღვა თუ გემზე მოდგა მწყერალი,  
 არც მე გაეჩნდა ტარილისთვის,  
 ვაი ჩემი ცოდვის ბრალი!

მოუსშირა მამამ ყვირილს,  
 დაიღუმა დედამ პირი,  
 თან თვალეზში მიყურებენ  
 წამიღუნუნ — ხომ არ ტირის...  
 ჩემი ხელი გრეის ერგო,  
 გული ჩემი დარჩა ზღვაში  
 და მოსუცი რობინ გრეი  
 ჩემი ქმარი გახდა მაშინ.

ასე ალბათ ორი კვირის  
 ვიქნებოდი პატარძალი,  
 ჩემთვის კართან მივჯექე —  
 გულში  
 გადავასხი დადარს წყალი,  
 რომ მომადგა ვემის სული,  
 მაგრამ ვერ ვიცანი, ხანამ  
 არ მახარა: „აჰა, ფული,  
 დავიწეროთ ჯვარი ჩქარა!“

ჩავეხვიეთ ერთუროს ვნებით,  
 გავიკრიფეთ ენად ორთავ,  
 წადი-მეთქი, ბოლოს ხელი  
 ვკარი, ანდა რა გზა მქონდა?  
 მსურდა მიწა გამსკდომოდა,  
 გავაყოლე შორით თვალი,  
 მაგრამ არაფერი მკლავდა, —  
 ვაი ჩემი ცოდვის ბრალი!

ოჯახს ქალის ხელი უნდა,  
 მე კი მომკლა სულის სუთვამ,  
 ვერც ვემიზე ვფიქრობ, რადგან  
 ასეთი რამ ცოდვად უთქვამთ,  
 ვცდილობ კარგი ცოლი ვიყო,  
 შექარივით დატკბა ჩემთან  
 ეს მოსუცი რობინ გრეიც,  
 ოღონდ ჯანი მიხცეს ღმერთმა!

□

რობერტ ბერნსი

მწვანედ ღივიან ლერწმები, სულო

მწვანედ ღივიან ლერწმები, სულო,  
მწვანედ ხახხახებს ეწერი, სულო,  
მხოლოდ ქაღებში თუ გიპოვია,  
რახაც ოდესმე ეძებდი, სულო.

ძალას ნიადაგ რუდუნში ვსარჯავთ  
ხან ოხვრით, ხანაც ხალისით, სულო,  
მაგრამ რა აზრი ექნება გარჯას,  
თუ არ ირჯები ქალისთვის, სულო?

ყმა თუ თავადი ოქროს დანატრის,  
ოქროს მისტირის აკენიდან, სულო,  
მაგრამ იმ ოქროს ვინც მიაკვლია,  
გულს მაინც რაღაც აკლია, სულო.

მე კი ოღონდაც იმ ჩემს გოგოსთან  
ახლოს მამყოფე ხანდახან, სულო  
და მთელი ქვეყნის ყველა ოქროც და  
თვალმარგალიტიც ჯანდაბას, სულო.

ვიცი, რეგვენი ბევრი მთელის გიჟად —  
ვირს თავი ვინ გაუყადრა, სულო,  
კაცი ის არის, ქვეყნად რომ იშვა  
და ქალი უკვე უყვარდა, სულო.

ქალი კაცს ქვეყნად, ვით ბრძანა დქერთმა,  
აღემატება ახწილად, სულო,  
გამოუცდელმა ჯერ კაცი შექმნა  
და ქალი უკვე გაწვრთნილმა, სულო.

მწვანედ ღივიან ლერწმები, სულო,  
მწვანედ ხახხახებს ეწერი, სულო,  
მხოლოდ ქაღებში თუ გიპოვია,  
რახაც ოდესმე ეძებდი, სულო!



ნენი ნენი თუ

უკვე დაკარგეს ფერი სერებმა,  
 ლუგარი\* ბინდში დაინთქა, თუ,  
 მზე სადაცაა ჩაესვენება  
 და მეც ნენისკენ ჰაიდა, თუ.

შავად შეიკრა ჯანდი ცისკართან,  
 ყინულის ტახტი დაიდგა, თუ,  
 მაგრამ მე შალის პლედს მოვისხამ და  
 ძუნძულ-ძუნძულით ჰაიდა, თუ.

ნენი სულ ნორჩი გოგოა, მაგრამ  
 ვერ გააცურებ ადვილად, თუ,  
 ანდა რა ვუთხრა მე ისეთ ლაქლაქს,  
 ნენის თუ ცრემლი ადინა, თუ.

ნენის გული აქვს სუფთა ისეთი,  
 როგორც მწყაზარი ხასე აქვს, თუ,  
 ეგეთი წმინდა მე თოვლისფერი  
 გვირილაც არ მინახია, თუ.

ვერაფერს ვიტყვი ხეფექალებზე —  
 გლეხად დამბადა უფალმა, თუ,  
 ანდა სხვა ქალებს მე რას დავემბ,  
 როცა ჩემს ნენის ვუყვარვარ, თუ.

პენსს გამოვდივარ დღეში ათამდე,  
 ფუნტს ვერასოდეს ვეღირსე, თუ,  
 მაგრამ ფულები მე არ მაძარდებს,  
 დღედაღამ ვფიქრობ ნენისე, თუ.

ჩემი ბატონის მიწა დიდია,  
 ცხვარი და ძროხაც ბევრია, თუ,  
 მე კი სულ იმის გუთანს ვკვიდვარ  
 და ჩემს ნენისე ვმღერავარ, თუ.

ცაო, შენ მიდი დამხეტყვე, ხანამ  
 არ მოგბეზრდება, იქამდე, თუ,  
 მე ხიყვარულის შემომჩრჩებს ძალა  
 და სულ ის გოგო მიყვარდეს, თუ!

□

\* ლუგარი — მდინარე შოტლანდიაში.

## კაროლინა ლედი ნეირსი

### იმ, სიხარულის ქვეყნად

მე მზის ქვეყნისკენ მივდივარ, ჯონ,  
 მზე მომეახლა ბინდიდან, ჯონ,  
 თოვლმა წყალივით იდინა  
 და ნაბირს მიჰყვა ნელა.  
 იქ არასოდეს დარდობენ, ჯონ,  
 იქ სულ იღბენენ მარტოდენ, ჯონ,  
 იქ მომხიბვლელ და მათრობელ  
 მზეს შეჰფოფინებს ყველა.

ო, როგორ ვერ შეველიეთ, ჯონ,  
 ჩვენს გოგოს, როცა ფერიებს, ჯონ,  
 თან გაჰყვა ასე მშვენიერ  
 და ასე წარმტაც ქვეყნად?  
 მაგრამ ვერ ავნოს წუხილმა, ჯონ,  
 გულს, დახსნილს ქვეყნის უღლიდან, ჯონ,  
 თუ ბოლოს კვლავ გაუღიმა  
 მზემ სიხარულის ქვეყნად.

ის დიმი ისე დიდა, ჯონ,  
 სიცოცხლის ფახად ჰყიდიან, ჯონ,  
 მაინც ხალისით მიდიან  
 იქ, სიხარულის ქვეყნად.  
 შეიძრე ცრემლი თვალებზე, ჯონ,  
 სულზე ბორკილნი დამეხსნენ, ჯონ,  
 და უკვე მომეალერსნენ  
 მდგმურნი სიძარტლის ქვეყნად.

შენც დაილაღე ცხოვრებით, ჯონ,  
 და დიდხანს ნუ დაყოვნებდი, ჯონ,  
 ცოტაც და ჩვენც შემოგხვდებით  
 იქ, სიხარულის ქვეყნად.  
 მშვიდობით იმ სამყარომდე, ჯონ,  
 იქ არ იწყენენ აროდეს, ჯონ,  
 და სულ უკვართ და ჰყვართბენ  
 იქ, სიყვარულის ქვეყნად.





## უილიამ შორდსუორთი

რა მშვენიერი საღამოა, წყნარი და ლაღი,  
 დრო გასუსულა მონაზონი ქალივით, როცა  
 სულგანაბული იგი მარტო აღაგლენს ლოცვას;  
 ვეებერთელა მზე ეშვება დუმილად დაღვრილ  
 ბურში და ზღვაზე ცის მდუმარე ტივტივებს თაღი.  
 ჩუ! ახლა დვიძავს უზენაესს — თვითეულ ბგერას  
 მისი ძრახობა მესთა ტეხის გრიალად კვერავს  
 და მე დუმილად მეჩვენება მშვენებით დაღლილს.  
 ჩემო გოგონავ, ჩემო შვილო, გვერდით რომ მომდევ  
 და ოდნავადაც ვერ განიცდი ამ აზრის ბრწყინვას,  
 შენდამი მაინც არ ყოფილა განგება ძუნწი:  
 შენ ბინა ისევ აბრაჰამის მკერდში გაქვს ოდენ,  
 მსხვერპლს ტაძრის შიდა აკლდამების დუმილში სწირავ  
 და ღმერთი ჰკვივს შენთან, როცა ჩვენ არც კი ვუწყით.

□

### თავალი შინაგანი

საოცარია მარტომ, შენთვის, თვალმინაბულმა  
 იარო წყნარად მინდორ-მინდორ თუ ყორე-ყორე  
 და არ შეაგლო თვალი განზრახ არ თუ სამყურას,  
 აღარც ზღაპრულად აჭრელეებულ მინდორს და გორებს,  
 თუ დაგაამებს ზმანებათა ჭვირი მიმქრალი,  
 ფიქრის ხატების ქარავანი ნელინელ შორეთს  
 პლანტე ნისლივით მიშავალი უხმოდ და მდორედ  
 და ოცნებათა ვარდისფერი, ჩუმი გრიგალი —  
 იმ დღესვე უნდა გააუქმო გრძნეულ მუხასთან  
 ხაკომერციო კონტრაქტები, ძველად რომ დადე,  
 რა დღესაც, ძმაო, სულ ეულად და მიუხაფრად  
 დაგტოვებს ნიჭი სიყვარულის და ზღვიდან ზღვამდე  
 ნასროლი ბადე გრძნობებისა — შენს ლექსს უზადო  
 და წმინდა თვალი შინაგანი დაღვრის ნათელს.

□

## სამუელ ტეილორ კოლრიჯი

### მიწაწერი წყაროზე მიხედვით

ვეება ვერხვი ფუტკართაგან ბგერად ქცეული —  
 ახეთს ეტრფოდნენ ფანჩატურებს პატრიარქები!  
 ხანდაზმულ რტოებს უამრავი ხელისგულებით  
 ხვატისგან თითქმის დაუმალავთ მრგვალი აუზი, —  
 წყალს ჩამოცვენნილ ფოთოლთაგან იფარავს ლოდი;  
 დაუსრულებლივ ძალუმს წყაროს მშვიდი, ვითარცა  
 სიზმრად გაპარულ ჩვილის სუნთქვა უსუბუქესი,  
 მხართვას წყალი მოგზაურებს და პილიგრიმებს  
 ხილული აულისით და რიტმებით! დაუსრულებლივ  
 მის ფსკერზე უხმოდ ბოლავს წმინდა და სიფრიფანა  
 კონა ქვიშისა, თითქოს ცეკვავს დღესასწაულზე  
 ფერხის პაჟი — მუდამ ცელქი და მხიარული.  
 და არ ირხევა ზედაპირი გლუვი და მშვიდი;  
 თვითონ დაისი და სიგრილე მსუბუქ ხავესებში  
 და ხშირ ჩრდილებში ისვენებენ. არსად გენასოთ  
 ამ ადგილებში ასეთი ხე. დადლილო მგზავრო!  
 ინებე მისი ცივი წყალი და განისვენე,  
 სოლო უკეთუ უზადო და წმინდა გაქვს გული,  
 დე, სულიც შენი დაიამე, რა შორიასლო  
 მოისმენ ნიავს, უცხო ბგერებს, ფუტკრების ფუსფუსს...

□

### ჰორჯ ბაირონი

ანესლის მთაო, ცივო და ბერწო,  
 ჩემი ბავშვობა შენ გეზარება,  
 ო, მთაო, მთაო, შენს ლამაზ მკერდზე  
 რა ხუსხიანი ქრიან ქარები!

მე ვეღარ გნახავ და ნუღარ მელი,  
 ნაცნობ ადგილებს ვერ ვეხაუბრო,  
 აწ შენს თავს, მთაო, დიძალი მერის  
 ვერ მომაჩვენებს ცათა საუფლოდ.

□

## პერსი ბიში შელი

ვერც ფუფუნება, ვერც მშვიდობა, ვერცა სახელი,  
ვერც ხელოვნება, ვედარც ძალა და გალაღება  
ვედარ მოთრგუნავს ჯოგს ვერარა დიდი სახრეთი,  
თუ ტირანიათ გათელა და მტვერს მიახვეტა  
და შავად მოსჩანს ისტორიის გადასახედი,  
თითქოს-და ჩრდილი მიჰყვებოდეთ უკან სახედართ,  
ხელოვნება კი ამ სახედრებს ცემით დახეთქილ  
სახეზე ლაქებს ჩამორეცხავს ხოლმე ნახევრად.

ჩვენ ნაშენები რით ვართ — ძალით თუ ადათებით?  
და რაკი კაცი არის კაცი, მან უნდა მორჩილ  
სურვილზე ტახტი დაიდგას და დაბრძანდეს მორჭმით,  
ალაგმოს სასო — სასწაული შქმნას საარაკო,  
ვით მარტოხულმა, დაიშენოს თავზე ნათელი,  
თავისი თავის იმპერია თავად განავოს!



მიწისკენ ასე რომ მიიღტვით, რას მოიძიებთ  
შიგ, აგზნებულთ ფიქრებთ და ბასრთ აზრებთ,  
უქნარა ტვინმა რომ დაგზადათ ვინაც ბიწიერ  
ლივრეად ტანზე მიიტმასნა მთელი სამშეო;  
ო, გულო ჩემო, ჩქარო, წამით რომ არ იძინებ  
და ტყუილიც რომ გყოფნის ხოლმე აქ საარსებოდ?!  
და შენ, ამაოდ მცდელი სულო, ქვეყნის კიდითგან  
სულ რომ ჰკითხულობ სიდან მოხველ და სით შიდიხარ,  
შენ ერთმა უნდა უცნობადის ზღვა გადახერო!

საით მიიღტვით, რა ქარაფზე დაგვიკიდიათ  
მწვანე ბილიკი სიცოცხლისა? ან სადაური  
ხსნაა სიკვდილი შვებისა და ურვა-დარდისგან?  
გულო და აზრო, ცხოვრების წილ რა საზღაური  
უნდა მოგაგონ, რა სკნელეები უნდა გადისხნან?



მერი უნძონს

უკვე მეოცე ილევა წელი,  
რაც გათენებას ამოღ ველით  
და არ თავდება წკვარამი გრძელი,  
ჩემო მერი!

უყურებ შენივ სხეულის რღვევას  
და აღარც ძალა არ მოგდევს ძლევად —  
უბედურების მიზეზი მე ვარ,  
ჩემო მერი!

სიფიცზე შენი ნემსის და ჩხართის  
აწ ველარ მათობს და რაც დრო გადის  
მტვრით იბინდება ბრკიალი ძათი,  
ჩემო მერი!

სულით და გულით ცეცხლფხპირ ახლაც  
მიუჯდებოდი ჩემს წინდებს, მაგრამ  
ვაი, რომ თვალში მზის სხივი ჩაქრა,  
ჩემო მერი!

მაგრამ ხელსაქმეს კვლავ ყინჩად უშხერ,  
სულ ცდაში ხარ და მტერს თვალებს უხებ  
და ძაფებს აგერ მე მახვევ გულზე,  
ჩემო მერი!

მე კი შენს გვერდით დღეს, როგორც წესი,  
ვით ერთ დროს შენი ჩხართის თუ ნემსის,  
მაგ დუმილის და რინდისაც შესმის,  
ჩემო მერი!

შენი თმის ვერცხლი, თუ ეამთა მტვერი  
მე უფრო მომწონს დღეს, ვიდრე ძველი  
იმ მწიფე ქერის თუ სორბლის ფერი,  
ჩემო მერი!

თუ არა მაგ თმებს, თოვლივით წმინდას,  
სხვას რას ვუცქირო, რა შეეკვად მინდა  
მზის ჩამომლილი ნაწნავი ციდან,  
ჩემო მერი!

სულ გადნა შენი სიცოცხლის მხოველი  
თითები შენი სუსტი და თხელი,  
მაინც მომჭიდე კვლავ სულზე ხელი,  
ჩემო მერი!

გახუნდა შენი ქალური ჯიში,  
ხელით გაჰყავხართ მზეში თუ ჩრდილში  
და ჩემს ხიყვარულს მაინც არ იძლი,  
ჩემო მერი!

და ესლა, როცა მზეც არ გვარგია,  
როცა სამარე მოჩანს კარ-ღია,  
სულის სიკარგე ისევ კარგია,  
ჩემო მერი!

მაგრამ ეჰ, მე რომ ცხოვრება ვიცი,  
ჩემი ტკივილი და დღენი სიმწრის  
მაგ ღიმილს ოდენ ქვეთინად გიცვლის,  
ჩემო მერი!

და დაჰკრავს ჩემი წარსულის ფერი  
მომავალ დღეებს, აჷ მე რომ შელის  
და შენი გულიც შედგება, მერი,  
ჩემო მერი!

□

## ალფრედ ტენისონი

მე უსაშველო ტანჯვის გამხელას  
ზოგჯერ, ვით ცოდვას, ვუფრთხი თვითონვე,  
ბუნებასავეით სიტყვაც ნახევარს  
თიობს და ნახევარს შიგნით ატოვებს.  
მაგრამ ლამაზი სიტყვა ადვილად  
ტანჯულს როგორღაც გულს მოუფონებს,  
ის თრიაქია, სულის სატკივარს  
მცირედი ხნით რომ ასშობს უფრორე.

□

## თოგას ღიბღინი

### სიყვარული და სახელი

შენრი პიტალო კლდე იყო კაფის,  
ჯენი — სურნელი ფერად ბაღების,  
ქალს სიყვარული სწყუროდა ვაჟის,  
ვაჟს — მეომრის და გმირის სახელი.

და, აჰა, მტერმა შემართა დაშნა,  
არ იყო უკან გზა დასახევი  
და სიყვარულის სიამე ვაჟმა  
დასთმო — იწვევდა ომში სახელი.

მტერს მიაშურა ჭაბუკმა უმაღ,  
ვეღარ დასძლია ქალმა ნადველი  
და ომში გაჰყვა გულისსწორს ჩუმაღ,  
ის ტრფობით მოკვდა, ვაჟი — სახელით.



## გათიუ არნოლდი

### მღუპარე სულო მყოვარ საგანთა

ო, დღემდე წარყენას რომ გადაურჩი,  
მღუპარე სულო მყოვარ საგანთა,  
ღირსმყოფ ქალაქის აურზაურშიც  
ყური მოგაპვრო, თვალნი დაგადგა.  
ცოტადა მრჩება მეც ყვირილაძდე, —  
გეყოს თმენა და ძალა ეგოდენ,  
რომ დამამშვიდო, ან მიმიმატე,  
ვიდრე აღმართებს შევეუდგებოდე.



## ალექსანდრე სპინბერნი

### ლანდი, დუმილი და ზღვა

ბინდის ქვეყანაში და სუფევად მილის  
 ცა იყო უძირთ და ზღვა იყო რბილი.  
 ირწეოდა ზვირთი სილუეტის აფრით  
 და დუმილი თხზავდა უსმით ჰანგებს ზღაპრის.  
 ჩვენს მაღლა, მარადიულ ღამეში, ცამდის,  
 ისე ვით კელაპტარი იწვოდა ლანდი.  
 ჩვენს ირგვლივ, ხანმოკლე ჩრდილები ჩეროდან,  
 ისე ვით სიმღერა, დუმილი მდებოდა.  
 მთები და ვარსკვლავნი, კაცთათვის ფარულად,  
 ბინდს მიშტერებოდნენ უცხო ხიხარულით.  
 ძალას უხილავის, ძალას დგთაებრივის  
 ამოჰქონდა ზღვების სუნთქვა ვით ზეფირი  
 და სმენით შეუცნობელ ბგერების უფალს  
 ცხოვრება მიემადლა ზღვებისთვის უხვად,  
 დაუღვარა ჩვენს ირგვლივ, სიგრძივ და გასწვრივ  
 რბილი წყვდიადივით და შუქივით ბასრი.

□

## სამხელ როჟერსი

მე რომ იმ მთაზე სახლი მქონე ჯა,  
 დამიამებდა თვალსა და სმენ-ს  
 წყაროს ლიკლიკი, ფუტკრის ქორითა  
 თბილი გუგუნე და ფოთოლთ ცვენა.  
 გამადვიებდა, მჩატე ფიქრით,  
 მერცხლის ჭიკჭიკი ჭვია და სუფთა  
 და ვიდაც მგზავრი თუ პილიგრაში  
 დამიმშვენებდა კვირადღით სუფრას.



ბაღს მოძირთავდა ჩიითი სამყურის,  
 ფანჯრებს და პორტალს — ვარდები წმინდა  
 და ღუსი, თავზე სიღბანდწაკრული,  
 ილიდინებდა მიმწუხრზე დგიძთან.  
 იმედს მომცემდა რგული ედემად  
 სოფლის ბოლოში საყდარი ლეგა  
 და ცისკენ ბევრჯერ გამახედებდა  
 მისი წკრიალა ხარების რეკვა.

□

## ღეოგოზო

### თავისუფალი დრო

იმდენი დრო მიაქვს არსობის ღუკმას,  
 წამითაც ვერ რჩები შენს თავთან უქმად.

სად არის იმის დრო — ხეების ოხერას  
 იმდენ ხანს უხმინო, რამდენსაც ძროხა.

ან ტყეში შეხვიდე და ციყვებს უყურო,  
 თუ როგორ ავსებენ კაკლებით ფულუროს.

ანდა სვა თვალეები სათნო და უძირო,  
 ქუჩაში კანჭების სითეთრეს უცქირო,

უცქირო, ბაგეზე თუ როგორ მთავრდება  
 ღიმილი, რომელიც წარმოშვეს თვალეებმა,

იმ ღუკმას იმდენი ხჭირდება კადეც —  
 სად არის იმის დრო უბრალოდ იდგე.

□



მხატვარი ბ. შატაშვილი



# ქვეილო ხოსე სელა

## კასკუალ ღუარტეს ოჯახი

რედაქცია

თარგმანი ლამარაბა თურეზაგოძისა

თანამედროვე ესპანეთის ერთ-ერთი უველაზე პოპულარული მწერალი, ლინგვისტი და ისტორიკოსი, აკადემიკოსი კამილო ხოსე სელა დაიბადა 1916 წლის 11 მაისს ბიდრთნში, ლა-კორუნიას პროვინციაში. 1942 წ. გამოაქვეყნა რომანი „პასკუალ ღუარტეს ოჯახი“, რომელმაც ომის შემდგომ ესპანურ ლიტერატურაში პირველმა დაარღვია მშობლიურ სიჩუმი და ესპანეთში დაუდგო ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობას — ტრევენილიზმს. 1943 წ. გამოაქვეყნა პირველი ე. წ. ობიექტივისტური რომანი „სკია“. ამ რომანებში პირველად იხინა თავი ფრანკისტული ესპანეთის კრიტიკამ.

1967 წ. დეკემბერში ესპანეთის ლიტერატურულმა საზოგადოებამ ზემოთ აღნიშნა „პასკუალ ღუარტეს ოჯახის“ გამოქვეყნების 25 წლის-ათეი. ერთი წიგნის დუბილე არც ისე ხშირი მოვლენაა და ამით დაღასტრდება ის დიდი აღიარება, რაც ამ ნაწარმოებმა მოიპოვა მკითხველთა შორის.

ამ გამოცემას ვუძღვნი ჩემს მტრებს, ასე რომ დამიხმარონ კარიერის შემწეაში

გამანაწილის უბინოება

**რ**ეგვი აზრით, სწორედ რომ შესაფერისი დროა, პასკუალ ღუარტეს მოგონებებში გამოვეყ. უფრო ადრე ეს ნაშრომად ზედმეტ აჩქარებად ჩამოვდებოდა. არ მინდოდა დამეჩქარებინა საბეჭდად მისი მომზადება, რადგან ყოველი საქმე, ზედნაწერში ორ-თოვრადიანი შეცდომების გასწორებაც კი, დროს მოითხოვს; ეგვეც არ იყოს, აჩქარებითა სოფელში არავის მოუჭამია, მაგრამ დავგვიანებით გამოცემაც ჩემგან ყოველმხრივ გაუმართლებელი იქნებოდა; რაკი შრომა დამთავრებულია, უნდა გამოქვეყნდეს კიდევც.

1939 წლის შუახანებში აღმედრადლებოს ერთ-ერთ აფთიაქში, ღმერთმა უწევს ვისი უჩინარი ხელით დატოვებული ეს ჩანაწერები ეძიოვე. მას შემდეგ, დროს მოვიხელთებდი თუ არა, გამუდმებით გარჩევიდი და ვაწესრიგებდი ამ ჩანაწერებს, რადგან ნაწილობრივ ცუდი ნაწერის გამო, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ნაპოვნი ფურცლებების ნაგლეჯები დანომრბილი არ იყო და არც თუ სასურველი თანმიმდევრობით ეწყო, ზედნაწერი ძლიერძლივით იკითხებოდა.

დასაწყისშივე მიინდა გასაგებად განვაცხადო: იმ ნაწარმოებებს შევმნაში, ახლა ცნობისმოგვარე მკითხველს რომ ეთავაზობ, მე მხოლოდ ვადაწერის რაღა შევასრულე. ჩემი მხრივ არაფერი ჩა-



მისწორებია და არც ერთი ასო არ ჩამომატებია, რადგან მსურდა თხრობის სტილიც კი შექმნილიყო. იქ, ხალა, მეტისმეტად უხეში ამბები მხვდებოდა, მაკრატელი მოვიმარჯვე და კირურგიული ოპერაცია ჩავატარე. მართალია, მეითბველი ვეღარ გაეცნობა ზოგიერთ წერილმანს (თუმცა ამით მას დიდად არაფერი დააკლებდა), მაგრამ სამაგიეროდ ამ ოპერაციას ის უპირატესობა აქვს, რომ მკითხველს თავიდან აამორებს არასასურველ ინტიმურ აღსარებათა მოსმენას, რის შუამავიზებდასაც, ვიმეორებ, ამოჭრა ვამჯობინე.

ასლა სიტყვა მივეცო პასუხად ჟურატეს — იგი ხომ ბევრი საინტერესო ამბის მოყოლას გვირბედა.

ხელნაწარის თანხმელები წაიკლი

სანიორ ღონ ხოაინე ბარბრა ლოპისს

მ ი რ ი ლ ა

ღრმად პატივცემული სენიორ,

მაპატივთ, რომ ისედაც საკმაოდ ვრცელ წერილთან ერთად ჩემს მოთხობობასაც გიგზავნით, მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ სესუს გონსაღეს დე ლა რივას მეგობართაგან (ღმერთი ისევე შეუნდობს მას, როგორც თვითონ შემინდო მე, ამაში ეჭვი არ მეპარება) თქვენ ერთადერთი ხარო, ვისი მისამართიც დამამახსოვრდა. გადავწყვიტე ეს ნაწერი თქვენთვის გამოვიგზავნა, რათა განეთავისუფლებულიყავი მისგან, თორემ მარტო იმის გაფიქრებაზე, ყოველივე ეს მე დავეწრე-მეთქი, ჭირის ოფლი მასხამს. გაჩნდა ამისა, ვაითუ, სასოწარკვეთილების წუთებში, ასეთი წუთები კი, ღვთის ნებით, ასლა მრავლადა ჩემს ცხოვრებაში, ავიღო და გადავაგდო, მაშინ ხომ ველარავინ შესძლებს კარგად დაიმახსოვროს და ნაიბეჭდოს თავში ის, რაც მე ძალიან გვიან ჭავივებ.

შევეცდები ავიხსნათ, რა მოხდა, ვინაიდან ჩემთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ სიკვდილის შემდეგ, ჩემდა საუბედუროდ, ცუდად გამიხსენებენ და, შინდა, რამდენადაც შესაძლებელია, სინდისი დავიმწვიდო საჯარო აღსარებით, ეს კი მონანიების საკმაოდ შიშივე სახეობაა. გადავწყვიტე მომეთხოო ჩემი ცხოვრების ამბები. დიდი მესხიერებით ვერასოდეს დავიკვეხნიდი და, ადვილი შესაძლებელია, ბევრი რამ, საგულისხმოც კი, გადამაიწვიდა, მაგრამ მე მაინც დავიწყე თხრობა იმისა, რაც თავიდან არ ამოშვარდნია და რისი დაწერაც ხელში არ იუარა, სხვა ამბებზე შემვითხვა და ვცადე კიდევ აშეწერა, მაგრამ მოგონებებით სული ისე ამემღერა, რომ ვაჩრთე გაგწუმებულიყავი და ეს ამბებზეც სამუდამოდ შეამწყვდებინა, როცა ჩაწერა დავიწყე, ვიციდი, ჩემს ცხოვრებაში მოხდებოდა ისეთი რამ, რის აღწერას ვერაფრით ვერ შევძლებდი — ეს ჩემი სიკვდილი გამძაღო — ღმერთსა ვთხოვე, დააჩქაროს იგი, ამ საკითხზე თავი ბევრი ვინტერესი და — შემინდო ის ორიოდე დარჩენილი დღე დავიფიცო. — ბევრჯერ შემეშინდა, გრძნობა არ დამეკარგა იმის გამო, რომ გონება ვერ მაძლევდა პასუხს სად დამეხვა წერტილი, რითი დამემთავრებინა, უფიქრე, უმჯობესია დავიწყო, სოლო კვანძის გახსნა ღმერთს მივანდო. — როცა იგი ხელს გამიწერებს, დასასრულიც მაშინ იქნება-მეთქი, ასეც მოვიქცევი. და აი, დღეს ვგრძნობ, უკვე შემაგდა საყოთარი ებედობით სავსე ქალღვრის ეს გროვა, წერას თავს ვანებებ და თქვენთვის მომინდვია თქვენსავე წარმოსახვაში დაასრულოთ ჩემი ცხოვრება, რაც, ვფიქრობ, არ გაეცინულდებათ — მე ხომ ცოტა ხნის სიცოცხლედა დამრჩენია და თანაც არა მგონია ამ ოთხ კუდალში რაიმე მნიშვნელოვანი გადასმდეს თავს.

როდესაც იმის შედგენას შევედგები, რასაც ასლა თქვენ გიგზავნით, თავიდანვე მაწვადლებდა ფიქრი, თუ დროს არასწორად ვივარაუდებ, ვილაცას უკვე ეცოდინება, დაგამთავრებ თუ არა ჩემს მოთხობობას ან რა ადგილას შევწყვეტ-მეთქი. პირდაპირ ჰკვიდნან შლიდა ის აკეთატებული აზრი, რომ ნებით თუ უნებლიეთ, ყველა ჩემი მოქმედება წინასწარ ცნობილი გზით მიდიოდა, ასლა, სხვა ცხოვრების მღურბლთან მდგარი, უფრო მშვიდად ვარ, ღმერთსა ვთხოვ, ღირსმეოს პატივებისა.

განცდილის მოყოლამ, ვატყობ, ერთგვარი სიმშვიდე მომიგვარა, ის კი არაა, ხანდახან სინდისიც ნაკლებად მაწუხებს.

მწამს, იმასაც მიმიხვდებით, რამეც ლაპარაკი არ ღირს, უმჯობესია, არც იცოდეთ.

ენანობ, რომ გზას აყვდი, მაგრამ ამჟვეენად შენდობას არ ვთხოვლობ. რატომ? იქნებ უკეთესი კი იყოს აღასრულონ ის, რაც გადამიწვევტიტეს, თორემ, ყველაზე მეტად მოსალოდნულია ისევ ძველ გზას დაკადგვ. არ "ინდა შეწყალება ვითხოვო: ცხოვრებისაგან ძალიან ბევრი ბოროტება შევიძინე და ძალიან სუსტი აღმოვინდი, რათა ინსტიტუტებს წინ აღვდგოწოდი. დაე, აღსრულდეს რაც მიწერია.

დონ სოაკინ, ამანათთან ურთად მიიღეთ ჩემი მობოდიშებაც, რომ შეგაწუხეთ და ყურად იღეთ ჩემი ვედრება — მაპატიოთ, ისე მოგმართათ, როგორც დონ ხესუსს მიმართავდა თქვენი მორჩილი მსახური.

პასუხალ დუარბე

ბადასონის ცინხე, 1937 წლის 15 თებერვალი.

მეხლი ხოპინ ბარბა ლოპასის ხალით დანდრილი ანდოქმისა, რომელიც უმეგვიფროდ გადამოც და თავისი ქონება შინა სამსახურის მრდების მონუხვნებს დაუბოვა.

4. ვებძანებ, კანადით შეკრული კონვერტი, რომელიც ჩემი საწერი მაგიდის უკვრამი დევს და ზედ წითელი ვანჭრით აწერია „პასუხალ დუარბე“, წაუკითხავად, დაუფოვნებლივ ცუცხლს მისცეთ, ვითარცა კეთილი ზნეობის საწინააღმდეგო. მაგრამ თუ განვება ინებებს და აღნიშნული კონვერტი რაიმე ბოროტი ზრახვის გარეშე 18 თვის განმავლობაში ჩემი სურვილისამებრ არ დაიწვება, ვებძანებ იმას, ვინც მას იპოვის, თავის საყურებრად მიიჩნიოს და თავისი სურვილისამებრ მოვეტეს.

დაწერილია სიკედილის წინ შერიდაში (ბადახოსი), 1937 წლის 11 მაისი.

ბრძალვნი დიდებულნი არისტოკრატის დონ ხესუს გონსალეს დი ლა რივას, ბაბო ბორმისინას ხონანას, რომელმაც, ანდოქმის ხალით რომ ავდამოცა, საყვარელიყო, უთხრა და გაუღიმა.

პ. დ.

1

სენიორ, ბოროტი კაცო არ გახლავართ, თუმცა, მიზეზი კი მქონდა ვაებო-ტორტებულოყავო. ყველა მოკვდავი ერთ ტყავში ეიბადებით, მაგრამ სანამ ვაებირდებოდეთ, ბედისწერა თავისდა ვასართობად ისეთიარად და იმდენიარად გეცულის, თითქოს ცვილისა ვიყოთ და მერე სხვადასხვა გზით გვაგზავნის ერთი დასასრულისაკენ — სიკვდილისაკენ: ზოგს უბრძანებს, ია-ვარდით მოფენილ გზებზე იარეთ, ზოგსაც ეკალბარდებში უკრავს თავს — შენით ვაკვადე გზათ. პირველნი უბრტუნელად იყურებიან და ზეილი ბავშვებივით შეპლამიან თავიანთ ბედნიერებას, მეორენი კი ტრიალ მიწდორში მცხუნვარე მზეზე იტანჯებიან და ოდნავ ხელის მიყარებაზეც კი კურდღელივით ფრთხებიან. ვანი ერთი და იგივეა, სხეულს სტნამოთი და ფერ-უმაართლით იხელ თუ მოუშორებელ სვირინეებით იჭრედებ!

დაეიბადე დიდი ხნის წინათ — რომოცდათხუთმეტი წელი მაინც იქნება — ბადახოსის პროვინციის ერთ მივარდნილ სოფელში. სოფელი აღმენდრალეზოდან ორ ლიგაზე, გზის პირას მდებარეობდა; გზა სწორი და უსასრულო იყო უბეროდ დაღამებულ დღესავით, სწორი და უსასრულო — თქვენდა საებდნიეროდ ამას ძნელად წარმოილგენთ — სიკვდილისქილის დღეებოვით.

შინს გულზე გადამოილი სოფელი მდიდარი იყო ზეთისხილის ხეებითა და, თქვენის ნებართვით, ღორებითაც. სახლები ისე ქათქათებდნენ, რომ მათი სითეთრის გახსენებაზეც კი თვლი მიჭრელდება. სოფლის მოვლის შეუფელში სამშლიანი ლამაზი შადრევანი იდგა. სოფელი რომ დაეტოვე, მაშინ და უფრო აღრეც შადრევანში წყალი არ სჩქედდა, და მაინც რა კეთილშობილური, რა ნატიფი გვეჩვენებოდა შიშველი ბიძის ქანდაკებით დამშვენებული ეს შადრევანი, აეზოს კიდები რომზარინივით ხეებულა ვეაილებით რომ ჰქონდა შემეული!



მოედანზე გამგებობის მენობა იღვა, თუთუნის უფთავით დიდი და ოთხკუთხედი; მის კოშკზე კი დრუბლის ქულასავით თუთის საათი მუდამ ცხრას უჩვენებდა, თითქოს მარტო სილამაზისთვის დაეღვათ და არა დროის საჩვენებლად. სოფელში, ცხადია, კარგი სახლებიც იღვა და ცუდიც. ჩვეულებრივ, ცუდი სახლები სკარბობდა. ერთადერთი, დონ ხესუსის ორსართულიანი სახლი ახარებდა თავს თავის მორეკტორამებელი ვერანდითა და ზედ შედგმული ქოთანის ყვავი-ლებით. საერთოდ დონ ხესუსს ძალიან უყვარდა მცენარეები, და დარწმუნებული ვარ, მოსა-ლებით. საერთოდ დონ ხესუსს ძალიან უყვარდა მცენარეები, პალმებს და პიტანს ჩველი ბავშვებით მოუარეო. ლუსია უბრძანა გერანებს, გულიორაკობებს, პალმებს და პიტანს ჩველი ბავშვებით მოუარეო. დედბარც მუდამიღვე ხის ქამით დასუნსულებდა, მზრუნველად დასტრიალებდა და რწყავდა ნარგავებს, ისინიც პატევისცემას იმშვენებდნენ და თვალისგასახარად მწეანედ დაღანებდნენ. დონ ხესუსის სახლიც მოედანზე იღვა და თუმცა კი ფრიად შექმნილი და ხელგამილი პატრონი ჰყავდა, სხვა სახლებს თუ რამით სჯობნიდა, რაც უკვე მოგახსენეთ, ჩამოთვარდებო-და კიდევ — ფსადი მუღლებად ქვისა ჰქონდა (რაც ძალიან აუბრალოებდა), მაშინ რთვა თვით უღარიბესთა სახლებიც კი, შეთვთრებელი გახლდათ. დონ ხესუსს, ალბათ სამისო მიზეზი ჰქონდა. შესასვლელს ამშვენებდა, როგორც ამზობდნენ, ძვირად ღირებული ქვის ღერბები, რომლებზეც ფრთიანი მუხარადებით მორთული ძველ შემართა თავები იყო გა-მოსახული. ერთ შემართს თავი აღმოსავლეთისაკენ მიექცა, მეორეს — დასავლეთისაკენ, რაც ალბათ იმას ნიშნავდა, რომ სახლს იცავდნენ სწორედ ამ მხარეებიდან მოსალოდნელი სამზარ-თობისაგან. მოედნის ბოლოს დონ ხესუსის სახლს ესაზღვრებოდა ეკლესია, სამარტულოს ზარი ისე თავისებურად რეკდა, გადმოცემა მიძნელებდა, თუმცა ახლაც ისე ნათლად მიდგას უფრო, თითქოს აქვე, მოსახვევიდან შემსოფეს.

ჩემი სახლი სოფლიდან დაახლოებით ორასიოდე ნაბიჯზე იღვა. იგი პატარა იყო და ჩემი მდგომარეობისადა შესაბამისად — ერთსართულიანი, მაგრამ ძალიან შეეჩვიე და ხანდახან შეაყვებოდა კიდევ. სიმართლე რომ თქვას, სახლში ერთადერთი, რასაც შეეხედებოდა — სამზარ-რეულო გახლდათ. შემოსულს პირველად იგი მოხედებოდა თვალში. მუდამ სუფთა, საგულდა-გულად შეთვთრებული, მართალია მიწური, მაგრამ კარგად დატკეპნილი და კენჭებით მოხა-ტული სამზარეულო არაფრით არ ჩამოთვარდებოდა ბევრი სხვა სახლის სამზარეულოს, რომელთა პატრონები ცეცხლის იატაკს ამჯობინებდნენ, ასე უფრო თანამედროვეიო. კერა რომელი და ვანიერი იყო, თარიღებზე კომწიობდა ლამაზი ჭურჭელი: ცისფრად მოქაქული სამასოგრა დოქები, ცისფრად თუ ყვითლად მოხატული თევზები — ზოგჯერ აღმინას სხე რომ იყო გამოსახული, ზოგჯერ ყვავილი ან თევზი, ან კიდევ რამე სახელი იწერა. კედლებზე სხვადასხვა საგნები ეკლდა: ლამაზ კალენდარს ამშვენებდა გემბანზე მდგარი მარაოინი ქა-ლიშვილის სურათი, რომელზეც ვერცხლისფერი საღებავით გამოუყვანათ წარწერა: „მოღეს-ტო როდრიგესი. კოლონიის მაღალხარისხიანია საქონელი. მერიდა (ბადაბოსი)“. იქვე ეკლდა საზღვიო მინდორში გამოწყობილი ესპარტროსი ღერად პორტრეტი, კიდევ ეკლდა-ვიღაცების საში თუ ოთხი ფოტოგრაფია, ზოგი პატარა, ზოგიც ჩვეულებრივი სიდიდისა. ამ სურათებს მთელი ჩემი ცხოვრება ერთსა და იმავე ადგილზე ეხდებოდა და ამიტომ არასოდეს მოწყვლია აზრად შეეცომა, ვინ არიან-მეთქი ზედ გამოსახული. კედლებზე ეკლდა მადვიძარა საათი, — არ გეგონათ ტყუილებრალად გკლდა, ზუსტად მუშაობდა, — და ფერად-ფერადი შემოსთავიანი ქინძისთავებით სავსე წითელი ხავერდის პატარა ბალიში. სამზარეულოში უბრალო და ღა-რიბული ავეჯი გველდა — სამი სკამი (ერთი ძალიან კარგი ხარისხისა იყო, საზურგე და ფეხები დაგრებილი ხისა ჰქონდა, დასაქლში კი წნული) და უჯრისანი ფიჭვის მაგიდა, რომელიც სკამებთან შედარებით დაბალი იყო, მაგრამ თავის დანიშნულებას მაინც ასრულებდა. სამზარ-რეულო მუღდრო იყო და მოსახერხებელი: ზაფხულის ღამეებში, როცა ცეცხლს არ ენათებ-ლან, კარს ფართოდ გავაღებდით და კერის ქვებზე ჩამოესდებოდით ხოლმე — გრილოდა: ზამთრებით კი ნაკვერჩხალს კარგად თუ შეეახებოდით, მთელი ღამე ინარჩუნებდა სიმზურგა-ლეს და გვათბობდა. როცა ნაკვერჩხლებზე აღი ავარდებოდა, კედლებზე ჩენი ჩრდილების ცქერით ვერთობოდით. ცეცხლის ილი ავარდებოდა და ჩაჭრებოდა ხოლმე, ხანაც ისე ლაცო-ციებდა, თითქოს ცეცხავსო. მასისგან პატარას ცეცხლისა მეშინოდა და ახლაც კი, ამხნის კაცს გამაყენალებს ხოლმე, მაშინდელი შიში რომ მახსენდება.

დანარჩენი ვაუტორკნავი და უბრალო ავეჯის აღწერით თავს აღარ შეგაწყენო. სამზარე-ულოთან ერთად გვექონდა ორი ოთახი, — ოთახს მხოლოდ იმიტომ ვუწოდებთ. რომ აქ

1 ესპარტრო ბალდომერო — XIX საუკუნის შუახანების ესპანელი დიპლომატი პო-ლიტიკური მოღვაწე, გენერალი.

ეცხოვრობდით, თორემ სხვაფრთვ აჩაფრად ვარგოდა — და, თავლა, უმეტესად ცარიელი და მოუძღვლა. ახლაც არ ვიცი, რატომ ვეძახდით თავლას. ერთ ოთახში მე და ჩემს ცოლს გვეძინა, მეორეში ჩემი მშობლები ცხოვრობდნენ, სანამ ღმერთმა თუ ვეშაქმა არ წაიყვანა ისინი. მათი საყვილის შემდეგ ეს ოთახი თითქმის ცარიელი იყო. ჩემი და სოფელში რომ ჩამოვიღოდა, მხოლოდ სამხარეთლოში იძინებდა და შემდეგშიც, ჩემი შეილებიც ფეხს აიღვამდნენ თუ არა, სამხარეთლოსკენ მიიწევდნენ. თუმცა, ოთახები არც ისე სუფთა და მოწონილი გახლდათ, მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, დასაწინიც აჩაფრები ბეჭინდა — სიშოპო უჩვენებდა და ზაფხულის ხეატისაგან შეძლებისდაგვარად გვიფარავდა, ეს კი მთავარი იყო. რაც შეეხებოდა თავლას, ხუ იტყვიით, ძისა ბნელი და პირქუში კედლები მშორისა და სააყვის სუფა უარდა.

აყვირეულია, მაგრამ ქაბუციობიდანვე დამხმედა, როგორც კი ამ სენს მოვმორღებოდი, უსაველო სევდა აიყარებდა ხოლმე. მასთვის პოლინიციის დედაქალაქში რომ მივდიოდი წვევათდელთა სეკრებზე, გზანი მთელი დღე გუნებზე ვერ ვიყავი — მანადირე მალღიეთ სედღეაფო უწონავდი. სასტუმროში იღლის წინ ჩემივე მარჯალი დავსუენ და მანინე შედღე ტაბი ცხლად დამაბრა სისხლმა. ბალიმი განზე გაეწიე, მაგალი ორად მოგვეცე და თაქვემ აპოვიდე. იმ დამეს მედარაფიამ მეძინა.

თავლამი გაფაღტყაყებელი ჭკობავი ვირი გვება, ხოლო როცა საქმე კარვად აეწყობოდა, გულწრფელად უნდა ვიღიარო, ეს ხშირად არ ხდებოდა, უკაცრავად გახლავართ და, ორ-სამ დღოთაც ვაეჩინდით ხოლმე. სახლზე ბავი გვექონდა მიშენებული. დიდი არ იყო, მაგრამ ჩვენს მეურთაობას აუღიოდა, შვი ჭა გვექონდა ამოქრილი, დროთა განმავლობაში იძულებული გაეხდეს ეს ჭა ამოქეკოლა, რადგან შიგ უეარგასი წყალი ჩაღვა.

ასე გვერდით დღეე ჩუდღიოდა. დღეე ხანდახან ნახევრამდე იყო დამშრალი, კალამოტ-საევა ნამ საერთოდ არასოდეს უნახავი. ბოშათა ბანაეფიით ქუეყანისა და მუროლ წყალში გარკვა ვეართან გველოფებებს დამეკრდა კაცი და ხანდახან საღამოობით, საქმე რომ არ მექონდა, მეც ამით ვერთობოდა. ჩემი ცოლი ენამოსწრებული ქალა იყო და ამბობდა, გველოთეგები ასეთი მსუქნები იმბიტომ არიან, რომ იმასვე მიირთმევენ, რასაც ღონ ხეღსი, ოღონდ მეორე დღესო.

თეჯაობაში გართულს ბეერჯერ დამღამებია. შორს, თითქმის იმის შინით, მიწას არ მოეწუდო, კესავით გაართმულიყო თუ გვეღიეთ დაგორგლიყო აღმენდარალებო, რომ მე-ღიე ნე-ღმელა ანთებდა თავის ელექტრონათურებს. აბა, რა იყოდნენ ქალაქელებმა, რომ მათგან შორს ვილაკამ თეჯაობა მოითაევა და ახლა ცნობისმოყუარედ შესესერის, როგორ ინთება შუქი მათ სახლებში. მე კი ვიცი, რომ ამ სახლებში ჩემნაირი ადამიანები ცხოვრობენ. ჩემნაირად აზროვნებენ და ლაპარაკობენ. ქალაქელებს სინამდღელისა არაფერი გაეგებათ. აბა, რა იციან მათ, რომ იქვე, ქალაქიდან ორიოდ ლიგაზე, ტრიალ შინდორში, სოფელელმა კაცმა ანკესა აყარა და გველოთეგებით სავსე კალათა ხელში მოიმაჩრევა და ახლა მათზე დიქრიით ირთობს თავს!

